

რიტენატუნა და ხეროვნება

1522
2008

N4
4/2008

მინდორი

ჭაბუა ამირაჯიბი

სამონი

ზიუსკინდი

*დაიფუნსფუნსდაი
პაფიასე*

ტიციან ტაბიძე

აუაქნი

გიორგი გავაჭკორი

აქოზის

ანა კალანდიაძე

თარგმანი

ნოვალისი

მსგულთა

გია მირზაშვილი

აქოზის

ვასუპტი კოტატიშვილი





წითელი კლდეები



სერიიდან „ბოთლები“



ვერცხლის ყვავილი

ლიტერატურა და ხელოვნება



N4(28)

4/2008

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის
ავტორი და გამომცემელი:

ვაჟა ოთარაშვილი

მთ. რედაქტორი
ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი მდივანი
ზურაბ თორია

რედაქტორი
ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა
გია მირზაშვილი

ვისთვისაც ძვირფასია
ჟურნალი
„ლიტერატურა და
ხელოვნება“
გთხოვთ, შეგვეწიოს!

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru
Web: www.litandart.com.ge

ს ა რ ჩ ი ვ ი

წიგნა, წიგნა

- 3 ქაბუა ამიყვიბი - ქართული ჰოუზის ედგოდანს
- 6 ვახუშტი ჯოჯოხიძე - სტუდენტობის დასახელი (სახაღისო მოთხრობა)
- 14 ჯანსუღ ჩახვიანი - ლექსები
- 17 გიორგი ნადიძე - დამთავრებული ხომანი
- 27 თამარ ბოლქვაძე - ლექსები
- 31 გიორგი ნაფეცვაძე - ზაფხულის ომი გძელი ღამე
- 33 ვახტანგ ბუჩქიძე - ხუთთის მძიანები
- 40 ნოვადიხი - სემბლისა და ვახუშტის ზღაპარი
- 43 ხუსეიანი ბუფაშვილი - ზიუხინდის ნატიფი ესთეტიკა
- 47 ზაქი ნაქაძე - წამცხევი
- 56 ნუნე ბეღაძე - სამშობლოსთან მუდამ ვაღში ვიქნები
- 59 ჯოჯოხიძე ნინიაშვილი - იდეალური ჰომოფილიანი (გიორგი ბუაქაძის)
- 63 ნინო აფხიამაშვილი - ცაში აკყოხნილი ღოდების სიმფონია (მადეა მშველიძე)
- 67 ტიტან ტაბიძე - ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურა
- 73 დეანოზი დევიანი - ავხელო ზეცას
- 74 მარჯა ჩახვიანი - ბოთლიდან ამოსული მხატვარი (გია მირზაშვილი)
- 77 ბაგი ცხადაძე - სტეფანოს ქართველი ვახიციები
- 81 ანა ჯალანაძე - ლექსები

115

საქონსუფროსი საზღო:

ქაბუა ამოუქიზი, ხაჩანა ზოგუაძე, ნანი ზოგუაძე,
 პრანც ზრძენიძეილი, მანჯა ზრძეუაძე, მაყუადაა ვინამეილი,
 ნათედაა უთუმაძე, ქანსუა ჩანკვიანი, თომურ ჩხეიძე,
 თამამ ჩხენკეილი, ვაგი ჩუროილი.



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“
 არც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და
 მხოლოდ ქართული ხელოვნების, კულტურის, მწერლობისა
 და ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



ანა კალანდაძე მწერალთა კავშირში

ქართული
სოფლის
დედოფალი

— ანა კალანდაძეზე მეკითხებით! რა-
ლაც საოცრება ხდება სოფიკოს გამოტი-
რება ვერ დავასრულეთ და აგერ, ანიკოც
გამოგვეცალა ხელიდან.

ანიკო და მე ძალიან ახლოს, და-ძმასა-
ვით ვიყავით ჩემი პატიმრობიდან დაბრუ-
ნების შემდეგ და დღემდეც, თუმცა, სიბე-
რისა და ავადმყოფობის გამო ერთმანეთს
ველარ ვხვდებოდით.

ადამიანის თვისებათაგანი ყოფილა
მოხუცებულობაში წარსული ურთერ-
თობის გახსენება-შეფასება. თამამად
ვამბობ, ასე ღრმად და ნათელ ფერებში
ურთიერთობა არავისთან მახსოვს, რო-
გორც ანიკოსთან. ერთობ ადვილი და
სასიამოვნო ადამიანი იყო, აღარას ვამ-
ბობ მის პოეზიაზე. პატიმრობაშივე ვი-
ცოდი მისი რამდენიმე ლექსი და სწორედ

ეს დაედო საფუძვლად ჩვენს გაცნობა —
დამეგობრებას.

ნახვედი, ჩემო დიკო და მეც თავი-
სებურად, განუმეორებლად მოვასწარი
შენთან გამომშვიდობება. სიზმრად გნახე
ლამაზი, მშვენიერი და სიხარულის მას-
ხივებელი. შევხვდით ერთმანეთს, გამო-
ვებოხვე, რამდენიმე დღის შემდეგ საა-
ვადმყოფოში წაგიყვანეს და ველარც დაბ-
რუნდი.

შენი ხვედრი სამოთხე, მარადისხისოვ-
ნა და უკვდავებაა.

ჩვენი — შენზე ფიქრი, სანამ შევხვდე-
ბოდეთ!!!

ძმო ვაჟა!

ეს ტექსტი მივეცი დამატებით „ასავალ-
დასავალსაც“, კარგი იქნება თუ ჯერ შენი
ჟურნალი გამოიყენებს.

თბილისი 12. 03. 2008

ჭაბუა ამირეჯიბი

ჟურნალი „ლიტერატურა და ხე-
ლოვნება“ ღრმა მწუხარებას გამოთ-
ქვამს ქართული პოეზიის დედოფლის
ანა კალანდაძის გარდაცვალების
გამო და უსამძიმრებს სრულიად სა-
ქართველოს.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



აკაკი ხინთიბიძე, შვია ხელაშვილი,
ანა კალანდაძე და ვაჟა ოთარაშვილი 1999 წ.

„მადლი ღვთაებში“ (ანა კალანდაძის)

— 1999 წლის შემოდგომის პირი იდება, შუა ქართლში, საამილახვროში, ქვემოჭალაში... ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო, როცა ლესურას ხეობაში სხვილოს ციხის მახლობლად უკვე სიყვითლეს შეპარული მოცხარისა და კუნელიის ნაყოფს ვუნყოფდი ხელისგულზე საქართველოს უპირველეს პოეტს, როცა მინდვრის ყვავილების თაიფული, როგორც „გაბრწყინებულ ტაძარს,“ მივართვი. მახსენდება, შემდეგ, როგორი ცრემლიანი თვალებით ეფერებოდა ჩემს ეზოში უდევლოდ დარჩენილ ქულა წინილას, „ობოლა“ რომ შეარქვა. ბედნიერი ვიყავი, როცა მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა სიყვარულითა და აღტაცებით ეგებებოდა ქალბატონ ანას, როგორ უნდოდა ყველას რალაცით ეამბოხნა, მიახლებოდა, მოსიყვარულებოდა... ალღალად მიერთმია მცირედი სოფლის ნობათი...

დღეს კი... ჩემზე უბედური კაცი არ მეგულება. ქართული პოეზიის დედოფალთან ერთად საოლქო სასამართლოში მივდივარ. მწერალთა კავშირის ისტორიულ სასახლეს ართმევენ. არ გასჭრა არც პრეზიდენტთან ქართველ მწერალთა თხოვნა-მუდარამ, სადაც პირველი ხელმოწერა ქალბატონი ანა კალანდაძის იყო. ხელისგულზე ვულაგებ სოროსის მედუდუკეთა ანსამბლის — საქართველოს მთავ-

რობის „ძვირფას“ ბრძანებებსა და განკარგულებებს მწერალთა კავშირისათვის კუთვნილი შენობების (მაჩაბლის 13 და მაჩაბლის 11) ჩამორთმევის შესახებ. ნუხს კეთილშობილი შემოქმედი, სევდიანია, მძიმედ განიცდის იმ შენობის ვერაგულად წართმევის მცდელობას, რომლის დარბაზებშიც სამოციოდე წლის წინ მისმა პირველმა ლექსებმა გაიფლერა... საოლქო სასამართლოს დარბაზში კი:

„რეალის ქვაბი
მოთრია ქონდაქარსა,
ცეცხლს აგზუნებდა
კაცთა გრძნობის ქონდაქარი...“
უფრო სწორად გავასქელი და თვალბეჭდვით
ციმა ქონდაქარების „ბედნიერმა“ წარმომადგენლებმა „დაფდაფებს ჰკრეს განარისხი“ და მენ დაუკა!..

„ვის შეეჩივლო, რუსთაველი მკედარიო!...“
ანა კალანდაძე თანამედროვე ქართული პოეზიის დედოფალია. მან თავისი იდუმალი შემოქმედებით ლოცვად აღავლინა ქართული მინისა და ზეცის პოეტური საგალობელი:

„შენ ისე ღრმა ხარ
ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...“

და იქვე თამარ მეფისეული შეუდარებლობით მესიანისტური ბრძოლის გრგვინვა იხმის:

„სამკვიდრო შენს ქვეშ
მტრად შემოსულმა
ვერაინ ნახა...“

ეს სტრიქონები დღესაც, გლობალიზაციის ქარიშხლით თითქოს დასაღწეად განწირულ ივერიას უფლისადმი სასოებით აღაცხვებს. თუმცა ვანა დიქტატორული გლობალიზაციის გრგვინვა-ქარიშხალი არ იყო მსოფლიო ისტორიაში ბიზანტიის იმპერიის შექმნა, არაბეთის ხალიფატი, მონღოლთა ოქროს ურდო, ირანის სამეფო, ოსმალთა იმპერია, ნაპოლეონის საფრანგეთი, ფაშისტური გერმანია, სსრკ.. (აღიგვენ პირისაგან მინისა), მაგრამ ლეთიური სიბრძნე რეკდა, გვაფრთხილებდა: „ვინც მახვილი აღლიოს, მახვილითავე შეიმუსროს!“ მახვილი ძველისძველად შუბი იყო, შემდეგ ფილთა თოფი, ავტომატი, ნაღმსატყორცნი, ატომური რაკეტა... მაგრამ ყოველთვის ყველაზე უძლველი იარაღი იყო სიტყვა:

„სხვა საქართველო სად არი?“ — თითქოს ლეთისმშობელი ეკითხება თავის ნიღვდურზე გააგებულ და „ნააგადარ“ მსოფლიოს...

საქართველო კვლავ „სანატრელი ვაზის ჯვართი“, ეკლის გვირგვინით, როგორც უფ-



სოფელი ქვემო ქალა, 1999 წელი

ლის რჩეული, გოლგოთისაკენ მიემართება... ასეა, უფალს ვინც უყვარს, მას გამოარჩევს განსაკუთრებული სატანჯველით — „სულის ნრთენით“ მარადიული სიცოცხლისაკენ მიამავალ გზაზე, სადაც

„ნიოს ნათელი დაადგება საქართველოსა, ქებაში ჩურჩულით გადინერს პირჯვარს მოძღვარი...“

„ქართულთა ხატთა შესამკობელად“ ჩვენი ზოგიერთი მეფე და დედოფალი ხან ძვირფას ქვებსა თუ თვლებს იყენებდა, ზოგიერთი — საგალობელით ამკობდა, ზოგიერთი კი — გალობასავეთ წმინდა ლექსებით...

20056.

P.S. ახლად ეს გალობა-სასწავლი ქართულ ცას შელევკვია, ქართული პოეზიის დედოფლის სულთან ერთად. იმქვეყნად წასვლის „მოვიზივზე სიხარულზე“ ჯერ კიდევ 70-იან წლებში წერდა ანა დედოფალი, როცა ამბობდა: „შენის დიდების მე ვარ საყდარი“... ბოლო წლები ქურუმ-მონაზონივით ცხოვრობდა, თუმცა იგი ყოველთვის იდუმალი და ლეგენდარული იყო ქართველი ხალხისთვის, მეგობარ-ახლობლებისთვისაც... „შურთა ფარულთა მიღმა“ იგი მაინც წმინდად დარჩა „აგუ-გუნებულ სამყაროში“. „ნავიდა სუფთა და შეურყენელი,“ თუმცა არსადაც არ წასულა მისი ღვთის სიახლოვეს მყოფი სული, რადგან „სხვა საქართველო სად არის?“ ისევ ჩვენთანა და გალობს, გალობს დაუსრულებლივ:

„მზე გამარჯვებისა
კვლავ ქართლზე გადავიღოს
დიდებით მშოსავი!
მადლი ღვთაებრივი
კვლავ გადმოგვადინე
ოსანა!
ოსანა!“

ოსანა დედოფალი ანა! ნათელი ვადგეთ!
მთანმინდის მიწა წმინდაა და თბილი
უკვდავთათვის...

ვაჟა ოთარაშვილი

„საქართველო ლამაზო“

კიდევ ერთი სარკმელი მიხიბრა ცაში, საიდანაც განსაკუთრებული გალობის ხმა მოისმოდა. ეს ხმა ანა კალანდაძის იყო. ვერ ვიტყვი, რომ ხაზგასმულად ქალური იყო მისი პოეზია და ეს, ალბათ, არც იყო საჭირო, რადგან ანტიკლოზებს არ სჭირდებოდა სექსი, მათი ვალია გამცნონ, გახარონ და დაგიფარონ. სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულებში, ზემოურები ორი ცით ცოცხლობენ, ქვემოურები ორი მიწით. ერთმანეთისთვის აღარ სცალიათ არც ნამდვილ პოეტებს და არც ნამდვილ მკითხველებს. ცასა და მიწას შორის დაირღვა კავშირი და ამიტომ გავეციჩრდა ასე.


მთელი ქვეყანა იმეორებს დღეს ანასეულ სიტყვებს, რომელიც გზის დასაწყისში თქვა. „საქართველო ლამაზო!“ და ეს თქვა ისე უბრალოდ და ლამაზად, თითქოს სხვაგვარად ფიქრის უფლებაც კი აგვიკრძალა. თითქოს დაგვიძალა, რომ ეს სილამაზე საშშიძეა, კი არ აცოცხლებს მხოლოდ, ჰკლავს კიდევაც. და პირველ რიგში თავის საუკეთესო შვილებს. არა, ანა კალანდაძეს ნამდვილად არ დაჰკლებია საყოველთაო აღიარება და პატივისცემა, მაგრამ მტერმომალეებულ და თავმოძულებულ სამშობლოში ეს სასჯელი უფრო იყო, ვიდრე ჯილდო.

„სხვა საქართველო სად არი“ — კითხულობდა თავისი წინამორბედით და, იქნებ, სწორედ სხვა საქართველოზე ფიქრმა, სხვა საქართველოს ძიებამ გაიტყუა უფრო მაღალი ცისკენ.

ვახტანგ დლონტი

მზეო, ქართული სულისა,
უფლის ლამქარის მხედარო,
მკურნალად ქვეყნის წყულისისა,
გამეტებულ დედაო!
სამედურავს წუთისოფლისას
ზოგჯერ თავადაც ებედავო,
მისთვის რომ უმადურობა
ჩვენ რატომ დაგვებედაო.
ფიქრი გულიდან დაძრული
თვალზე ცრემლებად დნებოა,
ხან ბორბავს გრივავლივითა,
ხან მთელ სამყაროს სწვდებოა.
როცა ცას ჩემი ქვეყნისას
მზე გონებისა სწვდებოა,
მშვიდობით დიდ წინაპართა
საბილიკოზე შემდგარო!
მშვიდობით მზეო უფლისა,
ქართული სულის დედაო!

ტარიელ ხარხელაური



ვასუძის კოსტუმები

სტუდენტობის დასასრული

(სახალისო მოთხრობა)

ექსკურსიები და მოგზაურობა კარგია, მაგრამ რას ვიზამთ, ისევ სწავლას უნდა დავუბრუნდეთ, ვინაიდან უკვე მეოთხე კურსზე ვარ და იოლ ტექსტებს კი არ ვაბუღბუღებთ, არამედ სპარსული კლასიკური პოეზიის ურთულეს სიღმეებში გვინივს ყვინთვა. ეს მე, თორემ ჩემს თანაკურსელ მეგობრებს, ამირან ლომთაძესა და ბონდო თუთარაშვილს თანამედროვე სპარსული ენა უფრო იზიდავთ. განამებულები სადღაც - სადღაც შოულობენ სპარსული გაზეთების ნაფლეტებს და სასაუბრო ენაში „მეცდებიან“. რაც შეეხება ლეილა ბასილიასა და

გენრიეტა რომანოვას, კარგი გოგონები კი არიან, მაგრამ სპარსულის სწავლით თავს არ იკლავენ. რა ენაღვლებათ?! დიპლომაინი საპატარძლონი იქნებიან, დათხოვდებიან და მერე იმათმა ქმრებმა იცენ თავში და არჩინონ ოჯახები. ბიჭების საქმე კი სულ სხვაგვარად არის. თუ სტუდენტობის წლებს გაანიაგებ, მერე ფეხზე დადგომა ვაგიჭირდება. თანაც ჩემი ხასიათის ამბავი რომ ვიცე, ლარბული სიამაყე ჩემზე მდიდარ ქალს არ მათხოვინებს. ამიტომ ოჯახის მთელი სიმძიმე ჩემს კისერზე იქნება.

მაგრამ, ჩემო მკითხველო, ისე არ გამიგო, თითქოს მხოლოდ ცხოვრებისეულ-მერკანტილური მიზნების გამო ვსწავლობდე. რასაკვირველია, არა. თანდათანობით ისეთი ხასიათი ჩამომიყალიბდა, რამის კვლევას თუ მივადექი, სანამ ძირს არ გამოვუჩენ, ვერ შევეშვები. არ ვიცე, ეს ზოგადქართლური სიჯიუტის ბრალია, თუ ყბადაღებული „კოტეტიანთ სიჯიუტისა“, მაგრამ ასე რომ არის, ამას წყალი არ გაუვა. აღმოჩნდა, რომ ყველაფერში ძირისძირამდე ჩაკოკიტების ანეთი ფინი ჰარმონიულად ეწყობოდა იმ პოეტურ ხასიათსა და ბუნებას, რაც ჩემში ბავშვობიდანვე ტარბობდა. ჩემი ხასიათის ამ გაორებამ, განსაკუთრებით, სტუდენტობის უფროს კურსებზე იჩინა თავი, როდესაც მივხვდი, რომ სპარსულ პოეზიაში ყველაფერი ისე იოლად დასაძლევია არ იყო, როგორც ეს შორიდან ჩანდა.

აღმოჩნდა, რომ კლასიკური პერიოდის, ანუ X-XV საუკუნეების სპარსულ პოეზიაში ტექსტების ერთი ნაწილი თუ ისევე გაიგებოდა, როგორც იყო ნათქვამი, მეორე ნაწილის დიდი უმრავლესობა თითქმის მთლიანად მისტიკური ხასიათისა იყო და ყოველ პოეტურ ხატს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. თუ ეს სიმბოლიკა არ იცოდი, შენს შიგერ ნაკითხული ტექსტის ფასი „ორი შაური“ იყო და სხვა არაფერი. სპარსულ პოეზიაში გავრცელებულ და მყარად დამკვიდრებულ ამ მსოფლმხედველობას თურმე სუფიზმი ერქვა და საოცრად იყო გავრცელებული არა მხოლოდ ირანში, არამედ მთელ მუსლიმურ სამყაროში.

ძვირფასო მკითხველო, თუ განწყობილი არ ბრძანდები სერიოზულ თემებზე სასაუბროდ, შეგიძლია საერთოდ გადაახტე ამ თავს, ვინაიდან აქ მე იმ საკითხებზე მექნება საუბარი, რომელთა შესწავლამ განაპირობა ჩემი არსების მეცნიერული მხარე და ჩამომაცალიდა, როგორც აღმოსავლეთმცოდნე-ირანისტი. შესაძლოა, შენ არ გაინტერესებ-

დეს ეს საკითხები, მაგრამ მკითხველთა იმ ნაწილს რა ეუყოთ, ვისთვისაც ჩემი ცხოვრების ასეთი დეტალები არ არის უმნიშვნელო. ეს წიგნი ხომ მხოლოდ გასარწმუნებლად არ იწერება. ამიტომ ან დროებით, ამ თავის დასასრულამდე დავემშვიდობოთ ერთმანეთს, ან კიდევ მომეყვები სპარსული პოეზიის საოცარ ქვეყანაში.

ისლამის სამყაროში სუფიზმის, როგორც მისტიკური მიმდინარეობის, წარმოშობა მოულოდნელი მოვლენა არ ყოფილა. თუ გადავხედავთ მსოფლიო რელიგიის ისტორიას, ადვილად შევამჩნიებთ, რომ შუა საუკუნეებში მისტიკური მიმდინარეობები უხვად ჩნდება სხვადასხვა რელიგიის ნიაღში. ასეთებდა გვევლინება, მაგალითად, რომაულ სინკრეტულ რელიგიაში ნეოპლატონიზმი (III ს.), აღმოსავლურ ქრისტიანობაში (V-VII სს.) ეფრემ ასურის, ისააკ ასურის, პეტრე იბერის და სხვათა მოძღვრებანი, დასავლურ ქრისტიანობაში XI საუკუნეში იოან სკოტ ერიგენას, ხოლო XIII-XV საუკუნეებში ფრანცისკ ასიზელის, რაიმუნდ ლიულის, მაისტერ ეკარტის, რეისბრუკის, ტაულერის, სუზოხა და სხვათა ქადაგებანი. ასეთსავე მოვლენას წარმოადგენდა შუა საუკუნეების იუდაიზმის ნიაღში წარმოშობილი კაბალისტიკა და IX ს. ინდოეთში შანკარაჩარის მიერ შექმნილი ფილოსოფიურ-რელიგიური სისტემა, რომელიც ვედასტას (ან ადვაიტას) სახელით არის ცნობილი.

სუფიზმი ჩაისახა არაბეთში VIII ს. დასაწყისში, ე.ი. გენეზისი უშუალოდ მოსდევს ისლამის წარმოშობას და გავრცელებას. თვით ტერმინს უკავშირებენ არაბულ სიტყვას „სუფ“, რაც ნიშნავს შალის უხემ ქსოვილს, რომლითაც ამ მოძღვრების მიმდევარი ის იმოსებოდნენ. სუფიზმი, როგორც მისტიკური ხასიათის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, უაღრესად რთულ სისტემას წარმოადგენს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოკვლეული. მასში ნეოპლატონური, ქრისტიანული, ბუდისტურ-ჰინდუსტური თუ ძველ ირანულ რწმენათა იდეები ისეა ვადახლართული, რომ საკმაოდ ძნელდება ამ რთული სინთეზური მოძღვრების ჯეროვანი მეცნიერული ანალიზი. მსოფლიოს თვალსაჩინო მკვლევართა მთელი პლევადები იძიებდნენ სუფიზმის გენეზისისა და რაობის საკითხს. ზოგი ფიქრობდა, რომ იგი უნდა წარმოშობილიყო ზოროასტრიზმის გავლენით, (ფა. ტოლუკი), ან ზოროასტრულ-მანიქეური იდეების საფუძველზე (რ. დოზი). სხვანი სუ-

ფიზმის წარმოშობას უკავშირებდნენ ადრექრისტიანულ ასკეტიზმსა და მისტიციზმს (ა. მერქსი, ე. ბროუნი, დ. მაკდონალდსი, ასინ პალასიოსი, ა. ენზინკი, მ. სმიტი და სხვ...), ხოლო ზოგი მკვლევარი (რ. კარმანი, მ. პორტერი) სუფიზმის ფესვებს ჰინდუიზმში, ედანატის ფილოსოფიასა და ბუდიზმში ხედავდა. ამგვარად შექმნა სუფიზმის გენეზისის სამი თეორია: ქრისტიანულ-ნეოპლატონური, ირანული და ინდურის. ზოგიერთი მეცნიერი (ა. ფონ კრემერი) უპირატესობას ანიჭებდა ქრისტიანულ-ბუდისტური წარმომავლობის თეორიას. ისლამის ცნობილმა ისტორიკოსმა ი. ვოლტეირმა წამოაყენა უფრო რთული თეორიული მოსაზრება. იგი სუფიზმს ორ ძირითად მოსაზრებად ჰყოფდა: ასკეტიზმად და მისტიციზმად. მისი აზრით, ასკეტიზმზე აღმოსავლეთქრისტიანული ზეგავლენა იგრძნობოდა, ხოლო სუფიური მისტიციზმი ადრეულ საფეხურზე ემყარებოდა ნეოპლატონიზმს, ხოლო შემდგომ განიცდიდა ბუდისტური ფილოსოფიის ზეგავლენას.

არსებობს აგრეთვე სუფიზმის წარმოშობის ვერეთოდებული მუსლიმანური თეორიაც, რომლის ავტორები (რ. ნიკოლსონი, ლ. მასინიონი) უარყოფენ სუფიზმის ჩასახვისას ყოველგვარ გარეგან ფაქტორთა ზემოქმედებას. მათი აზრით, სუფიზმი შეიქმნა მარტოოდენ ისლამის ნიადაგზე, ხოლო აღნიშნულ მსოფლმხედველობათა გავლენები გვიანდელ მოვლენას წარმოადგენს. ასეა თუ ისე, ლტოლბითი ემანაციის კონცეფცია სუფიზმში უდავოდ ნეოპლატონიზმიდან მიმდინარეობს და, ამას გარდა, მასში ჭარბად იგრძნობა მრავალი მსოფლმხედველობის გავლენათა კვალი. ეს ყველაფერი ამ მოძღვრების რთულ სინთეზურ სტრუქტურაზე მეტყველებს. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით სუფიზმი არ წარმოადგენს ერთ მთლიან მოძღვრებას. იგი, შეიძლება ითქვას, უფრო კრებითი სახელია, რომელიც წარმოგვიდგენს მრავალი ცალკეული მისტიკური ორდენის შევალელებათა ერთობლიობას. ორდენთა შორის განსხვავება კი ხშირად საკმაოდ დიდი იყო. სუფიზმის ოდეოლოგიაში მაინც შესაძლოა გამოიყოს ორი ძირითადი მიმდინარეობა, რომლებიც თვითნატი გავლენის სფეროში აქცევენდნენ ცალკეულ ორდენთა დოქტრინას. ეს იყო ზომიერი სუფიზმი და უკიდურესი სუფიზმი. XII-XIII სს. ამ ორმა მიმდინარეობამ მიიღო მკვერთად ჩამოყალიბებულ ფილოსოფიურ სისტემათა ფორმის. ზომიერი

ანუ მონოთეისტური სუფიზმის თეორეტიკოსად გვევლინება შუა საუკუნეების თეოლოგი, წარმოშობით ირანელი (ქ. ტუსიდან), ალ-ღაზალი (1058-1111), რომელმაც სუფიური მოძღვრება ორთოდოქსალურ ისლამს დაუახლოვა, ხოლო უკიდურესი ანუ პანთეისტური სუფიზმის იდეოლოგიად — ასევე ცნობილი მისტიკოსი, ესპანეთის არაბეთის (ანდალუსის) მკვიდრი, იბნალ-არაბი (1165-1240), რომლის ფილოსოფიურმა სისტემამ დიდი გავრცელება პოვა. აღსანიშნავია ერთი საგულისხმო ფაქტი: ირანელი ალ-ღაზალის თეორიამ განსაკუთრებული აღიარება პოვა არა ირანში, არამედ არაბეთის სახანოლოში და ევროპის ქვეყნებში. ესპანეთსა და პროვანსში მოღვაწე იუდეველ რაბინთა მიერ ლათინურ ენაზე ნათარგმნმა ალ-ღაზალის თხზულებებმა გარკვეული გავლენა მოახდინა დასავლეთქრისტიანულ მისტიკოსთა (რ. ლიული, რ. მარტინი, მაისტერ ეკ. პარტი, ზუან დე ლა კრუსი) მოძღვრებებზე, ხოლო ესპანეთის მკვიდრის, იბნალ-არაბის სისტემამ განსაკუთრებულ პოპულარობას მიაღწია სწორედ ირანულ სუფიებს შორის.

ირანულ სამყაროში სუფიზმი, უმთავრესად, იმ თვალსაზრისით იმყრობს ყურადღებას, რომ იგი იქცა სპეციფიკურ პოეტურ ფილოსოფიად, რომელმაც უაღრესად დიდი ზეგავლენა მოახდინა არა მხოლოდ სპარსულ კლასიკურ მწერლობაზე, არამედ მთელი მახლობელი აღმოსავლეთის (და ნაწილობრივ ინდოეთის) პოეტურ აზროვნებაზეც. ამ მოვლემხედველთაშ შუემთავა სპეციალური ტერმინოლოგია, რომელმაც უაღრესად საინტერესო და თავისებური პოეტური სიმბოლიკის სახე მიიღო. მასში, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივსა და ყოველდღიურ ცნებათა მიღმა იმალება მისტიკურ-ფილოსოფიური სემანტიკა, რომლის ცოდნის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ წინარმოების ქვეშარტი არსის წვდომა.

სუფიზმის ანუ „სიყვარულის, პარმონიისა და მშვენიერების რელიგიური ფილოსოფიის“ (როგორც მას უწოდებდა XIX-XX სს. ცნობილი ინდოელი სუფი, პროფესორი ინაიათ ხანი) ძირითადი დებულებები მარტივად და სქემატურად შესაძლოა ასე ჩამოყალიბდეს: სამყაროში არსებობს მხოლოდ ერთადერთი რეალობა — აბსოლუტი, ღმერთი. სიყვარულის შინაგანი პოტენცია მას აიძულებს განეხვისოს საკუთარ ერთ-არსობას, რათა გაიჩინოს სიყვარულის ობიექტი. ეს განეხვისება (უფრო სწორად, ემანაცია) წარმართება დამავალ-აღმავალი

გეზით: ღმერთი — კრისტალი — ფლორა — ფაუნა — ადამიანი — ანგელოზი — ღმერთი. მაგრამ ეს საფეხურები იერარქია მოჩვენებითია და ქვეშარტი რეალობასთან არავითარი კავშირი არ გააჩნია, ვინაიდან ერთადერთი რეალობას თვით აბსოლუტი წარმოადგენს. ადამიანის ინდივიდუალობა და მთელი მისი გარემომცველი სამყარო, ზნეობრივ-ეთიკური კატეგორიები, სიკეთე და ბოროტება მხოლოდ მოჩვენებაა და სხვა არაფერია. ადამიანი, რომელიც ამ მოჩვენებითი ინდივიდუალობის ტყვეობაში იმყოფება, უნდა ცდილობდეს „მე“-ს საზღვრების გადალახვას და თავისთავად არსებაში ღვთაებრივი ხანყისის წვდომას, ეს წვდომა ინტუიტიურია და გაცილებით ამაღლებულ პროცესს წარმოადგენს, ვიდრე შემეცნება. ადამიანის მივლინება ღვთაებრივი სიყვარულით არის განპირობებული და მას უკან, პირველსაწყისთან, მხოლოდ და მხოლოდ ისევე სიყვარული დააბრუნებს, ამ ყოვლის-მომცველი კოსმიური სიყვარულის სისტემაში, დამავალი გეზისას, აბსოლუტი „მოყვარულია“, ხოლო ინდივიდი (ადამიანი) — „საყვარელი“. აღმავალი გეზით: ადამიანი „მოყვარულად“ იქცევა, ხოლო აბსოლუტი — „საყვარლად“. მაგრამ, ვიმეორებთ, რადგან აბსოლუტის გარდა არ არსებობს სხვა რეალობა. იგი თვით არის „მოყვარულიც“ და „საყვარელიც“ ერთსა და იმავე დროს, ე.ი. ერთპიროვნულად მოიცავს „სიყვარულის“ მთელ პროცესს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სუფიური ეთიკა ადამიანისაგან მოითხოვს საკუთარი „მეს“ ჩახშობას და იმის შეგნებას, რომ ქვეშარტი „მე“ არის ღმერთი „ჩემში“ არსებული. ეს უდრის აბსოლუტის წვდომას და მასთან შერწყმას, ამის მისაღწევად არსებობს ერთადერთი გზა — სულიერი ექსტაზი, რომელიც ადამიანს თავს აეიწყებს და გამოჰყავს იგი მაცთუნებელი, მოჩვენებითი რეალობის ტყვეობიდან. ასეთი თავდავნიცება სუფიზმის უპირველესი მოთხოვნაა.

ამრიგად, ირანულ მისტიკოსთა პოეტურ კონცეფციაში ღმერთი იქცა მშვენიერ „სატრფოდ“, ხოლო ადამიანი — მისგან „განშორებულ“, ტანჯულ „მეტრფედ“, „მიჯნურად“. ამასთანავე, მისტიკურმა ექსტაზმა მიიღო მათრობელა „ღვინის“ სიმბოლური სახე. ამ სამი პირობითი ნერტილის შეერთებით იქმნება მარტივი სქემა, სამკუთხედი, რომელიც გამოხატავს ირანულ მისტიკოსთა პოეზიის არსს. სატრფოსაგან (ღმერთისაგან) განშორებული პოეტი (ადამიანი)

ეძალება ლენინოს (სულიერ ექსტაზს), რათა მასში წაახშოს ამ განშორებისაგან გამოწვეული სევდა და მიაღწიოს სანეტარო შერეუბას (ღმერთთან). აქედან მომდინარეობს სუფიური პოეზიისათვის დამახასიათებელი განშორების მოტივი (რომელიც, რასაკვირველია, არსებობდა სუფიზმამდელ პოეზიაშიც, მაგრამ მისტიკოსებმა თავისი სუფიური სემანტიკით აღჭურვეს იგი) და ამ ტრავმული საკითხის პედონისტურ პლანში გადაწყვეტა (რაც სუფიზმმა ასევე ისეხსა ადრინდელი პოეზიისაგან და მასაც მისტიკური გაგება მისცა). მაშასადამე, ირანში სუფიურმა პოეზიამ შეიმუშავა სიმბოლური ტერმინოლოგია, მისტიკური პედონიზმისა და ეროტიზმის სპეციფიკური ლექსიკონი, რომელიც გარეგნულად, ერთი მხრივით, არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი სატრფიალო და საღვინო ლირიკისათვის დამახასიათებელი ხატოვანი ლექსიკისაგან. სუფი პოეტები ცდილობდნენ ეწერათ ხალხისათვის გასაგებად, რათა მათი მოძღვრება პოპულარული გამზადარიყო და ამიტომაც თავიანთ პოეზიაში უხვად შეიტანეს ჩვეულებრივი სატრფიალო და საღვინო ლირიკისათვის დამახასიათებელი ხატოვანი ელემენტები. ამასთანავე, შეინიშნება უკუპროცესიც: თავისუფლად მოაზროვნე, მაგრამ მისტიკოსაგან შორსმდგარი, პოეტებიც ცდილობდნენ თავიანთი ლექსებისათვის სუფიური ელფერი მიეცათ, რათა თავიდან აეცილებინათ მუსლიმანური ორთოდოქსიის კანონმდებელთა რისხვა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მუჰამედის რჯული მუსლიმანთა უკრძალავდა ლენინის სმასა და ღრეობას. მიუხედავად ამისა, აღმოსავლური და, კერძოდ, სპარსული პოეზიის მკითხველისათვის თვალში საცემია სწორედ ლენინის კულტი და მასთან დაკავშირებული პედონისტური მოტივის უწყვეტი ვარიაციები. როგორც აღვნიშნეთ, ამაში საგრძნობი წვლილი სუფიურ სიმბოლიკას მიძღვრის, მაგრამ, რასაკვირველია, არ იქნებოდა მართებული, რომ ყოველი გამოვლინება პოეტური პედონიზმისა და თუ ლენინის კულტისა სპარსულ ლირიკაში მხოლოდ და მხოლოდ მისტიკური ალიგორიებით აგვეხსნა. ირანში სუფიური მოძღვრების გავრცელებამდე, ჯერ კიდევ რუდაქისა და მის თანამედროვეთა პოეზიაში უკვე ვხვდებით პედონისტური სულისკვეთებით განმსჭვალულ ლექსებს, რომლებშიც ლენინის ეპითეტები უმაღლეს პოეტურ რანგშია წარმოდგენილი. ასეთ განწყობილებებს სუფიზმზე ბევრად ადრინდელი ისტორია

აქვს, რომლის სოციალურ-ფილოსოფიური ფესვები შორეულ წარსულშია საძიებელი. ადამიანმა, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე შეიტყო სანუთროს „ამოვების“ შემზარავი ამბავი. და განწდა ორგვარი ვადანყვეტა „ყოფნა-არყოფნის“ საკითხისა: ერთნი სარწმუნოების ნიაღში ხედავდნენ საუკუნო შევებას, ხოლო მეორენი — აქვე, ამქვეყნადვე ეძიებდნენ დარღვის დაქვეყნების საშუალებებს. ლაღი ცხოვრებით ტკობისა და ზღვარდადეგბული სიცოცხლით სარგებლობის მოტივები კაცობრიობის განვითარების უძველესი საფეხებზე ვხვდებამ. ჩვენამდე მოღწეულ ძველთა შორის უპირველესი ემოსის „ვიღვამემის“ შუმერულ-აქადურ ვერსიებში უკვე შეინიშნება ასეთი შინაარსის შემცველი ტენდენციები. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მეღვინე სიდურის მონოლოგი, რომელიც უკვდავების მაძიებელი ვიღვამემისადამია მიმართული. ძველი ეგვიპტელებიც ასევე მიხვდნენ ნუთისოფლის წარმავლობისა და სიკვდილის გარდუვადლობის შემაზრზენ საიდუმლოს. მათ სიმღერებშიც ვაისმის ცხოვრების ტკობისაკენ მოწოდებანი, რომლებიც სიკვდილის აუცილებლობით არის არგუმენტირებული. არსებობს გადმოცემა: ძველ ეგვიპტეში ნადიმის დროს ადამიანის წონჩხ ჩამოატარებდნენ მსახურნი, რათა მოქიფეთათვის შეესხენენინათ დადარაჯებული სიკვდილის ლანდი. ეს იმისთვის კეთდებოდა, რომ მანამდე თავშეკავებული ლხინი უფრო ანყვეტილსა და ყინადი ორგიაში ვედასულიყო. მაგრამ თუ შუამდინარეთსა და ძველ ეგვიპტეში ამ განწყობილებებს მაინც შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ძველ საბერძნეთში უკვე ჩამოყალიბებული ფილოსოფიური მოძღვრების სახე მიიღო, რომელიც პედონიზმის (ბერძნულ. პედონე — სიამოვნება) სახელით არის ცნობილი. მის მამამთავრად ითვლება ფრეთნოდებული კირენული სკოლის უძემდებელი არისტოტე (დაახლ. 435-360 წწ. წ-მდე). ეს მოძღვრება წარმოიშვა, როგორც არისტოკრატთა იდეოლოგია მონათმფლობელურ საზოგადოებაში, სადაც იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის კრიზისი ასეთი მსოფლმხედველობისათვის შესაფერის ნიადაგს ქმნიდა. მიუხედავად სიამოვნებათა მქადაგებელი ფილოსოფიის რეაქციული ბუნებისა, მისი ზოგიერთი იდეა გამოყენებულ იქნა რენესანსის ეპოქაში, ჰუმანური ეთიკის ჩამოყალიბების პროცესში და მიმართულ იქნა შუა საუკუნ-



ნების რელიგიურ-ასკეტური მორალის წინააღმდეგ, ხოლო აღორძინების ხანის ჰუმანისტა (ლორენცო ვალას და სხვათა) შედონისტურ მორალზე დაყრდნობით აიკო XVIII ს. მატერიალისტ-განმანათლებელთა (პოლბანი, მელევიციუსი) ეთიკური თეორია. აქედან გამომდინარე, სპარსულ პოეზიაშიც ჰედონისტური მოტივის არსებობა ნიადაგს მოკლებული და მოულოდნელი არ ყოფილა. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სპარსულ პოეზიაში ჰედონისტური მოტივი, უმთავრესად ლეონის კულტთან არის დაკავშირებული. ამასაც საკმაოდ ძველი ტრადიციები ჰქონდა. ჯერ კიდევ ავესტაში ყურადღებებს იპყრობს მცენარე ჰაომას კულტის, რომლის მატრებელა წვენი ლეიურ სახმელად იყო შერაცხილი. გარდა ამისა, ირანში ძველთაგანვე არსებობდა ვაზის კულტურა და მდენინგონის მდიდარი გამოცდილება. სასანიანთა ხანის ლეონის ულამაზესი ჭურჭელი მრავალჯნის იყო ხოტბამესმული თვით მუსლიმანი არაბი პოეტების მიერ. როგორც ისტორიული თუ ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა («სიასეთნამე», «ვახუსნამე», «ნავრუზნამე», «დასთურ ალ-ქათობ», «ჯამი ათ-თავარიზ» და სხვანი...) ისლამის კანონთა სიმკაცრემ ვერ ჩაახშო ირანელთა ძველი ტრადიციები და იყო დრო, როდესაც ლეონის საველდებულო გადასახადის სახითაც კი იღებდნენ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ (მაგალითად, შულავიდების ბატონობისას). ლეონის ფარული თუ აშკარა სმა ირანში არასოდეს შეწყვეტილა. მე ამ არალიტერატურულ საკითხზე იმიტომ ვაგვახსენებ ყურადღება, რათა გამოემერკვია ის საკითხი, რომ ირანში, მიუხედავად ისლამის კანონმდებლობისა, ეგრეთწოდებული შარიათის, მივინვარებისა, მაინც არსებობდა რეალური საფუძველი საღიზო პოეზიის შესაქმნელად. მაშასადამე, სპარსულ პოეზიაში ერთ მთლიანობად შენეითა რეალური და მისტურული ჰედონიზმის ორი ნაკადი, რომელთა გათიშვა და განცალკევება მეცნიერთათვის დიღემად იქცა. მკვლევართა ერთი ნაწილი სპარსულ პოეზიას მთლიანად სუფიურ-ალეგორიულ ახსნას აძლევდა, ხოლო მეორე ნაწილი გამოჰყოფდა არამისტიკურ ნაკადს, მაგრამ უგულბებლყოფდა მის სოციალურ-ფილოსოფიურ სანყისებს. ასეთი ცალმხრივი ინტერპრეტაცია ამ პოეზიას ზედაპირული და ფუქსავატური აღვირახსნილობის იერს ანიჭებდა. ასე იქნა გაგებული ინგლისსა და ამერიკაში ომარ ხაიამის უადრესად ღრმა და ტრაგიკული განცდებით აღსავსე ფი-

ლოსოფიური ლირიკა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ თვალსაზრისის მიმდევარნი რუდაქის, ომარ ხაიამის, ჰაფეზის და სხვათა პოეზიას ხშირად ანაკრეონტულ უწოდებდნენ. აღნიშნულ პოეტთა შემოქმედების ასეთი „ნათლობა“ გაუმართლებელია და მისი გაგების ზედაპირულობაზე მეტყველებს. ძველი იონიელი პოეტის ანაკრეონტის (VI ს. ჩვ. წ-მდე) შემოქმედება მოკლებულია პოეტურ განცდათა ამ სიღრმეს, რომელიც ირანელი პოეტების ნაწარმოებთა არსს წარმოადგენს. „ანაკრეონტის სიმღერებში ვერ ვიპოვით ვერც ნაზ მგრძობი-არობას და ვერც აზრის სიღრმეს; მათ არც სულიერი ტანჯვის გადმოცემა ძალუძთ და არც ტანჯულის ნუგეში. ანაკრეონტის მელიკა იმისათვის არის განკუთვნილი, რომ ამ ცხოვრებით კმაყოფილსა და განცხობაში მყოფთ კიდევ უფრო გაუმხიარულოს ღზინი და ბედნიერება, უფრო მიმზიდველი გაუხადოს ტრფობის ალი და ლეონის სიტკობ“ (ს. ყაუხჩიშვილი). ანაკრეონტის პოეზიაში მხიარულება და დროსტარება თვითმიზანია, რომლის არც გამომწვევი მიზეზი ჩანს და არც ქვეტექსტი. ანაკრეონტის ლირიკაში 44-ე ფრაგმენტი, რომელშიც პოეტი ხანდაზმულობაზე და მოახლოვებული სიკვდილის საფრთხეზე ამახვილებს ყურადღებას, შეიძლება ითქვას, რომ ერთადერთია თავისი სევედიანი განწყობლებით. მაგრამ იგი, თუნდაც რუდაქის „სიბერის ელეგიას“ რომ შევადაროთ, ადვილად დავიწმუნდებით, თუ რაოდენ დიდი სხვაობაა ამ ორი პოეტის სულიერ სამყაროთა შორის. ანაკრეონტი „აქაც მისცურავს ზედაპირზე და მისი მწუხარება, რომელსაც გინდა დაუჯერო, რაღაც მეტად მსუბუქად გერყვნებათ; ეს შემთხვევითი ღრუბელია ლაჟვარდ ცაზე“ (გრ. წერეთელი). რუდაქის ელეგიაში კი ტრაგიკული ტონებით არის გადმოცემული პოეტის ცხოვრების სიჭაბუკის გარიჟრაჟისა და სიბერის მწუხრის სევედიანი სურათები. „აქ თვითყულ სიტყვაში ისმის ყრუ, ვულამოს-კვნილი ქვითინი გაფრენილ დღეებზე და მთელი ლექსის რიტმი განსაცვიფრებელი პარამონით მიყვება გლოვის მხას... ამ ლექსში სასანარკვევითლებს მოტივები მხოლოდ და მხოლოდ ავტობიოგრაფიულ მასალებს კი არ ემყარებიან, არამედ საერთოდ ფამის სისახტოკეს, დროთა ცვალებადობის, ადამიანის რაობისა და მისი წარმავლობის პრობლემებთანაა დაკავშირებული“ (დ. კობიძე). ანაკრეონტის აღმოსავლელი კოლეგები უფრო ღრმად განიცდიდნენ მარადიული

წარმავლობის ტრაგედიას და მათ პოეზიაში წამოსროლილი ჰედონისტური მოწოდებანი მათივე მსოფლგაგების ლოგიკურსა და არგუმენტირებულ დასკვნას წარმოადგენს. სწორედ აქ იჩენს თავს ძირითადი და არსებითი სხვაობა ევროპულსა და აღმოსავლურ ჰედონისტურ პოეზიას შორის. ეს განსხვავება კარგად აქვს შენიშნული XIX ს. ცნობილი ირანისტს ჯ. დარმსტეტერს: „ევროპის სასუფრო სიმღერები ლოტიების სიმღერებია: სპარსეთში კი ეს არის ამბოხი, მიმართული ყურანის წინააღმდეგ, ფარისევლთა წინააღმდეგ, სარწმუნოებრივი კანონის მიერ ბუნებისა და გონების დათრგუნვის წინააღმდეგ. მსმელი – პოეტისათვის – სიმბოლოა განთავისუფლებული ადამიანისა...“.

როგორია ამ პოეტების ეთიკურ-ზნეობრივი მრწამსი, რას მისტირიათ ცრემლების წიაღვრებით, ან რას უმღერიათ სასოებითა და სილამაზით შეზარხოშებულნი? აი, სპარსული ლირიკის ამ ერთი ფრთის წარმომადგენელთა სულრიფვე განცდების ზოგადი სურათი: ადამიანის არსებობა წამიერია. წარმავალი და მინადმიქცევადია ყოველი. უკვალოდ გაქრა არა მხოლოდ ჩვეულებრივ მოკვდავთა ცხოვრება, არამედ აღზევებულ, ქვეყნისმპყრობელ მეფეთა ბრწყინვალეობაც. საწუთრო უღმობელია და ვერაგი. მეთუნი ფეხით აბრუნებს ჩარხს და თიხად ახელილი ხეულებისაგან აკეთებს დოქებსა თუ ქოთნებს, ჯამებსა თუ ყელმალალ, დოინვეშემოყრილ სურებს. მის სახელოსნოში ერთად იხილება უმწეო მონის ბოკილნაჭდევი ფეხი და დიდებული ხელმწიფის გვირგვინიანი თავი. მინის ნამცეცში მოჩანს წარსული არსებულთა და მერმისი მომავალთა. წუთისოფლის ეს შემაზრუნეი სინამდვილე გამანადგურებელი იქნებოდა, სამყაროში რომ არ არსებულეიყო მშვენიერება. საწუთრო უღმობელია, მაგრამ გაზაფხული სიცოცხლისაკენ მოუწმობს მოკვდავთ. ბალში ვარდები იმღებოან და ათას ჰანგზე ამღვრებენ გამიჯნურებულ ბუბუბულებს. ველზე ტიტას ისე გაუშლია ყვავილი, თითქოს ღვინით ხაგხეთასი უპყრია ხელთ (იქნებ მან შეიცნო წუთისოფლის წარმავლობის საიდუმლო და ღვინით ცდილობს სიმძიმის შესუსტუქებას?!). დღისი ნიავს სატრფოს თმების სურნელება მოაქვს, რომელსაც ტანი ამოლტილსაროს მიუვაგს, სახე – მთვარეს, თმის ფერადს სურნელს – მუშკს, ბაგეები – ლალის კოლოფს, რომელშიც იგი თურმე მარგალიტებს (კბილებს) ინახავს, ხოლო მკერდი ისე

უთრთის, როგორც წყლის ზედაპირზე სისი დაბერვისას წარმოქმნილი ბუშტები.

საწუთრო უღმობელია, მაგრამ ამქვეყნად შესაძლოა მოიძებნოს ორიოდ ლამაზი მეგობარი, რამდენიმე ხელად ღვინო და ბალის მყოფდრო კუთხე, მოჩუხჩუხე ნაკადულით. აი, სიცოცხლე, რომელსაც განმეორება არ უნერია. იქნებ ეს არის ის სამოთხე, რომელსაც იქ, ზეცაზე ჰპირდებიან მარხვის საფასურად ადამიანები. მაშინ რატომღა უნდა ელოდოს კაცი იმ საექვო დაძირებებს, როდესაც აქვე ყოფილა შესაძლებელი ქემარიტი სილალის განცდა. ამ წარმავალ წუთისოფელში ადამიანს ერთადერთი გამოსავალია დარჩენია: დატკბეს სიცოცხლის სილამაზით, ისარგებლოს და შეიტკბოს ამქვეყნიური სიამოვნებანი, ოღონდ არა სხვი წიაგვისა და დამცირების გზით, არამედ სიცოცხლის შინაგანი, პოეტნიციური ძალითა და უნარით. იგი, ამასთანავე, უნდა ეცადოს, რომ სხვასაც ქარად მიუზღოს სიკეთე, უყვადეს მოყვასი და მასაც შეაძლებინოს ამ მსწრაფლმავალი საწუთროს კორიანტელში თუნდაც წამიერი სიამის განცდა.

ასეთია ამ პოეტების ეთიკა, ერთადერთი ზნეობრივი კანონი, რომლის წინაშეც ქედს იხრის მათი კული და მეამბოხე ბუნება.

როგორც გხვდავთ, სპარსული პოეზია აღსავსეა მრავალგვაროვანი ლიტერატურულ-ფილოსოფიური მიმდინარეობებითა და ჟანრებით. სამეფო კარის სახსოტბო პოეზიას, რომელსაც ტირანთა ქება-დიდებაზე დახურდავებული მრავალი პოეტის ნიჭი შეენერა (თუმცა მათ შორის შედეგებსაც ვხვდებით), ენაცვებოდა მისტიკურად განწყობილ პოეტთა ასკეტური მორალის მქადაგებელი, დიდად ემოციური და შთამბეჭდავი სულიერი აღსარებანი; გრანდიოზულ მითოლოგიურ-საგმირო ეპოპეათა თუ რომანული ეპოსის ფართო ტილოების გვერდით არაჩვეულებრივად დიდ პრობლემებს ეჭიდებოდა მინიატურული ფორმის პოეზია, ხოლო სიბრძნით დამძიმებულ დიდაქტიკურ შეგონებებს ცვლიდა ადამიანის დაუცხრომელი შემოქმედებითი სულის შინაგანი ამბოხი.

მუშაბედა თავისი მოძღვრების მიმღევართ აუკრძალა ცხოვრებისაგან განდგომა, ასკეტიზმი. ისლამმა ბერ-მონაზვნობა არ იცის. იგი ქმედით რელიგიაა და თავის აღმსარებელთაგან მოითხოვს დღეში ხუთჯერ ლოცვას (რომელსაც ნამაზი ეწოდება) და საღვთო კანონების (შარიათის) განუხრეულსა და უდრტივულ დაცვას. ყველა დანარ-

ჩენი ალაპის საქმეა. იგი თვალით უხილავია და გონით მიუწვდომელი.

მაგრამ, როგორც ჩანს, ადამიანის სულის უსიერ ნიაღში ყოველთვის ბუღტავს იდუმალი ცნობისწადილი, დაუოკებელი ჟინი და სწრაფვა შეუცნობის შეცნობისა და მიუწვდომლის წევდომისა. დღერთის ძიება არა მხოლოდ სადღაც ვარე, ზესთა სამყაროში, არამედ აქვე, თვით საკუთარი არსების წიაღ, სისხლში, სუნთქვაში... და თუ ეს უიდეუმალესი აღმოჩენა შესძლება, იმნამსვე მოიშლება „მე“-ს ყოველგვარი საზღვარი, განქარდება პიროვნულობის გამათმეველი ყრუ კედელი თუ ჯვებირი და განიხებება ბჭენი ჭეშმარიტი არსებობისა. მაშინ მიხედვნი, რომ შენ „შენ“ კი არა ხარ, არამედ „ის“ შენში განსხეულებული. რომ ეს ხილული სამყარო სხვა არა არის-რა, თუ არა საუფლო „ერთადერთისა“, რომელსაც დემონის ვუნსტოვს და რომლის ნაწილი თურმე შენცა ხარ. მხოლოდ იგია ერთადერთი ჭეშმარიტი რეალობა, სხვა ყოველივე მაცდუნებელი მოჩვენება, არაგორც უდაბნოს მირაჟი. მის გარდა, არ არსებობს არაფერი, პრაგითარი ფასეულობა, თვით ზნეობაც კი კარგავს ყოველგვარ ღირებულებას, ვინაიდან კეთილისა და ბოროტის, დუალიტური მსოფლალქმის ამ უბჭველესი ურთიერთდაპირისპირებული ანტიპოდების ადგილს ერთი დიადი სიკეთე იჭერს, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტად არსებული სინამდვილე.

სწორედ ასეთმა დაუოკებელმა სურვილმა წარმოშვა ისლამის უდაბნოსავით მშრალ ქვიშაში ის ოაზისი, რომელსაც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, სუფიზმი ეწოდა.

ასე გავრცელდა მუსლიმურ სამყაროში დერეჟიზმი, რომელიც არად მიიჩნევდა არა მხოლოდ ქონებრივსა თუ ადმინისტრაციულ იერარქიას, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ წარმოდგენებსა თუ წესებს, არამედ თვით ოთორდოქსული ისლამის ზნეობრივ ნორმებსაც. ვახუნებელი, გატრეცილ ძონქებში გახვეული სიბრძნე სახანდივით მოედო აღმოსავლეთის ქალაქებსა თუ სოფლებს, ეწრო ქუჩაბანდებსა თუ ბაზრის მოედნებს. ერთი დღის საკმარი პური და წყალი ღვთის წყალობად იქნა მიჩნეული და სრა-სასახლეოთა გარეგანმა ბედნიერებამ სულის წიაღისეულ დარბაზებში გადმოინაცვლა. აღვზნებული ქადაგებანი, პოეტური ლოცვა და რიტუალური როკვა სულიერ ექსტაზად იქცა და სრულ თავდავიწყებად გარდაიხასა.

ბუნებრივია, ისლამის დოგმათა განუხრელად აღმსარებელნი გულგრილნი ვერ

დარჩებოდნენ ამგვარი მკრეხელობის მიმართ და მათი რეაქციაც მათივე რწმენის შესაბამისი იყო — უმკაცრესი და უღმობელი. მათი შურისძიების პირველმა ბასრმა მახეულმა სწორედ ქალაქ ბასრაში იღვრა, როდესაც ბაზრის შუბ მოედანზე ქადაგებისას აბუ მანსურ იბნ ხალაჯს აღმოხდა აღფრთოვანებული შედხილი: „მე ვარ ჭეშმარიტება!“ (ანუ ღმერთი). იგი იმნამსვე შეიმყრეს და ამ მკრეხელობისთვის მოკვეთეს თავი. მაგრამ ამ შინაგანი ხმის ჩახშობა შირიათმა ვერ შეძლო. „მე ვარ ჭეშმარიტება!“ ჯიუტად გაიძახოდნენ არაბეთის სახალიფოს თვალწინდენ სივრცეებში სულ ახალ-ახალი მოქადაგენი და მოკვეთილი თავების აღურიცხველი რაოდენობა კიდევ უფრო ამრავლებდა და ამძაფრებდა გაღმერთკაცებულთა აღტყინებას.

სუფიზმი თავისთავად ერთსახოვანი არ არის. იგი უმთავრესად კრებით სახელად გვევლინება და წარმოადგენს საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიმდინარეობების (სექტებისა თუ ორდენების) ერთობლიობას. მათ შორის ვგზვდება არა მხოლოდ ურთიერთსაწინააღმდეგო, არამედ ურთიერთგამომრიცხავი დებულებებიც. მიუხედავად ამისა, მინიც ნათლად იკვეთება ერთი ძირითადი იდეა და უმთავრესი სტრუქტურა.

სუფიზმის ქადაგებათა მიხედვით, ადამიანადყოფნის ტრაგედია სწორედ ის არის, რომ მან იგულბავინყა თავისი დვთაებრივი წარმოშობა, მოჩვენებით-სამყაროული ცრურეალობის ჭაობში ჩაეფლო თანდათან და არანამდვილი ჭეშმარიტად მიიჩნია. იგი განსწორდა ღმერთს. ამ განსწორების დაძლევის ერთადერთი გზა ისევე და ისევე სიყვარულია — ამაღლებული, ყოვლისმძლევი და ყოვლისმომცველი, რომელიც ადამიანს აფინყებს საკუთარ არსებობას, პიროვნულ განკერძობებულობას, „მეს“ ყოველგვარ გამოვლინებას და პირველსაწყისთან ანუ ღმერთთან შეერთებას. მაგრამ როგორ მიაღწიოს ადამიანმა ამ უზენაეს მიზანს? როგორ და რა გზით განიცადოს ეს ნეტარება? მხოლოდ და მხოლოდ სულიერი ექსტაზის, უკიდურესი აღვზნებისა და თავდავიწყების გზით.

სუფიზმის მოძღვრება თავისი პოეტური არსით გაცილებით უფრო მომხიბლავი აღმოჩნდა, ვიდრე ოფიციალური ისლამის მშრალი და შეუვალი დოგმები. ამასთანავე, სუფიზმის ადრეული მოძღვარანი თავიანთ ქადაგებებში უხვად იყენებდნენ პოეტური ფორმით გამორქმულ შეგონებებს (აბუ საიიდის, ანსარისა და ამ პერიოდის სხვა პოე-

ტების აღგზნებული ლექსები ამის ნათელი მაგალითია). ამიტომაც სუფიური მსოფლმხედველობა სიამოვნებით აიტაცებს პოეტებმა და შექმნეს სიყვარულის მადმერთებელი მოძღვრება.

იმის ნათელსაყოფად, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდნენ სუფიზმის მქადაგებელნი სიყვარულის ძალას, გავიხსენოთ ერთი ძველი ამბავი, რომლის დამონშება ძლიერ უყვართ ხოლმე ამ მოძღვრების მიმდევართ: ინდოეთში, განმარტოებულ ადგილას, დაყუდებულა ერთი მოზუცი განდევილი, რომელსაც მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრება ლოცვასა და ღვთის სამსახურში გაელია. ერთხელ, როდესაც იგი, ჩვეულებისამებრ, თავისი სენაკის წინ ლოცვად მდგარა მუღლმოყრილი, მის წინ ჩაურბენია ვიღაც გოგონას, რომელიც თურმე თავის გულისწინორთან შესახვედრად მიიჩქაროდა. რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც უკვე მომთავრებული ჰქონდა განდევალს ლოცვა, ხოლო გოგონას კი პაემანი, უკანმოშობრუნებული ყმანვილი ქალისათვის მოხუც ღვთისმოსავს უსაყვედურია:

- შეილო ჩემო, ნუთუ არ იცი, მლოცველის წინ ჩავლა და მისთვის ღმერთთან ურთიერთობაში ხელის შემწე უხნეობად და ცოდვად რომ ითვლება?!

გოგონას ასე უპასუხია:
- მაპატიე, მოძღვარო, მთელი ჩემი არსებობა ჩემი საყვარელი ქაბუკით იმდენად იყო აღსავსე, რომ შენ ვერც კი შეგაძმნო.

სუფიზმის მქადაგებელნი დაბასკვნიან: ქება-დიდება იმ უბრალო გოგონას, რომელსაც აღმოაჩნდა ნიჭი ყოვლისმომცველი სიყვარულისა და სირცხვილი იმ მოხუცს ვინც მთელი თავისი მრავალწლიანი ღვისმსახურების მანძილზე ვერ აღამალდა თავისი სული ისე, რომ ლოცვის დროს მაინც მთელი თავისი არსება ღმერთისთვის დაეთმო.

სუფიური დოქტრინის მიხედვით სიყვარული ყველაფერს ამართლებს, რადგან იგია დასაბამი ყოველგვარი ყოფიერებისა.

ეს არის დიდი, მარადიული ფასეულობის პოეზია, რომელმაც ღირსეულად დაიკავა თავისი ადგილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

ამ ყველაფერში მეტ-ნაკლებად რომ გავრკვეულიყავ, ბუნებრივია, სათანადო ლიტერატურას უნდა ვაეცნობოდი. მაგრამ როგორ? ამგვარი სპეციფიკური ნიგნების ოჯახებში მოძიება თითქმის შეუძლებელი იყო. ბიბლიოთეკებში უნდა მეძებნა. და მეც-გავხდი თბილისის ბიბლიოთეკების მუდმი-

ვი „ბინადარი“. უნივერსიტეტის და საჯარო ბიბლიოთეკების გარდა ეს გახლდათ აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა და ცალკეული ინსტიტუტების: ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ისტორიის და სხვა ნიგნოსაცავები. ყველგან მიცნობდნენ, თანაც ისეთი ნდობა დავიმსახურე, რომ იმ ნიგნებსაც მანდობდნენ, რომლებიც რარიტულად ითვლებოდა და მათი ბიბლიოთეკიდან განტანა სატიკად იკრძალებოდა.

აქ არ შემიძლია განსაკუთრებული სიბოთი არ გავიხსენო ის ქალბატონები, ძველი არისტოკრატები, 37-ში ქმრებდახვრეტილნი, განათლებულნი და რამდენიმე ევროპული ენის მცოდნენი, დახვეწილნი და გულისხმირნი, ნიგნოსაცავების თაროებს თავშეფარებულნი, ვინაიდან კომუნისტური სისტემის იერარქიულ კიბეზე მათთვის სხვა საფეხური არ არსებობდა. მე მათ დაგვიანებით მივაგვებ ჩემს უღრმეს სიყვარულს და ვუხდი მადლობას, არა მხოლოდ იმის გამო, ჩემდამი რომ დიდ ყურადღებას იჩენდნენ, არამედ იმის გამოც, ისინი თავიანთი პაბიტუსით, ქცევით, მიხვრა-მოხვრითა თუ მეტყველების მანერით გვიჩვენებდნენ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ნორმალური, კულტურული ადამიანი. მაშინდელ კომუნისტურ მდებარე საზოგადოებაში ადამიანთა ეს „ჯიმი“ კარგახნის ვადაშენებული იყო. ზრდილობის მაჩვენებლად დადგენილი იყო მიმართვის ფორმა „აშხანაგო“, ხოლო „ბატონოსა“ და „ქალბატონოს“ წამოცადენა პოლიტიკური დანაშაულის ტოლფასი გახლდათ. ჩვენი უნივერსიტეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ნორმალური, „არანითელი“ ინტელიგენცია მაინც არ ივინყებდა ძველქართულ ეტიკეტს და აუდიტორიებში ერთმანეთისთვის „ბატონობით“ მიმართვა არაოფიციალურ ნორმად იყო ქცეული. არა და, „აშხანაგობით“ როგორ მიმართავდი ისეთ დიდსა და პატივსაცემ მეცნიერებს, რომლებიც ჩვენს ფაკულტეტზე გვასწავლიდნენ, სახელდობრ ბატონებნი: გიორგი ახვლედიანი და გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია და დავით კობიძე, მზია ანდრონიკაშვილი და კოტე ფაღავა, ლეონ მელიქსეთაძე და ივანე შილაქაძე, ვალერიან ვაბაშვილი და ალექსი ლეკიაშვილი, ვლადიმერ და გიორგი ფუთურძეები და სხვანი, რომელთა ასე უბრალოდ ჩამოთვლა კი მკრებელობად მეჩვენება. შემინდონ მათმა კეთილშობილმა სულებმა ეს უხეობიე „ცოდა“.

(გარტყლება შემდეგ ნომერში)



ქანსულ ხარკვიანი

მევიღოპით ანა

ზეცის ანგელოსთა კრებულს,
უკმევს სურნელოვან ფერს,
სიტყვას, სიყვარულით შებზულს,
სალმრთო საიდუმლოს ჰფენს.

ტვირთი სიყვარულით ზიდა,
სთხოვა ზიარება ზერებს,
მუზა, მოფრენილი მზიდან,
კვლავაც დაუბრუნდა მზეს.

გზანი მართალთა

და ვთამაშობთ, ლაჩრობიას,
ჩვენსას მაინც არ ვიშლით,
ხალხო, ქეიფს რა სჯობია,
ღვინოში და ჩაიში.

ქორწილში ხომ ერთადა ვართ,
ნანილობრივ, ქელეხშიც,
არა ვეყვირი, ვნერ თაემდაბლად,
ჩვენ, მტრობას ვერ შევეშვი.

მოდით, ჭირშიც ერთად ვიყოთ,
მხოლოდ ლხინი არ კმარა,
ბოლმით ძმის გულს ვერ დავიპყრობთ,
ვერცა ნყაროს ანკარას.

ერთად, ერთად, მხოლოდ ერთად,
ჭირშიაც და ლხინშიაც, —
თუ წინაპრის სისხლი ფეთქავს,
თუ შურით არ გვიშლიან.

ჩვენ, ვერც ძმობას ვერ ვაფასებთ,
მტერი კიდევ ვარდას კრეფს,
სანამ უნდა ვიყოთ ასე
თითო-თითოდ, ცალ-ცალკე?

ეს რა ჭირი გავიჩინეთ,
რა ეშმაკი გვემართავდა?
ქართველებო, აირჩიეთ,
გზანი მხოლოდ მართალთა!

„მინი“ სადილი

შენ რო გგონია, აისრულე
დიდი წადილი,
ეს არის, მხოლოდ, საუცბისო —
„მინი“ სადილი.

დაჯექ და ჭამე,
რისი ჭამაც მარად გჩვევია,
აბა სხვა მეტი, ჩემო კარგო,
რა დაგრჩენია?

შენი ჩრდილისქვეშ შეიფარე
სხვა მჭამელები,
მე შენს საქმეში
არასოდეს არ ჩავერევი.

ჰო, ჰო, შენ გეუბნები

გულს გესობით ისრადა,
გვჭერეტ, ღირსების შელახვით,
ეტრფი, კახურ ვირსა და
გძულს კახური ვენახი.

მტრის ციხეში ვზი დიდხანს,
მოშავლისვან ძებნილი, —
შენ რო ჰყვირი — გიფი ხარ,
ვისაც სჯერა, — დებილი.

ვაჰმე, დრონი მიდიან,
ჩაუანგდა სატევიარი,
საქართველო გკიდია,
ვით ქართულ ვაზს მტევანი.

პირზე სიტყვა შემახმა,
ეს რა ეშმას შემყარა,
დამნაშავე შენა ხარ,
თუ ქართველთა ქეყანა?

აღარც რთველი არ რთველობს,
ვერც მართალ კაცს ვერ ნახავ,
ყველაფერში, ქართველო,
დამნაშავე შენა ხარ.

ბტყუან — მართალი

გთხოვ, მომეშვა, —
ნადი, ნადი,
აღარ მინდა
შენი მწვადი.
არა — ბატკნის,
არა — ქათმის,
აღარა მაქვს
არაქათი.
რის ირემი,
რა ირემი,
სანამ მაგრა
ავირევი,
გამპობია
სანამ თავი,
ვერ ვიპოვე
სამართალი.
ან ეგეთი
რა მთვრალი ვარ,
რო, ყოველთვის
მართალი ვარ?
არც შენა ხარ
მართალი და
არც არაყი —
მათარიდან.
არ გეგონო
ვარ „მარლბორი“,
ამილო და
გამაბოლო.
ვარ მართალი
ყველა მხრიდან,
მე მოვდივარ
ვენახიდან.

ესაც უნე ქართველი

რომ ჰკითხო, გეტყვის —
სისხლით და ხორციით,
ქართული ცის და
მინის მკვიდრია,
თუმც, გართულია
მოძმეთა ხოცვით
და საქართველო
ნეგზე ჰკიდია.

არავითარი,
ეშხი ქართული,
ზიზლით აღამებს,
ზიზლით ათენებს,
ის, საკუთარი
თავით გართული
არის და
ზიზლით უმზერს ქართველებს.

არცა მამული,
არცა გმირები,
და მიეყუყულვართ
სადღაც ჩეროში,
გთხოვთ, დამიჯეროთ,
ამნაირები,
ბევრნი არიან
საქართველოში.

„აეროპორტში“ —
სავესე ჩემოდანს
გვერდით ჩაუვლის
მტრის სიყვარულით,
და საცა ჩავა
საქართველოდან,
ა იქ, იქნება
მისი მამული.

ყველაფერზე უარი?

გთხოვთ, გვიმასპინძლოთ —
არა, — უარი,
მოზრძანდით სტუმრად,
აქაც უარი.
ტვინში მარადის
აქვს ეს „უარი“,
ნაირნაირი
აქსესუარი.
არც მასპინძელი,
არცა სტუმარი,
აქვს ლოგინი და
თავსასთუმალი.
და სანამ იქეთ
ყელს მოიღერებ,

„ძილისპირული“
მაინც იმღერე.
„ძილისპირულზეც“
მითხრა უარი,
იქნებ, არც ესმის,
იქნებ, ყრუ არი?

გულაპინყაბო

თუმც კაცთა წინაშე
ავი მხედრებია,
მჯერა, ბოროტები
წარიხვეტებიან.
რას ვეძებთ ნეტავი
უცხოთა ტომებში,
მოდით, სხვათა ცოდვა
ჩაგყაროთ ტომრებში.
ჩვენ, ჩვენი ვიკმაროთ —
ცოდვაც და სიკეთეც,
კარი სხვათა სახლის
დღეს გამოიკეტეთ.
დიახ, დღეს, ხვალ-არა,
ხვალ არის გვიანი,
მოდიან უცხონი, —
სხვა ხმაზე ღრიალით.
როცა სხვის კალთაში
ძილი არ გწყინდება,
გთხოვ, არ დაიჯერო —
რომ დღე გაბრწყინდება.
თუ ისიც არ გვახსოვს,
რაიც დაგვაბარეს,
ნურავის, ნურაფერს
ნულარ დავაბრალებთ.

ვაზი ქართული (გიორგი ლაონიას)

სადღეგრძელო ვერ შესვეს
წყველად, ქართულ ვაზისა,
ვენაცვალე, შენს ფესვებს
და შენს ნაზირ — ვაზირსა.
ვერც მშობრებად ვერ გვენახონ,
ვერცა დახოცილებად,
ჩემო დიდო ვენახო,
ჩემო აღორძინებაე.
ვაზო, ვინა ყოფილხარ, —
წმინდა წინოს სინათლეე,
შენ, იმ წუთისაოფლის ხარ,
ღმერთს რომ ლოცვით მიმართე.

შენ არც მხოლოდ ღვინო ხარ
და არც მხოლოდ მტევანი,
წმინდა წინოს ჯვრით მოხვალ,
ლექსით და სატევარით.
და თუ ვინმემ შეგახო
ხელი — არაჯანმრთელი, —
არ შეშინდე, ვენახო, —
შენთანაა ქართველი.

ტაში-ტუში ქართველო

მიმართავენ ჩანგის ტერორს,
ზოგან გარეთ, ზოგან — შინ,
ბრიყობა რომ ჩავიტენონ,
მაგ უტენინო გოგრაში.

ტაში-ტუში, ცეკვავს ბუში
და მიედივართ „განდაგან“,
ეს არაფრით ხელს არ უშლის
მარნეულს და გარდაბანს.

გვიჩვენებენ თითით ხვიშტებს,
უხარია „ჯავაკხეთს“,
გამიგონეთ, რუსის ხიშტებს,
მალე „კოზლას“ დაახვეთ.

არ იღვიძებს არც ქალაქი,
არც სოფელი, არც დაბა,
რაც ვიყავით, რაც გვქონია,
ყველაფერი ჯანდაბას.

რა დროს დიმიტაურია,
გაქრა სული ამაყი,
ბუში — ფიპიტაურია,
რუსი კიდე — არაყი.

ხან „ამშ“-ს მანტოს ვისხამთ,
ხანაც კიდე რუსს ველით,
შენ ხომ შენი ვენახის ხარ,
შენ გყავს შენი რუსთველი.

ცა სიმღერით გადაგვეხა,
სუყველას სურს გაგვთელოს,
გონს მოუგე, კარგად ვერ ხარ,
უბედურო ქართველო!

შორით ნისლი რომ მოფრინავს,
ჩვენი სამოსასალოა,
ღმერთი მართლა შორს ყოფილა,
ამერიკა ახლოა.



გიორგი ნადირაძე

დათხარებული ხომანი

ჩვენი უფროსი იანვრის ნომერში დაიბეჭდა ვრცელი წერილი მეცნიერის, პუბლიცისტის, მთარგმნელის და მწერლის, გიორგი ნადირაძის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ. ამჯერად თქვენს წინაშეა მისი ავტობიოგრაფიული რომანის ორი ფრაგმენტი. ეს ნაწარმოები ავტორს დაუშთავრებელი დარჩა. უფრო სწორად მხოლოდ დანყება მოასწრო. ამის შესახებ მის დღიურში შემორჩა პატარა ჩანაწერი.

დავიწყე რომანის წერა. საკმარისია დღემში სამი-ოთხი გვერდი ვწერო და შემოდგომის დამლევისათვის მზად იქნება წიგნი ჩვენი საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლების შესახებ. ამ რომანს ერთი ღირსება ექნება — სიბართლე. თუ ამის გამო ვერ შევძელი მისი გამოქვეყნება, დაე ეგდოს იგი ჩემს უფრაში. სიკვდილის წინ არ შემიძლია არ ვთქვა აღსარება.

როდესაც თვალს გადავაკლებ ხოლმე ჩემს წარსულს, აქა-იქ ოაზისებივით მოჩანს ნათელი მოვონებები. ზოგიერთი ამბავი ისე მახსოვს, თითქოს არა მარტო განმეცადოს, არამედ შემესანალოს კიდევ. ზოგიერთი კი — ჩალამდა, ჩაბნედა, სრულიად მიმივიწყდა. ამრიგად ჩემი შორეული წარსული შესდგება ფრაგმენტებისაგან. რაც უფრო ამოვადივარ ზევით, მით უფრო ფართოვდება ფრაგმენტები, ვინროვდება ხარეუბები, და მოგონებები იღებს შეუსყვეტელი ნაკადის სახეს.

მე მინდა ამ ფრაგმენტებს პლასტიკური გამოსატყლება მივცე.

I თავი

ეს მოხდა 39 წლის წინ.

გარედან ⁴ ქვეშეხების გუგუნე მოისმოდა. მაშინდელი სამხედრო ტექნიკის კვალობაზე ბრძოლის ხაზი საკმაოდ შორს იყო. იმ დღიას თუ წინა დღით სასახლის აივანიდან ნოე ჟორდანას სიტყვები მოვისმინე: თბილისი ვერდენა! თბილისის მისადგომებთან საფლავი გაეთხრებათ საქართველოს მტრებს. ეს სიტყვები ისე დარწმუნებით ყლერდა ახლაც, რომ ქვეშეხების გუგუნს გულდამშვიდებით ვუგდებდი ყურს. დედაჩემი გაბმით პირჯვარს იწერდა, ჩემი და ნინო* მე შემომცქეროდა და, როგორც ჩანდა, ჩემი მტკიცე გამოძეტყველება უფრო მეტ გავლენას ახდენდა მასზე, ვიდრე დედაჩემის გაფითრებული სახე.

მოულოდნელად სასადილო ოთახის კარი გაიღო და მამაჩემი შემოვიდა. საშინლად აღელვებული ჩანდა. ჩვენ ყველანი კითხვის ნიშანით მოვიკუნტეთ.

— არ შეგვშინდეთ! წარმოსთქვა მამაჩემმა დინჯად. სადაა ჩემი შაშხანა?

ყველანი შიშმა შეგვიკურა.

— რა მოხდა? რატომ არაფერს ამბობ? შემოვთებული შეეკითხა დედაჩემი.


— თბილისის ვტოვებთ!

ოთახში ისეთი სიწუმე ჩამოვარდა, რომელსაც ადამიანი მხოლოდ უკაცურო სასაფლაოზე მოისმენს. დიახ, ჩვენ ყველას გვესმოდა ეს სიწუმე. თბილისის დატოვება ხომ საქართველოს დატოვებას ნიშნავს. მამაჩემი თითქმის მიხვდა ჩვენს აზრებს: — არ გეგონათ, რომ თბილისის სამუდამოდ ვტოვებთ, წარმოსთქვა მან. — ეს მხოლოდ ტაქტიკური მანევრია. ამიტომ ყველანი დარჩებით აქ... მე უნდა წავიდე...

დედაჩემი აფუსფუსდა. რამდენიმე წუთში მამაჩემმა კარი გაიკეტა და ჩვენ გაშტებულნი მივაჩერდით ერთმანეთს.

* ნინო — კომპოზიტორ ბ. კვერცხის დედა.

1. ხს მქუ „გუბერნი“?! აჲ, ქაბუხის ბუკნი სხუნიდრ, სიჭყარნი
აჲაჲიერნი აჲ... ხუჩქირიგა 17 ხო ჲი პუსკოგოდა?!



დედაჩემი მტკიცე ნებისყოფის ქალი იყო. მან ერთბაშად მოიკრიბა შინაგანი ძალღონე და თითქმის ბრძანების კილოთი მითხრა:

— გავცალო აქაურობას. მე, ნინო და ტიტო აქ დავრჩებით!

მე გავეშაადე. ის იყო კარი უნდა გამეხსნა, რომ ქუჩიდან ძახილი მოისმა:

— ალექსანდრე, ალექსანდრე!

იღნის კარი გავხსენი და ქუჩაზე გადავიხედე. დავინახე საერო ტანისამოსი გამოწყობილი სანდრო ახმეტელი.* მხარზე შაშხანა პქონდა გადაკიდებული.

— სად არის მამაშენი?

— ნაიღა.

— შენ რას უზიხარ აქ? აბა, ჩქარა!

— შენ ნაღი, მე მოვდივარ, მოვდივარ ჩემს ახანაგებთან ერთად.

— აბა კარგად იყავით! მცხეთაში ვნახავ.

მე უკვე გადაწყვეტილი მქონდა არჩილისთვის* გამეწვლო.

საჩქაროდ დავემშვიდობე ჩვენიანებს და ქუჩაში გავეღო.

საოცარი სიწყნარე იყო. ქვემეხების გაბმული გუგუნჯი კი მიწყდა. ყუმბარების ხმაური იშვიათად არღვევდა სიმშვიდეს. პირველ ხანს მე ისეთი მთავებდებოდა მივიღე, რომ ქალაქის ფართო მოსახლეობამ არაფერი არ იცოდა ჯარისა და მთავრობის ევაკუაციის შესახებ. ქუჩაში არაერთარი ტრანსპორტი არ იყო. მე სწრაფი ნაბიჯი ავიღე დიდუბისკენ. რაც უფრო მივდიოდი წინ, მით უფრო ივსებოდა ქუჩა ხალხით. ყველა გარბოდა. მე მაშინ ასე შეგონა, რომ ყველანი ბოლშევიკები გაურბოდნენ. ახლა მე უკეთ ვერკვევი ამ საკითხებში, ვიდრე ვერკვევდი მაშინ. ცხადია, ზოგიერთები ჩემს გზას მოჰყვებოდნენ, ზოგი ახალი მეპატრონის მოლოდინში იყო, ზოგიც — ძარცვა-პლენისთვის ემზადებოდა.

მორიანაშვილების სახლი ჩაბნელებული დამხვდა. ნუთუ ნავიდნენ? მაინც ცსინჯავ. სასწრაფოდ ავირბინე კიბე და მთელი ძალით რახარუხი აფუტევე კარს. მამიდაჩემის ხმა მომესმა. მადლოდა ღმერთს შინ ყოფილბარ! ცოტა ხნის შემდეგ კარი გაიღო. მე შევედი და გავმეშდი. ერთ ხანს ხმა ვერ ამოვიღე. უცებ რატომღაც საშინლად დავიღრიალე: არჩილ!

— რა დაგემართა, ბიჭო?

— თბილისს ვტოვებთ!

ეს ორი სიტყვა და არჩილის წამოფრენა ერთი იყო. სამ თელავზე ჩაიცვა ტანისამოსი. მეორე ოთახიდან საცვლების ამარა გამომარბაცდა დეკანოზი,** ჩემს შორიანბლო გაჩერდა, ვერხვის ფოთლოვით კანკალებდა და რაღაც გაუგებარს ბუტბუტებდა. ყველას მკედრის ფერი ედო.

— ნაღი, შვილებო, საჩქაროდ ნაღი, წარმოსთქვა სულიერმა მამამ.

რამდენიმე წამში ოთახი აივსო. თავები გამოყვეს ნინომ, ლიზამ, გერამ, ელენემ...

გარეთ მცხეთისკენ მიმავალ შარავ ზაზე უკან დახეული ჯარის და ქვემეხების ხმაური მოისმოდა. ქუჩა გუგუნებდა. ახლა, როგორც ჩანს, მთელი ქალაქი ფეხზე იყო.

სწორედ ამ ნუთში მახარაძის საარტილერიო ბრიგადა უკან იხევდა. ოფიცრები, რომელნიც კარგად იცნობდნენ დეკანოზ იოსებ მირიანაშვილის უფროს ქალიშვილს, ხმამაღლა ეძახდნენ:

— მირიანაშვილებო! ნინო, ლიზა! გამოდით გარეთ!

მე და არჩილმა საჩქაროდ ჩავირბინეთ კიბე, სასაფლაო გადავტყუართ და პირდაპირ ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გავედით. ავჭალამდე მივყვებოდით ჯარს. განწყობილება ჩინებულად იყო. ღრმად დარწმუნებული ვიყავით, რომ თბილისის დროებით ვტოვებდით. "დროებითის" ცნებაც მრავალნაირია. მაშინ ამ სიტყვის ქვეშ ვგულისხმობდი ორ-სამ დღეს. საიდან მოდიოდა ეს რწმენა, არაფერს იცოდა. სად იქნება ახლა მამაჩემი? ნუთუ ისიც ფეხით მოჰყვება უკანდახეულ ჯარს?

— ეი, ახალგაზრდა! მხარზე ხელი დამადო ვილაც ჯარისკაცმა. რამ გავიქრებია კალოშები?

ფეხებზე დავიხედე და ვიგრძენი, რომ სასაცილო გარეგნობა მქონდა... მაკლდა შლაპა და ქოლგა!

ავჭალამდე ყველა ჩემს კალოშებზე ხარხარებდა.

მე მაგარი მუხლი მქონდა და შემეძლო ფეხით მეველო ბათუმამდეც. მაგრამ ავჭალაში არჩილმა ისტერიკა გამართა. ამასობაში თბილისიდან მატარებელი ჩამოდგა. ისე იყო გატენილი, რომ მისი დანახვაც კი შეუზარავად მოგვეჩვენა. როგორ უნდა შევიდეთ ამ ვაგონებში? მაგრამ მაინც შევედით. უძირო ვაგონებია, გავიფიქრე, როცა ერთი ფეხი როგორც იქნა იატაკზე დავუშვი. მატარებელი დიდხანს არ გაჩერებულა. ამის საშუალებას არ იძლეოდნენ თბილისიდან ერთიმეორის მიყოლებით წამოსული მატარებლები. თანაც არც ერთი შემხედვრი არ ჩანდა. საით მივდივართ? ეს კითხვა ყველას ანუხებდა. მე სანდრო ახმეტელის სიტყვები გამახსენდა და მტკიცე გადაწყვეტილება მივიღე მცხეთაში ჩამოვსულიყავი. არჩილი თანახმა იყო. ხვალ ხომ ისე თბილისში უნდა დაგვრუნდეთ? სულ ძალი მცხეთის ბაქანზე დავსეროშობდით. აგერ, სანდრო ახმეტელიც! მხარზე შაშხანა გადაუკიდია და ანუელი თავით მოაბიჯებს. დამინახა თუ არა,

* სანდრო ახმეტელი — რეჟისორი. გ. ნადირაძის დედის ბიძაშვილი.

** არჩილ ნადირაშვილი — გ. ნადირაძის ბიძა

*** იოსებ მირიანაშვილი — დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი, გ. ნადირაძის მამიდას ქმარი. დახვრიტეს 1937 წელს.

ხელი დამიქნია და "დირექტივები" მომცა: "ფეხი არ მოიცვალე! მე აქ ვარ და აქა ერგები! ამ ვინ-რობში საქართველოს ჯარი გაუმართავს მტერს გენერალურ ბრძოლას".

რა მშვენივრად ფერს: გენ-რა-ლ-ურ ბრძოლა. მე მაშინ დეკადენტური პოეზია მიტაცებდა და სიტყვაში უფრო მისი უფერა მომწონდა, ვიდრე აზრი; ხანდახან ამ უკანასკნელს არავითარ ყურადღებას არ ვატყვევდი. რა მნიშვნელობა აქვს, რას გამოხატავს სიტყვა? La musique avant tout.*

გენერალ კინიტაძის შტაბი მოთავსებული იყო გედევანიშვილის სახლში, რომელიც სადგურის პირდაპირ ციხეობდ აღმართული კლდის ერთ-ერთ პლატოზე იყო გაშენებული. ცისფრად შეღებული შტაბი ცოურ კოშკად მომჩვენდა (ისევე დეკადენტიზმი!). ცოური კოშკი და ისეთი მინიერი საქმე როგორცაა ომი! როგორ მოგწონთ ეს პოეტური კონტრასტი? პოეზია თავის ალავს იყო, კონტრასტსაც ადვილად ვგრძობდები, მაგრამ პრაქტიკული შედეგისა კი რა მოგახსენოთ.

— სად არის მთავრობა? სად არის ნოე ჟორდანია? შევეკითხე ახმეტელს.

— ეს საიდუმლოებაა, მოკლედ განმიმარტა მან.

მე აღარ გავაგრძელე ლაბარაკი, რადგან მტკიცედ მშანდა, რომ ოლიმპიელების ცხოვრების "ნერილიმანები" არ უნდა იცოდნენ უზრალ მოკვდავებში. ეს ნერილიმანები ეუწყება ხალხს მაშინ, როცა მათ დაეპრავს ხავსი და ისინი ლეგენდებში გადავლენ. მეორე ნაშ მე თვითონ ჩამეცინა, რადგან კარგად ვიცოდი ახმეტელის პირადი აზრი.

ჩემს სიხარულს სახლვარი არ ჰქონდა, როცა მოულოდნელად შევეჩხე ეანო ჯამასპივილს. ეს იყო შესანიშნავი ქართველი.

საოცარია, რატომ მიყვარდა იგი გავიწყებით? მას ხომ ჭირივით სძულდა ჩემსავით პოეზიით გადარეული ადამიანები? იქნებ ამ სიყვარულის მიზეზი იყო ჩემი ქვეცნობიერი სურვილი, მომეპოვებინა თავიდან არსებითად ჩემი ბუნებისათვის უცხო დეკადენტიზმი? შეიძლება ეს ასეა, მაგრამ ეანო მე მიყვარდა უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ თვითონ მას თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო.

ერთმანეთის პირისპირ ვდგავართ, მერე ერთმანეთს ვეხვევით, ერთიმეორის ამბავს ვეკითხებით.

ვანო კოჯრის გმირია.

საოცარი ამბები ითქვა... ეს ორი კვირაა თბილისის სამხრეთის მისადგომებს შოლოდ იუნკრები იცავდნენ.

— ჯარის ნაწილებმა გუშინ დილიდანვე დაიწყეს დახვევა... ჩვენ არიერგარდში დაგტროვეს. ეს-ესა ჩამოვედი თბილისიდან. აეჭალაძი გზა

გადაგვიჭრეს, პრიოლით გავარდით გზა და, ხომ ხედავ, ერთი ნაკანრიც არა მაქვს.

— ამის გამო თითო ჭიქა მინც რომ არ გადაეკრათ, ცოლდაც ჩავევთვლება — მივახლებ მე.

— შენ გენაცვალის ჩემი თავი გაიცანით — უნტეროფიცერი ხახუტაშვილი. ნაივდი!

— ნამოდით ჩემთან, მოგვმართა ახლადგაცნობილმა ოფიცერმა. მამაჩემი სვეტიცხოვლის ეზოში ცხოვრობს.

— შესანიშნავია, მოუწონა ეანომ.

სადგურის ბაქანი დაგტროვეთ და შარავ ზისკენ გავედით. აქედან თბილისიდან მომავალი ლანდავი მოხანს.

— მოიცათ, ბიჭებო! ნარმოსთქვა ეანომ. ეს სასაცილო დონ კიხოტი რომ არ ვნახოთ, მგონი სრული ნარმოდგენა არ გვექნება ჩვენს სამხედრო ბანაკზე.

ყველანი მივაჩრდით ლიანდაგს, რომელზედაც დადლილი, მაგრამ მინც უნაგირზე ამაყად ამართული ცხენოსანი მოდიოდა. ხმამალა გავვეცინა. მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა იგი, მით უფრო იზრდებოდა ჩვენი გაოცება და ბოლოს სიცილი დფმილად გადაიქცა. ცხენოსანი ზედ მოგვადგა.

— ივერიკო... ერთხმად შეეძახეთ ყველამ. საიდან? რაწარიად?

ივერიკო ** ჩვენზე მეტად იყო გაოცებული:

— ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ამ შევედრას კი არა.

ივერიკომ ორიოდ სიტყვით გვიამბო თავისი ამბავი.

თურმე ორი დღე-ღამე მოდიოდა კახეთიდან. მთელი რაზმიდან, რომელიც ჯერ კახეთის მისადგომებს იცავდა, შემდეგ სიღნაღს, გურჯაანს, საგარეჯოს, მარტო მან მოაღწია უვნებლად მცხეთას. დანარჩენები გზა და გზა შემოიფანტნენ.

ყველა ჩვენგანისათვის ამ მოთხრობას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა.

— აბა, მეგობრებო, სვეტიცხოვლისაკენ! მოგვმართა ხახუტაშვილმა და ყველანი შარავ-ზაზე გავედით. ივერიკო ცხენიდან ჩამოქვეითდა და ჩვენს კომპანიის შემოუერთდა. სიცილი ამიტყდა, როცა ჩამოქვეითებულ მძას შევხედე. სასაცილოდ მოაბოტებდა. ტარტარენ ტარასკონელივით იყო შეჭურვილი... მე შინაური ამბავი გადავეცი, მან სამაგიეროდ მარხაანის სასაცილო სამხედრო ოპერაციები გამაცნო.

— კახეთი ზედის ანაბარად იყო მიგდებული. არც ჯარი, არც იარაღი, არც ხელმძღვანელობა. კრანაშვილი და მისი დამატებები ისე გაქრნენ, რომ მათი ნაკვალევიც არ უნახავს არავის. სა-

* — მუსიკა უპირველეს ყოვლისა (ფრ.)

** ივერიკო — გ. ნადირაძის უფროსი ძმა.

ერთოდ მთავრობას სრულიად გამოჩნა სათვალავიდან მთელი კახეთი, რომელსაც შეეძლო გადაწყვეტი როლი ეთამაშა ამ ომში. მაჩხანში ნადირალები გამოძენენ სოროებიდან. არაფერი არ ვიცი, რა მოხდა, ვიდრე კომუნისტების ჯარი შევიდოდა იქ.

მიუხალოვდით სეგეტიცხოველს. კარიბჭესთან ტაძრის გაღვარის პატარა ორსართლიანი სახლი შეიწინა მიდგმული. აქ ცხოვრობდა დეკანოზი ხახუტაშვილი. ოფიცერი ნინ წაგვიძღვა და მეორე სართულზე ავედით. დეკანოზს ბავშვივით გავხარდა შეილის ნახვა. ისეთი ხმით შეიკვილა ცოლის მოსახმობად, რომ სიცილი ძლიეს შევიკავეთ. რამდენიმე წუთში აივანი ქალებით აივსო. შეგვიპატარეს სასტუმროში. ისეთ საამო სითბოში გავეხვეით, რომ უცებ დაგვაგინდა განცდილი უბედურება. თურქების ლელები შემა შეაფარეს... რამდენიმე წუთში სასამოვნო სანახავი იყო ოთახი: გაშლილი სუფრა, შავთმანი ბიჭები, ქარვისაფარი ლეინით საცე ქიქები და პატრიოტული სადღერგებულების მრავალფეროვანი ვარიაციები. ვანომ თავისი სავეარელი მელიოვია წამოილიღინა: "სიცოცხლე ჩალად არა ღირს, სიყვდილი დანანებდა".

უკვე შუალამე იქნებოდა, როცა ქალებმა ამავე ოთახში საერთო ღარიბი გამაღეს. იმავე წუთს სუყველას მკვდარი ძილით ჩაეძინა.

ჩემს თვალს რული არ ეკიდებოდა. ქოტივით თვალს შეინდა დაჭყეტლი და კარებსა და ფანჯრებზე მოსოლილ ხმაურს ვუფიქრებდი ყურს. ქვემეხების გუგუნე თანდათან უფრო ახლოვდებოდა. მალე ხმაური გადაიქცა გაბმულ ღრიალად. ერთი ყუმბარა ტაძრის ეზოშიც დახვებოდა. სახლი ატოკდა და ფანჯრებმა ზარილი გამოილო. მეორე ოთახიდან დეკანოზის ბუტბუტი მესმოდა. მეორე ფეხზე უნდა ყოფილიყო. ხმენა მოვიკრიფე და ნინ და უკან სწრაფად მოსიარულე ნაბიჯების ხმა შემომესმა. მერე კარი გაიღო და ისევ სასწრაფოდ მიიქცა. ერთი წუთის შემდეგ კარის ხმაური გამოიწია. ჩანს, დეკანოზი აივანზე გავიდა, მაგრამ ისევ სწრაფად შემოტრიალდა ოთახში. ყველაფერი მოშობდა იმას, რომ აქ არავითარი გენერალური ბრძოლა არ იყო მოსალოდნელი. წითელი არმია უტევდა და ჩვენი ჯარი განაგრძობდა დახვევას.

— ივერიკო, ვანო, არჩილ! ყვერი, მაგრამ არავინ არ იღვიძებს.

— რას ღრიალებს! შემომიტია ვანომ. გემინია, ბიჭო? როგორ გეტყობა, ჯერ ომში არ ყოფილხარ! მე ისე შევეჩვიე ყუმბარების მუსიკას, რომ უკეთესად მძინავს ასეთი აკომპანიმენტის ქვეშ. ივერიკო! ვეცადე ორიოდ დამცინავე მუჯლუგუნე გამეკრა.

იძულებული ვიყავი ხმა ჩამეკმინდა. ქვემეხების გრიალი და ტყვიამფრქვევების

კაკანი არ ცხრებოდა. ცაში ნათელი იყო ჩავარდნილი, როცა ეს სამხედრო ხმაური გაიმეითდა და მერე სრულიად მინყდა. რა მოხდა? ფანჯრებში მზის სხივები შემოიჭრა. ნამდვილი თბილისური ზამთარია: გართე ყინვა და ოთახებში კი ჭახჭახა მზე.

ბიჭებს ისევ სძინავთ. მე წამოვიხიე და ოთახს თვალს გადავავლე. ამდენი დაფრენილი პირი არასოდეს არ მეჩანა. ბრძოლის ველზე დახოცილებივით ეყარნენ.

ოთახის შუა კარი ფრთხილად გაიღო და დეკანოზის წვერად შემოიჭყიტა. მერე წვერი უკანვე გადავდა და კარზე მიხურა. ალბათ შემაშინია, გავიფიქრე და ბალოშე თავი მივდე... მეგობრების ძილს დაფუთერივარ და მეც ჩამძინებია. მაგრამ ძილის ბანგი დიდხანს აღარ გავრძელებულა. სუყველას ერთბაშად გაგვეღვიძა. ვანო შემომჩერდა და სიცილისათვის მოეზადა... მივხვდი, რომ დაცინვის ობიექტი მე უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ ოთახის შუა კარი ისევ გაიხსნა და დეკანოზი შემოფარუნდა ნყნარად.

— დილა მშვიდობისა, ბიჭებო. როგორ გეძინათ? შეგვეკითხა სულიერი მამა ერთობლივად.

— როგორც არასოდეს, მამაო, ყველას მაგიერ უბასუბა ვანომ. ოღონდ აი ამ ქაბუქს (მან ჩემზე მიუთითა) თვალის არ მოახუჭინა ქვემეხების მუსიკამ.

დეკანოზმა ჩაიხიბითხითა.
— ზო, არ დამვიწყებულა, დინჯად მიაყოლა მან ხიბითისა, ქუკუთ იყავით. ღვთის წყალობაა ჩემს სახლში, რუსები ხელს არ გახალებენ. მაგრამ ყველაფერი მუუსრულეთ.

- როო? რის რუსები? შეეკითხა ვანო.
- ბოლშევიკები, ყმანვილო.
- შემოვიდნენ?
- შემოვიდნენ აბა რა. სოფელი ვნახე უდადლო და შიგ გავიარე უჯვოხო, ხომ გაგვიგონია ქართული ანდაზა.

შემოვიდნენო?!

არ შემიძლია ავნერო ის აურზაური, რომელიც ოთახში დატრიალდა. ყველანი ელვის სისწრაფით ნამოცვიდნენ ზეზე. წინდები, შარველები, ხალათები ერთმანეთში აგვერია. არჩილი ინგლისურ ფრენს იცვამდა შარვლის მაგიერ და ვერ გაერკვია, რომ ფეხები არ ეტეოდა ტოტებში. დასცილებულვარ — ისტერიულად ყვიროდა შიშით აცახცახებული ბიჭი.

— შემოვიდნენო?! ისეთი ხმით შეიკვილა ოფიცერმა, ასე გვეგონებოდათ ოთახში ყუმბარა გასკადო, ო, შე ქოფაკო, სულხალლო ბებერო! შე მატყურა! — მუღტია მან დეკანოზს. მოგკლავ, მოგკლავ! ამ სიტყვებთან ერთად ოფიცერი ზეზე წამოიჭრა და მამისკენ გაიხია. ოთახი ზანზარდა. მაგიდა ფანჯრებს ეცა, თითქოს გართე უნდა გამხტარიყო. ყველანი ოფიცერსა და მღვდელს



შემოეხებეთ. ზოგი ვააფთრებულ ოფიცერს აკავენდა, ზოგი ანაფორით მიათრევდა მღვდელს მეორე ოთახისაკენ.

მღვდელი გაეიყვანეთ, ოფიცერი დაეაშოშინეთ.

— მაკრატელი! მეორედ შეჰყვირა ოფიცერმა და ყველანი საგონებელში ჩავყავდით.

— ნამდვილად გაგირდა, დინჯად წარმოსთქვა ვანომ. რად გინდა, ბოჭო მაკრატელი?

ოფიცერს ისტერია დაემართა, მან ზედიზედ დაგვაყარა სიტყვები:

— ვირებო, პავონები, ლილები, მონშობა...

ჩვენ მივხვდით, რომ მაკრატელი საჭირო იყო ლილებისა და პავონების ასაჭრელად, მონშობა — საერისკაცო ვინაობის დასადასტურებლად, ხოლო ვირები ჩვენ ვიყავით, რომ ეს ელემენტარული ამბები არ გვესმოდა.

არჩილმა დანა მიანოდა.

ოთახის გარეკარი გაიხსნა და დეკანოზი ისევ შემობარბაცდა. უკან მორჩილი ტანის წითელარმიელი მოსდევდა.

— Здравствуйте товарищи! მოგვესალმა რუსი. ეს იყო პირველი ბოლშევიკი, რომელსაც პირისპირ ვუყურებდით.

ერთ წუთში ოთახი აკლდამას დაგმავდა.

— Сдайте оружие, товарищи! განაგრძო რუსმა.

— Где у них оружие! ყასიდად ჩაიხიხითთა მღვდელმა. Это студенты. Дайте-ка лучше утюгу я вас грузинским бельем.

არაის ხსენებამე წითელარმიელმა ყველაფერი ადვილად დაიჯერა.

— Ну ладно, წარმოსთქვა მან.

მღვდელმა სავსე ჩაის ქიჯა გაუნოდა და იმავე ნამის ცარიელი უკანვე ჩამოართვა.

ქაქის არაყმა რუსს გველოვით უკბინა და ოთახიდან გარეთ გაავდო.

— აბა იარაღს მოეუარო! ბრძანება გასცა ვილცამ და რამდენიმე წუთში ორი კაცი დაბლა დაეშვა.

სვეტიცხოვლის შესავალ კართან მარცხენა მხარეს წერაქვები ამუშავდა. საკმაოდ ღრმად ამოთხრილ ორმოებში ტომარაში შეხვეული რამდენიმე მაუზური ჩაახუნეს და მინა მოასწორეს. „მესაფლავენი“ დარწმუნებული იყვნენ, რომ „დამარხვა“ კონფიდენცითი იყო მოცულში, მაგრამ იარაღი მესამე დღეს გაიტაცეს.

ისევ სასტუმრო ოთახში მოვიყარეთ თავი.

ფოფოდიამ ჩაი შემოიტანა. არავინ არ იღებდა ხმას, ალბათ იმიტომ, რომ არავინ არ იცოდა, რა საგანზე უნდა ელაპარაკა.

შორიდან კანტი-კუნტად გვესმოდა ქვემეხების გროლი და ტყვიამფრქვევების კაკანი.

ჩაის სმა დაიწყეთ.

მეორე ოთახიდან დეკანოზის ბუტბუტი მოგ-

ვისმა.

— ვის ელაპარაკება ის წერცამეტა? შეეკითხა ოფიცერი ფოფოდიას.

— ლოცულობს, შეილო. დღეს ცისკრის ზარი არ დარეკილა.

— სულბაღლი! ჩაილაპარაკა ოფიცერმა და თავი ხელეში ჩარგო.

— თქვენთვის ლოცულობს, სული არ ნამიწყდება.

— რას გვეშელის ლოცვა? — იღრიალა ოფიცერმა.

შეგვეშინდა, რომ წელანდელი სცენა არ გამოვრებულყო და ლაპარაკში ჩავერიეთ. ყველა ჩვენგანი ცდილობდა რამენაირად შეერბილებინა დეკანოზის დანაშაული.

ისევ სამარისებური სიწმეე ჩამოვარდა.

მე რატომღაც აზრად მომივიდა, რომ იქ ჩემზე ტყვიანი არავინ იყო და გადავწყვიტე საქმეზე ამელაპარაკებინა მეგობრები.

— მეგობრებო!.. ამრიგად ჩვენ აღმოვჩნდით დეზერტირების თუ ტყვეების მდგომარეობაში. როგორც გნებავთ, ისე ჩათვალეთ. საქმის გამოსწორება შეუძლებელია. მეორე: ჩვენი მცხეთაში დარჩენა უგუნურება იქნებოდა. ნინადადება შემომსქეს დაუყოვნებლივ დაეადგეთ თბილისის გზას. თუ რაიმე ტრანსპორტს ვიმოვით, ხომ კარგი, თუ არა და — ფეხით!

ჩემმა ნინადადებამ ყველანი ჩააფიქრა.

— რას გაუმებულხართ?... ბატონი ოფიცერი დარჩება თქვენს მშობლებთან... ჩვენ კი ჩვენს მიტოვებულ ბუდეებს უნდა დაგუბრუნდეთ.

— რით ასაბუთებ ამ ნინადადებას? შემეკითხა ვანო.

— თუ გნებავთ, იმ მოსაზრებით, რომ ახლა ჩვენ ტყვეები ვართ ჩვენი შეგნებით, მაგრამ თუ მოგვაგანეს, მამინ ტყვეები აღმოვჩნდებით ბოლშევიკების შეგნებითაც... უნდა დავბრუნდეთ! ჩემმა მოსაზრებამ დამარწმუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

— თანახმა ვარ! წარმოსთქვა ვანომ და ყველანი აიშალნენ.

— თითო ქიჯა ლეინო მაინც მიირთვით, თქვენი ქორიყვა, აფუსფუსდა ფოფოდიო.

— სიამოვნებით, მოეახსენე მე ჩვენი საერთო აზრი და მეგობრებიც მაგადას დაუბრუნდნენ.

სულწარ ლარიბული მოგვეჩვენა გუშინდელთან შედარებით, მაგრამ რაკი შოთი პურები და ლეინო უჭვად იყო, ჩვენ საკმაო ენერჯია მოვიძარავეთ შორი გზისათვის.

ნახევარი საათის შემდეგ მცხეთის მაგისტრალზე შევდგით ფეხი.

მშვენიერი მზიანი დარი იყო. ქუჩაში არავინ ჩანდა. ლეინო ხმამაღლა გვალაპარაკებდა და ფანჯრების მინებთან მომდგარი თავები გაოცებული თვალებით გვააცილებდნენ. როცა თბი-

ლისის შარავნაზე გავედით და სვეტიცხოველი აღმართა თავისი დევი ტანით, მეგობრები შევარე და მათეტიკური სიტყვა წარმოთქვი ქართულ გენიაზე. ახლა მახსენდება, რომ ჩემს სიტყვაში ბევრი ბუნდოვანი ფრაზა იყო, მაგრამ მით უფრო ჭკვიანურად მოეჩვენათ იგი ჩემს მეგობრებს.

გაგიჟებით მიყვარდა და მიყვარს სვეტიცხოვლის ტაძარი, ჩვენი დიდების ერთი უმშვენიერესი ფურცელი. მასთანაა დაკავშირებული ჩემი ბავშვობის რამდენიმე დაუფიქარი წუთი. ათი წლის წინ (ეს რიცხვი მაშინ ძალიან დიდად მერყენებოდა) პირველად შევევალ თვალი მის ბუმბურაზ ტანს, პირველად დავაცქერდი პატარა კახის საფლავს. ეს იყო ზიარება საქართველოს წარსულთან. მცხეთიდან არმაზის ხეობა გაეჭვრიტა და ახლა ქართული წარმართობის ბუდე მოვიწახლეთე. ყველაფერი ეს უკვე ვიცოდი სახლიდან, სკოლის უფროსი მეგობრებისგან, პეტრე მირიანაშვილისგან.* მაგრამ ვერაფერი შეედრება თვალის გაცნობას.

— ჩვენს მდგომარეობაში, მეგობრებო, იმ დროსაც ბევრი ყოფილან. მაგრამ, ხომ ხედავთ სვეტიცხოველი ისევ დგას და ასე იქნება აპართული მთელი ჩვენი სიცოცხლის განმავლობაში. სვეტიცხოველი ჩვენი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა.

ყველას ეტყობოდა, რომ ღვინო მოენატრა. მაგრამ იმდროინდელი წუთები ისე მღელვარე იყო, რომ დიდ ხანს არც სვეტიცხოველზე შევეძლო ფიქრი, არც სადღეგრძელოებზე. თბილისიდან მიმავალი გზა არ უნდა ყოფილიყო უხიფათო.

— ერთი თხოვნა, მეგობრებო! მიემართე თანამგზავრებს. უეჭველია გზაში რუსი ჯარისკაცები შეგვეხედებიან. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სწორი ლოიალობა, მაგრამ ისე, რომ ოდნავაც არ შევღაბოთ ჩვენი ღირსება.

მთელი ერთი საათი მივდიოდით მოტიტლელ ბულ გზაზე. პირველ კაცს ზურგიდან ნამოყენით. ჩვენია. არავინ არ ვიცნობდით, მაგრამ მაინც შევიაშინავეთ. ჩემი სენხია აღმოჩნდა. ძალიან გულმოსული ლაპარაკობდა ქართული ჯარის მესვეურებზე. ორიოდე მაგარი ქიმუხვი მთავრობასაც გაჰკრა.

— ჩვენმა უხეროებმა დაგველუპა! — გამახსენდა ბარათაშვილის სიტყვები.

— ისტორია მეორდება! დაუმატა ვიღაცამ. მაშინ ეს ფრაზა ისე გაცვეთილი არ იყო როგორც ახლა.

— საქართველოს ისტორიაში მეორდება მხოლოდ უხერობა. აბა დააკვირდით ჩვენს წარ-

სულს. რამდენჯერ ამოტივტივებულა ზედაპირზე ერთი და იგივე სიბინძურე. მაგრამ სცადეთ და მოუხსნეთ პარალელი დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქებს! ისტორია მეორდება, მაგრამ ყველა ერთ იმეორებს იმას, რაც უფრო დამახასიათებელია მისთვის.

ჩემმა კომენტარებმა, რომელთაც წუთიერი გრძობების ლოკა ედოთ საფუძვლად, კამათის გულებზე დააყენა მგზავრები. ვაიმართა გრცელი ქართული პაექრობა, სადაც ყველაზე ძლიერ არგუმენტს წარმოადგენს ხელების ფარხხვა და ყვირილი. ვინ ვის აჯობებს, ნინავადა მაშინ — ვინ უფრო პათეტიკურად დაიყვირებდა.

გვაჯობა ვანომ!
ჯერ ავჭალა შორს იყო. გაძლიერ გზაზე თვალი მოვკარიტ ცხენოსანს. მხარზე შამხანა ეკიდა და დინჯად მოდიოდა ჩვენსკენ. ყველანი დაედუმით და ყურადღებად გადავიტყვით.

— როგორც ჩანს, ეს მეორე შეხვედრა იქნება ჩრდილოეთის კაცთან, წარმოსთქვა ვანომ.

— პირველი დეკანოზმა აგვაცილა არყით. ახლა აღარც დეკანოზი გვყავს, არც არაყი გვაქვს, გაგებურე მე.

ცხენოსანი თანდათან ახლოვდებოდა.

— არც ნაბიჯი შეანდოთ, არც გზიდან გადაუხვიოთ — ბრძანება გასცა ვანომ.

ყველანი მიგაშტერდით ცხენოსან წითელარმიელს და ერთბაშად სიცილი აგვიტყდა.

— კარგია, მეგობრებო! ჩვენს სიცოცხლეს წითელარმიელი ისე მივიღებ, როგორც სიხარულის გამობატულებას, განმარტა ვანომ.

ცხენზე იჯდა ბრვე აგებულების, მაგრამ შიმშილისაგან ჩამომხმარი და ძონძებში გამოხევეული მხედარი. მოგვახსენებდა თუ არა, სახენუე დიმილი გადაეკრა და ცხენი მოვავადი.

— Здравствуйте, товарищи!

— Здравствуйте, ერთხმად გავეპასუხეთ და ისევ ღუმელსა და ყურადღებაში ჩავიძირეთ.

— Есть что-либо покушать, товарищи? იმავე ღიმილით მოგვემართა წითელარმიელმა.

— К сожалению, ничего нет, товарищ армеец, у нас-то нет.

— Ну, видно мы в самом деле товарищи, ни у меня ничего нет, ни у вас. А кто вы такие?

— Студенты.

— студенты? А родные?

— крестьяне.

— крестьяне? хорошие вы крестьянские дети!

отданы как буржуи.

ეს იყო პირველი კლასობრივი შემოტევა. ახლა აღარც წითელარმიელს ელიმებოდა, აღარც ჩვენ.

— Эй ты, парнишка, твоти გაიშვირა წითელარმიელმა არჩილისაკენ, რომელიც ვანოს ზურგს ეფარებოდა. откуда у тебя английский френг?

* პეტრე მირიანაშვილი — საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, პიშროვის და ყურანის მთარგმნელი. აზვსალში და ეთერს* ლიბრტოს ატყობო.

— ჭრენი? ლულულულით წარმოსთქვა არჩილმა. მას ეგონა ნითელარმიელი ბრალსა მდებსო და თავის მართლებისათვის მოეგზადა. Видите ли...

ნითელარმიელს გამოძიებისთვის არ ეცალა.

— Вот что, братец. У меня путь далекий, мне еще осведомждать ваших родичей. Снимай-ка свой френч и дай мне его сюда, а сам возьми вот этот мой тулуп.

არჩილი შეეყოყმანდა, მაგრამ ეურჩიეთ ხმა არ ამოუღო.

— Ладно, как будто по мне шили — ისევ გაეღიმა არმიელს, როცა ინგლისური ფრენჩი ჩაიცვა.

— А ты дорогой, მიუბრუნდა ვანოს — смени мне пальто, да თავისი დაძინილი ქუდი პირდაპირ თავში მიახალა.

— Спасибо товарищи! будьте уверены, что Ермак изгонит всех буржуев с нашей земли.

ასეთ სიტუაციაში სიტყვა „товарищи“ ცოტა არ იყოს უცნაურად გაისმა, ხოლო „наша земля“ ხანჯალივით მოგვხვდა ყველას.

მაგრამ დიდხანს არც ამაზე შეჩერებულა ჩვენი ფიქრი. „ერმაკი“ გერ ჩვენი თავლის მახლობელ არეში მიაჩქარებდა ცხენს, რომ ჩვენმა ხარხარმა იკაჟურობა გააყრუა. არჩილი ფრთამოტეხილი ბატვიით იდგა, ვანო გაოცებული ათვალეირებდა ქუდს, ჩვენ სიტყვით ვიგუდებოდით. მარტო ჩემი სენია გამდგარიყო განზე, არავითარ მონანილეობას არ იღებდა ჩვენს უწყსრიგორეაქციებში და ისე გვიცქეროდა, თითქოს გადაჩრულები ვყოფილიყავით.

— რა გაცინებთ, თქვე უტყინებო! უსინდისოებო! იღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა სენიამ.

— რა დაგემართა, ბიჭო!

— ასე დავეცი? არა გრცხვენიათ?

— მოითმინე, ახალგაზრდა! სერიოზულ ტონზე გადავედი მეც. რა მიგაჩნია ჩვენ საქციელში უგუნურებად, სინდისის დაკარგვად, დაცემად, სორცხვილად? იქნებ, კეთილ ინებთ და გავემარტოთ.

— ეს ლაჩრობაა, სიმხდალეა! განაგრძობდა პათეტკური სიტყვების კანონადას აღუღებულ სენიამ.

— უკან დახევა ძალის წინაშე მე არ მიმანია ლაჩრობად. თუ გნებავთ, ეს არის სტრატეგიული მანევრი.

ჩემს მოსაზრებას გაცხარებულმა ახალგაზრდამ ვერაფერი ვერ დაუპირისპირა. მან დააპირა უძლურთა არგუმენტაციაზე გადასვლა, მაგრამ ჩვენმა მკაცრმა გამომეტყველებამ და ვანოს ბრვე გარეგნობამ დაქარგული გონიერება დაუბრუნა.

სხვათა შორის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ დაინტერესდა მისი პიროვნებით და ბედით. აქა

— იქ მოვიკითხე. ყველამ, ვინც კარგად იცნობდა, დამარწმუნა, რომ ორი თვის შემდეგ კომუნისტურ პარტიამ შეეცალა. 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს.

მოკლე და ენერგიული დისკუსიის შემდეგ ჩვენ ისევ განავარაქმეთ გზა. თბილისამდე საკმაოდ დიდი მანძილი იყო ფეხოსნისათვის. თან ყველას გვეჩუარებოდა ოჯახში მისვლა. მე ძალიან ვნუხებ დედამეზმეზე. გადავიწყვიტეთ ნაკლები გველაპარაკა და სამხედრო მარშით გვევლო.

გვეცდით თუ არა ავჭალას, ჩვენსკენ მომავალი ნითელარმიელების ცხენოსანი რაზმი შევინძნეთ. შორიდან იგი შავი ღრუბელივით ჩანდა. ორიოდე წუთში რაზმი იმდენად დაგვიახლოვდა, რომ უკვე კარგად ვხედავდით დამძეულ ცხენების ჩაქინდულ თავებს და გაქუნილ ტანისაშოსში გამოწყობილ მხედრებს.

ყველანი შესახვედრად მოვემზადეთ. ცხენოსნებმა შეგაჩქარეს, ვინაობა გამოვგვითხეს, ტანისაშოსი შეგვიცვალეს, გზა მშვიდობისა გვისურვეს და დაგვემშვიდობნენ.

ეს მკორე სცენა ხარხარით დაგვირგვინდა. სენიას შევხედე... სახე სერიოზული ჰქონდა, მაგრამ ახალ ტანისაშოსში მეტად სასაცილოდ გამოიყურებოდა.

ფეხი ავუქარეთ.

რაც უფრო მივიწვევით წინ, მით უფრო გახშირდა არასასიამოვნო შეხვედრები. თბილისის მისადგომებთან საფრთხიბებებს დავემსგავსეთ.

თბილისში უკვე ბინდი ჩამოსვა, როცა მის ქვაფენილზე შევდგით ფეხი. ყველანი საშინელ დაღლილობას ვგრძნობდით. დაგვალეს განცდებმა, ფიქრმა საქართველოს მომავალზე, ერზე, საკუთარ ბედზე. მამის ჩვენ იმდენად ახალგაზრდები ვიყავით, რომ ყველაფერს გრძნობებით ვზომავდით. არაფერი არ ღლის ადამიანს ისე, როგორც გრძნობა. ცივი რეალისტური ინტელექტის ადამიანები ყველაზე ბედნიერები არიან ადამიანთა შორის. მაგრამ რეალიზმი მოდის გვიან, მამის, როცა ადამიანს ასე ადვილად აღარ შეუძლია იტანოს გრძნობების მღელვარე ზღვაში ცურვა.

მე ფრთხილად დაეკაკუნე სახლის კარზე. დიდხანს ხმა არავინ არ გამცა. მივხვდი, რომ საჭირო იყო ხმაც.

— დედი!.. კარი გაიღო და შეშინებულ ჩემიანებს გადავეხვიე.

II თავი

გადანყდა სოფელში ნავსულიყავით. სიხარულითა და მღელვარებით მოველოდი გათენებას, როცა კახეთის ზონინმა მატარებულს უნდა წავეყვანე ჩემს სააკვნში. რამდენიმე დღით ადრე უნივერსიტეტიდან წიგნების დიდი

შეკერა მოვითრებ. ეს იყო ლოგიკის, ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის ისტორიის ცნობილი კურსები. ვინდებლანდი, ცელერი, ლიპსი, ლოსსკი მაშინ ჩემი კერები იყვნენ და ყველაფერი, რასაც ისინი შეუბნებოდნენ, აბსოლუტურად შეუმცდარი მგონა. უნივერსიტეტიდან მოტანილ ტვირთს საკუთარი წინგნისადაცვიდან ამოკრეფილი ავტორები მივუმატე. აბსტრაქტული ტრაქტატების გვერდით ამ რამდენიმე საყვარელი ხელოვანის მივარჩიე, რა ნაიღად მქონდა-ბარბანას. მე კი ერთადერთი მიზანი შექნა: მესწავლა და ცოდნის საშუალებით მომეპოვებინა სულიერი სიმშვიდეც და საცხოვრებელი ადგილიც ცის-ქვეყანაში. საოცარია, რა ნაიღად მქონდა წარმოდგენილი ეს ამოცანა უკვე მაშინ, ჭაბუკობის წლებში.

გამგზავრების დილაც გათენდა. იმ საღამოს ყველას მოუსვენრად გვეძინა. როგორ მიგვიღებს სოფელი, რას გვეტყვის და რა უნდა ვუპასუხოთ. ეს კითხვა მგონი არავის არ გადალევდა მოსვენებას.

მე ყველაფერი მოვიფიქრე იმ მშფოთვარე დამეს. არავის არ გავუკარებდი, არავის არ გავუპასუხებდი, ჩემი ერთადერთი შეგობრები იქნებოდა მტყუნი; მე უნდა ვისწავლო, — ასეთი იყო ჩემი მტკიცე გადანიწყვეტილება. მე მაშინ არ მესმოდა ერთი რამ: ცხოვრება ისეა თავსებადი მსოფობილი, რომ იგი ვერ ითმენს ნეიტრალურ პოზიციას. თუ შენ არავის ცხოვრებაში არ შეიჭრები, ეს როდეს ნიშნავს იმას, რომ მშვიდობიანად შეგიძლია იარსებო. ცხოვრება იყენებს ყველას, ხეიბობისადაც. მისი ბუნება დინამიურია და აგრესიული. როგორც უნდა გადარაზო კარი, ისაუცილებლად იბოვებს ნაბრალს, რომ შემოიჭრას შენს სულში. გინდა თუ არა, იძულებული გახდები რაღაც ურთიერთობა დაამყარო მასთან.

მეორე დილას მე უკვე აივანზე ვიჯექი ფილოსოფიურ მტულებში ჩაძირილი. დღის განმავლობაში რამდენიმე საგანზე ვფიქრობდი. მათ შორის პირველი ადგილი ეკავა ლოგიკას. მაშინ იმ აზრისა ვიყავი, რომ ამ საგანში ვერაფერი დანამარტებდა. ლოგიკას მოსდევდა ფსიქოლოგია და მერე ფილოსოფიის ისტორია. საღამო განკუთვნილი იყო მოუზისათვის. მაგრამ ხანდახან პოეზია სრულიად სდევნიდა აბსტრაქტულ დისკიპლინებს. საერთოდ კი იმ ხანად მე საკმაოდ მარჯვედ ვთავსებდი ფილოსოფიურ ცნებებს პოეტურ სახეებთან. არ ვიცო, რით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ მომდევნო წლებში პოეტური შემოქმედების სიყვარულმა თანდათან დაუთმო თავისი პოზიციები ფილო-

სოფიურ ინტერესს. მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს გარემოება აუცილებლად უნდა მასწავლებდა, რომელიც მოკლებულია ფილოსოფიურ საფუძვლებს, არ მშანს ისეთი მხატვრობები, რომელსაც არ გააჩნია რაიმე საშობლერებო აზრი. შინაგანი სიცარიელე არ ახასიათებს ბუნების არც ერთ მშვენიერებას. ადამიანის ესთეტიკური გემოვნება ინერტება ბუნების მშვენიერებათა მასალაზე. რატომ უნდა ახასიათებდეს ასეთი რამ იმას, რაც გამოდის ადამიანის ხელიდან?

ჩვენს სახლს მშვენიერი ეზო ეკრა. ბავშვობიდანვე ჩვენს უდიდეს სიხარულს შეადგენდა ამ ევებურ ბუნებაში სიზინის სახადირო მალღებების კომპანიაში. ეზოს მრავალი ბურჯი ჰყავდა — გვიანტური კაკლის ხეები, ორი მსხმოიარე ბალი, ქლიავის, ვაშლისა და მხხლის ხეივანი. ეზოს მუშავედ მოუწარავი დედაჩემი იყო. დაუფიქრებია ამ მუდამ მოუსვენარი მშრომელი დედაკაცის ფუსფუსი ბოსტნეულის კვლებში. ახლაც მახსოვს, როგორ ამენებდა აფინის წინ უმშვენიერეს საეარდეს, როგორ რგავდა ალღებს სახლის ირგველს.

დღე-ღამე ჩვენს ეზოში ვარდის სურნელება იყო დაფრტვეული.

ჩვენი სახლის ერთი ნაკლი ის იყო, რომ მისი ფართო აფინის პირდაპირ დიდებულის მითის კალთაზე სოფლის სასაფლაო მოჩანდა. საკვირველია, რატომ არ ვგრძობდით მაშინ მიცვალებულთა საფინის სიბალოებს? არც ჩემი და-ძმებისგან ვამჩნავ ასეთი რამ, არც მშობლებისაგან. ახე მგონია, არავინ არ ფიქრობდა მაშინ სიკვდილზე. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო ისეთი შორეული ამბავი, რომელსაც მაშინდელი ადამიანი არასოდეს არ თვლიდა უბედურებად. სამწუხაროდ, სიცოცხლისა და სიკვდილის ასეთი შეპირისპირება სიმბოლური აღმოჩნდა მთელი ოჯახისათვის. საგადალო ისაა, რომ უდინამაშულოდ და უგუნურად.

იმ ხანად მამაჩემის ნივთიერი მდგომარეობა ძალიან შერყეული იყო. საერთოდ ჩვენ არასოდეს არ გვიცხოვრია დოვლათიანად და, მით უმეტეს, ხელგაშლილად. ყველაფერი გვაკლდა პურისა და ღვინის მეტი. დედაჩემის მარჯვენის მადლით სოფელში მწვანელიც ბევრი გვექნდა. მამაჩემის პალატუსსა და შლაპას, მისი შვილები ვიმანაზორ ფორმას ყველანი შეცდომამი შეჰყავდა. მახლობლებიც და გარეშეებიც იმ აზრისა იყვნენ, რომ მამაჩემი დიდი ქონება ჰქონდა. ნამდვილად, ის სახლიც კი, რომელსაც მე ჩვენს სახლს ვუნდებ, ნახევარზე მეტად ვალით იყო ამენებული. საწყალი მამაჩემი თუთრად ათენებდა ღამეებს იმაზე ფიქრით, თუ საიდან უნდა გადაეხადა ეს ვალები. ჩვენი სოფელი მდიდარი იყო, ვაჭრებისა და ბოზოლა გლეხების ბუდე. თვითუფლ მათგანს იმდენი შემოსავალი ჰქონდა



თვეში, რომ მასთან მამაჩემის წლიური შემოსავალიც ვერ მოვიდოდა. მაგრამ იცით, რა იყო მაშინ ქიზიყელი გლეხი?.. თუმცა უმჯობესია ამხუ მეორე ვილაპარაკოთ.

ჩამოსვლის დღიდან ახალი საფიქრებელი გავეჩინდა. რანაირად უნდა დაგვრუნებულყავით შემოდგომასზე თბილისში?

გადაწყდა გაგვეყოფა ავეჯი და პატარა ბინაში გადავსულიყავით.

მამაჩემი რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში დაბრუნდა ჩვენი უკანასკნელი "კაპიტალის" სალიკვიდაციოდ.

რამდენიმე დღემ მშვიდობიანად გაიარა.

ფილოსოფიური შტუდიები შესანიშნავად დაენყო. ლოგიაკა დამარცხებული იყო, გვეჭიდებოდი კანტს.

მაგრამ ამის შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ეს ბედს სურდა და არა მე.

ერთ მშვენიერ დღიას ეზოში ძილულების ყვება ატყდა. მე სასწრაფოდ დავეშვი კობეჯე და ქიშკარი შემოსულ სტუმარს შევეკებე. სტუმარმა გამარჯვება მისურვა და მერე თავისი მოხელის მიხანი განმიმარტა.

— საბჭოს თავმჯდომარე ალექსი ბაიდოშვილი გთხოვს სახალხო თეატრის მშენებლობაზე მოხვიდეთ.

მე გამიკვირდა ასეთი თავაზიანობა.

— საიდან იცის საბჭოს თავმჯდომარემ ჩემი ვინაობა?

— მამ რას ეაკეთებთ, თუ გვეც არ გვეცოდინება, ღიმილით მომანონა თავი ქიზიყელმა.

— კეთილი, რაკი ასეა, გეხალხებით.

სტუმარი ქიშკართან მივაცილე და საჩქაროდ უკან შემოვბრუნდი.

დღეაჩემს არ ესიამოვნა ეს დაბატყება, თუმცა ის ზრდილობიანად იყო შემოთავაზებული. მე სუფთად გამოვეწყე და დანიშნული დროისთვის სახალხო თეატრის პოლიგონისკენ გავენი.

სახალხო თეატრი შენდებოდა ჩვენი სახლის გვერდით. ის უკვე დანყებული იყო. საძირკველი ჩაყარეს და ძველი "ხაზინების" ნასვლის შემდეგ მშენებლობა თავისთავად შეწყდა. თეატრს ამენება სოფელი, ამენება თავისი სახსრებით და თაოსნობით. მისი ერთ-ერთი პირველი მოთავე მამაჩემი იყო. როგორც ჩანს, სოფლის ახალ ხელმძღვანელობა განზრახული ჰქონდა მშენებლობის განახლება.

სულ რამდენიმე წუთში თეატრის მოედანზე თავი მოიყარა სოფლის ინტელიგენციამ.

ალექსი ბაიდოშვილი გაისმა ხმა და გზაზე გამოწნდა სოფლის თავმჯდომარის ფიგურა. ეს იყო შუა ტანის ახალგაზრდა. ხელში მათრახი ეჭირა და ტარს პარყვენა ჩექმაზე ირტყამდა. მოგვიანლოვდა თუ არა, გაუტყინარი სალაში მოგვცა და გარდი-გარდმო აგებედ-დაგებედა. სახის გამოტყვევლება მეტად არასასიამოვნო უქონდა. რა-

ტომდაც წარბშეკრული გველაპარაკებოდა და ჩვენი თვალის ისრებს ისე გაურბოდა, როგორც მხეცი მონადირე.

— სადაურია? შევეკითხე ჩემს გვერდით მდგომ ახალგაზრდას. მან მეზობელს შეხება და ჩემი კითხვა გადასცა უსიტყვოდ. მაგრამ, როგორც ჩანს, არც მან იცოდა არაფერი. შეოთხემ ჩუმად ჩაველაპარაკა:

— არავინ არ იცის, მაგრამ ნამდვილად აქაური არ არის.

— საერთოდ სოფლის არც ერთი ხელმძღვანელი ჩვენებური არაა. არც იასონ ფხვიძე, არც ჩხვიძე.

— ესენი ვილა არიან?

ღმერთმა უწყის, ვინ არიან. არც ის ვიცით, რას აკეთებს თეთუფლი მთავანი. ხელისუფალნი არიან, მორჩა და გათავდა. განა ეს ყველაფერი არაა?

— აი რისთვის მოგინვიეთ, ამხანაგებო, დაინყო საბჭოს თავმჯდომარემ. თეატრის ამენება უნდა განგვარძოთ. თქვენ ალბათ ბევრი თეატრი გინახავთ. კარგი იქნება, შევამოწმოთ ჩვენი შენობის გეგმა აი ამ საძირკველის მიხედვით და, თუ რაზე შესასწორებელია, ახლავი მივიღოთ ზომები. მეორე საკითხია სახსრების შეკრების ორგანიზაცია. მაგრამ ამხუ მერე მოველაპარაკოთ.

იქ თავმოყრილ ახალგაზრდობაზე ამ სიტყვებმა დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. ჯერ ერთი, გვეკითხებოდნენ, ე. ი. ჩვენს აზრს ანგარიშს უნუქვენენ. მეორეც, მართალია ფრანგები წარმოითქმული იყო ემოციური ობერტონების გარეშე, რაღაც ციციად და მშრალად, მაგრამ ადამიანის პირველი შთაბეჭდილება ჩვეულებრივ აფასებს აზრს და თავაზიანობის ფორმას. ეს უკანასკნელი ყველამ კმაყოფილებით მიიღო.

ჩამოწვა დუმილი.

— აი დააკვირდით ამ საძირკველს, განავრძოთ ისე საბჭოს თავმჯდომარემ. ეს არის პარტერი, ეს ფოიეები, ეს შესავალი, ეს სცენა, რომელიც შეგამცირე პარტერის გასადიდებლად.

ჩვენ დაეინწყეთ მომავალი შენობის დათვალიერება.

ყველაფერი თითქოს რიგზე იყო. არავის არ მოგვეწონა მხოლოდ სცენა. ის მეტისმეტად ვიწრო სწანდა. გადავზომეთ კულისები და პროსკენიუმის ადგილი დავმსგავსა სივანზე გაქიმულ ლენტს. სცენა მოკლებული იყო სიღრმეს. აქ არაფრის დადება არ შეიძლებოდა. ის არ ივარგებდა არც ბიუსისათვის, არც საესტრადოდ.

მდგომარეობა საცხებოთ ნათელი იყო, მაგრამ ხმის ამოღება ვერავინ შეუძლებდა.

— რაკი არაფერს ამბობთ, ჩანს კარგად შეგვისწორება ძველი გეგმა, წარმოსთქვა საბჭოს თავმჯდომარემ.

— მე და, ალბათ, სხვებსაც — დაეინწყე მე, ერთობ შევიწროვებულად გვეჩვენება სცენა. შეიძ-

ლება ვცდებით, მაგრამ მგონი კარგი იქნებოდა სიღრმე გაგვეფართოვებინა. ამ ეიწრო მოედანზე პიესა არ დაიდგება. აქტიორები...

— ჩვენი მთავარი ამოცანაა ხალხი და არა აქტიორები, შემანყვეტიჩა სიტყვა თავმჯდომარემ.

— აქტიორებმა პიესა უნდა დადგან ხალხისათვის. მე არ მიიფიქრია რომ ისინი ცარიელ დარბაზში ითამაშებდნენ.

ახალგაზრდებმა, რომელთაც კვერი დაუქრეს ჩემს პირველ ფრაზას, ხმა ჩაიკმინდეს ჩემი გამოპასუხების შემდეგ.

— ნუ ეკამათები, ნამწურჩულა მეზობელმა.

— ეს არის რჩევა და არა კამათი, თუ გნებავთ, კამათი იმის გამო, რომ შევამონმო ჩემი საკუთარი აზრი.

მე მოველოდი მოწონებას, მაგრამ თავმჯდომარის მოღუშულმა სახემ მაგრძნობინა, რომ ვცდებოდი.

— კეთილი, ამის შესახებ მე დათქვენ მოვილაპარაკით ცალკე, წარმოსთქვა თავმჯდომარემ.

— რატომ ცალკე? უმჯობესია აი ამ ამხანაგების წრეში. იქნებ სხვასაც სურს თავისი აზრი გამოთქვას.

ბაიდოშვილი უცნაურად შეწრიალდა. მათრახი აათამაშა მარჯვენა ფეხზე და მკეახედ ბრძანა.

— დავიშალით, ამხანაგებო! სახლებსაკენ!

მე შევამჩნიე, რომ ჩემს გვერდით მდგომი ახალგაზრდა, თუ არ ვცდები, ფედერალისტების პარტიის ყოფილი წევრი, საქაჩაროდ გამშორდა. ზოგიერთმა თვალი ამარიდა. ზოგი თავის ალაგას დარჩა. როგორც სჩანდა, უმეტესობის თვალში მე მოკვეთილი ვიყავი.

— რა გააკეთე, ბიჭო? მოიჭრა ჩემთან ფედერალისტი, როცა ბაიდოშვილის ფიგურა თვალს მოეფარა.

— არ მესმის, რა გააკეთე ისეთი, რომ ასე გადმომაჭყიტე თვალები.

— შენ შენი თავი დამფუძნებელ კრებაზე ხომ არ გგონია. მან მარჯვენა თითი ასწია ზევით და შთამაგონებლად წარმოსთქვა — დიქტატურა!

— დიქტატურა და სოფლის თეატრი! რანაირად ეწინააღმდეგება ერთიმეორეს ეს ორი ცნება?

მე უკვე მოვემზადე, რათა ფორმალური ლოგიკის მოედანზე დამემარცხებინა ჩემი მოკამათი, მაგრამ ფედერალისტი ხიხინით გაშეცალდა და მთელი "სათათბირო" აქეთ-იქით გაიფანტა.

მე წელი ნახვიით სახლისაკენ შევეზვიე. შინ არაფერს არ ვიპოვე — ეს იყო პირველი დასკვნა, რომელიც ამ უცნაური დისკუსიიდან გამოვიტანე და რამდენჯერმე გავიმეორე ეს ფრაზა, რომ მესხიერებაში მტკიცედ ჩამჯდარიყო.

ნახევარი საათის შემდეგ მე ისევ კანტს ვეჭიდებოდი.

მთელი ღამე მოუსვენარ ფიქრში გავათენე. მაინც რა უცნაური ამბავი მოხდა. საკვირველია, კაცმა დაგვიბარა თვითონ და გვთხოვა ჩვენი აზრი გამოგვეთქვა. ისე, არც მას ვიცნობდი, არც თეატრის საქმე მეკითხებოდა. გამოცხადდი და გამოთქედი ჩემი აზრი. თითქოს მაღლობა უნდა ეთქვათ...

მე მაშინ ვიცოდი პლატონიც, არისტოტელეც, კანტიც, მაგრამ არ ვიცოდი ერთი უმნიშვნელოვანესი ტემმარიტება, რომელსაც ჩვეულებრივ ცხოვრების გამოცდილება გვანიჭებს. არ ვიცოდი, რომ არსებობენ ადამიანთა რთული და მრავალფეროვანი ხასიათები. სცდებიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ყოველ საქმეს წარმართავს და აგვარებს მხოლოდ გონება. როგორ შეიძლება დაგეთანხმოთ ასეთ აზრს თუნდაც იმიტომ, რომ უმეტესობა მოკლებულია გონიერებას და ცხოვრება კი გამუდმებულ დუღილშია. ეს აზრი სწორია იდეალში, მაგრამ აბსურდია სინამდვილეში. იგი სასურველია, მაგრამ ძალიან იშვიათად წარმოადგენს რეალურ ძალას. ლოგიკა ძლიერია მეცნიერისა თუ მწერლის კაბინეტში და სრულიად უძლური იქ, სადაც ერთიმეორეს ეუჯახებიან ნივთიერი თუ სექსობრივი ინტერესები. ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ გონების ლაგამი ამოსდონ თავის ინსტიქტებს, ერთულებს შეადგენენ. ჩვეულებრივ ისინი არც მონანილეობენ ცხოვრების მოედანზე გაშლილ შეჯიბრებაში, გამოკვეთილ ოთახებში სხედან და თავისი გონებრივი ძალ-ღონის მოაზროვნებას ეჭიდებებიან. ცხოვრებაში ადამიანი არის არა გონება, არამედ ხასიათი.

24.II. — 26.III. 1960.



თამარ

ბოგუჯაძე

შვილის ოთახი

ოთახი კედელზე პლაკატებით და უცნაური ფოტოებით.
 ოთახი სულ ითხოვს დამატებას ხან ბიჭების, ხან გოგონების.
 ოთახი სავსე ინგლისური ნივთებითა და კასეტებით.
 ინტერიერი — თბილისური, განწყობა — ისეთი, ასეთებიც...
 მუსიკა — განწყობის შესაფერი, მაგიდა — ლუდით დალაქული.
 ოთახში საუბარი ყველაფერზე. გაშლილი დღიური სანათურთან...
 სანერ მაგიდაზე — კისინჯერი, კარადის უკან — პაპის თოფი.
 სახლიდან გავარდნა კისრისტეხით, — მეგონა, ცოტა ხნით გავიდოდი...
 ოთახის პატრონი ფორიაქა, თავგადასავლების მძებარი.

დედის ფიქრები შორიასლო:
 — დღეს, ალბათ, დარეკვა დავზარა...
 „თუ ფაქი“ და პამლეტ გონაშვილი, ოთახში სამყაროთა გადარბენა.
 ახლა ასეთია ჩემი შვილი და ზედმეტ ფიქრებს თავს ვანებებ.
 სანოლი, ცოტა ფეხმონჯლრეული, კედელზე ბავშვობის ნახატები.
 ცხოვრობს აქ ჩემი ორეული და ყოველ შეხვედრაზე სახტად ვრჩები...

უკანასკნელი ტანგო

უსურველობამდე არც ისე შორია, მადგას გულგრილობა თავზე მესხამრიდად. ჩემი გაცივება ჯერ კიდევ ძორია, თუმც, ენების გრიმასაც უკვე აღარ მინდა. ყოფას სუნი უდის ჩამქრალი ნამწვავის. ჰო, რადგან ვიცხოვრებ ბოლო ნაფაზივით. სიბერის კოცონზე სურვილთა დანვამდე ერთ ტანგოს ვიცეკვებ ხსოვნის დარბაზებში...

ტარიღის ეტიმოლოგია

ქაბულის ცაზე დანაწეხი მოჩანს ხედები, მზე შუბისტარზე
 შურისგების გამო ააცვეს. ნაპაშიშარზე შარუშიმი მოჯაპედები ომს დარაჯობენ
 მშვიდობისგან უკვე გაძარცულს... შურის ტყვიებმა დაუცხრილეს გული შარიათს, ქროლა თვალები მოენკურა ბებერ ეფენდის.
 გადაერიათ იარაღი კაცებს შარიანს სისხლის დანახვით, სისხლის ყვილით, სისხლთან შეხებით.
 ქვიშის საათი უნდო ნუთებს ყრის ჩამომარცვლით, უდაბნოს თვალში შეაყარეს მიზნად მირაფი.
 ქაბულის ზეცას ინისფერი ჩადრი მოაცვეს და აზიური მაჯისცემა დგება ყირაზე... ომს დარაჯობენ უშიშარი მოჯაპედები, ცა ისევე სდუმს, როგორც ადრე, ანდა არასდროს.
 მოდის მშვიდობა იდაყვამდე მოჭრილ ხელებით და ომის ღმერთებს უკანასკნელ ტყვიას სთავაზობს...

ოქტომბერი...

ოქტომბერია, განელთობილდა ფერთა გამები,
ოქტომბერია, დამიძიმდა რაღაც ცა უფრო.
ოქტომბერია, შემოდგომის მონოგრამებით
ქარს მოუფანტავს სასაფლაო,
სეფდის საუფლო.

ოქტომბერია,
მე ოდესღაც მიყვარდა ეს დრო.
ჩემსავით ახლა
მზის თვალეზმაც სითბო მოიკლებს.
ოქტომბერია და მეექვსეა
მზემაც რომ შეძლოს
გამონათება იმ დღეს,

როცა მე ძმა მომიკლეს.
ოქტომბერია, დაეკიდება დარდი ყულფებდა,
ყურში ჩამესმის სიკვდილის წინ

უღვთო ძახილი:
— ურნალისტი ვარ! არ მესროლოთ!
არ გაქვთ უფლება! —
დგას ოქტომბერი
მის საფლავთან ფოთლებდახრილი...

არსად გაგზავნილი წერილი

გადიან დღეები უგემურად,
თავს ვგრძნობ თითქოს ვეგდო საბარგულში.
და ერთი წამით უკეთ თუ ვარ,
ისიც ცოტათი გადაკრულში.
ოჯახს მივანწივარ უგერგოლო,
მე კი ვერ მოვერგე დროის ხუმტურს.
გაფტეცენილ აზრებში უკეთ გრილა,
ისევე მთვრალი ვარ და გიკვირთ? ნუთუ...
ყველაფრის მკადრებელს მე არ ვგავარ,
ისე, უკადრისიც არ ვარ თითქოს.
ჰო, რომ არ დაველიო დღე არ გავა,
მერე შეილს ვუყეფებ

სახსოვრად ხის თოფს...
იმას კი არავინ არ კითხულობს,
რატომ ვსვამ ასე გატაცებით.
სოხუმში ცხვირწინ დაიხვირტეს
ჩემი ბავშვობის ძმაკაცები.
ზოგს ომმა კარგად ვერ დაუძახა!...
მე კი ამომავდო საცობივით.
ბიჭები შევიკრიბეთ საულისთან
ბევრჯერ ომნანახი კაცებივით.
მერე გადამყლაპა სიზმარეთმა,
მერე დავიკიდე ყველაფერი.
და ზოგჯერ სუნთქვაც მეზარება,
ზოგი რომ სუნთქავს იმ ჰაერის...
დამალა სიზმრებში შერკინებამ,
ტვინს მიღრღნის ომის მარწუხები.
სამშობლოც? შენ თუ არ გეტკინება,
მეც ანი შენთვის არ შევწუხდები...

გადიან დღეები უგემურად,
თავს ვგრძნობ, თითქოს ვეგდო საბარგულში.
და ერთი წამით უკეთ თუ ვარ,
ისიც ცოტათი გადაკრულში...
27.09.07 სოხუმის დაცემის დღე

ხსოვნის სარდაფში

მინაზე ყრია ფოთლის სადაფი,
ქარი დროდადრო სუნთქვას ანულებს.
ჩავეყარ ფიქრებს ხსოვნის სარდაფში,
ჯერ არ გამშრალა წლების სამელნე.
მინდა ვიპოვო დღე დღეთა შორის
უდარდულობის ფერით მოსილი.
და დრო ასეთი ახლო და შორი
გამოვიცვალო ძველ სამოსივით.
მიმოვანტულა ფოთლის სადაფი,
ქარი კი ხეებს ახევეს ვუალებს.
ფიქრებს ჩავეყვი ხსოვნის სარდაფში,
უბრალოდ, წარსულს გამოვუარე...

სევდის გაცილება

გარეთ ქარი სხვათა შორის ქროდა,
მეზობელთან ჭიპს იჭირდა როკი.
მე მოწყენის სენასები მქონდა,
არაყს ვსვამდი თ მე, სევედა და ბლოკი.

ლამე გარეთ მარტოდმარტო იდგა,
როგორც კარებიმიხურული კაცი...
და სირუმე დაარღვია მინამ,
შინაგანი პროტესტების განცდით.

არაფერი არ მომხდარა თითქოს,
მე და ბლოკი ვაცილებდით ნალველს.
მაგიდაზე ლაქად მთვარე იდო
და ნახევრად მიჩვენებდა სახეს...

„ლოსტი“, ანუ...

ვენევი „ქემელს“, ორკუზიანს,
ეს ვადაგასული
„ხრუმწოვკა“ ჩემი კორპუსია.
დავდივარ „შესტით“, დანჯღრეულით,
კარტოფილს იაფად ვყიდულობ
მხოლოდ მარნეულში.
ვარ ორმოცის და უკვე დინოზავრი,
ვაკანტურ ადგილებზე
„სივებს“ მაინც ვგზავნი.
ვერაფრით შევეგუე „გომი-ფართებს“,
სსრკ-ში დაბადების გამო
სულ თავს ვიმართლებ.

თურმე, საჭირო დროს ვერ ჩავსახულვარ,
დაბადების თარიღთან ტირე —
ვითვლები დამარხულად...

არაფერიც...

აქ ყველაფერი მოჩანს არაფრად,
ვფურცლავ გაცრეცილ დღეთა სარჩევებს.
შემომხვდა ფიქრი სულის სარდაფთან,
ჩემში ხეტიალს ასე ნაჩვევი.
სასონარკვეთის კარი დავგმანე,
ვაჩვენე დარი დარდის დარაბებს.
ნება, თუ რაღაც ამისდაგვარი
ცხოვრებისათვის აზრს იმარაგებს.
შემოდგომის ფერს ნამლად ვინურავ,
ზამთარში თვალებს რომ ეუსაღბუნო.
დღეთა სარჩევში ვეძებ იმ სურათს,
ბედის კალთის ქვეშ რომ შემაბრუნებს.
არაფრისაგან ვაგებ ხუხულას,
სარკმლებად ვაბამ იმედს დანაზოგს
და ფიქრის სახლში გადაუხურავ
სხვენს დედაბოძად ჩემს თავს ვთავაზობ!..

ცა იწვა ნუხელ ჩემს ვერანდას...

დღეებს პრაგმატული პროფილით
ვიხსენებ, როგორც ქმარყოფილებს.
ჩემს წლებს დაცალათ მჭიდვები,
მჭიდროა დროის ნაბიჯები.
ცვივა მოვონებებს ბათქაში,
დრომ ჩარგო თავი ჩემს კალთაში.
ფიქრი კი საღამურ პერანგით
ცის ნაცვლად მთავაზობს ვერანდას...
სიზმარში ვამელანებ დღის ფირებს,
რომ მერე ჩამოვფეჭა ნისქვილზე
ქატოდ გასაფანტი ნუთები,
განწყობა, მე რომ არ ვუხდები.
ჩემი გარანდული ნატვრის ხე
ნატრობს სურვილების გაცლილ ქერქს.
ჯერ ყოფის ნახნაგებს ვარბილებ
და ფიქრებს ვუმზადებ ნარვილეს.
ფიქრი სიზმარშიც კი ღელავდა,
ცა იწვა ნუხელ ჩემს ვერანდას...

ნაცხი თაჰისუფლავა

ვინ იცის ანი რა მოხდება, რით გავგაოცებს
დრო, აყოლილი ფეხის ნაბიჯს ხელისბიჭების.
დროც თუ გაოცდა და აუცი სიტყვა ნამოცდა,
დააბრალებენ სიტყვით სეტყვას —
დროს დავაჩქერენ!
გადაანყობენ საკუთარ დროზე
საათებს მოშლილს,

აზრის დახშობით
ფიქრში ფიქრსაც გაგვითიშავენ.
თავისუფლება
ხელკეტებზე ნამოცმულ დროშით
სახეს იფარავს,
რომ დამალოს თვალთან სიმავე...

ფანჯრებს შერჩენიათ ზამთრის ორნამენტი,
ყინვის სარკეებში ცა ისევ რუხია.
თვე — იანვარი, რიცხვი — ოცდაერთი,
განწყობამ კალენდარს დღე გადაუხია.

ატივტივდება წარსული სიზმრად,
ნაწყვეტ ფრაზების გრძელი წერილით.
მე ახლა მხოლოდ მსმენელი მინდა,
რომ ხსოვნამ თვითონ დასვა წერტილი.
ფიქრებში წარსულს ვფურცლავ თავებად,
თავდაკარგულ დროს ვზომავ ნუთებით.
ჩემი ცხოვრებაც იქ გათავდება,
წუთს რომ ნამოთაც არ მოვუნდები...

ასოტინციები სტინგის ველოდიაზა

მე და უძილობა არჩეულ სტილს ვიცავთ,
შეიღის ოთახიდან ჩამესმის სტინგის ხმა.
ღამე ბოქლომივით ჰკიდია ფალსეტს,
მე კი მივიწყებულ გრძნობათა ჯაზს ვუსმენ.
თითებზე ბეჭდვებში თითქოსდა დულს ქვები,
დედობის სათვალეს ახლა არ ვუხდები...
ცა ჩემს ვირტუალში
ნანვიმარ ღრუბელს შლის,
ბოლო დროს გამიხდა ხმა რაღაც უხეში.
პულსაუჩქარებლად ვუკეტავ კარს ვნებებს,
შვილების სიზმრებში
დაკარგულ გარსს ვეძებ.
მანძილებს ვუმოკლებ სურვილთა განედებს
და ყველა სურვილი თავს თვითონ მანებებს.
სარკე ალმაცერად მიყურებს ანფაშიში,
მე კი მარტოობის შემსწავლელ
ანბანს ვშლი...
დასრულდა ცხოვრების მტკნარი სიუჟეტი,
საშველად მოსულ ფიქრს კარი მივუქმებ.
წლების ქარ-წვიმები დედდება
თეთრ თმებად,
სარკიდან მიყურებს სხვა ქალი — ეს მე ვარ!
ბედის „რულეტაზე“ დამთავრდა თამაში!..
თანდათან ვეხვევი სიბერის საბანძო.
სასო კი სასიდან წარკვეთილ ხმას უშვებს,
დაუშვით დაგებრდი, დაგებრდი დაუშვით...
სისხლძარღვებს ნალველი
თრომბივით აეკრა,
თვლებდახუჭული შეეყურებ სხვა ეკრანს.

რა სწრაფად გარბიან წარსულის კადრები,
ჯერ ღამის ორია და მაინც, ადრეა...
მე და უძილობა არჩეულ სტილს ვიცავთ,
შვილის ოთახიდან
კვლავ ისმის სტინგის ხმა...

არა მიშავს რა...

— არა მიშავს რა —
ამ ფრაზაში გადის ცხოვრება,
კარგად ვარ-მეთქი,
ვეცრუები მზერას შვილების.
ფიქრის საკანში
ნუთების სვლა უფრო მდორეა,
უფრო მკვეთრია
გადავლილი წლების ჩრდილები.
„კარგად ყოფნიდან“ ღმერთმა უწყის
ვის რა დარჩება,
ამოიბას საამო აქვს მუდამ მირაჟი.
ერთ მშვენიერ დღეს,
დრო ჩახედავს ხსოვნის სარჩევებს
და ჩვენს ცხოვრებას გამოკიდებს
უფლის ნინაშე...

ოთახი სუნთქავს მძიმე ნაფიქრით,
სარკმელი ცდილობს თავი გაერთოს.
მე იმ ნახევარს, ჩემი კარს იქით
ჩემს ნახევართან ვეღარ ვერთობ...
წარსულს წრეს ვარტყამ
მსხვილი ფორმატით,
ნაბედნიერებ ნუთებს ვუღიმი.
ფიქრი კი მისხამა ერთში ორმაგი
დარდის კოქტილს — ნამლად ნუხილის.
ვანებებ ნამსხვრევს ხსოვნის ნებოთი,
ისხლიტავს სარკე სარკმლის სისველეს.
და ჩამსკრივებულ ფიქრის წეროებს
ცად ვატან გზავნილს — ღმერთო, მიშველე!...

ნაშვილწიგნობა

დაცხრილულია ცოდვებისგან
სულის სანგარი,
თვალის გუგებში სევდა შორს შედის.
მე რომ მეგონა, ვერ ვყოფილვარ ისე მაგარი,
თავს ვუზავდები დროგამოშვებით.
სულის გადაღმა ყოფას ყოფნა უფრო აეჭრა,
და მაინც პირზე მარგებს ალიკაბს.
დრო — დეტექტივი
თვალს მადევნებს რალაც საეჭვოდ,
მეტი ჭუჭყი რომ აღარ ავიკრა...

ანა-თითი, ბანა-თითი
(ანუ კაიფ-კაფია)


არათითს „არა“ ვასწავლე,
თავის შეშვერა ქარშია.
ცერამ შესძახა — სალოლო!
ქმარ რო გავავდე კარშია.
ნეკმა თქვა: — მაინც ვიპარავ,
შიმშილი დამდეგს კვალშია.
საჩვენებელმა მაჩვენა
რომელ ერთს ვენდო „სამშია“...
შუა თითმა თქვა: — დამცეცს,
ვინც ვერ ეტევა კანშია!..

ეპოს როლში

ჯერ ჩემი თავი გამომაქვს გარეთ
და ვერ მოვხადე ქაიფ ცდუნებებს.
გემოს ვუსინჯავ ჯერაც სიამეს
და მერე სულთან ზავებს ვუნდები.
უაზროდ დავდექ ძაღლის კუდივით
საკუთარ თავს და ვერ დავცნიე.
წრეში ტრიალი არის მუდმივი,
დიდი სიჩუმე სანამ მენწვევა.
დრო ცოდვის სამოსს ძაფებად დაშლის
და ერთ გორგალში ჩატეგს ცხოვრებას.
ხელში მიჭირავს სამოთხის ვაშლი,
ასე მგონია, ევას როლი მაქვს...
ჯერ ისევ თავი გამომაქვს გარეთ
და ტანზე მაყრის ყველა ნაფიქრი.
მოდო, სასჯელი მითხარი ბარემ,
დროვ, ატლუზულ ჩემი კარს იქით...

ორთა მარტოობა

თავზე ვითენებ ღამეს მერამდენს,
ვითომ მენერება დილამდე ლექსები.
ორთა მარტოობას ჩუმად თვალს ვადევნებ,
ფეხზე მდგარ სიჩუმეს დაანყდა მყესები...
ვიტყუებ თავს და ოთახსაც ვატყუებ,
ფიქრი შეჩენილი ფიქრშივე დავტუქსე.
სიჩუმის ვარდნა სულ უფრო მატულობს,
მე კი რა გულმშვიდად ვრწყავ
ბებერ კაქტუსებს.
ორთა მარტოობის არ ვქმნი ტრაგედიას,
დღეებში ვანყობ განწყობის სანიშნებს.
ოთახს კაქტუსის ფერი დასდებია
და ჭერის სიღაბლე თანდათან მაშინებს.



კოორტი ნაფეცვარიძე

ზაფხულის ოჩი ბიძელი ლაპ

ცხოვრების წიგნი მკითხობდი ჩემთვის ამ დღით, რომელიც ბრძენს უთქვამს თურმე გულის ნადილით, ნეტარ არს ფი, ვისაც სატრფო ეხვევა ღამით და როცა ღამე ვრძელია ნელუნადილით.

ომარ ხაიამი

ადამიანის ცხოვრებას შეგადარებდი ნელუნადის ოთხ დროს, და წლის ყოველ დროს სიყვარულს მიუღსადაგებდი.

გაზაფხული — სიყვარული, რომელიც ნუშის ყვავილივით იფურჩქნება ნორჩ, უმანკო გულში, სისხლს ააჩქოლებს და გრძობებს აგიფორიაქებს, ღამეებს გათენებინებს. მისი სურნელი დღისით და ღამით თან დაგზნავს.

ზაფხული — სიყვარული, რომელიც ზაფხულის მზესავით გზავს. მზის აბაზანებს დახამებული ადამიანივით, მის სხივებში რაც შეიძლება ძლიერად გარუჯვა გასურს. იცი, მწველმა მზემ შეიძლება დაგზავს, ღა-

მეები გათენებინოს და გაგანამოს, მაგრამ შემდეგ გარუჯული კანი გადაგძვრება და ჩვეულებრივი ფერის გაგზინდება.

შემოდგომა — სიყვარული, მშვიდი, დაღვინებული, რთველივით უხვი და ბარაქიანი. გული ზამთრის მოლოდინში მოსავლით აესხებული ბელელის მდგომარეობაში იმყოფება. ელოდება, როდის გააღებს გონება კარს და მასში დაგროვილ მთელი წლის სანოვაგეს ზამთრის ცივ, თოვლიან საღამოობით სარჩოდ გამოიყენებს.

ზამთარი — სიყვარული, რომელიც თოვლიანი, მშვიდი საღამოსავითაა. მიდინარ თოვლში, თოვლის საფარი მატულობს, დიდი ფანტელები თავს დაგფარფატებენ და დარბაისლურად თეთრ საფარზე ეშვებიან. ირგვლივ სინყნარება, მხოლოდ ყოველ შენს ნაბიჯზე თოვლი საოცრად ნაზად, ტკბილად ქრატუნობს. ეს ხმა შენს გულს და გონებას მშვიდი ფიქრისკენ უბიძგებს.

და ფიქრობ...

ფიქრობ და გელიმება, გელიმება და ფიქრობ მთელი წლის გამწვანელობაში განვლილ გზაზე, ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე.

მაგრამ არსებობს კიდევ ერთი შუალედური დრო, მას „შემოდგომის გაზაფხულს“ ვუწოდებდი და განხაკუთრებულ სიყვარულს მიეუსადაგებდი.

„შემოდგომის გაზაფხული“ — სიყვარული, რომელიც ერთდროულად ნუშის ყვავილსაც შვავს და სავსე, დამწიფებულ ყურძნის მტევანსაც.

სიყვარული, რომელიც აგამჩატებს და ამასთანავე სიღარბისლით აგავსებს, სიყვარული, რომელიც დაუფიქრებლად ათას საგმირო საქმისკენ გიბიძგებს, ამასთანავე დადინჯებულად განგაჭვრეტინებს ყოველ გადადგმულ ნაბიჯს.

სიყვარული, რომელიც გულსაც ეკუთვნის და გონებასაც. სიყვარული, როდესაც გინდა სატრფოსთან გატარებული ყოველი წუთი საათობით გაინელოს ანდა სულაც დრო გაჩერდეს. ამ დროს, გულისსწორთან გატარებული ღამე წელიწადივით ვრძელი გინდა გაბდეს.

სიყვარული, როდესაც არც სატრფოს, არც შენს ასაკს არა აქვს მნიშვნელობა. სიყვარული, როდესაც სხეულის ყოველი ნაწილი, ყოველი ნაოჭი გიყვარს, შენ მისი და მას კი შენი. სიყვარული, როდესაც სიღამაზეც აფხაბე არა გარგვულად, არამედ შინაგანი, სულიერი სამყაროს მიხედვით.

ასეთი სიყვარული ჩემი ცხოვრების შემოდგომის ჟამს მენეია, რისთვისაც ღმერთის და განგების დიდი მადლიერი ვარ.

ყოველივე ჩემდაუნებურად მოხდა. ცხოვრების უღმობელმა ტალღებმა ერთ ღამეზე ქალაქურ ოჯახში მომახვედრა. ვერც ვიფიქრებდი, რომ ჩემს გატყევილ გულს როდესმე ეს მშვენიერი გრძნობა კიდევ შეეყრებოდა. სიმართლე უნდა ითქვას, არც მინდოდა. და, უცებ შემოცქრილადა სიბთბო და სიცოცხლის ხალისი. დანახვისთანავე მივხვდი, ცხოვრებამ იმიტომ მატრიალა თავის მორევში, რომ მას შევხვედროდი. მაგრამ ამასთანავე ვიგრძენი შიშიც, ქვეცნობიერი, განვლილი ცხოვრების გამოცდილებიდან, გონებიდან გამომდინარე, შეუცნობადი შიში — შევძლებ კი, ამ დიდი გრძნობის ტარებას. ვეცადე თავი შემიკავებინა, უფრო სწორად შიში ცდილობდა დიდი სიხარულის შეგრძნების დახშობას, შიში ცდილობდა მომავლის განჭვრებას, შემდგომი ცხოვრების წესის გათვლას და გაანალიზებას. შიში ცდილობდა ჩაენერგა ორჭოფობა აფორიაქებულ გონებაში. ალბათ, მის გულში და გონებაშიც იგივე ხდებოდა.

და, მოხდა სასწაული. შემოდგომის მოღრუბლული ცა გაზაფხულის მზის კაშკაშა სხივმა გახლიჩა. ჯერ მორიდებულად გამოიანათა, შემდეგ იმძლავრა, გაიზარდა და საერთოდ გაფანტა ღრუბელი. ღრუბელთან ერთად შიშიც გაქრა. მისი ადგილი იმედმა, შეუპოვრობამ, დიდი და ღამაზი სისულელეების კეთების სურვილმა დაიკავა. სიყვარულის გაძლიერება უფალმა გამოცდის სახით მოგვივლინა.

შემატყობინა, რომ შეუძლოდ ვახდა და სხვა ქალაქში მოუწია დარჩენა. ვერ შევძლებდი იმ ქალაქში ჩასვლას, თუნდაც ამისი ძლიერი სურვილი მქონდა, რომ განვცა კიდევ ერთხელ არ ჩარეულიყო. ჩავედი და რამდენიმე დღე მასთან ერთად გავატარე. ჩემთვის ეს დღეები „შემოდგომის გაზაფხულის“ დასაწყისი ვახდა. ვიგრძენი, რომ მისი ტყი-

ვილი, ჩემს ტყვილად გადაქცეულიყო, დავინახე, რომ მას ჩემთან ყოფნა სიამოვნებდა და გარკვეულ იმედს უნერგავდა. მომზონდა მის გვერდით ყოფნა და მასზე ზრუნვა. მიუხედავად ავადმყოფობისა, ყოველ წუთს ვიყენებდით ერთმანეთის მოფერებისთვის. ვგრძობდი, ყოველი კოცნა მასზე დამამშვიდებელი აბივით მოქმედებდა.

შემდეგ, ქალაქში დაბრუნება. გზის შიში და ფორიაქი. და, კიდევ ერთი საოცარი დამთხვევა თუ ღმერთის ნება. ნახევრად ცარიელი საავადმყოფოს პალატა.

სიმშვიდე...

მის გვერდით გატარებული ყოველი წუთის მშვენიერება. განცდები მისი მდგომარეობის გამო, მკურნალობის პირველი დადებითი შედეგის სიხარული და მასთან ბოლო ორი ღამის მორიგეობა, რომელიც ჭეშმარიტი სიყვარულის დღესასწაულად და სიმფონიად იქცა.

სიყვარულის სიმფონიამ ჩვენი გრძნობების ამოფრქვევა და ახალგაზრდული სიმღევე გამოიწვია. ჩვენი მოფერება პირველად შეყვარებული წყვილის მოფერებასავით ვნებიანი, თავმუშუკავებელი, დაუზოგავი და თავდავიწყებული იყო. ამასთანავე მას თან ახლდა სიფრთხილის, ერთმანეთისადმი პატივისცემის, თავშეკავების, და სინაზის დიდი შეგრძნება. ჩვენ ვერ ვძლებოდით ერთმანეთის სურნელით, ერთმანეთისკენ ლტოლვით, ერთმანეთის ბაგეთა გემოთი, ორივენი ერთ სხეულად ვიქმნებოდით, სიყვარულის ცეცხლის ალში ერთად ვინვოდით და ერთი სურვილი გვექონდა — ის ღამე ნელინადივით გრძელი ყოფილიყო.


და იყო...

იყო ზაფხულის ნელინადივით ორი, გრძელი ტრფობის ღამე.

ღამე და ნეტარება, ნეტარება და ღამე.

ჩვენი „შემოდგომის გაზაფხულის“ დასაწყისი...





ვასტანგ
ვაჟაშვილი

ჩხუთის მბიძანებელი

(პიესა ორ მოქმედებად)

მოქმედნი პირნი:

- იოსებ ჯულაშვილი, სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;
- მამა იონა — მღვდელი, გორის სასულიერო სას-ყ ნაწილების შედგოვი;
- ილია ჭავჭავაძე;
- ასოთამწყობი — „ივერიის“ ასოთამწყობი; ♀
- მამა იონა — მღვდელი, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, ავტოკეფალისტი;
- ანასტასია — თავადის ქალი;
- სოფო — თავადის ქალი, ანასტასიას მეგობარი;
- ანა — თავადის ქალი, ანასტასიას მეგობარი;
- მაია — თავადის ქალი, ანასტასიას მეგობარი;
- ნუცა — თავადის ქალი, ანასტასიას მეგობარი;
- გარსევანი — თავადი, ანასტასიას მამა;
- სალომე — გარსევანის მუღლდე;
- ნოე ჟორდანიანი — სოციალ-დემოკრატი, ქართველ მენშევიკთა ლიდერი;

- ვლადიმერ ლენინი — სოციალ-დემოკრატი, რუს ბოლშევიკთა ლიდერი;
- გრიგორი ზინოვიევი — სოციალ-დემოკრატი, ♀ ბოლშევიკი;
- ფილიპე მახარაძე — სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;
- სერგო ორჯონიკიძე — სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;
- ბოგდან კუნინიცი — სომეხი სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;
- სიმონ ტურ-პეტროსიანიცი (კამო) — სომეხი სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;
- ვასილ ცაბაძე — სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი;
- პაპი — ეკატერინე გელაძე, იოსებ ჯულაშვილის დედა;
- მამა გიორგი — მღვდელი, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, ბაქოს რუსული ეკლესიის ლეთისმსახური;
- ლევ ტროცკი — სოციალ-დემოკრატი, გაზეთ „პრავედას“ რედაქტორი;
- ფელიქს ძერჟინსკი — სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი;
- კარლო ჩხეიძე — სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი, პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს პირველი თავმჯდომარე, სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე;
- ირაკლი წერეთელი — სოციალ-დემოკრატი, მენშევიკი, რუსეთის კოალიციური დროებითი მთავრობის მინისტრი.

პირველი მოქმედება პირველი სცენა

გორი. სასულიერო სასწავლებელი. სააღასო ითა-
ნი. მამიასკანა ზის საღასო საღასო მასწავლებელე,
დგანოზი მამა იონა. ნან, მარხთან ზის ითადა ჯულაშ-
თელი დანი. 1894 წელი.

(მამა იონას მაგიდაზე რეველების შეკვრა უღვეს. შეკვრიდან რეველს აიღებს, გადაშლის, ერთ ღურცელს ყურადღებით ჩაიკითხავს).

მამა იონა: შეილო იოსებ! მე ნვიკითებ შენი თხზულება, მომწონა, თუმცა ერთი ადგილის ნაკითხვისას გაოცებული დავრჩი.

იოსებ ჯულაშვილი: (თავაღწერილი): რომელი ადგილი არ მოგწონათ, მამა იონა!

მამა იონა: არ მომწონა-მეთქი, არ მითქვამს, გაოცებული დავრჩი-მეთქი! ვერ ხვდები, რას ვგულისხმობ?

იოსებ ჯულაშვილი: (თავს აიღებს): ვერა, ვერ ვხვდები!

მამა იონა: აბა, მისმინე! შენ სწერ, რომ იესო ქრისტეს ვაერცმა მდიდრებმა მოითხოვესო ხომ ასეა?

იოსებ ჯულაშვილი: ასეა!

მამა იონა: ახალი აღთქმა, წმიდა მოციქულე-ბი ადამიანებს მდიდრებდა და ღარიბებდა კი არ

ჰყოფენ, არამედ იესოს მიმდევრებად და მის მონივრულმდევრებად. იესოს მიმდევრები, ისევე, როგორც მონივრულმდევრები, ღარიბებშიაც ჰყავდა და მდიდრებშიაც.

იოსებ ჯულაშვილი: იესოს დეენიდან ფარი-სელები და მღვდელმთავრები. ისინი ხომ მდიდრები იყვნენ?

მამა იონა: კარგი! ზაქე, ასისტავი, იოსებ არი-მათიერა და პავლე მოციქული ღარიბები არ ყოფი-ლან. მათ ინამეს იესო ქრისტეს მოსვლა ამქვეყნად და მისი მკვდრეთით აღდგომა. მეერი სხვა შეძლე-ბული ადამიანიც იყო იესოს მიმდევრათა შორის. ისევე, როგორც მათ იესოს ვინც გაჰყვირდა: „ჯვარს აცე ეგე!“, ღარიბებიც იქნებოდნენ.

იოსებ ჯულაშვილი: იქნებოდნენ, მაგრამ ისინი მდიდრებმა აცთუნეს!

მამა იონა: მაგრამ გადაწყვეტილება მათ თვი-თონ მიიღეს, მიიღეს იმითომ, რომ არ სწამდათ ან მცირედ მორწმუნენი იყვნენ. ვერ აცთუნეს ის, ვინც რწმენაში მტკიცე და შეუვალი იყო. ასეთები კი ღარიბებიც იყვნენ და მდიდრებიც.

იოსებ ჯულაშვილი: მამა იონა! იესო ქრისტე ხომ უპოვართა და გლახა კთა გამოსახსნელად მო-ველინა ქვეყნიერებას. მდიდრებს მისი მოსვლა რა-ტომ უნდა ვაპაზრობოდათ?

მამა იონა: შეილო იოსებ! მაცხოვარი ადამიან-თა მოდგმის ცოდვების გამოსახსნელად მოველინა ქვეყნიერებას. მისთვის მდიდარი და ღარიბი ერთი იყო. ჩვენი ეკლესია ადამიანებს ჰყოფს მორწმუნე-ებად და ურწმუნოებად. ფულს შოვნა, გამდიდრება ღვთის გომბას არ ნიშნავს, თუ ეს ფული შრომით, პატროსანი ვზით არის მოპოვებული და იგი კეთილ საქმეს მოხმარდება. აბა, დაფიქრდი: ღვთისმგებო-ბელი ღარიბი არ შეგხვედრია? რამდენი მდიდარი ამქვეყნად, წყალობას რომ უხვად ვასცემს, ქერი-ობლებს ეხმარება, ეკლესიებს აშენებს, რწმენაშიც მტკიცეა.

იოსებ ჯულაშვილი: ეგეთი მდიდრები ძალზე ცოტანი არიან!

მამა იონა: ცოტანი რატომ? ჩვენი ეკლესიები და მონასტრები უმეტესად მეფეთა, დიდაზნაურ-თა და, საერთოდ, ამა სოფლის ძლიერთა მიერაა აგებული.

იოსებ ჯულაშვილი: ახლა სხვა დროა! ახლა ეგ-რე არ არის!

მამა იონა: შენ გუშინ ხელში გაზეთი „იერი“ გეჭირა. მოგწონს ეგ გაზეთი?

იოსებ ჯულაშვილი: ძალიან!

მამა იონა: ჰოდა, დამიხსოვრე: მაგ გაზე-თის გამოცემელი და რედაქტორი თავადი ილია ჭავჭავაძეა. ილია ქართველთა საქმისათვისაა გადაკებული. ილიას თაოსნობით დაარსდა ქარ-თველთა შორის წერა-თიხვის გამაყრცელებე-ლი საზოგადოება, აღსდგა ქართული თეატრი; ილიამ დააარსა ეგ შესანიშნავი გაზეთი, შენ რომ ასე მოგწონს. შენ ჭკვიანი და ბეჯითი ყმაწვილი ხარ, ალბათ, სასწავლებლად თბილისში წახვალ,

მოგეცემა საშუალება პირადად გაიცნო ილია ჭავჭავაძე. ილიას რომ ვაიციან, დარწმუნდები ჩემი სიტყვების სიმართლეთი. მანამდე კი შენ ილიას ლექსებსა და ნოთხრობებს კრებულს მოგიტან და თვითონ დარწმუნდები, რომ ღმერ-თისა და ქვეყნის სამსახური თავადსაც შეუძლია და გლეხსაც. ესეც დამიხსოვრე: სატანა ერთნა-ირად ემბრძვის მდიდარსაც და ღარიბსაც, სატანა ადამიანის ცოუნებას ესწრაფვის. დღეს სატანის მოციქულები ხალხს არწმუნებენ: ქვეყნის უზე-დურება მდიდრებად და ღარიბებად დაყოფაში-აო. სინამდვილეში ადამიანისა და ქვეყნის უზე-დურება ათი მცნების უარყოფით იწყება, იესოს სწავლების უარყოფით იწყება. გამიგე, შეილო იოსებ?

იოსებ ჯულაშვილი: (თავჩალუნული) გავიგე, მამაო!

მამა იონა: ახალი აღთქმა კარგად შეისწავლე! თუ რაიმე ვერ გაიგო, ჩემთან მოდი ან აქ, ან ეკლე-სიაში, ებრაელებში, წიგნებსაც მოგეცემა დომიხ-სოვრე: სატანას არ სძინავს, დღე და ღამე სულ იმის ცდაშია, თუ როგორ დაუნებლოს გონება ადამიანს, როგორ დაიმონოს. აბა, ვასწი, ისეც დიდხანს შევა-ყოფენ (იოსებ ჯულაშვილი ხელზე ემთხვევა მამა იონას და გადის).

მეორე სცენა

თბილისი. ბაზთი „ნიკიტის“ რედაქცია. დრო: 1895 წლის ივნისი

(რედაქტორის კაბინეტის წინ ხალხი ირე-ვა. კუთხეში, ფანჯარასთან, დგას 16-17 წლის ახალგაზრდა. ფანჯრის რაფიდან მალიძალ იღებს მონაფის რვეულს, გადაძლის და რალა-ცას ჩაიკითხავს, თან კარებსსაცენ იყურება. დღეაღეს. კარები იღება, შემოდის ილია ჭავჭავა-ძე, მიესალმება იქ მყოფს. თითხს თვალს მოაე-ლებს, არავისზე არ შეაჩერებს მზერას, მხოლოდ კუთხეში, ფანჯარასთან მდგარ ახალგაზრდას დააკვირდება).

ილია ჭავჭავაძე: (მდივანს) გაზეთის ანაბეჭ-დები არ მოუტანიათ?

მდივანი: ნახევარ საათში იქნება მზადო!

ილია ჭავჭავაძე: (მდივანს) როგორც კი ანა-ბეჭდებს მოიტანენ, მაშინვე შემომიტანეთ, ისეც გვიანდება ნომერი!

მდივანი: სამ საათზე ბანკში გელოდებიან, ბა-ტონო ილია!

ილია ჭავჭავაძე: (ყურადღებას არ მიაქცევს მდივანს სიტყვებს) ყმანვილო! ვის ელოდები?

ახალგაზრდა: თქვენ გელოდებით, ბატონო ილია!

ილია ჭავჭავაძე: აბა, შემოდი!

(ილია კაბინეტის კარებს შეაღებს, ახალგაზ-რდა უკან მიჰყვება. ილია სავარძელში ჩაეშვება, ახალგაზრდასაც ანიშნებს დაეჭიო).

ილია ჭავჭავაძე: სადაური ხარ, ყმანვილო, რა გეჭია?

ახალგაზრდა: გორიდანა ვარ, იოსებ ჯულაშვილი.

ილია ქაჭვაძე: სახელი ვინ დაგარქვა?
იოსებ ჯულაშვილი: გორის მიძინების ეკლესიის მღვდელმა, მამა სოლომონ ხახანაშვილმა.

ილია ქაჭვაძე: კარგი სახელი დაურქმევია! მეც მღვდელმა დამარქვა ილია, მშობლებს თურმე სხვა სახელის დარქმევა უნდოდათ! თბილისში რას საქმიანობ?

იოსებ ჯულაშვილი: სასულიერო სემინარიამი ესწავლობ, პირველი კლასი დაემათავრე.

ილია ქაჭვაძე: ოჰო! როგორ სწავლობ?

იოსებ ჯულაშვილი: (დაირცხვენის) გუშინ დავამთავრე გამოცდები...

ილია ქაჭვაძე: მერე? თავი ხომ არ შეირცხვენ?

იოსებ ჯულაშვილი: (თავს ჩაღუნავს და ილიას ნიშნების ფურცელს გადასცემს): აი, აქ წერია ყველაფერი!

ილია ქაჭვაძე: (ფურცელს გამოართმევს და ხმაშლით წაკითხავს): წმიდა წერილი — ფრიადი, ბერძნული ენა — ძალზე კარგი, სლავური საეკლესიო ვალობა — ფრიადი, ქართული საეკლესიო ვალობა — ფრიადი, სიტყვიერება — ფრიადი, სამოქალაქო ისტორია — ფრიადი, მათემატიკა — ფრიადი, ქართული ენა — ფრიადი, ყოფაცქცვა — ფრიადი. აი, ყოჩაღ, ბიჭი ვარო შენ უნდა თქვა! შენისთანა ახალგაზრდები მინდა რომ შემოვიკრიბო „ივერიაში“. თუ სასულიერო ხაზით არ იმსახურებ, სწავლას რომ დაამთავრებ, მოდი ჩემთან, სამსახურს მოგცემ. პო, სულ ვადაშვიწყდა, რა საქმე გქონდა ჩემთან, რისთვის მოხვედი?

იოსებ ჯულაშვილი: (დარცხვენილი): ლექსი მოგიტანეთ!

ილია ქაჭვაძე: აბა, აბა, მაჩვენე, ერთი ენახოთ, როგორი ლექსი დანერგ!

(იოსებ ჯულაშვილი რვეულს გაუწვდის. ილია რვეულს გაშლის და ლექსს ხმაშლით წაკითხავს, წაკითხვის შემდეგ: აღფრთოვანებას ვერ მალავს, სახე გაუბადრება. ადგება, კაბინეტში გაივლის, კარგ ხასიათზეა. მაგიდასთან დაბრუნდება და ზარს დარეკავს, შემოვა მდივანი ქალი).

მდივანი: რას მიზრძანებთ, ბატონო ილია!

ილია ქაჭვაძე: ანაბეჭდები მოიტანეს?

მდივანი: ეს წუთია, მოიტანეს, გელოდებოან.

ილია ქაჭვაძე: სთხოვე!

(კაბინეტში შემოდის ასოთამწყობი, ხელში „ივერიის“ ანაბეჭდები უჭირავს. ილია ანაბეჭდებს გამოართმევს).

ასოთამწყობი: ბატონო ილია! მინქანა დაზიანდა, ორი საათი მოვეუნდით შეკეთებას, ამიტომ დაგვიანდა ანაბეჭდების დამზადება.

ილია ქაჭვაძე: (იღიშება): თქვენი ბედი, რომ ერთი საათით მეც უნდა დაგავიანოთ!

ასოთამწყობი: რატომ?

ილია ქაჭვაძე: პირველი გვერდი დაშალეთ,

ყველაზე თვალაწინო ადგილას, აი, ეს ლექსი უნდა დაიბეჭდოს (რვეულს მესტამებს გადასცემს. მესტამზე დაკვირვებით ჩააყოლებს თვალს რვეულის ფურცელს). როგორ მოეწონათ?

მესტამზე: დიდებულია! ვინ არის ავტორი? ფსევდონიმი ან „ჯ-შვილი“ პირველად მხედება!

ილია ქაჭვაძე: თავის დროზე გაიგებ, ახლა კი გაიტეცი, გაზეთი ისედაც გვიანდება! (ასოთამწყობი გადის).

იოსებ ჯულაშვილი: (ადგება, ილიას თვალებში შეხედავს): ბატონო ილია! მე თქვენისთანა ადამიანი ვერ არ შემხვედრია! დიდი მადლობა!

ილია ქაჭვაძე: (იციინის): მეც არ შემხვედრია შენისთანა ყმაწვილი. აბა, ნახვამდის (ილია ქაჭვაძე იოსებ ჯულაშვილს ხელს გაუწვდის. იოსებ ჯულაშვილი კიდევ ერთხელ შეხედავს თვალებში და ხელს გაუწვდის. იოსებ ჯულაშვილი გადის).

მესამე სცენა

თბილისი. სასულიერო სემინარია. აუღობოროში პირველი კლასი ღიაა. იოსებ ჯულაშვილი, მამიკაძე უჩას სემინარიის მასწავლებელი, მამიკაძე მამა იოსებ, დრო. 1899 წლის მაისი

იოსებ ჯულაშვილი: მამა იოსებ! გუშინაც ვიცავი თქვენს სანახავად, გეტებსო, მითხრეს!

მამა იოსებ: პო, გეტებდი, სასაუბრო მქონდა.

იოსებ ჯულაშვილი: რაზე უნდა ვისაუბროთ? მე სემინარიის მონაფე აღარ ვარ, დღეს სემინარიის შემნაბში ძლივს შემომხვეს!

მამა იოსებ: პო, ძალიან საწყენია, რაც მოხდა, მაგრამ ქრისტიანი სასწარმოვეთას არ უნდა მიეცეს. ყველაფერი უფლის ნებაა! არანაირი იმედი აღარ არსებობს, რომ სწავლას საეკლესიო ხაზინის ხარჯზე ვააგრძელებ?

იოსებ ჯულაშვილი: არა, არანაირი იმედი! ის კი არა, სამცხე მანეთი ვალი დამადეს, წინა წლის სწავლების გადასახადი.

მამა იოსებ: მშობლები, ნათესაებები ვერ შეძლებენ ქირის გადახდას?

იოსებ ჯულაშვილი: დედა ვერ შეძლებს, მამა დიდი ხანია წასულია სახლიდან, არ გვეხმარება. მამას არც სურდა, რომ სწავლა გამეგრძელებინა.

მამა იოსებ: იმედს ნუ დაკარგავ!

იოსებ ჯულაშვილი: დედა მეცოფება, დიდი სურვილი მქონდა სემინარია დამემთავრებინა, არ ვიცი, როგორ ვუთხრა, სემინარიიდან გამოვედითქო.

მამა იოსებ: იქნებ გვეცადა, გორის მაზრაში რომელიმე ეკლესიისათვის დიკვნად ხელდასხმა მოგელო. ამის უფლებას სასულიერო სასწავლებლის დამთავრების ატესტატით ვაძლევს და სემინარიის ოთხი კლასის დამთავრების მოწმობაც. მეც ვთხოვ ვეზარქოსს.

იოსებ ჯულაშვილი: გამადლობთ, მამა იოსებ! ვერ ასეთი გადამწყვეტილებისათვის მზად არა ვარ. ვიფიქრებ და ჩემს პასუხს შეგატყობინებთ.

მამა იოანე: დედბანს ნუ დაავიანებ. ახლა რას აპირებ?

იოსებ ჯულაშვილი: სამი წლის წინ ილია ქაჭავაძემ „ივერიის“ რედაქციაში მუშაობა შემომთავაზა, ოღონდ იმ პირობით, თუ სემინარიას დაგასრულებდი. ახლა მერიდება მისვლა, ისე არ მინდა გამოიძვიდეს, თითქოს მებუთო კლასის სწავლის ქირას გადახდას ვთხოვ.

მამა იოანე: რატომ? „ივერიაში“ მუშაობისათვის სემინარიის სრული კურსის დასრულება სულაც არ არის საჭირო. აუცილებლად მიდი ილია ქაჭავაძესთან. შენი ლექსები აუცილებლად დაეხმოს, პირველ გვერდზე გიბეჭდავდა.

იოსებ ჯულაშვილი: მიმიძმს, მამა იოანე, ილია ქაჭავაძესთან მისვლა. არ მოვიქციე მაშინ კარვალ, ზუთი ლექსი დამიბეჭდა, მე კი ავდექი და „ივერია“ მივატოვე!

მამა იოანე: რაღა მნიშვნელობა აქვს ამის გარკვევას, მაგრამ მაინტერესებს: რატომ შექენი ეს?

იოსებ ჯულაშვილი: ახლა ვერ ავიხსენით, დადგება დრო და ყველაფერს ნათელი მოეფინება, ყველაფერი ცხადი გახდება!

მამა იოანე: აგრე იყოს, შვილო! ადამიანი, ჩვენ რომ გვგონია, იმაზე გაცილებით რთული და ამოუცნობი არსებაა. მე არ მინდა, რომ შენისთანა ნიჭიერმა და იმედისმომცემმა ახალგაზრდამ თავი ადგილი ვერ იპოვოს ცხოვრებაში, თავის ნიჭს სარბილი ვერ მისცეს, ღმერთისა და ქვეყნის სამსახური ვერ შეძლოს.

იოსებ ჯულაშვილი: ქვეყანაში რას გულისხმობ, მამა იოანე?

მამა იოანე: ქვეყანაში მე მუდამ საქართველოს ვგულისხმობ, ჩვენს ბედურულ სამშობლოს!

იოსებ ჯულაშვილი: კიდევ გინახულებთ, მამა იოანე? (ხელზე ემთხვევა და გადის).

მეთოხე სცენა

*თბილისი. გაზთ „ივერია“-ს რედაქცია.
ილია ქაჭავაძის კაბინეტი. სმ. დან. ილია ქაჭავაძე და იოსებ ჯულაშვილი.*

დარ. 1899 წლის დეკემბერი

ილია ქაჭავაძე: სემინარიას რატომ დანებებე თავი? ვინმე განყენინა რაიმე? ვინმემ ხომ არ დაგჩაგრავ?

იოსებ ჯულაშვილი: სწავლის ქირა ვეღარ გადავიხადე, შარშანდელიც, მეოთხე კლასისა, ნაწილი გადაუხდელო დამრჩა. დედა მყავს მხოლოდ, ხელსაქმით ირჩენს თავს, ფული მუდამ გვიჭირდა.

ილია ქაჭავაძე: მამა?
იოსებ ჯულაშვილი: დიდი ხანია წავიდა სახლიდან, თბილისშია, აღარ მოგვხვდა.

ილია ქაჭავაძე: მამას ნუ განსჯი, უტყობა პურის ფულსაც ვეღარ შოულობს, თბილისში ძნელია ფულის შოვნა.

იოსებ ჯულაშვილი: დედასაც უჭირს, მაგრამ მე არ მივუტოვებებარ, გორის სასულიერო სასწავლებელი დამამთავრებინა, სემინარიაშიც შემყვანა. დედა კიდევ რომ აპატიოს, მე ვერ ვაპატიებ... არა ჩემს მიტოვებას, არამედ დედის მიტოვებას. დედა იმ დღიდან თავდახრილი დადის, ყველა აგდებით უყურებს.

ილია ქაჭავაძე: შენი საქმეა, მე ამაში ვერ ჩავერევი. შე შვილი არ მომეცა ღმერთმა, საკუთარ თავზე არ გამომიცვია მამობრივი გრძნობა.

იოსებ ჯულაშვილი: ბატონო ილია! რისთვის დამიბარეთ? მითხრეს, ორი წელია გეძებსო.

ილია ქაჭავაძე: სამი წელია ვიჭირობ ამაზე, დიდ და სერიოზულ საქმეზე მინდა ვისაუბროთ.

იოსებ ჯულაშვილი: ვისაუბროთ?!

ილია ქაჭავაძე: დიას, ვისაუბროთ! ამ შემთხვევაში ასაკა და მდგომარეობას მნიშვნელობა არა აქვს. ვისაუბროთ, მე ჩემსას გეტყვი, შენ შენი მითხარი. ერთადერთი პირობა უნდა ჰქონდეს ჩვენს საუბარს – ვულახდილობა. იყოს ასე?

იოსებ ჯულაშვილი: იყოს ასე!

ილია ქაჭავაძე: ხომ არაფერი შეგვიშლის ხელს? აბა, დაფიქრდი.

იოსებ ჯულაშვილი: არა.

ილია ქაჭავაძე: საცა ორმოცი წელი შესრულდება, რაც ჩვენს ბედურული სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ეობძე: ყველაფერი სამშობლოს შეენიერ. მე შემეძლო მშვიდი ცხოვრება მქონოდა, ფულიც მქონოდა და თბილი ადგილიც კავასისი მთავარმართებლის კანცელარიაში, ან სხვაგან რუსეთშიც კი.

იოსებ ჯულაშვილი: თქვენს ღვანლს, თქვენი მტრებიც კი არ უარყოფენ, უფრო ზუსტად, ვერ უარყოფენ!

ილია ქაჭავაძე: როცა მოღვაწეობას ვინწყებდი, მეგონა თანამაზრევენი გამომრავლდებოდნენ, მაგრამ მოხდა პირიქით: ყველაზე ღირსეულები ჩამომშორდნენ, ზოგი მტრადაც მომიქცა.

იოსებ ჯულაშვილი: თქვენისთანა ადამიანს ეს არ უნდა უყვირდეს. კაცობრიობის ისტორია ერთ რაიმეს უეჭველად ამტკიცებს: ადამიანების არსებობის ნების უზენიობაა, უმადურება უზენიობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, დალატიც.

ილია ქაჭავაძე: ძალიან მიხარია, რომ ჩვენმა საუბარმა თავიდანვე ვულახდილი ხასიათი მიიღო.

იოსებ ჯულაშვილი: ტყუილი და პირფერიობაც უზენიობის გამოვლინებაა!

ილია ქაჭავაძე: ეს კითხვა მინდოდა ბოლოს დამესვა, მაგრამ გაკადნიერდები და ახლავე გკითხავთ: რას წარმოგადგენ მე საქართველოს ისტორიაში, ვინა ვარ მე ქართველი ერისათვის?

იოსებ ჯულაშვილი: (თავს დახრის, რამდენიმე წუთს ფიქრობს): ებრაელთა მამამთავარი მოსეს! მოსეს მსგავსად, თქვენ ყველაფერი გააკეთეთ, ქართველი ერი აღთქმულ ქვეყანაში რომ შეგყვანათ, მაგრამ ვერ შეიყვანეთ, ვერც შეიყვანდით! ქართველ ერს თქვენ აღთქმული ქვეყნის კარიბ-

ქვსთან დატოვებთ. ისევე, როგორც მოსეს, აღარც თქვენც გისმენენ!

ილია ჭავჭავაძე: (გაოგნებული): მაშ, ჩემი მისია ამოიწურა?

იოსებ ჯულაშვილი: დიახ, ამოიწურა! ქართველი ღრი ჯერჯერობით არ არის ღირსი შევიდეს აღთქმულ ქვეყანაში!

ილია ჭავჭავაძე: დიდი ხანი ფიქრობდი, სანამ ამ დასკვნას გააკეთებდი?

იოსებ ჯულაშვილი: იმ დღიდან, „ეგრეის“ რედაქციამ რომ მოვედი, პირველად რომ განახეთ.

ილია ჭავჭავაძე: მეტყობდი ყოველივე ამას მე რომ არ დამებარებინეთ?

იოსებ ჯულაშვილი: არა.

ილია ჭავჭავაძე: რატომ?

იოსებ ჯულაშვილი: გულახდილად გითხრათ?

ილია ჭავჭავაძე: ხომ შეეთანხმდით?

იოსებ ჯულაშვილი: არ მოვიდოდი და არ გეტყობოდი იმიტომ, რომ ყოველივე ეს თქვენც კარგად იცით, ბატონო ილია!

ილია ჭავჭავაძე: (გაოგნებული): ჩემს თანამოაზრეებში შენხიარი ნიჭიერი არავინ ყოფილა. იქნებ ეს არის საქართველოს ტრაგედია!

იოსებ ჯულაშვილი: ნიჭი და ზნეობა სხვადასხვა რამაა, ერთ ადამიანში მათი ერთად არსებობა იშვიათია!

ილია ჭავჭავაძე: ვანგაგრძობთ. ცუდი დრო დგება; შეიძლება ისე მოხდეს, რასაც ორმოცწლიანი ბრძოლით მივაღწიეთ, წყალში ჩაიყაროს, ქარმა წაიღოს!

იოსებ ჯულაშვილი: წყალში არაფერი ჩაიყრება, ქარც ვერაფერს წაიღებს. ასე მხოლოდ გამოჩნდება, მოეჩვენება და ისიც დროებით. ის, ვინც თქვენს შემდეგ მოვა, თქვენზე გაცილებით სუსტია და რასაც ის მოიტანს, იმაზე გაცილებით ნაკლებად ლირეული იქნება, რაც თქვენ შექმენით!

ილია ჭავჭავაძე: შენ ისიც გეყოფინება, რა პქეია იმ რაღაცას?

იოსებ ჯულაშვილი: კოსმოპოლიტიზმი – ენის, ეროვნების, ეროვნული გრძნობის, სახელმწიფოს, ეკლესიის უარყოფა.

ილია ჭავჭავაძე: დიდხანს ფიქრობდი, ბევრჯერ გადავიფიქრე შენთან შეხვედრია, მგონი, არც დღეს უნდა შეგხვედროდი!

იოსებ ჯულაშვილი: თქვენის ნებართვით შენავალ, ბატონო ილია! (ადგება).

ილია ჭავჭავაძე: დამრძანდით, ამდენ საფიქრალთან მარტო მტოვებთ?

იოსებ ჯულაშვილი: მემინია, ჩვენმა საუბარმა შეიძლება არავლენრფელი ხასიათი მიიღოს.

ილია ჭავჭავაძე: ეს უკვე შეუძლებელია. ჩვენ ბოლომდე გულწრფელები ვიქნებით!

იოსებ ჯულაშვილი: (დაჯდება): გისმენთ!

ილია ჭავჭავაძე: ვინ არის ის ხალხი, ვისაც ეს სამიწელება მოაქვს?

იოსებ ჯულაშვილი: უზნეო ხალხია, თავის თავზე გაბოროტებული, საშიში ხალხია, უპერსპექტივო, მაგრამ საშიში. არა ენა, არა ეროვნება, არა რელიგია, არა სახელმწიფო – ესაა მათი იდეალი.

ილია ჭავჭავაძე: ვინ მართავს ამ ხალხს? ვინ დგას მათ უკან? რა მიზანი ამოძრავებთ?

იოსებ ჯულაშვილი: დიდი იმპერიები, კონკრეტულად – გერმანია, ინგლისი, რუსეთი. კიდევ მოიტეხნება ერთ-ორი.

ილია ჭავჭავაძე: რას ვუშავებთ მათ, აი, მაგალითად, ჩვენ, ქართველები? აღარც სახელმწიფო გვაქვს, აღარც ეკლესია, ენას ძლივს ვინარჩუნებთ!

იოსებ ჯულაშვილი: აი, ყოველივე ეს რომ გვექნება, შემდეგ გავხდებით მათთვის საშიში!

ილია ჭავჭავაძე: რა უნდა დაეწმავით ამოდენა იმპერიებს ან ახლა, ან შემდეგ?

იოსებ ჯულაშვილი: ყოველი დიდი, მრავალეროვანი იმპერიის მესვეურები ასე ფიქრობენ: იმპერიებს რიცხვით მცირე ერების ბრძოლა დაანგრევსო.

ილია ჭავჭავაძე: მერე!

იოსებ ჯულაშვილი: მერე ის, რომ, მათი აზრით, სანამ ეს მოხდებოდაც ეს ერები ან უნდა გადაგვარდნენ, ან უნდა მოსპონ. მოსპობა გაცილებით ძნელია, გადაგვარება – შედარებით ადვილი.

ილია ჭავჭავაძე: არა მგონია, ამ იდეას მომავალი ჰქონდეს!

იოსებ ჯულაშვილი: არც მე!

ილია ჭავჭავაძე: (გაოცებული): რატომ?

იოსებ ჯულაშვილი: დიდი იმპერიების სათავეში ერთთავად უნიჭო ხალხია, უზნეო და უნიჭო. ამ იმპერიებს სულ მალე რიცხვით მცირე ერების ბრძოლა კი არა, სხვა რამ დაანგრევს. ამ საფრთხეს კი ისინი ვერ ხედავენ.

ილია ჭავჭავაძე: რა არის ის სხვა რამ?

იოსებ ჯულაშვილი: ეროვნული მოძრაობის მოსახმობად, მის საპირისპიროდ სოციალისტური იდეები მოიგანებს. ეს სოციალისტური მოძრაობა ისეთი რამაა, რომ რიცხვით მცირე ერებზე და ეროვნულ მოძრაობაზე უწინარეს დიდ იმპერიებს ის მოუღებს ბოლოს. რიცხვით მცირე ერებს რომ ხაფანგს უვებენ, დიდი იმპერიები თავად გაიმეზიან იმ ხაფანგში. რუსეთის იმპერიას ვერსადროს დაანგრევენ ქართველები ან სომხები, ისევე, როგორც ავსტრია-უნგრეთის იმპერიას – ხერბერტ, ან გერმანიას – პოლონელები. ამ იმპერიებს კოსმოპოლიტიზმით დაავადებული ავსტრიელები, გერმანელები და რუსები დაანგრევენ.

ილია ჭავჭავაძე: რა დრო დასჭირდება ყოველივე ამას?

იოსებ ჯულაშვილი: (იციინს): ეს იმაზეა დამოკიდებული, დიდი იმპერიების სათავეში ერთბაშად რამდენი უზნეო და უნიჭო მოიყრის თავს.

ილია ჭავჭავაძე: დაეუშვათ, რომ სწორად აზროვნებ, ვთქვათ, დანგრეა დიდი იმპერიები, შემდეგ რა იქნება?

იოსებ ჯულაშვილი: არ დაიჯერებთ, რასაც ახლა გიტყვით.

ილია ჭავჭავაძე: გისმენთ!

იოსებ ჯულაშვილი: შემდეგ ქართველ ერს გაახსენდება ის, ვინც უარყო, ვინც ჯვარს აცვა.

ილია ჭავჭავაძე: ვინ?

იოსებ ჯულაშვილი: ილია ჭავჭავაძე!

ილია ჭავჭავაძე: (სკამიდან წამოიჭრება, ოთახში გაივლის); ესე იგი, ჯვარცმა გარდაუვლია!

იოსებ ჯულაშვილი: გარდაუვლია. თუ ჯვარცმა არ მოხდა, აღდგომაც არ მოხდება! ვერ ხვდებით, თუ რატომ ჩამოვმორდნენ ძველი თანამოაზრეები?

ილია ჭავჭავაძე: რატომ?

იოსებ ჯულაშვილი: მათ ჯვარცმის შეგშინდათ! თუ თქვენც შეგშინდათ, აღდგომის დღეც არ დადგება. ეს ასე იქნება გერმანიაშიც, რუსეთშიც, საქართველოშიც, ყველგან.

ილია ჭავჭავაძე: ახლა ის კითხვა უნდა დავისვავთ, რისთვისაც მოგიწიეთ: მე მარტო დავრჩი, იქნები ჩემთან?

იოსებ ჯულაშვილი: არა. თქვენ თქვენი მისია ამონურეთ, რაც დავრჩათ, ისიც მარტომ უნდა აღასრულოთ. მე თქვენს შემდეგ მოვალ, მე ჩემი მისია მაქვს.

ილია ჭავჭავაძე: რა მისია?

იოსებ ჯულაშვილი: დიდი იმპერიები უნდა დაინერგეს! ამას კი ჩიჭიერი და უზნეო ხალხი სჭირდება!

ილია ჭავჭავაძე: ნაღი იოსებ! ნაღი და დაიმასხოვრე: რევოლუცია დალუპავს საქართველოს, უამრავი ქართველის სისხლი დაღვრება, ეს სისხლი ისევ ქართველის ხელით დაიღვრება! დაიმასხოვრე: რევოლუცია მხოლოდ მრავალცხოვანი ერებისა და დიდი სახელმწიფოების საქმეს ვააკეთებს, შენც ტყუილად გგონია, რომ შენს სამშობლოს გაუნეგ სამსახურს, ამას გვიან მიხვდები და ჩვენი საუბარიც გაგახსენდება. გონიერი ქართველები ბევრჯერ გამოიყენეს ირანის შაჰებმა, ოსმალეთის სულთანებმა, რუსეთის იმპერატორებმა. მათ სამშობლოს ვერა არგეს რა, სიცოცხლე დიდი მითრირების ძლიერებას შეწირეს. ნაღი და დაიმასხოვრე: ეგ არ არის საქართველოს ხსნის გზა! ეგ სატანის გზაა! (იოსებ ჯულაშვილი გადის).

ილია ჭავჭავაძე: (მარტო რჩება. ადგება, ფანჯარასთან მივა, ოთახში გაივლ-გამოივლის, შეჩერდება); ეს სიმინარეული ამას ვერსად ამოიკითხავდა, ვერც ვერაინ ეტყოდა, თავად მოიფიქრა ეს ყველაფერი. ცუდი დრო დგება, ძალიან ცუდი დრო. უზნეო ადამიანების დრო დგება. უზნეოებში რაც მეტი ნიჭიერი გამოერევა, მით უარესი! (ფიქრს მიცემს).

მეხუთე სცენა

თხილვისი. სოფლაკი. თაბაღის ძალის ანასტასიას სალონი. მდიდრულად მორთულ ფარფაშში, სპარაკობაში მოსაყდარებით ანასტასიასა და პის მამობარ ძალვას: სოფოხს, ანას, მაიას და ნუცას. დივანზე სხადან ანასტასიას მამა ბაკრაშვილი და დედა სალომე დრო 1905 წლის ოქტომბერი.

(ელოდებთან იოსებ ჯულაშვილს, რომელიც სა-

განგებოდ მოინვიეს სალონი ანასტასიამ და მისმა მეგობრებმა).

ანასტასია: დამპირდა, სალამოს ცხრა საათზე გეახლებოვო! ახლა ცხრას ათი წუთი აკლია. ძალიან ველოთ!

თავადი გარსევანი: თავს რად იტყობდი, შვილო, რად გინდოდა სოციალისტის მოწვევა! თუ მაინც ადამიანი, ნოე ყორღანია მოგენვია.

ანასტასია: ნოე ყორღანია! სასტიკი უარით გამოგვისტუმრა, სალონი ფუტსავეტმა ბურჭუბუხმა მოიგონეს და მე იქ არაფერი მესაქმება!

სალომე: იოსებ ჯულაშვილი ადვილად დაითანხმებ?

ანასტასია: მე არ შეგებედილივარ. მისმა სემინარიულმა აზნავემა ვადაცა ჩვენი თხოვნა და თანხმობაც მისივე პირით შემოგვიტოვა.

თავადი გარსევანი: ვნახით, ვნახით, რას გვიპირებენ სოციალისტები!

სოფიო: ნეტავ როგორი ჩაცმული მოვა. ალბათ, გრძელი შავი ქურთუკი ეცმება, შარვალი გრძელყელი ჩემებში ეცმება ჩაჭანებული, ჯიბეები კი — პროკლამაციებით სავსე.

მაია: (სიცოცხლით): ალბათ, ბომბსაც მოიტანს და, თუ ყველაფერში არ დავეთანხმეთ, აგვაფეთქებს! (დარბაზში შემოდის მოსამსახურე და ანასტასიას ნასწურჩულებს: მოვიდა!)

ანასტასია: სთხოვეთ!

(დარბაზში შემოდის იოსებ ჯულაშვილი. შავი ფერის პიჯაკი და შარვალი აცვია, წერილცხვირიანი შობლებიდან თეთრი წინდები მოუჩანს, თეთრი პერანგზე შავი ფერის ბაფთა უკეთია. ხელში თაიგული უჭირავს. ყველას ხმა ჩაუნწყდება, ფეხზე მდგომნი დაბნეულნი მისჩერებანი ერთმანეთს).

იოსებ ჯულაშვილი: სალამო მშვიდობისა, ქალბატონებო, მოგესალმებით, ბატონო გარსევანი! ქალბატონო ანასტასია! (ნაბიჯს გადადგამს ანასტასიასკენ და თაიგულს გაუწედა).

ანასტასია: (დაბნეული): მაგალითობ!

თავადი გარსევანი: დაბრძანდით, ფეხზე როდემდე იდგებით? მე და ჩემი მუუღლე დაგტოვებთ, ახალგაზრდებს ისაუბრეთ (ყველად დასხდებიან).

იოსებ ჯულაშვილი: ბატონო გარსევანი! აქ რომ არ დამხედროდით, მე უნდა მეთხოვა ქალბატონი ანასტასიასათვის თქვენი მოწვევა. მე თქვენ მადლობა უნდა გადაგიხადოთ, მაღლობა, რომელიც ათი წლის წინ უნდა გადამეხადა.

თავადი გარსევანი: (გაოცებას ვერ მალავს): რისთვის უნდა გადაგებადით მაღლობა?

იოსებ ჯულაშვილი: 1895 წელს რაფიელ ერისთავის ობილუზე მე წავიკითხე პოეტისადმი მიძღვნილი ლექსი „თავად რაფიელ ერისთავის“. თქვენ ლექსი ძალიან მოგეწონათ, შემაქეთ. მაშინ მადლობა ვერ გითხარი.

თავადი გარსევანი: (აღტაცებას ვერ მალავს): აი, თურმე ხალხან მასხოვს თქვენი სახე! ესე იგი სოფელი თქვენა ხართ?

იოსებ ჯულაშვილი: დიახ, მე გახალაფართო
თავადი გარსევანი: სიახლოვნებით დაფრჩხილებით
მეც და ჩემი მეუღლეც!

(ანასტასია და მისი მეგობრები დაბნეულები
არიან, არ იციან, რა მოიპოქმედონ. დაწყობილი
გვემბო ჩაქაშალათ, სოციალისტი ვერ ვააბიბარუ-
ეს. ისევე ანამ აჯობა ყველას).

ანა: პოეტი სოციალისტი როგორ ვახდით?

იოსებ ჯულაშვილი: პოეტობა პროფესია არაა,
პოეტობა მოწოდებაა. პოეტი შეიძლება იყოს ექი-
მიც, ინჟინერიც, მუშაც და გლეხიც.

ანა: სოციალისტი თუ შეიძლება იყოს პოეტი?

იოსებ ჯულაშვილი: ცხადია, შეიძლება, თუ
ასეთი მოწოდება აქვს.

ნუცა: არ გეშინიათ? მარტო წელს რამდენი სო-
ციალისტი მოკვლეს, რამდენი კატორღაში გაგზავ-
ნეს.

იოსებ ჯულაშვილი: სიკვდილის შიშმა ადამია-
ნი შეიძლება ცხოველად აქციოს. პირველი გამარ-
ჯვება, რომელიც ადამიანმა უნდა მოიპოვოს, ესაა
სიკვდილის შიშზე გამარჯვება.

ნუცა: მაგრამ წამების, ფიზიკური ტკივილის
ატანა ყველას ხომ არ შეუძლია?

იოსებ ჯულაშვილი: სიკვდილის შიშის დაძ-
ლევა და წამების დათმენა სხვადასხვაა. პირველი
სულთანაა დაეკამირებული, მეორე — ხორცთან.

თავადი გარსევანი: მიდი, თავი დავანებოთ
ამ ზოგად მსჯელობას და კონკრეტულ საკითხებ-
ზე გადავიდეთ. თანახმა ხართ ყველანი?

ანასტასია: ასე აჯობებს, მამა სწორს ბრძა-
ნებს!

თავადი გარსევანი: ბატონო იოსებ!

იოსებ ჯულაშვილი: (ანწყვეტილებს): უკაცრა-
ვად, ბატონო გარსევანი! სახელით მომმართეთ,
„ბატონოს“ გარეშე!

თავადი გარსევანი: კეთილი. იოსებ! რა ხდება
ქვეყანაზე ან რუსეთში, ან საქართველოში, საით
მივდივართ, რა გველის?

იოსებ ჯულაშვილი: ის, რაც რუსეთში ხდება,
დიდი ხანია მზადდება. რუსეთის ძლიერებას სა-
ფუძველი დაუდო ორმა დიდმა ხელმწიფემ — პეტ-
რე I და ეკატერინე II. XIX საუკუნის იმპერატორები

ერთმანეთზე უნიჭოები, გაუბედავები და ლარჩები
აღმოჩნდნენ. ალექსანდრე I ევროპის ანჟელი საქ-
მეებს ანესრიგებდა და მეფობის ბოლოს დეკაბ-
რისტების ამბოხი მიიღო. ნიკოლოზ I ამტკიცებდა,
სახელმწიფოს სული და გული, ძლიერების საფუძ-
ველი, არმიათა, მაგრამ მეფობის ბოლოს სამარ-
ცხვინოდ წააგო ყირიმის ომი. ალექსანდრე II-ის
ყველა რეფორმა სანახევრო და კუდშეკვეცილი
აღმოჩნდა, რუსეთის დიდი აღმავლობა ვერ მოუ-
ტანა. ალექსანდრე III ყველაზე დიდი გაუგებრობა

იყო XIX საუკუნის იმპერატორთა შორის. უღირსთა
და უნიჭოთა მეფობა დააგვირგვინა ნიკოლოზ II. ეს
ადამიანი რუსეთის ბედისწერაა. რუსეთის იაპონია-
სთან ომში ჩაბმით ნიკოლოზ II დაამტკიცა, რომ
მას შეუძლია დალუპოს რუსეთი. კიდევ ერთ ასეთ

ომს რუსეთი ველარ გადაიტანს. დღეს ევრაივი
იტყვის ვინ მართავს რუსეთს: მეფე, მეფის ბიძები,
მეფის დედა თუ დედოფალი. უკვე საუკუნეზე მე-
ტია რუსი იმპერატორები ევროპის, პირველ რიგში
ინგლისის, საქმეს აკეთებენ, ევროპა კი წარმატე-
ბით ახორციელებს რუსეთის დასუსტების, დაუძ-
ლურების გეგმას. ის, რაც 1905 წლის იანვრიდან
რუსეთში ხდება, შეიძლება მხოლოდ უპატარავი
ქვეყანაში მოხდეს. ასეთი უნიჭო იმპერატორი,
ასეთი უსუსური პოლიტიკური ელტა რუსეთს კი
არა, ერთ ქალაქ-სახელმწიფოსაც ვერ მართავს.
ამიტომ, რომ ქაოსს დასასრული არ უჩანს, უფ-
რო მეტიც: რუსეთი კიდევ უფრო დიდი ქაოსისაკენ
მიექანება. იმპერიას დიდი დღე არ უწერია!

თავადი გარსევანი: საქართველოს რა ეშველე-
ბა, ქართველობას რაღას უშნადებთ?

იოსებ ჯულაშვილი: ეს იმაზე იქნება დამოკი-
დებული, როდის აღესრულება რუსეთის იმპერია,
რა მდგომარეობა შეიქმნება რუსეთში და საერ-
თოდ, ევროპაში, აზიაშიც.

თავადი გარსევანი: დაეუშვათ და დაიგნარ რუ-
სეთის იმპერია, რა იქნება ამის შემდეგ?

იოსებ ჯულაშვილი: იმპერიის დაწვერვის შემ-
დეგ ამ უზარმაზარ სივრცეს ევროპის დიდი ქვეყ-
ნები დაეპატრონებიან ან უშუალოდ, ან იმპერიის
წანგრევებზე ანტირუსული ნაციონალური სახელ-
მწიფოების შექმნის გზით. ეს ჩვენთვის ყველაზე
ხელსაყრელი გზაა, თუმცა იგი სამიშროებასაც
შეიცავს. ევროპამ კავკასიაში ოსმალეთის აგრესი-
ის აღდგენა უნდა შესძლოს და შესძლებს, ალბათ
კიდევ. არის მეორე, ჩვენთვის მიუღებელი, გზაც.
არ არის გამორიცხული, თვით რუსეთში გამოი-
წიფოს ძალა, რომელიც ევროპას წინ აღუდგება და
რომანოვების იმპერიის წანგრევებზე ახალ სახელ-
მწიფოს შექმნის. საქართველო, სამხუხაროდ, ამ
სახელმწიფოს სახელკრებში მოხვდება.

სალომე: ძალიან კი შეგეპაწიწე, შვილო იოსებ!

იოსებ ჯულაშვილი: (იცინის): ნუ შეშინდებით,
ქალბატონო! რუსეთის იმპერია ხვალ არ აღესრუ-
ლება და ის, რისაც თქვენ გეშინიათ, არც ისე მალე
იქნება.

სალომე: ღმერთმა გისმინოთ!

იოსებ ჯულაშვილი: ჩემი ნასვლის დრო მოვი-
და, უნდა დაგემშვიდობოთ.

ანასტასია: ჩაიხე უარს გეუბნებიან?

იოსებ ჯულაშვილი: ამჯერად უარს გეუბნე-
ბით, სხვა დროს უკვე აღარ გეტყვით უარს. სასა-
უბრო ბევრი გვექნება იმპერიის აღსასრულამდეც
და შემდეგაც (იოსებ ჯულაშვილი მანდილოსნებს
ხელზე ემთხვევა, თავდას ხელს ჩამოართმევს და
გადის. ანასტასია გააკვირვებს).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ნოზაქოსი

სამბაჯისა და პახიხოხოხის ზღაპარი

უხსოვარ დროში, შორს, მწუნხრის ქვეყანაში ერთი ჭაბუკი ცხოვრობდა. ძალიან კეთილი იყო, მაგრამ უზომოდ უცნაური: მუდამ დარდიანი თავისთვის მღუმარედ დაეხეტებოდა, ან სადმე ეულად იჯდა ხოლმე. ჭაბუკი მუდამ უცნაურ გატაცებებს იყო გამოიდევნებული, მღვიმეები და ტყეები იყო მისი უსაცვარლესი ადგილები. აქ ის გაუთავებლად ესაუბრებოდა ნადირ-ფრინველებს, ხეებსა და კლდეებს, და, რაღა თქმა უნდა, ისეთ წმინდა წყლის სისულელებს, რომ კაცი სიცილით მოკვდებოდა. მისი თანატოლები კი ამ დროს მზიარულობდნენ და თამაშით ერთობოდნენ.

ჭაბუკი მუდამ მოლუქული და შეფიქრიანებული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ციყვი, ზღვის კატა, თუთიყუში და გულწითელა თავს არ ზოგავდნენ, რომ ის როგორმე გაერთოთ და სწორ გზაზე დაეყენებინათ. ბატი ზღაპარს უამბობდა მას, ნაკადული ბალადას მოარაკრებდა, დიდი ჩასუქებული ქვა სასაცილო თხის

ნახტომებს აკეთებდა, ვარდი მეგობრულად ზურგიდან ჩუმად მოეხვეოდა და დალალებში ჩახევეოდა ხოლმე, სურო კი შეფიქრიანებულ შუბლზე ევერებოდა. მაგრამ უგუნებობა და ნაღველი ყმაწვილს მიიწე არ შორდებოდა.

ჭაბუკის მშობლები კი დაღონებულიყვნენ, არ იცოდნენ რა გზას სწეოდნენ. იგი ვან-ლონით სავსე ახალგაზრდა იყო, მშობლებს მისთვის საჭმელ-სასმელი არ დაუკლიათ და არც არასოდეს უწყენინებიათ. რამდენიმე წლის წინ მასსავით მზიარული და ხალისიანი არავინ იყო. ყველა თამაშში გამარჯვებული, ბრწყინვალე მოცეკვავე, ყველა გოგონასათვის ამაოდ სასურველი, ის მართლაც პირმშენიერი ყმაწვილი იყო.

გოგონებს შორის კი იყო ერთი კეთილშობილი, კალმით ნახატი ბავშვი, სიფრიფანა, ნატოფი, სისხლსავსე თოჯინასებრი ბავშვებითა და ყორნისფერი თვალებით, თმა — ვითარცა ოქროსფერი აბრეშუმი. ვინც მას იხილავდა, სულს დაღვედა მისთვის, ისეთი სასურველი იყო იგი.

სუმბული (ასე ერქვა პირმშენიერი ყმაწვილს) მთელი გულით გაუმიჯნურდა ვარდკოკორს (ასე ერქვა გოგონას) და ისე შეუყვარდა, რომ სიცოცხლესაც არ დაინანებდა მისთვის. სხვა ბავშვებმა ეს არ იცოდნენ. პირველად იამ უამბო მათ ეს ამბავი. კატებსაც არ გამოპარვიათ, რომ სუმბულისა და ვარდკოკორის მშობლების სახლებში გვერდი-გვერდ იდგა. როცა სუმბული ღამით თავის ფანჯარასთან იდგა ხოლმე, ხოლო ვარდკოკორი თავის ფანჯარასთან, და როცა ამ დროს თავებზე სანადიროდ გამოსულნი კატები გამიჯნურებულებს დაინახავდნენ, ხითხითებდნენ და იცინოდნენ, და ხშირად ისე ხმამალა, რომ მათი სიცილი სუმბულსა და ვარდკოკორსაც ესმოდა და ეს ძლიერ ახელებდა მათ.

იამ სუმბულისა და ვარდკოკორის გამიჯნურების ამბავი მარწყვს გაანდო საიდუმლოდ, მარწყვმა თავის მეგობარ ხურტყემელს უამბო. ისიც არაფერს აგრძნობინებდა სუმბულს, როცა ჭაბუკი გამოჩნდებოდა ხოლმე. ასე გაიგონელ-ნელა მთელმა ბაღმა და მთელმა ტყემ ეს ამბავი.

როცა სუმბული გარეთ გამოვიდოდა, ყოველი მხრიდან ესმოდა: „ვარდი, ჩემი გულისგარდი“. ჭაბუკი ამაზე ბრაზობდა, მაგრამ გულის სიღრმეში ეცინებოდა კიდევ, როცა ხელიკი გა-მოსრიალდებოდა, თბილ ქვაზე ნამოკვდებოდა, კულს გააქნედა და დაამლერებდა:

„ვარდი, ჩემი კარგი ბავშვი, ასე რამ დააბრმავა;



შგონია, რომ დედას
სუმბულს ყელს რომ ესხვება,
თუმცა ამჩნევს უცნობ სახეს,
ფიქრობს, აღარა კრთება,
თითქოს ნათქვამს არ იმჩნევდეს,
ჰკოცნის, ჰკოცნის ვერ ძღება“.

ეჰ, რა მალე ჩაიარა დიდებულმა დრომ. ერთ დღესაც ერთი კაცი მოვიდა უცხო ქვეყნიდან. საოცრად დიდი გზა გამოეგლო. გრძელი წვერი ჰქონდა, ღრმა თვალები და საშინელი ნარბები. ტანთ იშვიათი ფიგურებით ნაქარგი ნაკეცებიანი ტანსაცმელი ემოსა. უცნობი სუმბულის სახლის წინ ჩამოვდა. ჭაბუკი ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო. პური და ღვინო გამოუტანა უცნობს და გვერდით მოუყვდა. უცებ უცნობის თეთრი წვერი ორად გაიპო და გვიან ღამემდე მოუთხრობდა სუმბულს სხვადასხვა ამბებს. ჭაბუკიც არ მოშორებია მას და უცნობის ყურის გვერდით სულაც არ დაღლიდა.

როგორც შემდეგ გაიგეს, თურმე უცნობი სუმბულს შორეულ ქვეყნებსა და უცხო მხარეებზე მოუთხრობდა გასაოცარ ამბებს. ის სამი დღე დარჩა ჭაბუკთან და მასთან ერთად ღრმა ქვაბულებში დაძვრებოდა. ვარდკოკორს ერთი სული ჰქონდა, როდის მოშორდებოდა ეს ვადოქართა დიდოსტატი იქაურობას, რადგან სუმბული მუდამ უცნობის საუბრებში იყო ჩაძირული და ამქვეყნად სხვა აღარაფერი ადარდებდა, საჭმელსაც კი არ ეკარებოდა. ბოლოს, როგორც იქნა თავის გზას დაადგა უცნობი და სუმბული ერთი პატარა წიგნი დაუტოვა, რომლის ნაკითხვაც არავის შეუძლია. ჭაბუკმა კი უცნობს საგზლად ხილი, პური და ღვინო გაატანა და კარგა შორ მანძილზეც გამოაცილა.

სუმბული უკან ღრმად ჩაფიქრებული მობრუნდა. ამიერიდან საესებით ახალი ცხოვრება დაიწყო მისთვის. ვარდკოკორი მასზე დარდობდა, მაგრამ ჭაბუკი ყურადღებას აღარ აქცევდა გოგონას, მუდამ თავის ფიქრებში იყო ჩაძირული.

და ის დღეც დადგა. ერთ დღეს სუმბული სახლში მივიდა, თითქოს ხელახლა იშვია. მერე მშობლებს ყელზე მოეხვია და აღირდა. „უცხო მხარე უნდა გავნო“ – თქვა ჭაბუკმა ბოლოს — „ტყევი მოსუცმა ვადოქარმა ძალმა გამანადო, თუ რა განმკურნავს. მან უცნობის წიგნი დანვა და თქვენთან გამოიშვა, რომ გზა დამილოცით. შესაძლოა მალე დავბრუნდე, შესაძლოა აღარასოდეს. მომიკითხეთ ვარდკოკორი. ვეცხვიდ ორიოდ სიტყვას, მაგრამ მე, თავად არ

ვიცი, რა მჭირს, გული სულ სხვაგან მიმინევს. როცა ძველი ამბების გახსენებას მოვინდომებ ხოლმე, მაშინათვე რალაც ძლიერი ფიქრები იჭრებთან ჩემს მოგონებებში. მაშინ სიმშვიდე მეკარგება, გრძობა და სიყვარული სადღაც ქრება. გეტყვოდა რომელ გზას უნდა გაუყვე, მაგრამ კარგად თავადაც არ ვიცი. მე მის მოსაძებნად უნდა წავიდე, იქ, სადაც საგანათო დედას დაუდგია ბინა — შებურვოლ ქალწულს. ჩემი სული და გული მისდამია ანთებული. მშვიდობით!“.

ამ სიტყვებით სუმბული თავის მშობლებს განემორა და გზას გაუდგა. მშობლები კი მოთქვამდნენ და ცრემლებს ღვრიდნენ. ვარდკოკორი თავისი ოთახიდან არ გამოსულა, მწარედ ტიროდა.

სუმბული იდუმალი ქვეყნისაკენ მიიქაროდა, მიუყვებოდა ხეობებსა და ტყე-ღრეს, გადადიოდა მთებსა და მდინარეებს. გზადაგზა ადამიანებსა და ნადირ-ფრინველებს, კლდეებსა და ხეებს წმინდა ქალღმერთ ისიდას შესახებ ეკითხებოდა. პასუხად ზოგს ეცინებოდა, ზოგსაც ღუმდა და ჭაბუკს ზუსტ პასუხს ვერ აძლევდა.

თავიდან სუმბული უდაბურ, ხრიოკ ადგილებში მიიკლევდა გზას, ნისლი და ღრუბლები ეღობებოდა, წვიმა და ქარი გაუთავებლად სცემდა სახეში. შემდეგ ჭაბუკი თვალწინდენელ ქუჩის უდაბნოს მიადგა. აელეარებული მტკერი მოჰქონდა ქარს.

გზადაგზა სუმბულის სულისძვრაც იცვლებოდა. დრო გაიწელა. მაგრამ ბოლოს შინაგანად დაშვებული და დაცხრა ჭაბუკი. მისი სიმამე მშვიდმა, მაგრამ ძლიერმა გრძობამ შეცვალა, რამაც მთელი მისი სული მოიცვა. თითქოს მრავალ წელიწადს ჩაეგლო. ბუნებაც ნელ-ნელა გამიდიდრა, პაერი საამოდ თბილი და ლურჯი გახდა, გზამაც გაიგაკა. აწმინებული ბუნებები თავიანთ სააბურ ჩრდილქვეშ ინვეგდნენ ჭაბუკს. მართალია სუმბულს მათი ენა არ ესმოდა, ისინი ჭაბუკის გულს მწვანე ფერებითა და გრილი, მშვიდი გრძობით ავსებდნენ. ხეთა ფოთლები უფრო ფართო და წვნიანი გახდა, მათი ნაყოფი უფრო ბალზამისებრი, ნადირ-ფრინველნი უფრო ახმინდნენ და გამზიარულდნენ, ცა გამუქდა, პაერი გათბა, სუმბულის სიყვარული სულ უფრო მზურვალე გახდა, სულში კი უფრო და უფრო ძლიერდებოდა ის ტკბილი ლტოლვა. დრო კი სწარვად გადიოდა, თითქოს მიზანი სულ ახლოს იყო.


ერთ დღესაც ბროლის წყარო და ყვავილთა მთელი ჯარი შემოხვდა სუმბულს. ისინი ხეობის ცადაწვდილ შავ სვეტებს მოუყვებოდნენ. წყარო და ყვავილები თავაზიანად მიესალმნენ სუმბულს ნაცნობი სიტყვებით. „საყვარელო თანამემამულენო“ — მიმართა ჭაბუკმა მათ — „ვერ მიმასწავლით, სად არის ისიდას წმინდა საბრძანისი. ის ალბათ სადაღაც აქ უნდა იყოს, თქვენ აქაურობა ხომ ჩემზე უკეთ იცით“. „ჩვენ აქ მხოლოდ გავლითა ვართ“ — მიუგეს ყვავილებმა — „აზრდილთა ოჯახი აქეთ მოემართება და ჩვენ მათ გზასა და სამყოფელს ვუმზადებთ. თუმცა ამასწინათ ერთი ადგილი გამოვიარეთ, სადაც მისი სახელი ახსენეს. ამ გზას, აღმა აუყვევი. იქ ბევრ რამეს შეიტყობ მასზე“. ყვავილებმა და წყარომ გაუღიმეს ჭაბუკს, ანკარა წყალი ასვეს და გზა განაგრძეს.

სუმბული კი მიჰყვა მათ რჩევას, ბოლოს, როგორც იქნა, კითხვა-კითხვით მიაღწია ასე ნანატრ ადგილს, რომელიც ბალმებისა და სხვა კეთილშობილ მცენარეთა ქვეშ ჩამალულიყო. უსაზღვრო ლტოლვით ავლსილ ჭაბუკს გული ძლიერ უცემდა. მარადისობის საუფლოში მყოფი სუმბული საამო კრთომას შეეპყრო. შემდეგ სუმბული ზეციური ნელსურნელების ტკბილმა

ბანგმა მიაძინა. მხოლოდ სიზმარს უნდა გადაეყვანა ჭაბუკი წმინდათაწმიდაში. სიზმარმა სუმბული უიშვიათესი საგნებით საესე უსასრულო დარბაზებში მოატარა, სადაც სხვადასხვა აკორდებში გარდამავალი გასაოცარი ჰანგები გაისმოდა. ასე ეგონა, თითქოს მისთვის სრულიად ნაცნობი ყოფილიყო ეს ჯერ არნახული დიდებულება. ამქვეყნიურის უკანასკნელი წმინტიც გაქრა, თითქოს ჰაერში გაიფანტაო. ჭაბუკი წარსდგა ზეციური ქალწულის წინაშე. სუმბულმა ახადა მას მსუბუქი და მბრწყინავი საბურეელი და... ვარდკოკორი მიესვენა მის ხელებში. შორეულმა მუსიკამ მოიცვა მიწურთა კელაშმეგრის იდუმალებანი, მონატრებისა და ლტოლვის ჩქერმა ყოველივე უცხო განამორა ამ აელვარებულ ადგილს.

მას შემდეგ კი, კიდევ დიდხანს იცხოვრეს ერთად სუმბულმა და ვარდკოკორმა თავიანთ მშობლებთან და მეგობრებთან ერთად. ურიცხვი შევითაშვილები მაღლობას სწირავდნენ იმ ჯადოქარ ქალს მისი რჩევისა და ცეცხლისათვის. მთელი სამყარო ბავშვებს აეცსო...

**გრემანულიდან თარგმნა
კონსტანტინე ბრეჰაქიძე**





ხიუსკინდი

ნოსტალგიური ბეჟანაძე

ზიუსახიდის ნატხია ჯითახია


სამყარო მოითხოვს ტკივილებს, ვნებებს, რადგან მას ხელახლა დაბადება სწყურია. მონატრება და სწრაფვა ძვეს ფორმის, გამოსახულის მიღმა, როგორც გარეგნული ყოფიერების წყარო. ვისაც გრძობადის მიღმა წვდომა სურს, გაბედულად უნდა აღიაროს ზეგრძობადის არსებობა. ამ აზრით, ხელოვნების ყოველ ქმნილებაში, მის ყოველგვარ გამოვლინებაში სულიერი ქმედების არსი უნდა ვეძიოთ. ხელოვნება ხომ ადამიანურ უზარის უმაღლესი და უკეთილშობილესი გამოვლენაა. გერმანელ მეცნიერთა აზრით, სიტყვა „Kunst“ (ხელოვნება) სიტყვიდან koennen (უნარი, შესაძლებლობა) მომდინარეობს. ხელოვნებას ქმნის არა ადამიანური გაგება, ნება ან ინტელექტის გარკვეული სახე, არამედ უფრო მეტად, მასში არსებული თვითნაბადი სულიერი არსების

ძალა, რომელიც ზეგრძობადის წყალობით აფორმირებს უკვე გრძობადს, ხილულს, ხელშესახებას... გოეთეს თქმით: „ხელოვნება საკუთარ ნაწარმოებს იმგვარი შინაარსი და ფორმა უნდა მიანიჭოს, რისი წყალობითაც იგი ბუნებრივად და იმავდროულად ზებუნებრივად მოგვიმვლინება“.

თეატრალური ხელოვნება ერთ-ერთ ყველაზე უფრო ემოციურ ხელოვნებად მიიჩნია, რომლის უპირატესობა ალბათ ისიც არის, რომ შემოქმედებითი და აღქმის პროცესი დროსა და სივრცეში თანხვედნილია (ლიტერატურულ ან სახეით ხელოვნების ნიმუშებისაგან განსხვავებით, სადაც ჩვენ ამ შემოქმედების უკვე შედეგს ვხედავთ). ქართულ სცენას მრავალი ავტორი ახსოვს; ამჯერად მსურს ბოლო წლებში ჩვენშიც უკვე საკმაოდ პოპულარულ თანამედროვე გერმანულზე შეეჩერდე. პატრიკ ზიუსკინდი დაიბადა 1949 წელს გერმანიის ქალაქ ამბასში შტარნბერგის ტბასთან. წერა დაიწყო მიუნხენში ისტორიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდში. ასევე მიღებული აქვს მუსიკალური განათლება, რის შესანიშნავ დადასტურებასაც წარმოადგენს მისი მონოპიესა „კონტრაბასი“ (მიუხედავად იმისა, რომ თავად ფორტეპიანოზე უკრავს). სწორედ ეს იყო მისი პირველი ნაწარმოები, რომელსაც ქართველი მაყურებელი ერთი მსახიობის თეატრ „ვერიკოში“ გაეცნო.

ეს გახლავთ მონოლოგი ერთი გაუბედავი, მაგრამ თავისი საქმის ზედმინეციით მცოდნე მუსიკოსისა, რომელიც სახელმწიფო ორკესტრში კონტრაბასზე უკრავს. ...სხვებს შეუძლიათ გუდანაბადი აიკრან. აი, უჩვენოდ კი არაფერი გამოუვა. ...შეიძლება ისიც ითქვას, რომ ორკესტრი საერთოდ იწყება იქ, სადაც ბანიც არსებობს. ...კონტრაბასი ქმნის მთელ საორკესტრო საფუძველს, რომელსაც ემყარება დანარჩენი ორკესტრი თავის დირიჟორიანად. ესე იგი ბანი არის ის საფუძველი, რომელზეცაა აღმართული მთელი ეს ღვთაებრივი შენობა. მოაშორეთ ბანი და მიიღებთ ნამდვილ ბაბილონის ენათა ქაოსს, სოფდოს, რომელშიც აღარაფერია უწყისი, რატომ უკრავს საერთოდ მუსიკას.“

კაცი, ვისთვისაც მისი საქმიანობა ყველაფერი, მისი ცხოვრებაა ეს ინსტრუმენტიც და საოცარი უშუალოებით გვიამბობს: „...კონტრაბასი დაბრკოლება უფრო არის, ვიდრე ინსტრუმენტი. ამის ტარება შეუძლებელია, ეს უნდა ათრითო და თუ დაგივარდათ, გასკდება. ...ბინაში მუდამ ფეხებში უნდა გედებოდეს. რაღაცნაირად სულელურად დგას, ისე არა, როგორც ფორტეპიანო. ფორტეპიანო ავეჯია. ფორტეპიანოს დახურავით და დაჭოვებით ასე, ამას-ვერა.“ ჩვენი საბრალო მუსიკოსი ამავე



საპექტაკლიდან „კონტრაბასი“

დროს შეყვარობილია არასრულფასოვნების განცდით და კონტრაბასის შემყურეს აწუხებს უკმარისობის გრძნობაც. მავალითადა, სხვა ადგილას ამბობს, რომ კონტრაბასი მახინჯი ქალივითაა: პატარა, უძნო მხრებით და ჩამოვარდნილი თეძოებით. მისი სახლი საესეა ამ არსების მზურით, სადაც მეგობარი ქალიც კი ვერ მოუყვანია მისი ექვიანობის შიშით. „... ქალითან მარტო ყოფნა გინდათ — ეს ავერაა აყუდებული და ყველაფერს თვალყურს ადევნებს. ...სულ ისეთი გრძნობა გავიქვ, თითქოს დაგციონთ, აქტს მასხრად იგდებს“... იგი გაბრაზებული კაცის ტონით ლაპარაკობს, რომ კონტრაბასზე დაკერვას საოცარი ძალისხმევა ჭირდება, მცირე ბგერას გამოსაცემდაც კი; რომ თითქოს არ არსებობს სოლოპარტიტივი კონტრაბასისათვის და რომ ის „შავი სამუშაოსათვისა“ შექმნილი. „ამიტომ ვამბობ, რომ ორკესტრი ადამიანთა საზოგადოების ანარეკლია. ერთგანაც და მეორეგანაც იმით, ვინც ისედაც შეე სამუშაოს ასრულებს, სხვები... აგდებით ეკიდებიან. საზოგადოებაზე უარესიც კი არის (ორკესტრზე ვამბობ), იმიტომ, რომ საზოგადოებაში ...შეიძლება მქონოდა იმედი, რომ ოდესმე იერარქიის კიბეს ავიდოდი და ერთ მშვენიერ დღეს პირამიდის მწვერვლიდან გადმოვხედავდი ამ ქალუებს... ამის იმედი შეიძლება მქონოდა... მაგრამ ორკესტრში არავითარი იმედი არ არის. იქ ოსტატობის უსასტიკესი იერარქია პატრონობს, ერთხელ მიღებული იგი გადანყვებილობის საშინელი იერარქია... ცხადია, იყო, ასე ვთქვათ, გადატრიალებებიც. უკანასკნელი მათგანი დაახლოებით ასორმოცდაათი წლის წინ მოხდა ადგილების განლაგებაში. ...კონტრაბასებს ამან ვერაფერი მოუტანა, მაშინაც უკან ვისხედით და ახლაც.“ — დაახლოებით ამგვარია ცხოვრებისაგან განწყენებული პატარა კაცის ფიქრები, რომელსაც მთელი არსებით უყვარს მუსიკა და მას ყველაფერზე მაღლა აყენებს: „მუსიკა მეტაფიზიკურია, ე.ი. ნამდვილი ფიზიკურის მიღმა არსებული, რომელსაც გონებით ვერაფერ ჩასწვდება“...

მას სურს როგორმე შეამჩნიონ, მას სიყვარული სწყურია. „არავის ესმის ჩემი... არავის!“ — ამბობს იგი და სინანულით იხსენებს პაეროვან ქალბატონს — მომღერალ სოპრანო სარას, რომელიც ყურადღებას არ აქცევს, თუმცა არც კი იცნობს მას. „მართალია, არ მიცნობს, მაგრამ... მისი ერთადერთი გამართლება სწორედ ეს არის“... მუსიკოსი კი რომანტიკულ ფერებში ხატავს მასთან ურთიერთობას და ეჭვიანობს კიდევ ტექნიკურ დირექტორზე, ვინც მუდამ მის გვერდითაა და ყველგან მიაცილებს ქალს. თავად კი ნაღვლივს, რომ მისი ნამღერი ერთი ნოტიის ალექსი კი არ შეუძლია.

მთელი ეს მონოლოგი, რომელიც საესეა ტკივილით, ალუსრულებელი ვნებებით, მონატრებითა თუ შემოქმედებით სწრაფით (თუმცა არ კარგავს სიმსუბუქისა და იუმორის განცდას), სრულდება ისევე რალაციის შეცვლის, ამ მონოტონური სიტუაციის რღვევის სურვილით და ჩვენი გმირი იღებს გადაწყვეტილებას, საღამოს, კონცერტის დაწყების წინ ატეხოს მხალხი და ვნახოთ, მაშინაც თუ არ მიაცქევენ ყურადღებას, აი მაშინ კი შეძლებს საზოგადოების გაოცებას. „და ამ გზით რომც ვერ მოვიპოვო სარა, დავინყებთ მაინც არასოდეს საზოგადოებას. მისი კარიერის, ცხოვრების თანმდევ ამბად ვიქცევი, ეს კი მიღობს ამ ყვირილად.“ მონოლოგი მთავრდება სიტყვებით: „ნავალ ახლა ოპერაში და დავიყვირებ, დავიყვირებ!... თუ გაებედვ, ხვალ გახუთებიდან შეიტყობთ. ნახვამდის!“

ამ უხვი ციტირებით მსურდა მკითხველისათვის კიდევ ერთხელ შემეხსენებინა პატრიკ ზიუსკინდის ფაქიზი ენის სისხარტე და მისი ესთეტიკის სინატივი (დამსაზურებას მისი მთარგმნელს დავუკარგავთ, მაღლობა ბიძინა რამიშვილს). 1981 წელს მიუნენის თეატრალურ სცენაზე დადგმის შემდეგ ეს მონოლოგი ყველაზე ხშირად დადგმულ გერმანულ ნაწარმოებს მიეკუთვნებოდა მთელ ევროპაში. და გერმანული მედიის გამოხმაურებისა არ იყოს, ზიუსკინდი ამ ნაწარმოებით ღვთისგან დავინყებულ მუსიკოსის ოთახში ვაჭყოფებს და გვაიძულებს მასთან ერთად გვეტიკოვდეს და განვიცდიდეთ. მისი ენობები ხომ სწორედ იმ მისწრაფებებს განასახიერებენ, რომლებიც კითხვისას ცოცხლდება ჩვენში: თავისუფლება, ყოველდღიურობის ორომტრიალიდან გაღწევა, სხვებისგან ალიარების სურვილი, სიყვარულისკენ სწრაფვა და ა.შ.

კარგად თქვა დოქტორ რიხარდ კარუცმა წიგნში „Die Sprache der Kunst“: „არანაირ გარეგნულ გამოცდილებას არ შეუძლია განსაზღვროს, თუ როგორ ხელნაწიფება ხელოვნებისმიერ მოვლენას ხელოვნებასა და საგანს შორის შეჭრა (შელნევა); მხოლოდ შინაგანი

გამოცდილება ხედავს იმ ნაკადს, რომელიც მინისქვეშა არტერიასავით, გარეგნულად უხილავი, უწყვეტი, ზეცნობიერად მიედინება ორივე მათგანს შორის და პოულობს იმ ადგილს, სადაც იგი მასალის შემოსაზღვრულობის გამო, აღმასვლით იღწვის, ბობოქრად მოხშუის დღის სინათლის შესახვედრად და დედა-მინაზე ხელოვნებად განსხეულებება." სწორედ ამ შინაგანი ბობოქრობის წყალობით, იქცევა მანამდე ათასჯერ განმეორებული ალქმა ვასაოცარ შეცნობად და სასურველ მიბაძვად, ანდა შემთხვევით მოთამაშე მტრისი-სახედ."

ალბათ ასეთ ბედნიერ თანხვედრად უნდა ჩათვალოს დრამატურგიული ნაწარმოები და თეატრი. თბილისში მეორე ცდა იყო თეატრალურ სარდაფში განხორციელებული დადგმა „კაფე როსინი“ ზოუსკინდის კინოსცენარის „როსინი“-ს მიხედვით, რომელშიც მან 1996 წელს რეჟისორ პელმუტ დიტლთან ერთად მიიღო პრემია საუკეთესო კინოსცენარისათვის.

რახვა ეს ნაწარმოები ისევე და ისევე ადგილის ძიება სოციალურ სივრცეში, ქეძმარიტი თუ მოჩვენებითი ღირებულებები და ა. შ. კაფე "როსინიში" იკრიბება კინოინდუსტრიის ელიტა. ურთიერთობებში ვლინდება მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები, მაგრამ ყოველდღიურობის ამპოებაში ჩაფლულ ამ ადამიანებს თითქოს ავიწყდებათ, რომ ხელოვნებას ემსახურებიან. თავის პირველხანებში, ანუ სულიერის მოწყვეტილი ხელოვნება ეკოისტური სურვილების ამბარ რჩება და ცხადია, განწირულია სწობიზმისათვის. ალბათ ეს არის ჩვენი დროის ერთ-ერთი ნიშანიც: არაგულრწფელობა, სწობიზმი... მაგრამ ზოუსკინდი ხასიათების საოცარი მხატვარია უპირველეს ყოვლისა, რაც ზოგადსაკაცობრიოა და თავისთავად ეს ხასიათები თავისი პრობლემებით არის ჩვენთვის მიმზიდველი და საინტერესო. ავტორი მუსიკოსის გაუაქიზებული სმენით აღიქვამს ყოველდღიურობას და უხილავი მესამე თვალთი ქვეყანას, და ალბათ სწორედ ამიტომაც, ერთი მხედველი, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი არასოდეს არის მის ნაწარმოებში ბანალური.

პატრიკ ზოუსკინდი XX ს-ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალია და მისი ნაწარმოებების გამოჩენა ქართული მკითხველისათვის მაყურებლისათვის ყოველთვის სასიხარულოა. მისი რომანი „Das Parfum“ ხომ უკვე კარგა ხანია ბესტსელერად იქცა. ის შეიძლება მოგწონდეს ან არა, მაგრამ გულგროლს არავითარ შემთხვევაში გტოვებს.

ციურხის „Tages Anzeiger“-ში ვკითხულობთ: „ის, რასაც ზოუსკინდი აღწერს, შეიძლება არა მხოლოდ სუნით იცნო ან შეიგრძნო გემოთი, დაინახო ან გაიგონო; იგი ხელოვნაა,



ვისაც ძალუძს ღატაკი, გაქრობისათვის განწირული ცხოვრება თავისი უდიდესი დრამატიზმით წარმოაჩინოს".

პატრიკ ზოუსკინდმა სწორედ ამ უნარ-თვისებებით უკვე დაიპყრო მსოფლიოს მკითხველთა გულები. მისმა რომანმა კი საყოველთაო რეველუცია მოახდინა, შეარყია რა ჩვენი ცნობიერება ემოციის ძალით. რომანის მთავარი გმირი, ჟან ბატისტ გრენუი, ეს არავისთვის სასურველი ბავშვი ემბისმიერი „სუნისა და გემოს“ გარეშე, შემდგომში ცნობილი პარფიუმერი, უტიფრად დასცინის მიუღ საზოგადოებას. ეს არის პირობითი პერსონაჟი, რომელსაც ყოველგვარი არომატის შექმნის უნარით სურს ძალაუფლების მოპოვება საზოგადოებაზე. ორიგინალური ფორმით და მისთვის ჩვეული მოქნილი სიტყვით გვიხატავს ავტორი, თუ რაოდენ უსარგებლო ტვირთად შეიძლება იქცეს უსიყვარულოდ ჩასახული და ქვეყნად მოვლენილი ადამიანი საზოგადოებისათვის და იგი ასევე უკვალოდ და უმიზნოდ ქრება, როგორც მოველია ქვეყანას. თუმცა არაერთი ტკივილი თუ ვნება მიაყენა ადამიანებს, რადგან სასურველი არომატის მისაღებად ის ნებისმიერ ხერხს იყენებს, მათ შორის ყველაზე სადისტურს. თავად კი, როგორც „უსუნო“ არსება, მუდამ გულგრილი რჩება. ყველაზე მთავარი აქ, ჩემი აზრით, არის ის მუხტი, რომელიც კითხვისას გითრევს და ბოლომდე აზრის ტყვეობაში გაქცევს. და თუმცა მისი გმირი, ამ შემთხვევაში, დაცლილა ყოველგვარი „სუნისაგან“ ანუ გრძობისაგან, პატრიკ ზოუსკინდის ნაწარმოებებს კი სწორედ განსაკუთრებული „სურნელი“ გამოარჩევთ სხვათაგან.

ამჯერად მის სრულიად განსხვავებულ ნაწარმოებებს შევხებით, ვრცელ მოთხრობას „ამბავი პატოს ზომერისა“. ადამიანური სე-

დით, სიყვარულითა და თანაგრძნობით გან-
მსჭვალულ ნაწარმოებს, რომელსაც მთავარი
გმირის სახით, მოგვითხრობს მოზარდი ყმაწ-
ვილი. გადმოგვცემს საკუთარ ტკივილებს,
განცდებს, სიხარულს და ჩვენს თვალნი
ცოცხლდება დედამინის ზურგზე ყველა მო-
ზარდის ტკივილი თუ განცდა. ისინი დროთა
განმავლობაში მეტ-ნაკლებად ცნობიერდება,
ხოლო მკითხველის წინაშე გადაიშლება ფსი-
ქოლოგიური ნააზრევის არაჩვეულებრივი ხა-
ტოვანი ნიმუში; — ცოცხალი და ახლობელი.
ამ ყმანვილის ცხოვრება იმლება ბატონი ზო-
მერის ცხოვრების გვერდით და, შეიძლება ით-
ქვას, მის ფონზე. ეს არის კლასტროლობით
ანუ დახურული სიერცის მიმართ შეპყრობილი
მოზუცი კაცი, რომელიც „ბევრს დასიერნობს“
ანუ სულ ფეხით დადის; ვისაც გარემომყოფ-
თა თვალთ იხე შეჩვევია, როგორც „პეიზაჟის
განუყოფელ ნაწილს“. მისი არსებობა თუ ტკი-
ვილიანი გამომეტყველება მნიშვნელოვან გავ-
ლენას ახდენს ყმანვილი კაცის ფსიქიკურ-გან-
სვითი ფორმირებაზე. ალბათ შემთხვევითი არ
იყო, რომ გარემო მყოფთა უსულგულობით
სასონარკვეთილ ბიჭს სწორედ ბატონ ზომე-
რის სახის დანახვამ გადააფიქრებინა თვით-
მკვლელობა და ხიდან გადმოვარდნაზე ხელი
ააღებინა.

ასევე, ეს ყმანვილი გახდა ერთადერთი მოწ-
მე თავად ბატონ ზომერის ტბაში გაქრობისა.
იგი იხსენებს მის სიღუფტეს მთავარის შუქით გა-
ნათებულ ტბის ფონზე რომ მოჩანდა, როგორც
„ვინმე საპყარი ობელისკის ჩარჩოში“, თავისი
ჯოხით და თავზე ჩალის ქუდი. მან ნელ-ნელა
მოდრიაბა დაიწყო ტბის სიღრმისკენ და საბო-
ლოოდ გაუჩინარდა, ტბის ზედაპირზე კი მხო-
ლოდ მისი ჩალის ქუდიღა დარჩა.

ორი კვირის შემდეგ, ქირის გადახდის დრო
რომ მახსოვდა, მხოლოდ მაშინდა გაასვენდა
დაიახალისა იგი; მეთვეზე რიდლის გეულეას,
ვისთანაც ბატონ ზომერს სხვენი ჰქონდა და-
ქირავებული. დაბოლოს, გაჩნდა განცხადება
გაზეთში ბატონ ზომერის ძებნის თობაზე მი-
სი უძეტუი საპასპორტო სურათით, რომელ-
ზეც მას ველარ იცნობდნენ, მასზე ხომ „ახალ-
გაზრდა კაცი იყო გამოსახული ჯერ კიდევ შავი
აქოჩრილი თმით, გამჭოლი მზერითა და თვით-
დაჯერებული, თითქმის კანდიერი ღმილით.“
სურათის ქვემოთ ასევე შეგუძლით პირველად
ნაგვეთხათ ბატონ ზომერის სრული სახელი:
მაქსიმილიან ერნსტ ვედიუს ზომერი.

რა მითქმა-მოთქმა არ ატყდა ბატონ ზომე-
რის იდეალური გაქრობის შესახებ, რა აზრი არ
მოსდიოდათ თავში... ტბასთან კი არავინ მოსუ-
ლა „და ვიდრე გაზეთი გაყითოლდებოდა, ბა-
ტონი ზომერი უკვე დაეინყებას მიეცა.“ თუმცა

არც მანამდე ენალვლებოდათ, — გვეუბნება
მთხრობელი.

თავად ყმანვილს კი აზრადაც არ მოსვლია
მოთხრო, რაც იხილა. არც ოჯახის წევრებს
და არც უახლოეს მეგობარს გაუზიხია, რაც
იცოდა; არც იმ დღეს და არც შემდგომ. ნეტავ
რატომ? — ფიქრობს თავად, ეს არ იყო არც
დანაშაულები გრძობა და არც სინდისის ქენ-
ჯნა: „მე შეუძანებია მისი ამოოხვრის გახსენებამ
ტყუმი, ნვიმის ქვეშ მისი აკანკალებული ტუ-
ჩების გახსენებამ, მისმა მუდარამ, ბოლოს და
ბოლოს დამანებეთ თავი“ — და თავად იმის
გახსენებამ, თუ როგორ ჩაიძირა ბატონი ზო-
მერი წყალში, დუმილი მაიძულა.“


ადამიანის გაუცხოება სამყაროში არის
პატრიკ ზოუსკინდის მარადიული თემა სხვა-
დასხვა ნოველებში, რასაც იგი ყოველთვის
საოცარი სიფაქიზით გადმოგვცემს და კიდევ
ერთხელ დაგვაფიქრებს: რანი ვართ, საიდან
მოესულვართ, ან საით მივდივართ...

„ბატონი ზომერი მღუმარედ მიაბიჯებს
აჩქარებული ნაბიჯით სოფლიდან სოფელში
ცარიელი ზურგანითა და გრძელი უცნაური
ჯოხით; ლანდივით დახეტებება ლანდშაფტსა
და ახალგაზრდა კაცის დღისა თუ ღამის ზმა-
ნებებში...“

როდესაც პატარა ბიჭი უკვე აღარ დაცო-
ცავს ხეებზე, მხოლოდ მაშინღა ქრება იდემა-
ლებით მოცული ბატონი ზომერი. — ნათქვა-
ნია ჰამპტრიჯის „Spiegel“-ში.

მისი ნატიფი იუმორი თუ სევდა, თხრობის
უშუალო მანერა საოცრად ახლობელი და ად-
ვილად აღსაქმელია თანამედროვე მკითხველ-
თათვის.

მისივე ესეი (დაკვირვებად ნოდებული)
„ლიტერატურული ამწეზია“ რომ მოვიშველი-
ოთ: „აი უკვე ოცდაათი წელია კითხვა ვიცი
და ამ ხნის მანძილზე აუარება თუ არა, საკმა-
ოდ ბევრი წიგნი მაინც წამიკითხავს და ერთა-
დერთი, რაც მახსოვს ბუნდოვანი მოგონებაა...
ოცდაათი წელი სულ ტყუილად ვკითხულობ-
დი! ჩემი ბავშვობის ათასობით საათი, ყმანვი-
ლობისა და ახალგაზრდობის წლები კითხვაში
გავატარე და მესხიერებას არაფერი შემორჩა.
...მაგრამ იქნებ კითხვისას (ისევე, როგორც
ცხოვრებაში) ჩვენი შეხედულების ფორმირება
და მკვეთრი ცვლილება მსოფლმხედველობა-
ში არამცხდარად ფარულად მიმდინარეობს —
თავს ვიძვირებდ ხოლმე ხანდახან“. — და ალ-
ბათ არც უსაფუძვლოდ, ვიტყვი ჩვენ და მი-
სი წიგნები სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება,
ესოდენ ძლიერი მადორმირებელი უნარი რომ
აქვთ ჩვენს ფსიქიკაზე.



ვაჟა-ფშაველა

ზაყარ
ჭაყაძე

ნამსახური

(პოეტის ავტობიოგრაფია, ნიკო
ბაჩანაძე) და სანდრო რაზიკაშვილის
ნაირღვაობი მისი ნაწარმოებების და დისკუსია

ვაჟა-ფშაველა ჯერ შელის ნუკრმა აღმოაჩინა, შემდეგ გორმა დამანახა დიდებული ქართველის საოცარი სახე, რომლის ხშირ აბურდულ თმას არც მაკრატელი შეხებია და არც სავარცხელს უნაეარდია. ამიტომაც ვერ იპოვეთ იმ დროს გადაღებულ მის პორტრეტს, სადაც თმა უკან შექონდეს გადაყრილი. ყველა ფოტოზე ლამის წარბებამდე ჩამოზრდილი ქოჩორი კიდევ უფრო საჩინოს ხდის პოეტის ღირსებას და სიღაღეს. თუმცა არსებობს ფოტო, სადაც ფაფაზი აქვს თავზე დამსობილი. ქართველთა ეს თავსაბურავი პირველად მთამ შეკერა და მთასავით მოირგო თავზე. არის მასში რალაც წარმართული და საოცრად შეუცნობი, რომელიც მუდამ გაფიტვებინებს, რომ იმ ბუნებრივ მგოსანს წინაპართა აჩრდილებთან გაუბამს კავშირი და გონებაც წარსულიდან იღებს საოცარ საზრდოს. ასეთი მისნობა ყველას არ ძალუძს და

ამიტომ მიჭრებთა წარმართულ ღვთაებად, რომელიც მხოლოდ ფშავეს მოგვლინა, რათა დაეპყრო ქართველთა ნუთისოფელი.

გორის საისტატიო სემინარიამ მადლიანი უბე-მკერდი გაუხსნა ლუკა რაზიკაშვილი, რომლის მსოფლმხედველობა სწორედ ამ ქალაქში ჩამოყალიბდა, ამიტომაც მღეროდა მგოსანი:

„ქართლო, დარდების ამშლელო,
გულ-მავარ ძეთა მხარეო!
რო გნახე, გული აძგერდა,
ფიქრი შეწვია მწარეო.
არა ესთქვა, ისა სჯობია,
გულშივე დარჩეს ბარეო.
დავჯე, დავინყე ტირილი,
ცხარე ცრემლები ვღვარეო.
ათას დარდებში გამხვიე,
ლაშაზო არეშარეო.“

ახსოვს ქართლის მიწას ეს ცრემლები, ახსოვს გორის ქუჩებს მისი ნატურფალები, ახსოვს ნიქოზს და ატენს სანთლით განათებული ახალგაზრდა ფშაველის ფიქრიანი სახე, უფლისციხის კლდოვან დარბაზებში მისი ხმა ექოდაა შემორჩენილი.

„ვაჟაფშაველიანას“ ტვირთი ნახევარი საუკუნე ეზიდდა, ავად თუ კარგად, აქამდე მოვიტანე, სწორედ იმ ალიზის ქოხში დაინერა რომანი, ახლა რამდენი ფოტოსურათი გამოიზრეო, ყველა უცნობი დოკუმენტი გადავიღე და შევუნახე მთამომავლობას. ბევრი რამე დაკარგულა, ბევრ ყურნალისტს აურევია ხელი იმ გადარჩენილ დოკუმენტებში, ბევრიც თვალთაგან მოუფათურებიათ და რაც გადაარჩა, სწორედ მათ გამოუქვეყნებას ვაპირებ...

პირველი ხელნერილი ჩნდება იმ დროიდან, როცა ლუკა რაზიკაშვილი ჯერ კიდევ სამი წლის იყო.

ი თვით დოკუმენტი:

„ხელნერილი“

ჩყდ-ს წელსა სეკდემბრის ივ დღესა მე ქვე-მორ ხელისმომხრელმა თიანეთის ოკრუგის სოფელ ქიჩოს ცხოვრებულმა სახელმწიფო ყმა-მა ბესო გულბათის ძე ჩოლოვაურმა და შეიღია ჩემთა ბერო და მწარიამ მოგყიდე ჩემი საკუთარი ვენახი ნასყიდობით მიღებული მდებარე სოფელს ახმეტას თქვენ ამავე ოკრუგის სოფელს ჩარგალს მცხოვრებელს სახელმწიფო ყმასა პაულე (ვაჟას მამა) გიორგის ძე რაზიკაშვილსა და შეიღია შენთა გიორგი (უფროსი ძმა) და ლუკას (ვაჟა-ფშაველა). აქაურ მიჯნები: დასავლეთით — სასოფლო შარა გზა, სამხრეთით მდინარე ორველი და ჩრდილოეთით დემეტრე ნადირაშვილის ვენახი. მიჯნებს შუა არის ცოტა რამ ვენახი ციხილა ჩოგაურისა, სადაცა კაკლები უდგა თავისა და მიჯნები არის ჩასმული ოთხი-საივ კუთხვით, ხოლო ამასაივ გვერდზედ ცარიელი მამული არის ნახევარი პავლე რაზიკაშვილისა და ნახევარ ჩოგაურისა. მივიღე ფასი ოცდა ორი თუმანი თეთრი და ეს მამული არა ფრადმი არა დარე და არც დაგირავებული. ხოლო უკეთუ მოდავე ანუ მოლაპარაკე გამოჩნდეს ვინმე, მაშინ პასუხისმგებელი ჩვე, ჩოლოვაური ვიყენეთ და ეს მამული ვენახით გაშენებულ თავზედ

მინდრითა სწორედ მოგვიდეთ თქვენ რაზიკაშვილებს და ფული სრულებით მივიღეთ ოცდაორი თუმანი და მასზედ ხელს ვანერ ბეუს ჩოლოგაური.

ვაგა-ფშაველას ქონებას ჩარგალში ერთი ბელურაც აიკიდებდა და ცხრა მთას იქით ვადაფრენდა. არსებობა ხომ უნდოდა ოჯახს, ამიტომ ნელნელა ფებს იღვამდა, რომ შიმშილით არ დახოცოდა ცოლ-შვილი. იქ, თიანეთში ყიდულობდა აბრამ აკოფაშვილისგან ხუთი მანეთის „ლისტს“ თავისი პროცენტებით, ჩარგლისკარს ნადირა ბაიაშვილისგან შვიინა სახლი, ქვემო ქედში ნაყიდი მამული გასცა იჯარით, მეზობლის ქვრივისგან იყიდა გომური.

„კვიტანცია“

1910-სა წელსა ნოემბრის ოცდაშვიდსა მე ამისა ქვემოთ ხელისმომწერელი თიანეთის უეზდის თიანეთის საზოგადოებო სოფელ თიანეთში მცხოვრებელი აბრამ იაკოფის ქე აკოფაშვილი გაძლევდ ამ ხელწერილს თქვენ თიანეთისგან მახარის სოფელ ჩარგალში მცხოვრებელ ლუკა პავლეს ქე რაზიკაშვილს მასზედ, რომ რომელიც მე მოგვიდეთ ახმეტის საზოგადოებაზედ დაკისრებული ოცდაჩვიდმეტი თუმანი და ხუთი მანეთის ლისტი თავის პროცენტებით და სუდებნი ზავედენი დელო იზდერმეებით ლისტი არის 1907 წ. სხანის თავს 20-სა #6516. იმ სუმაში მაქვს მიღებული 1909-ს წელს ავეისტოს 24-ს 13 თუმანი და ხუთი მანეთი და კიდევ 1909-ს წელს დეკემბრის 28-სა ერთი თუმანი, რომელიც ეს თითხმეტი თუმანი და ხუთი მანეთი თქვენგანით მიცემული რაზიკაშვილი და მოკეცული ხელწერილი ხედ.

ზედ მიწერია: და დღეის რიცხვში კიდევ მივიღე ჩვიდმეტი თუმანი 170 ჰ. ხოლო კიდნა უნდა მივიღო, რომელიც დანრომილია, ცამეტი თუმანი. ეს ცამეტი თუმანიც უნდა მივიღო დღეის რიცხვიდან და მოკიდებული სამი კვირის გასვლამდე; რაზედაც ხელს ვანერ: აბრამ აკოფაშვილი. 1911-ს წელს თიანეთის 28-ს. კიდევ მივიღე რაზიკაშვილიდან სამი თუმანი, რომელიც კვიტანციაზედ მივაწერე ამავე რიცხვით: აბრამ აკოფაშვილი.

1911 წელსა, 25-სა ენკენისთვის მე ამის ქვემოთ ხელის მომწერმა ლუკა პავლეს ქე რაზიკაშვილმა ვიყიდე ჩარგლისკარს სახლი მთელი თავისი მასალით და რაც შიგ არის კოდეტი, თუ ქვევრი, თუ ფიცრები მუხისა და წიფლისა და აგრეთვე ზარი შენ ნადირა ღვთისაგარის ქე ბაიაშვილისგან სამ თუმან ფულად. ამიერდან არა მაქვს ნება მე ნადირა ბაიაშვილს ან სხვაზე ვიზედმე ვაყიდო ეს სახლის მასალა ვეშულებების გარდა და თუ ვაყიდე ხუთი თუმანი ჯარიმა გადავიხადო შენ ლუკა რაზიკაშვილის სასარგებლოდ. რომელზედაც ჩემ საკუთარ ხელს ვანერ: ნადირა ღვთისაგარის ქე ბაიაშვილი.

რადგანაც ამან წერა არ იცის ამის თხოვნი ხელს ვანერ: ოსა ზურაბაშვილი.
ხელწერილი

1913 წელსა, ივლისის 1-ს გაძლევ ამ ხელწერილს მე ამისა ქვემოთ ხელის მომწერელი ქვემო ქედში მცხოვრებელი, სიღნაღის მაზრისა ნადირა ბაიაშვილი, შენ, ს. ჩარგალში მცხოვრებელ ლუკა პავლეს ქე რაზიკაშვილს მასზედ, რომელიც, როცა მე ქედში ვადმოვსახლდი ჩარგალში რაც სახლი მქონდა სადგომი და საცხოვრებელი და აგრეთვე ნახევარი ხილი ნამყენები, მოგვიდე შენ, ლუკა რაზიკაშვილს, რადგანაც ამ ნამყენების მეორე ნახევარი მივიყიდ ოსას გეჯვას ქე ზურაბაშვილს, რომელმაც შეისყიდა გომური და როგორც შენგან, ისე იმისგან მივიღე სრული სასყიდელი ე. ი. სამი თუმანი. ამიტომ ეს ხეხილიც უნდა შუაზე გაიყო, რომელზედაც ჩემ საკუთარ ხელს ვანერ: ნადირა ბაიაშვილი

ამ ხელწერილს ვამომწებ ქვემო ქედის მამასახლისი ხელის მოწერით და სახელმწიფო ღერბის დასმით: დანდაი (ხახა) საური

პირობის წერილი

1914 წ. 27-ს დეკემბრისთვის დავედით ურთიერთობის ხელწერილი ჩვენ ამის ქვემოთ ხელისმომწერთა ქვემო ქედში მცხოვრებელთა, ერთის მხრით ლუკა პავლეს ქე რაზიკაშვილმა და მეორეს მხრით, ილალო ბატარაკაცის ქე გურასაშაულმა და ივანე ბერის ქე მარტიაშვილმა მახედ, რომელიც მე, ლუკა პავლეს ქე რაზიკაშვილმა ვადმოვცეით ქვემო ქედში ჩემი საკუთარი მამული ხუთმეტი დესეტინა მინა ზემო სხენებულ პირთ ლალით ოც კონ წმინდა პურად ნეონინადში სამის წლის ვადით. ყოველ წლივ ჩვენ, ილალო გურასაშვილი და ივანე მარტიაშვილი მოვალენი ვართ ორივემ ათ-ათი კოდი საუკეთესო წმინდა პური ჩავაბაროთ ყოველ წლივ შენ, ლუკა რაზიკაშვილსა და უკეთეს ერმა ჩვენგანმა უარი განაცხადა ღალის გადახდაზე, მეორემ ვიკისროთ პირველის ხარჯი. ამ ხელწერილს დაინება ორი პირი, რომელიც ერთი აქვს ლუკა რაზიკაშვილს და მეორე ივანე მარტიაშვილსა და ილალო გურასაშვილსა. თანახმანი ვართ და ჩვენს საკუთარ ხელს ვანერთ...

1917 წ. მარიაშვილის თვის 19-სა მივიღე მე ამისა ქვემოთ ხელისმომწერმა ლევან ლუკას ქე რაზიკაშვილმა ოცი თუმანი ილალო გურასაშაულისგან და ივანე მარტიაშვილისგან (თითოსაგან ათი თუმანი ორი წლის ლლა). რაც შეეხება დანარჩენი, უნდა ეკითხოს სოფელს და თუ მეტი გამოსავალი ჰქონდა იმ ორ წელში, მაშინ მოვალენი არიან მოიჯარადრეები გადაიხადონ ჩვენს სასარგებლოდ დანარჩენი.

კვიტანცია

ესე მოგვიცე ამ 1914 წ. 18-ს დეკემბერს მე ამისა ქვემოთ ხელისმომწერელმა ს. ბონახში მცხოვრებელმა ეთერმა — გიორგი რაზიკაშვილის (ვაჟას ბიძაშვილი) ქვრივმა მასზედ, რომელიც ჩემი მეუღლის გიორგი რაზიკაშვილის სიციხლითვე მოგვიდეთ ჩარგალში ჩვენი საკუთარი გომური და სახლი. ამისა სრული კმაყოფილება მივიღე შენ ლუკა პავლეს ქე რაზიკაშვილისგან, რომელზედაც ჩემ საკუთარ ხელს ვანერ: ეთერი გიორგი რაზიკაშვილის ქვრივი.

რადგანაც ამან წერა არ იცის და მისი თხოვნით ხელს ვაწერ და მოწმეც ვარ: ივანე ბიტარას ძე მოლოდინაშეილი."

ამ ცხად-სიზმარიანში, ამ გულთბილ საუბარში ვერ შევამჩნიე როგორ ჩამოიშობო თავზე ფეფავსი ვაჟამ, თითქოს ცაზე ჩამოკიდებულ მწიანობად გადაიქცა ის ქუდი, მერე წელწელა ჩინელდა და როცა გამოსახულება მავ-თეთრი ვახდა, თვალთვანი გაჰქრა. გული ჩამწნდა, როგორ მიწილდა ერთი წელიწადი მაინც არ მოშორებოდა თვალსანიერს, რამდენ ამბავს გაიხსენებდა, რამდენჯერ ამოიმღერებდა!..

ვაჟას უმცროსი ძმა სანდრო შემომრჩა ხელთ, მგოსნის მონაგრის ერთადერთი იმედი და გულთბილი ადამიანი. მისი ცხოვრების გატეხილამ დამარწმუნა, რომ ძმებს ერთნაირი გული ჩაუდგა დამბადებულმა, ოღონდ არც ერთი არ იყო ჩანაწელებული, ყველა მზესავით ბღვრიალებდა და მზად იყვნენ გადაფარებოდნენ მოყვასს.

ოღონდ ეგ იყო, ალექსანდრე არ წერდა და არ აქექებდა ნაწარმოებებს. სინამდვილეში არ მგვადნო ფეხველი, რომელიც კალამს არ მიწვედნოდა, მელნით არ მოესერა თითები, მაგრამ ალექსანდრე ვერ ბედავდა ძმებისთვის ეჩვენებინა ნაფქრ-ნააზრევი.

ლევანის დახვერცის შემდეგ სანდრო და მისი დისშვილი მისა შემორჩა იმედად გაუბედურებულ ოჯახს, რომელსაც მათი დახმარებით ედგა სული. სანდრო იყო მათი დამრიგებელი და შემწე, თბილისის ფოსტაში დიდი თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ მაინც ცალი ხელი გორისკენ ჰქონდა გამოწვდილი.

ან რა დაავინყებდა ფოსტის მოხელეს ძმისშვილის სახეს, ლამაზი ქაბუკი იყო, აუ თვალს არ ენახებოდა, აკი ნახა ავმა თვალმა და გათვალა კიდევ. ვეფასაც ახარებდა შვილის მშვენიერება, თბილისის ყველა რედაქცია ჩამოატარა, ნახეთ რა შვილი მყავს, როგორ მზესავით ანათებდესო. ოღონდ ლექსს ახლოს არ სურება, კალმის კვანძზე არ სურსო. აბა რა იცოდა მამამ, რომ ლექსი შვილსაც ანამებდა, რითმებსაც დაეძებდა და მამა-ბიძებივით ფანდურზედაც აბღერებდა გულით ნათქვამს.

ლევან რაზიკაშვილის ოჯახს შემორჩა ერთადერთი ლექსი:

ქართველ დედას

ბევრი ვნახეთ ჭირი, სევდა,
მტერი ცრუ და ავის მქნელი,
გვერდში გვედგა ქართლის დედა,
ლომდებოდა ლოცვით ხელი.
ავ ზავნიდა შეილებს ომში:
— არ დამინდოთ, ხოცეთ მტერი,
ავგარიდეთ ცრემლი, თოში,
ასახელეთ ერი, ბერი,
მზე ამრავლეთ ქართულ დროშის,
კალოზზე — ძნა და კვერი,
ხმელი ნიფლის ფეხებს წყალი
ასხურეთ და გაახარეთ.
არ დახაროთ ომში ხმალი,
მინას სისხლი დააღვარეთ,

გახარებდეთ ბუხრის ალი,
მამულს მკერდი დააფარეთ.
და დაფასდა ლეანლი მისი,
გულში გვიდგას სიხარული,
ავგაცილა დარდის ნისლი,
ჩაგვინერგა სიყვარული
შვილის ლექსი რად უნდა გავგვიკვირდეს, ვაფა-ფაშვილს ნამობი ულექსოდ როდი გადაუმუნდებოდა. შვილი კი არა შეილიმელიც, ვაჟას მიერ დედის მუცელში მონათლული ლუკა რაზიკაშვილიც უმღეროდა აკაკი წერეთელს:

გულში გვინთხარა ხატადა,
როგორც ნუგეში დედისა,
შენც ავატირა ბევრჯერა,
სიმწარემ ქართლის ბედისა.
ბევრს აუხილე თვალები,
ბევრს გაუთენე ბნელია,
დააბურადე მშვირი
და გაუმართე ხელია.
დღეს ოქრო აწვიმს მთაწმინდას,
ცრველებს აღარ ღვრის სულიკო,
ცისკენ მიფრინავს მერანი —
ადრე რომ დაკარგულიყო.
შენი ჩონგური ხმანოხს,
მტერი ავად რომ უმზერდა,
ღმერთის ნაკურთხი ლარები
დაფინადა ხალხის გულზედა.
მოშავლის რწმენად ააგე
სიკეთის ხიდის მადლია,
ხალხს ტირილით დამწვარო,
კაცურის კვირის ნათლიავ,
გეომებოდნენ, არ გატყდი,
დავებო ქვეყნის არჯაღმ,
მტრის ძულში შურისძიებად
შეიჭრა შენი ხანჯალი.
დღეს პაპანუხის ხმაც ერთობ,
შენი დიდების განთიადს,
ჩვენს ჭერქვეშ როგორც სანთელი
შენი სახება ანთია.

შეიღმვთლიც წინაპარივით ფანდურზე მღეროდა, ფანდურზე მომღერალი გაუზარელი ნავიდა ამ ნუთისოფლიდან.

ლევანი გორის დაზარებულების საქმის მწარმოებელი ვახლდათ, უნდა იხილო მისი ხელწინარი და ამოთქვამ აუცილებლად, მარჯვენა გიკურთხოს ღმერთმაო. ასეთი კალიგრაფია ძველისძველ გადამწერებს თუ გაჩანდათ. არ დაგვიწყდეთ, ამასთან „სიბიძრესი ტორეგოლო-პრომიშლენი ვესტნიკის“ კორესპონდენტიც ვახლდათ. არავინ იცის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა და დაუღუღარი რა გზას დაადგებოდა, რა ქართველად ჩამოყალიბდებოდა, მაინც მთავარია, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი არ განირა!

ოჯახს შემორჩა სანდრო რაზიკაშვილის ორი ბარათი, ორივე ძმისშვილისადმი მიწერილი. სხეობიც ბევრი იყო, მაგრამ დაიკარგაო, სინანულით მითხრეს დებმა. ორივე წერილი საყურადღებოა, ორივე ვაფა-ფაშვილას გარდაცვალების შემდეგაა გამოგზავნილი და საინტერესო ცნობებს შეიცავს.

ძვირფასო ძმალევეან

შენი წერილი მივიღე დღეს და აი დღესვე გწერ პასუხს. მე შენთვის სანყენი არაფერი მომიწერია. რაც მოგწერე, მეგონი, რომ საბუთიანი უნდა იყოს. ოცი თუმანი თამარისთვის (ვაჟას მეორე მუდულე) მოგცილე და ბალნეორისთვის, რომელიც, თუ მთელი არა, რაც ჯერჯერობით დასჭირდებოდათ იმას მისცემდი. აქ იმისთანა წერილს ინერგობდნენ, რომ კაცი იფიქრებდა, ალბათ არ ეყოფათ ის ფული და კიდევ უნდათო. მამაშენმა იმიტომ კი არ შეაგროვა ვე რალაც „კაპიკები“ იმნეტარსენებულმა, რომ ისევ იმის სახანდალავი გახსნა. შენ იმასაც იტყვი, რომ მე შვილი ვარ (ნასლედნიკი) და ყველაფერი მე უნდა შეუკეთონოდესო. ნეტავი მილოჩენი დარჩენოდა, ჩვენთვის უფრო სასიხარულო იქნებოდა, მაგრამ როდესაც ჯერჯერობით ვა არის, კნიუკამიაც 500 მან. თუ მეტი, შეილი შენ კი არა ხარ მარტო, არამედ გულქანი, მარიამი და ვახტანგი, რომელთაც ისევე ნილი ეკუთვინის, როგორც შენა, სანამ საზოგადოება წყაროს გააჩენს მავთუ შესანახს, რომელიც აუცილებლად იქნება, მაგ ფულებით უნდა დაკმაყოფილდნენ ყველანი მცირე ნლოვანებს აბეკუნი უნდა: შენ იქნები თუ სხვა, სანამ თავის თავს მოუვლიან. უაბეკუნოდ კი მეგონი ფულებისა, თუ სხვა რამის აქეთიქით გაკლიავენა არ იქნება. წესი ასეა.

შანიძესაც შპარობია ასე 80 მანეთი და რალაც კაპიკები. ჰკითხული მანაც იქნება არც კი ვართ მეცნე. საზოგადოებას ფული აქვს ასე 900 მანეთი თუ მეტი ცალშეილისთვის. ასე რომ, როგორც მე მიხარხარ, ჯერჯერობით ამით დაკმაყოფილდნენო და მეერ შემწეობას აღმოუჩენენ.

ერთის სიტყვით, აქ რომ ჩამოხვალ, მოვილაპარაკო. ჩვენ ის გვინდა, რომ ჩემის ძმის ცოლშეილთაგანი არავინ არ დაიჩაგროს. ნიკომა (ბაჩანა) სიტყვა, რო არც პური შპონდითო და თამარი მამარებდა ფქვილის ყიდვასო. სამი თუმანი რას ეყოფოდათ, როდესაც ყოველ შაბათობით დედაკაცების ერთი ღრინაცილი ქალები შეიყრებინა და ტირიან ვაჟას) დგასო.

გეთანხმები იმაში, რომ დიდებანთ ქერივობლებისთვის ჩვენ არა გვცალბიან. შინ რომ ბალებზე გიპიოდეს ვართ ცტაბლას რა ხელი აქვსო, ნათქვამია. კიდევ კარგი, რომ შენი დავე გწერდა, რომ ეს სამი თუმანი არა კმარაო. მე გაბატანე ნიკოს წერილი და ფული 40 მან. ჩემს რძალთანა. აქ ანიკო კობიაშვილმა (ვაჟას თავმდგომი მონყალების და), რომ უფლიდა მამაშენს, იმან გააჭირვა საქმე, რომ დაპირებული იყო, რომ ჩემი ვასამრჯელო უნდა მოეცაო და იმედია, იმის სიტყვას ასარულებუბო. ამასაც უნდა მისცეთ ერთი 20-25 მან. სირცხვილია, პირდაპირ თხოულობს. მართლაც და დიდი ამავე დღეს დღეს სანყალს ჩემს ძმასა. ვე ვუპუბები, ჩამოვა შეილი და თითონ იცის-მეთქი. ამ სანყალსაც უფამავიროდ უმსახურია და მაღლიც არის, ვაჟას სახელია. დანარჩენი აქა. ვინძლო სურათები თუ რამეა ან მიხასთან, ან თქვენთან, ან

აღბომებში ჩანერილი ლექსი, რომ ამ თვის ვასულისთვის მოასწრო და გამომიგზავნოო. აქა თხოულობს.

ალექსანდრე რაზიკაშვილი

ძვირფასო ლევეან!

უპირველესად ყოვლისა, მოგილოცეთ ნარსულს დღესასწაულებს და ყოველად მოწყალეს ღმერთსა ვსთხოვ შენს დიდხანს სიცოცხლეს შენის ცოლშეილით და ყველა კეთილის მყოფლებითა. შენი წერილი მივიღე და უკაცრავად ვარ, რომ აქამდე ვერ გამოგიგზავნე ფული.

ამის მიზეზი კი ჯერ ის არის, რომ ძალიან მოუცლებლად ვიყავი და მეორეც, შენი წერილი რომ მივიღე, სწორედ იმ დღეს გამოგიგზავნა კარიჭაშვილმა ექვის თუმანი და ვიფიქრე, ახლა ამით გამოვა იოლად და რომ არ შემოეხარჯოს ტყუილად ემ უქმეებში, ისევ მერე გავუგზავნი-მეთქი. ამოსვლაც მინდოდა, მაგრამ ეს მამაძალები — ჩემი ამხანაგები ხან ვინ ვახსდება ავად და ხან ვინა. ორს ალაგას მიხდება მუშაობა. ე შენი რძალიც ჩემი დღითი კახეთში იყო, ნათო (ბაბო პეტრიაშვილის და, სანდრო რაზიკაშვილის შეილობილებს დედა) ჩამოიყვანა, რომელიც ავად არის. ეს მეორე შენი წერილი აი დღეს 13-ში მივიღე საღამოზე და აბა რალა იქნება, დავიანებულია. არა უშვას-რა, შეიძლება საყვედურიოდ ამოვიარო, მხოლოდ ემაგ ბაღს პრუქანს (ლუკა II) რაზიკაშვილის ზედმეტსახელი პატარაობისას) ნუ ეძახითო, ე შენმა რძალმა შემოგიტავა, დიდობაშიც მაგას დაუძახებენო... აი ამ წერილსაც ნახე ვარს აქა ვწერ სახში და ნახე ვარი კიდევ ფოშტაში დავწერე. ახალი გაქრისტიანებული (ლუკა II) ღმერთმა გაზარდოს, დედამა უცოცხლოს და სანყალი ჩვენი თავიცა. კარგი იყო ბარე ჩვენი მანდ დასწრებაცა, მაგრამ რა გაეწყობა. თვალი დაუდგეს ჩვენს სამსახურსა.

იმედია, უჩვენოდაც კარგს დროს გაატარებთ. მე კიდე აი აქ ცოტაოდენი კახური მიდგია და ამით ვაღლებმეოდნო ახალს მონათლულს და ერთობ მთელს კრებულს თედოდამ დაწყებულსა.

ვანო (ბაჩანას ვაჟი) ჯერაც არ ჩამოუყვანიათ საშობათო რომ წავიდა შინა.

ვინძლო რომ ამას იქით მანაც აღარა გქონდესო დასადღური, გიგზავნი იმ ოთხს თუმანს, რომელიც დარჩენილი იყო მამაშენის ფულისა. მოგიკითხათ შენმა რძალმა ყველანი — დიდი და პატარა დიდის სიყვარულითა. მომიკითხე ჩემი რძალი თამარი, თიკო, თედო, მიხა, გულქანი, ეთერი, ნინა, გუგული (თედოს შეილები), შენი სიღედრ-სიმამრი (მამო და გრიგოლ მთავარეღიძეები), იოსება თავის ცოლშეილით, წყალობანთ-განდობიანი (თედოს სიმამრი), ფეფე (თინათინ იშხნელის და) თავის შეილებით, სევესტანი და შენი ნათლიები, რომელნიც, რასაკვირველია, მანდ იქნებიან ახლოს. ქრისტიანს კიდევ მრავალი კოცნა ჩვენგანა.

შენი მოსიყვარულე ძმის ალ. რაზიკაშვილი
1916 წ. 13 იანვარი. ქ. თბილისი

სულ სხვა ადამიანი იყო ლევანის დისშვილი მიხა რაზიკაშვილი. ცხოვრებაში თავგადასვლილი მონადირე გულუხვი ნათესავის სახელით სარგებლობდა. 1937 წელს, როცა დუშეთიდან დასაპატიმრებლად ეახლნენ ჩეკას წარმომადგენლები, ერთი წუთი ითხოვა და მუდღეს დაუბარა: „ჩემს შვილებს რომ არაფერს მოაკლებ, ეიცო, მაგრამ არ დაგავინწყდეს, ლევანის ცოლ-შვილსაც მიხედეთ“. ტანი უგრძობდა მიხას, რომ შინ ვეღარ დაბრუნდებოდა, პირიქით, უკვირდა, 1924 წლის აჯანყებას როგორ გადაურჩა.

მიხას თავგადასავალს ერთი რომანი არ ეცოფვა, იგი მარტო გარეგნულად როდი ჰგავდა დედისძმებს, მასაც ლექსი უწევდა გულ-მუცელს.

აკი მიხამაც გალესა კალამი და აბყვა ფეხისხმას, ხშიადივით გამოაცხო პოემა „აქა ბრძოლა ვაჟა-ფშაველასი და გამეჩლიაძისა“. პირველად ბევრი იცინა მგოსანმა, მალე კლდიდან მონყვეტილი ქეხსაყით დაეშვა უფსკრულისკენ ფიჭირი და განყირა. მერე რა უეცრად იცოდა მისმა გულმა წვიმა, ნამოვიდა წვეთები და დაასველა, დააღტო ფიჭირი. არ აპატია დისშვილს, მაგრამ ჭაობს მაინც აერიდა და საბუძროს პოეზია იფარა. მაინც არ აპატია მიხას, და პოემა „აქა ამბავი დისწულ-დედისძმათი“ გამოისტყუა ვაჟას.

ვაჟას ქმნილებების სამოქმედო ადგილი გორი და ფშავია. ხოლო მოქმედი პირები არიან ვაჟას ძმები, დისშვილი, ასიკო ერისთავი, დემოკრატიის ჯღანის შაქრო ვაგინძე, მწარია, გოგოთური... ნანარმოების მოყვალ არ ღირს, იგი უნდა ნაიკითხო, თუმცა, ერთი ვრცელი ნაწილი მაინც უნდა გადმოვწერო:

„მიხილს ქლევი გაუჩნდა,
მას გული სტიკია ცალია –
მარცხენას ძუძუს თავზედა
ადგება რალაც მჭკალია.
ღმერთმა დასწყევლოს დიაცი,
მანაბელაის ქალია!
ბიჭი იმისგან ვაფუჭდა,
ჭლევი იმისი ბრალია...
მე მიხა მიყვარს ძალიან,
არ გყვავს იმისი ცალია,
ვით დარჩეს ვადაუხდელი
წულის დიაცის ვალია.
თქვენ, დედიძემბო, რომ ბიჭობო,
წელზე შაბით ხმალია,
დაკმაზეთ იორღეები,
თოფებს უპირეთ ცალია.
მოიშრინანეთ ბიჭები,
ვინცა კი თქვენი არია.
ძალიან გამოცდილია,
თან გაიყოლეთ მწარია,
გოგოთურს შეატყობინეთ,
მიხას გვარისა არია.
შაკარით მძიმე ლაშქარი,
ფშავესურეთის ჯარია.
დაიპატიყთო შემწედა
ლალი ლაშარის ჯვარია.
ერთ ღამეს მანაბელასა

უმტერიეთ ციხის კარია.
თან გაიყოლეთ თოკები,
კოშკით კოშკს გასაბამია,
მოაბით მანაბლის კოშკსა,
ზედ გაიყვანეთ ჯარია.
ნინ გაიძღვებთა გრიგოლი,
როგორც ნიაჟ-ქარია.
მოსრეთ მანაბლის ლაშქარი
გამაიყვანეთ ქალია.
რა მნახავს ნესტანს ტარიელ,
დაუამდგება მჭკალია,
თვალთავან ცრემლი შეჰშურება,
არ შეანუხებს ვალია...“

ლექსი 1909 წელსაა დაწერილი, მხოლოდ 6 წლის სიცოცხლე შქონდა დარჩენილი მგოსანს. უმაღ განინდა კითხვა, ვინ იყო მანაბლის ქალი, ასე რომ დაუამრავს პოეტის დისწული?

გორელ თამარ მანაბელს თუ ეცოდინება, ამ ქალბატონმა თავისი სოფლის მუზეუმით ბევრი ადამიანი გადაარჩინა დაფინყებას, მიხას სიყვარულის ამბებსაც მიაშობოს.

არ მოეტყუებულვარ, მართლაც ყოვლისმცოდნე აღმოჩნდა ქალბატონი თამარი.

XIX საუკუნეში ოლია მანაბელი ამირეჯიბის ქალი მოიყვანა ცოლად. 9 შვილი – 6 ვაჟი და 3 ქალიშვილი გაზარდეს. ხუთმა ვაჟმა პოლკოვნიკობას მიაღწია, მეექვსე გენერალი გახლდათ.

შვილებს 500-500 დესტინა მიწის ფართობი უანდერძა, უფროსი ქალიშვილი ქვემოხეთელ (გოსონ რაიონი) ვასკო თაქთაქიშვილზე გაათხოვა, მომტანი გენერალ ვახანარას მუდღესე ვახანდა. მზეს ეუბირებოდა სილაპაზეში უმცროსი დარია მანაბელი, მაღალი, ჩხტიკოპიანი, მზატვრის ქმნილებას ჰგავდა ხავერდის ყავისფერ ნაშოსასხაში გამოკვართული ქართველი ქალი. ხელსაქმით იყო ცნობილი, სითბოს და სიფერულს თესავდა ირგვლივ ეს განათლებული მანდილოსანი.

რუსეთის იმპერატორმა საკუთარი თავისი იხილა ეს სილამაზე. უმაღლეს სტუმართან შეხვედრაზე ქართულ ცეცვაში დარია მანაბელმა და მანია თაქთაქიშვილმა პირი მიიღეს. ამბობდნენ, ისე ცეცვაედნენ, როგორც მტრედები დავოგმანებენო.

დარია ბრწყინვალედ იცოდა მშობლიური ენა, შესანიშნავად ფლობდა რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებს. ოჯახში ხშირად უყვდა ბეკერის როიალს, ბრწყინვალედ აუღერებდა სადაფით მოპირკეთებულ ვერცხლის ფინჯოლებიან დაირას.

და ეს შესანიშნავი პირუტყვი შეუსყვარდა მიხა რაზიკაშვილს. ქალბატონი თამარი გამოტყდა, რომ არც პაპიდა დარია ყოფილა გულგრილი, მასაც გულში ჩაეგარდნია ენამეტყველი, უღამაზესი ფშაველი, მაგრამ...

მოითთბორეს ძმებმა მანაბლებმა, იხმეს დაიკო დარია და სთხოვეს არ გაჰყოლოდა ცოლად ფშაველს. დათანხმა და სამუდამოდ შეინახა მიხას სიყვარული გულში.

„გაბარაზებულმა მიხაკომ ღაიქანდა, ჩემს გულზე არ გადატატარებთ, მაინც მოიყვანთ თავადის ღამეს ქალსო. იმდენი მოახერხა, რომ თავად ციციშვილის განათხოვარი უღამაზესი ქალი

შეერთო. დარჩა ულამაზესი პაპიდა დარია გაუთხოვარი, თბილისში დასთან ცხოვრობდა და ომის შემდეგ გარდაიცვალა. — წერს თავის მოგონებაში თამარ მაჩაბელი.

ესეც, მისა რაზიკაშვილის და დარია მაჩაბლის სიყვარულის ისტორია, სამწუხაროდ, ცრემლიანი ამბავი — ვაჟა-ფშაველას რომ სასაცილოდ არ ჰყოფინებოდა...

ნასაკითხი დავეგრა მხოლოდ ნიკო (ბაჩანა) და სანდრო რაზიკაშვილების წერილები, რომლებიც ფოსტის მოხელეთი თბილისიდან გორში გამოუზღვანენა დისშვილს. ამ ბარათებით დავინახავთ ჩვენი საუკუნის დასაწყისის ყოფას, აღამიანთა განწყობას და სულისკეთებას.

ტრავადების მონოლოგს დაამყენებდა სანდროს ამოძახილი: „რალაც ბედი არ გვწყალობს რაზიკაშვილებს“. ეს წინასწარმეტყველება: გაცნობა თედო რაზიკაშვილის ნაფუძარი ხელთუბანში, გაიყიდა მწერლის სახლი, მარტო გორში ცხოვრობენ ვაჟა-ფშაველას შეჭირვებული შვილთაძივლები.

წერილები ქრონოლოგიურად დავალაგეთ, რამდენიმეს არ გააზნდა თარიღი და ამიტომ იძულებულნი გახვდით განვლილი ცხოვრებისათვის მიგვესადაგებინა.

19.15.VI.18.

ძმამ მინა!

გამარჯვება! რა ჰქმენით შენ და შენმა სამსახურმა, მოგცეს მასწავლებლობაც თუ არა მოსამზადებელ კლასში? თუ არ მოუციათ, უთუოდ უნდა ეცადო, იგი ნადილიც აისრულო. ხომ არა იმისზე დაინიშნე? მოდი, მე და შენ ერთად გულწრფელად ვილაპარაკოთ. ქალი განა მაჩაბლი ხანზედ ჩამოწყვეტილა. შენ მაინდომე, ერთხელ გადამწვრიტე ცოლის მერთობა და იმაზედ ადგილი რა არის. პაველემ (ბაჩანას შვილი) მითხრა: "მგონია, ანდროს ცოლისდაზედ აქეთ ლაპარაკიო". მე არც მინა წინააღმდეგი მაქვს რამე, მაგრამ ერთი რამე კი გულს მაკლია. რა? და ისა, რომ მე კი არ დამკითხვიანარ, იქნებ გამოუსადეგარს არც მე გირჩევდი... ხელა შენ ისეთი ბალი ადარა ხარ, რომ უთავფეხო სიყვარულს გამაუდგე. აქამდე რომ დამკითხვოდი, ვერავის გირჩევდი და ხელა კი, თუ მკითხავ, მეც ვეტყვი. თუ თავადიშვილებითი არ იუარებ (ან როგორ, როცა მაჩაბლიანიც თავადებია), გირჩევ ვიგლო ანდრონიკაშვილის ქალი თამარი შეერთო. მართალია, ღარიბი დედ-მამის შვილია, მაგრამ იმის მეტი არს დედ-მამას სხვა აღარავინ ჰყავს და, როგორც აღამიანები, ვიგლო და მისი მეუღლე ერთი საუკეთესობებთან არიან... მითხარ, მათ ხელში გაზრდილი შვილია, რად უნდა გეშინოდეს. გარყენილი იქნება, უხელთური, შეუგნებელი, თუ სხვა ალაბაზე რამე. რა ვიცი, სილამაზეც თამარს არ აკლდება. თორემ იქნება იცნობდა, თუ ერთი რამე აზრი არა მუშაობს. თუა, რატომ არავინ გეუბნება იმ ქალზედ, რატომ იმაცადა არ ვაცნობდე? სხვებისა რა გითხრა და მე ჩემი სიტყვა და რჩევა კი ეს იყოს. ხელა შენ იცი... ჯერ კი ის უნდა გავუვო, იცდეც უნდა არ გათხოვეს. ესეც გავიგოთ, ამ ზაფხულ შენ და თედო

აქ წამოდი და დანარჩენი მოვილაპარაკოთ, სანამდე კი წერილი გამომიგზავნე, შემატყობინე შენი ამბავიც და აზრიც ამ საგანზედ.

შენი მოსიყვარულე ძიძა ნიკო (ბაჩანა).

ამ წერილის შინაარსი ჯერჯერობით ჩვენს შორის დარჩეს. საუბარს არა გარჯის რა.

ძვირფასო ძმამ მინა!

გამარჯვებით, ხალხო! პა, რა ღმერთი შეგეცნაით, რა დავემართათ, რომ ავადა ჰყოფილხარ? მე მგონია, ის კაცო, ალბათ, ისე უქეიფოდ იქნება-მეთქი და ის კი არა, შენ ავადა ჰყოფილხარ. ბიჭო, ხომ არ გაციებხ? მა რა გეგონა, ი ხელთუბნის ქაობნებში რა ამოვდიოდა სული, შენ გეგონა შეჭირვებოდა? არ იცი, რომ ის ქაობები სუციების ბუღეა?

პა, ნუ გეშინიან, ციება მა არის და იმისი შეშინებული კაცი. ერთი აქ უნდა ჩამივარდე ხელში, რომ ერთი-ორჯერ ავადაგასკერვივინო! კახეტისსკი ნიღლისა და მამინა ნახე შენი ციბეცხლების ელეთ-შეღეთი. ამა კი არ ჩამოსდინარ და რა გავეწყობა? მაინცდამაინც რა გაძინებ? მე მგონი, შვილი. რვა წელი მაციე-მაციხელა, მაგრამ ნახე რა ჯობარდი ბიჭი ვარ?! ყოჩაღად იყავით, ერთი პოუვალუისცა და... ევენი არ იყოს, რა დროს შენი ავადემყოფობაა, კაცი უნდა ჩავაქორწინოთ, ერთი მსუქნის გოგონა უნდა გიმოვინოთ, რომ ღამღამით სულ ოფლში იტრიალო და არც მაშინ მოგშორდება ეგ რალაც ვერანა ციება? თედო პავლოვის ჯერ საახალწლოდ, რასაკერვვლია, შენც გელოდით, და ახლა ამ ყიფიანის იუბილიეზე ვფიქრობდით, თედოს გამოგზავნიან-მეთქი და ის კი არა, დათა მა-იანი (გორელი მოქალაქე) ნამოსულა. კაცნო, ხალხი განყნა, რომ სადათოდათც გახდა დეპუტატანდასწავდა? ნეტა კითხვა მაინც იცოდეს ხეირიანადა. ბედაურები დაიხოცენ, ვირებს დარჩათ მოედანიო. სწორედ ასეა მავათი საქმე. ვივა-შმაველამ, როცა მიიღოდა, ეს სამი გეგრა იქნება, რაც ნაეიდა, ლექსი უძღვნა ყიფიანს, რომელიც მე დამავალა, შენ უნდა ნაუკითხოო. მე შესაფერისი ტანსამოსი ვერ ვიშოვნე და ისეც ერთმა არტისტთანამა ნაუკითხა. ღმერთი გამიწყარეს მე ათჯერ უკეთესად არ ნამეკითხა. წერილის მონარა რამდენჯერ დავიწყე, მაგრამ ისეც დამჩნებოდა-ხოლმე. თანაც ერთ ლექსს გინერდი, მაგრამ რახან ავადა ჰყოფილხარ, ამა რალა დაჩავგრა ვინდა. იწერები, ვაკანცია გაიხსნაო, ძალიან კარგი არის, მაგრამ, კაცო, მანდ სულ მეხუთე რაზრინადე უნდა ვიჯდე და აქ კი დღეს თუ ხვალ მეოთხეს მომცემენ. ამის გარდა კახიონინი პალატაში მაქვს ნათხოვნი ადგილი და აბა ღირს-ღა აქეთ იქით სიარული? თუმცა კი, როგორც მე შენ რაძალიც (ალ. რაზიკაშვილის მეუღლე) უკან არ დავინევედით. ერთად ახლოს ვიქნებოდით წოქში და ლხინშია. ჩვენ ვაწინააღმდეგობა რაღა წუთისოფელს. ხან კარგად ვართ და ხან — ავადა. ვილაც ქალი ეძლევა მინას ფულიანიო, გავიგე და არ ვიცი, რამდენად მართალია. აბა, კაცო, ცვადა ერთი შენი გაბუნდირებაც ვახსოვ, ლეკვანათვის (ჰუჟას შვილი. ლეკვანი დაცოლშვილებამდე ცხოვრობდა თედოსთან

და მასზეა ლაპარაკი) ადგილი მართლა გიშოვნიათ? ემა ბიჭის თუ რამე ჯამაგარი დაუნიშნეს, დაიჭიროს ოთახი და თავისთვის დადგეს, ხომ იქნება, რომ მაკოდუნა ხალხია და ადგილიც არ იქნება. საკვირველია, სად ეტყვიო. თავისთვის ურჩევნია, ცოტა ექნება, თუ — ბევრი, გადაეცი ჩემს შავკერდას.

უნდა ესმოდეხ. სად ის, რომ კაცი სხვის ხელისშემავტერალია და სად ის, რომ თავისთვის არის და როგორც უნდა, ისე იქცევა, საქმელია თუ სასწელი, ან ბინა. როცა გინდა დასწევით, როცა გინდა ასდგები და სხვა. ერთის სიტყვით, ნულარაგად ნუ გახდები. ისეთი რა ცოტა ჯამაგარი ექნება, რომ ვერ იცხოვროს. შავასაც ცოლ-შვილიც მოუღოს. კაცმა შემდეგისათვისაც უნდა იფიქროს. ჩემი დარიგება ეს არის და ახლა თქვენ იცით ერთმაც და მეორემაც. აქეთ კაი ამინდებია და ვეფიქრობ ჩვენცა, ხან მათორელანთანა, ხან ჩვენთან, ხან დიცხელაურთანა, საფაროვიანთან და ნათიძიანთანა. ასე რომ თქვენდა გვაკლიხართ.

თედო ხელთუბანში იქნება არა? უთხარი, დავნუხდი კაცი-თქო, ერთი ჩამოასიერეთ რალა-თქო. აბა დიდი მოკითხვა წამლისთან როგორც ჩემგან ისე შენი რძლისგან და ყველა აქაურები-სავანა. გამარჯვებით, ნახვამდის! ყველანი მოიკითხე, სულ ერთიანად, ვიმორება.

შენი ძმა ალ. რაზიკაშვილი,
1914 წ. 30-1

ძმარ მიხა!

გამარჯვება შენი! როგორა ხართ? ჩვენც არა გვიჭირს რა დღესწამდის. შენი გამოვზავნილი ვაშლი, ლობიო და ხახვი მივიღე მთლიანად, რისთვისაც დიდი მადლობელი ვართ. გიგზავნით თქვენს მუშოც. ნინათ ეთერასთვის (თედოს შვილი) მუშოც დაგვებარებინათ. კაცო, ის მუშოკი, შენ რომ მჭადის ფქვილი ჩამოგვიტანე, ის ხომ მაშინვე დაგიცალეთ და შგა ამ ნიშნით შგა ჩურჩხლებიც შეგიხვეთ თინასთვის (თედოს შვილი) მივიღე, გულქანის შვილი) და გვიისთვის. ჩვენ ანაბრად დაკარგვა არ ვიცით. ამას ნინა გრიშკანთ (ლევანის სიმამრის ოჯახი) ცოტაოდენი ხილი გამოვატანეთ პატარა ყუთით. მიიღე თუ არა? აი გიგზავნით გუნდას, მოვნა არ არის. ისევ ღმერთმა უშველოს იმ თათარს, მაგრამ გაუძიერებია კი. ასე ღირს 250000 მანეთით, მიიხარ, მაგრამ შენ 200000 მანეთად დაეკითხობო და რაკი შენ შემოგოვითვალა, გყიფად 200000 მანეთად. ამ ვაშლისას კიდევ იმას ვნერ, რომ შგა ბევრი არა შყრია რა, ზევიდან ენყო ცოტა სვირიანები, ძირს სუ წერილი და უგემური ვაშლია.

მაინც დიდი მადლობელი, შეგანუხეთ, მაგრამ რა გაეწევა. ასა ათას მანეთსაც კიდევ გიგზავნი და ვინძლო თაღლი გამომობზავნიო. თუ ნამოხვალ ხომ უფრო კარგი, შენ ნამოიღებ. 10 გირვანჯა იყოს, გირვანჯა 60000 მანეთზე მეტი ხომ არ ეღირება. რა დავაშავე, აქ 30000 მანეთი მშვენიერი თაღლი იყო და მაგის იმედით ვიყიდე. ასე, რომ თაღლისთვის შენთან იქნება 600000 მანეთი.

ჩამოდი რალა, თუ მოსდისხარ, ერთი კახური

მოგინათლნეთ. მოკითხვა ჩემს რძალს თამარას (მიხას მეუღლე) და ბიძიას ბიჭს კი მრავალი კოცნა. ბაბოშაც (სანდროს სიდედრი) დიდი საღამო-ქალამი!

აგრეთვე ყველა ნაცნობისაგან, გელთ საახალწლოდ. შენი სანდრო.

ასა ათას მანეთს აღრა ვგზავნი. თუ გეძნელე-ბა, თავი გაანებე, ნულარ იყიდი. რა ექნათ, აქ ვიყიდით ვაშლსაც, თუ დამემართა რამე, გავსწორდები.

სანდრო

ძვირფასო ძმარ მიხა!

შენი წერილი და 100000 მანეთი მივიღე. ნაველ და მძიღვს ვიშოვე ქვეით, ორთაქალისკე, აბანოების ქვეით — თათრებში. არ მოდისო, თქვეს. მართლაც ამ ერთსა შერონდა, ისიც სახლში და იქიდან მოვტანინე. მართალია 120 ათასი მივეცი, მაგრამ როდესაც საჭიროა, რა არის 120000 მანეთი ახლა. მე ვფიქრობდი, იქნება უფრო ძვირი იყოს-მეთით. ნეტა გიშველოს და რას ამბობ, კაცო, არც ნახევარ მილიონს დაშოგავდა კაცი. რა დავემართა, რო აპერაცია არ გააკეთებინე, სულ უბრალო ერთი კვირის საქმე ყოფილა. ა შენი შტატატარზე დარჩენა უფრო მყვილია. რას აპირობ, ალავი არსად არის? როდნამდე უნდა იყო ეგრე. ვერაგინა ენება, რომ გამოვგზავნა და აი ახლა ვგზავნი, მხოლოდ არ ვიცი, ვსადა მიიღებ თუ არა? ჩემი რძალი, ან გივი როგორ არიან? ჩვენშიაც იყო შტატეტვის შემოკლება, მაგრამ ჯერჯერობით მე გადავრჩი.

ნუ გეშინიან, ღმერთია მოწყალე... შიმშილით არ დავიხლებით. თუ გიშველა მაგ ნამალმა, ხომ კარგი, თუ არა და მაშინ აპერაცია გააკეთებინე უეჭველად.

ან ჩვენზე როგორ არიან ე ქვრივ-ოზონი? (ლევანის ცოლ-შვილი) ე ბრალი ჩემი ძმა თედოსი, თორემ სხვებს არა უძახს რა. ემ, რა გაეწეობა. რომ მომავინდებდა იმ კაცის სიკვდილი, მინდა ხოლმე რო ისევ გადავიფიქრო, ძალიან შენდებდა. ნიკოსიც წერილი მომივიდა და იმ წერილმა ხომ მატირა ბალღიეთია. აი დედასა მტრისას! ენახთო.

სანდრო

ძმარ მიხა!

შენი წერილი აი სწორედ 21 ლეწიზობისთვის მივიღე. პეტრიაშვილები (სანდროს სიმამრიანი) რაკი აქ ბევრი არიან, სხვას მიიღო და ახლახანს გადმოგვცეს. ჩვენ აქ მოგელოდით და შენ კი მანდ მეგპატიებები. დიდის სიამოვნებით ნამოვიღეო, რომ შენ წინათ გამოჰსულიყავი, მაგრამ აბა ესხლა რალა იქნება, ეს რალაც რვა დღე დამრჩა. სუ პოეზდებს ათვალეერებდნენ ეს ქალები, რომ ან ეხლა გამოივლიან, ან ესხლა. შენი მოლოდინი შექმნიდა და თედოსიცა. თუ ნამომსხვლეი ხარ, გამოიარე, სანამ აქა ვართ. ერთი ე პეტრიანთ ქვევრები დაათვალეო. აქედამ ერთად ნავიდეთ ქალაქში. ისე კი ნამოდი, რომ ერთი-ორი დღე კიდევ მაინც დავრჩეთ აქა. რაც მალე გამოხვალ, იმდენი კარგი იქნება. ასე, რომ გელთ 9-მდე. უეჭველად მოდი. მიონერე როდის

მოხვალ, რო დაგხვდეთ პლათფორმაზე. ბარკს
ბაკაედი ნუ მისცემ, ისე წამოიღე. უეჭველად გე-
დღით. აქედამ ერთად წავიდეთ ქალაქს. სხვ აქამდე
დღე თითქმის სუ აქა ვარ, ორი დღე კი ახამდნში
ვიყავი მე და ზაქარა. სიმამრისთანა და დრო-
ებაც გავატარეთ. ხუთი დღე სოფ. კელმეჩურზე
ვიყავი ჩემ ქვისლთან. დანარჩენი სუ აქა ვარ და
ყოველ დღე ვადაკრულში. ვჭამ, ვსვამ და მძი-
ნავ. მომწყინდა ამდენი უსაქმურობა. ეს ოხერი
თოფი რო იყოს, ამით ზერებში ისეთი კურდღლე-
ობა, როგორც დიდი ჯორები. მეც გავერთობო-
დი. ვინძლო წამოხვდი. შენს მუდინში ჩვენც
სხვაგან არსად წაველით.

კაცო, შენ იარაღიან კაცს გემინიან ყაჩაღე-
ბისა და მე კი უიარაღო კაცს, ისიც ქალებიანს,
არ შეემშინდება, რომ მანდ შეპატივებ? არა,
ისევე მერმისს წავიდეთ ყვარულში. მიხა, მე აქა
ვექვიფობ და მეორე რაზრიადი მოუცილო ჩემთვის-
სა. ასე, რომ მაღარჩი ჩემზეა. იქნებ იმიტომ არ
მოხვალ, რომ ნანადირევი არა გაქვს, არა უშაფ-
ს-რა. ერთი შენი ფატიერთი დაჯანახე, სხვა არა
გვინდა-რა, ძმაო, დღერთი-რგული. უეჭველად
გელით.

მოგაკითხეს ყველამ დიდის სიყვარულით.
მომკითხებ პეტრე (სანდროს სიმამრი) თავის
ცოლ-შვილით დიდის სიყვარულით. აი სუ პო-
ზნდს ვათვლიერებთ, ცოლად, ცოლად ძალიან
მწყენინებ თუ არ წამოხვალ.

ჩემი ადრესი ასე იქნება: ილიჩ ზახარეივიჩი
პეტრიაშვილი, დღია რაზიკაშვილი.

იცოდე, გვანყენინებ, თუ არ მოხვალ.
პლათფორმაზე დაგხვდებით.

სანდრო რაზიკაშვილი

ძვირფასო ძმამ მიხა!

მოკითხებ სიყვარულით და ყოვლად მო-
წუხლებ. ღმერთსა ვთხოვ შენს დიდხანს სიცოცხ-
ლეს ქარის ცოლ-შვილით.

ხომ სერგად ხართ? იმედია, კარგად იქნე-
ბით. ჩვენცა ვართ ასე რაღა. როგორც ამ დროს
შეეფერება და მოსამსახურის ყოფნას. კახეთში
იქნავი და ჩამოვედით აი უკე საში კვირა მეტი
ოქნება. იქაც, ხომ იცო, რომ ვაფას თავისი არა
გააჩნია-რა, როგორც საზოგადოდ ყველგან.
ტყუილია, ნურავის იმედი ნუ აქვს კაცს, ძნე-
ლია ცხოვრება. ვისხედით ბაკურციხეში და ერ-
თი დღით მხოლოდ სოფ. კელმეჩურზე წავედი
ჩემს ქვისლიანთან, ეს იყო და ესა. არ იქნა, ვერ
მოვახერხე ყვარულში, ან ეიფე შირაქში ჩასვლა.
ღვინის და სიმინდის მოსავალი კახეთში ძალიან
კარგია. პურიც, ვისაც ჰქონდა დათესილი, საკ-
მაოდ მოუვიდათ.

ფული რომ შემსწრებოდა, ძალიან იაფად
ვიყიდი პურსაც და სიმინდსაც, მაგრამ, ხომ
მოგახსენება, ჩვენი ჯიბეების საქმე. ცოტაოდენ
წიტილები მქონდა, ისიც იქ შევჭამეთ. სწორედ
ორი ფუთილა ჩამოვიტანე და ისიც აი უკვე თავ-
დება. ესენი კიდე სამსახურიდან 1-4 გირვანქას
იძლევიან. ვინძლო ამა შემსწრებები კი და არა რა
ძამოსართმევეა, ერთი ფუთინავეარი ჩემი სი-
მინდისა დამიფუქე. ფქვილად ნურავის ენდობი,
მამინდელივით გრიძკანით (ციორგი მთვარელი-

ძე — ლევანის სიმამრი) ფქვილისავით ამყავე-
ბული არ იყოს. გამომიგზავნე... ფოსტით ადგი-
ლია. ხარჯი რაც ნადა, აქ, უეჭველია, ჩამოხვალ,
გადავიხდი. აბა ერთი კაი ტკბილი მჭადის ფქვი-
ლი ვინძლო იყოს. ფუთინავეერის გამოგზავნა
ისე ბევრი არ დაჯდება, რომ ვერ მოახერხო მა-
გის გამოგზავნა.

ან თუდო როგორ არის, ე ქალები აქ არიან. მო-
სულან ჩვენსა ორჯელად და მე კი ვერა ვნახე სამ-
სახურის გამო. დათიკო (თედოს სიძე, ქალიშვილ
გუგულის ქმარი) მგონი კოპოვერბევი შვილს
სამსახურში, გომბორში უნდა წავიდეს. არ ვიცი,
მართლა ნადა თუ არა. შენც, მგონი, კოპოვერბე-
ვი კავშირში შესულხარ. კარგია. ნინაც (იფლის
ქალიშვილი, ცოლად გაჰყვა თორტიველ კოტე ქა-
რუმიძეს) ვათხოვდა რაღა. როგორი ხალხია? გი-
ვი (მიხა რაზიკაშვილის შვილი, ვარდაცვალა 6
წლის ასაკში, მიხა ყოველდღე დადიოდა საფლავ-
ზე) როგორა გყავსთ? გაუფრთხილდით, ვინძლო
გამომიგზავნო, ველი. ნიკოსი (ბაჩანა) ხომ არა
იცით რა, ან ლევანისა.

სიღნაღშიაც ვერ ავედი, რომ ნიკო იქ ამოსუ-
ლიყო, მოსე კიდევ შირაქში ყოფილიყო, იქ ეხნა.
ის იტყვოდა იმათ ამბებაც.

აბა რა თავი შეგანახო, დანარჩენი აქ რომ ჩა-
მოხვალ მაშინ. მომიკითხებ ჩემი რძალი — თამა-
რი (მიხა რაზიკაშვილის მეუღლე (ციციშვილი)
დიდის პატრიისცემით და გივის კიდევ მრავალი
კოცნა. მოგაკითხათ ყველანი სიყვარულით შენ-
მა რძალამ. მოკითხებ თედო.

*შენი სანდრო,
1921 მ. 9 დეკემბერი.*

ძვირფასო ძმამ მიხა!

შენი ფული მივიღე, მოკითხვისათვის გმად-
ლობთ. პო, სანყალი ბაჩანა, როგორც იყო დავა-
საფლავეთ. მაინც არ ასცდა იმ საცოდავს კაცს
საავადმყოფოში სიკვდილი. მოგელედი შენც,
რასაკვირვებოდა, მაგრამ აბა ვინ დაგემდღერე-
ბა ჩამოსუვლელობისათვის, როდესაც გავიგეთ
შენი გარემოება, შენი ავადმყოფობაც ხომ სანყ-
ენოა. გაუფრთხილდი თავს, კაცო, ხომ მეხდა,
შეეცოტავდი. შენლა შემოგყურებ, ეს მომათა-
ლი თოხბა ხომ ანგარიში არ არის მისალმე.
ამათი იმედი ვის უნდა ჰქონდეს. ბაჩანა მაინც
კარგა დავასაფლავეთ. თანაგრძნობა დიდი იყო.
კუბო ხელოვანთა სასახლიდან საფლავამდე
სულ ხელით ატარეს. სიტყვები და ლექსებიც
წაიკითხეს იმის საფლავზე. მთავრობამაც რა-
ღა გროშები გაიღო, სულ ზედვე მოუწია. ერთი
სამიოდე თუმანი კი მივეცი მარიამს (ბაჩანას
მეუღლე — მარიამ გურასაშული) სავაზოდ. ეს
იყო დედასა. პენსია რაც ეძლეოდა, ჯერჯერობით
შეუმცირეს. ჯერ მარტო მწერლობის პენსიას 12
მ. და 50 კ. დააკლეს. ასე რომ, 20 მანეთილა მის-
ცეს. მასწავლებლობის პენსია 20 მანეთი კი ჯერ
არ მიუციათ. ვინ იცის, თუ სულ არ მოხვდა. ასე,
რომ ეს ბიჭები (ბიჭები — იგულისხმება ბაჩანას
შვილები ვანო, გიგლა, პავლე და ნინო.) ჩემი შე-
ნანახვანი გახდნენ. ასე შეეცქერით ერთმანეთს,
მეც უაფილო... და ავკიშენდა ოჯახი!

კაცო, ეს უსვინდისობები ჯერ მპირდებოდნენ

შენი ძმა ალ. რაზიკაშვილი
29 იანვარი, 1928 წელი, ქ. თბილისი.

კაი ადგილს, ველოდუ, ევლოდუ და ბოლოს რო გაჭირდა, მეტი რა ჩარა იყო, როდნამდის უნდა მელიოდნა, მცირე ადგილზე დაეთანხმდი, ოღონდ-დაც შიმშილით არ დავიაროცნეთ-მეთქი. ერთი ქალი მიხსნეს და იმის ალაგზე დამიბნენს ერთ განყოფილებაში. ნა მ კატეგ. 57. 75ლ. ემესია(ცუ. აბა რამოდენა განსხვავებაა 90 მანეთს და ამ ჯამაგირს შორის. მაგრამ აქაც შედემა მიმუხთება და ეს ქალი ისევ აღადგინეს, რადგანაც ორსული აღმოჩნდა. კოლექტიური ხელშეკრულების ძალით უფლება არა შექონიათ ორსულის დათხოვნა სანამდის არ განთავისუფლდება. დამპარუნეს უკან კანტორაში. კანტორაში კიდევ ვაკანია არ იყო თავისუფალი და კომისარიატის განკარგულებაში დამაბრუნეს. იქ მომსახურე ერთი კვირის ნამუშევარი და ახლა ისევ უადგილოდ ვარ. არ ვიცი, რას იზამენ ეს შეივინებულები. მოვანყობოთ, მეუბნებიან და აბა რა მოწყობაა, რომ ამ ჯამაგირზე მიმიღონ ისევე, მაგრამ რას ხმას ამოვიღებ. სულ არარაობას ცალკეულა ხაირ სჯობიათ, ხომ გავიგონია. თუ იქნება, რასაკვირველია, ნეტავი სხვანა იყოს რამე სამსახური, რომ სულ მიმეფრთხიებინა ამ მამაძალეებისათვისა. რას იზამ, სად ნახვალ?

იოსების სიკვდილი (ვაჭა-ფშაველას შვილის — ლევანის ცოლისძმა იოსებ მთავარლიძე, რომელიც გარდაიცვალა 1928 წლის 1 იანვარს) ძალიან გენეჩინა. თიკომა (თედო რაზიკაშვილის მეუღლე თინათინ იმხნელშვილი) სთქვა, რომ ჩვენ არ ვიცოდით, უუჭველად ამოვიღოდი მე მაინც დასაფლავებაზე. შემდეგ დაეჭულა გამოუგზავნე სამძიმრისა. აბა რა შექნა, ძალიან ცუდი საქმე დაემართა თამარას (ლევან რაზიკაშვილის მეუღლე თამარ მთავარლიძე (1892-1978)). რა დროს ხარმაცობაა, იქნება ეცადოს რასმე, თორემ ხომ შევადვს, ჩვენც ჩვენი თავი გავჭყირებთ. ან საკურავი გააკეთოს, ან კიდევ იქნება რაიმე სამსახური უშოვით სამაგისო. აბა რას ეყოფათ ეს რალაც 19 მ. და 50 კაპეიკია. (საუბარია ვაჭა-ფშაველას პენსიაზე, რომელიც დაენიშნათ ლევანის 1924 წელს დააბატონირებს და დახვრიტეს) ობლებს. 1929 წელს ცნობილი პიროვნება ეახლა ფილიპე მახარაძეს და უთხრა: "გეგნი (ლევანის მონაგარი) კონტრარეოლოციონერის შვილები არიან და თქვენ კი პენსია დაუნიშნეთო. მალე ეს საზრდოც მოუხსნეს ობლებს.)

რალაც ბედი აღარ გენყალობს რაზიკაშვილებს, მაგრამ ჭირსა შინა გამაგრება, ასე უნდა ერთ ქეთიკონსაო, ხომ იცი, უნდა გავმადრდეთ, მოვითმინოთ...

შენ როგორღა გყავს ბავშვები, ან ჩემი რძალი როგორ არის? ბავშვებს ვაუფრთხილდით. თითქოს ვ გოგონა აქ უნდა ჩამოგყვანათ ექიმისათვის საჩვენებლად?

მომიკითხე ჩემი რძალი თავის გოგო-ბიჭებით (გოგო-ბიჭებში — ივლინსებმა ბაჩანას შვილები ვანო, ვიკლა, ბაველ და ნინო). და თამარაც თავის ობლებით. მოგიკითხათ სიყვარულით შენმა რძალმა და ყველა ჩვენებმა. თქვენი ამბავი შეგვატყობინეთ.

ძმოს მიხა!

შენი წერილი აი ეს არის, რაც მივიღე და აი ეხლავე გწერ, თანხმად შენი უმისტოლესი. ჯერ მე ერთი დღე მოვანდომე იმ შენი ამანათების ძაბნას, ის კობახიძეც პირადად ვხსენე, რომელსაც მანდ მიუღია, მაგრამ ვერ ვიპოვე. ტყუობა, რომ შეუყვალაო, ან კიდევ სხვანა გავუგზავნიათ. მე მაინც ვადაეცი მოსაძებნად უფრო დახელოვნებულ კაცს, რომელმაც აგრეთვე ძებნა და ვერაფერი იპოვა. და ახლა ისლა დამჩრჩნია, რომ მინდობილობა გამოვართვა იმ შენ უფროსს, რომლისთვისაც შენ ვამოგოგზავნია და რკინის გზას უნდა დაეთვლიე ერთი ქაქქარი მისი ღირებულება, მეტი ჩარა არ არის, აქამდე ვერ მოვიცალე, რომ ეს საქმე დაემოლოკებინა, რადგან ყველაფერი ჩემს ცხებზე იყო სამსახურში, ახლა კი როგორც იქნება, მოვიცლი.

რაც შეეხება მოგონებსა, ის ყუბანეშივილის გამოფრთვი და სახსენი მაქვს. ლეონიძეც მუშენება, მაგრამ არავის არ ვაძლევ, რადგან ყველა ესენი სულ მამაძალეები არიან. როცა ჩამოსვალ, მამინდობილაპარაკოთ ჩვენ და ისე მოვიცეთ, როგორც ჩვენთვის უკეთესი იქნება. შენც არავის არ მისცე. ყველა ერთი მეორეზე მამაძალეები არიან. აი, ჩემი სურათები აქეთ მუზეუმში ნაღებელი და დღესაც ვერ მიმიღია იმათგან, რადგან დღედღობით მშირდებიან მოგიტანით და ჯერაც არ მოუტანიათ.

ის შენი ამანათები რკინის გზის საბუთებში სრულიად არაა მიწერილი. ძალიან შესაძლოა, რომ მანდვე ანაბნეს. ერთი სიტყვით, მაინც შენ შესას მიიღებ, ნუ გეშინიან, იერიშს მივიტან ძალიან. ერთი ეს შიხარო, შენ როდის ჩამობრძანდები, რომ ჩვენი წინაპარი მოვიგონოთ?

ერთი ამ სიბერის ფასაც უნდა ვაღწყო, რაც იქნება, იქნება. სახლი გიპირებია და „ნოვოსელი“ როდის იქნება. ახალი წელნადი მოდის, ბიჭო, და შენ კი ისევ მთებში გიპირებია ნასვლა, რაშია საქმე?

აბა ჯერჯერობით გამარჯვებით! მოკითხვა დიდი როგორც ჩემდაც, ისე ბაბოსაგან. ჩემს რძალს და ბავშვებს მრავალი კოცნა, ბავშვებმა და ვალოდიამაც (ვალადია ფურცელაძე — სანდრის ქვისლი) მრავალი მოკითხვა. მოკითხეთ აგრეთვე ხარატიშვილებიც (მიხას სიძე ლევან ხარატიშვილი და მისი შვილები).

შენი ძმა სანდრო რაზიკაშვილი.
25.XII.1935.

შევადეთი დასასრულს, დამთავრდა შავ-თეთრი სიზმარი და ცხად-სიზმარიანანაც. ერთი წყავალი არ გეკონოთ და მეორე — ლეინო. არ იფიქროთ, რომ ერთმანეთს გადაფურო და სახარჯო ხასხლი მოვანდობი. უფრო სწორად, ეს ნამცერვეია, "ვაჭა-ფშაველიანას" ნამცერვეი, რომანში რომ ვერ მიუწერინებინა და ცალკე გამოეყავი.

აბა, მომირთმევიან ნამცერვეი, მე ხომ ბედი არ მომასვენებს და შეიძლება ნამცერვეის ნამცერვესაც გამოეკრა ხელი, იქ მაინც ავტელები შავ-თეთრი სიზმრებს.

პატარა ქალაქის ბორჯომანეროს მერის პიერ-ლუიჯი პასტორეს, კულტურის განყოფილების გამგის ჯანი ბარჩელინის და მისი ყოველი მოქალაქის ნინამე უდიდესი პატივისცემით თავი არ მომედროკა, ყოველწლიურად რომ მასპინძლობენ ქართველ ბავშვებს და შეილებივით უფლიან, ასწავლიან სკოლაში და მათ მომავალზე ზრუნავენ.

ჩვენი დიპლომი იტალიაში არ ფასობს, საუნივერსიტეტო ასაკი მე აღარა მაქვს, რომ გამეგრძელებინა ჩემი პროფესიით სწავლა. უნივერსიტეტის მერე, წლები უნდა მეცადა მასწავლებლის ადგილის მისაღებად. ჩვენს პროვინციაში უცხოელების მოზღვავეების გამო კი მედიცინის პროფესიაზე დიდი მოთხოვნილებაა, ამიტომ გადავწყვიტე ამ პროფესიას დავეუფლებოდი. შევისწავლე ემიგრაციის, შრომის კანონები და ყველა ის საგანი, რომელიც კულტურათაშორის ურთიერთობას მოიცავს, ამგვარად მომეცა საშუალება იტალიურ სკოლებში რუსულენოვან ბავშვებს იტალიური ენასწავლა და ქალაქის მერიასთან არსებულ უცხოეთის განყოფილებაში ვიმუშაო, თუმცა არამხოლოდ ყოფილი საბჭოეთის რუსულენოვან ემიგრანტებთან მინეც მუშაობა, ყოველდღიურად ათობით ალბანელს, მაროკოელს, ეგვიპტელს, ტუნისელს, რუმინელს, ჩინელს, ფილიპინელს ვემსახურები. მოუხედავად დამღლელი და საბავშვებისგან შრომისა, უკმაყოფილო არა ვარ, რადგან მედიატორი ხომ შუამავალს ნიშნავს და ვცდილობ, სასარგებლო სამსახური გაუწიო ერთ მხრივ, ჩემსავით უცხოებაში მყოფ ადამიანებს და მეორე მხრივ, სახელმწიფოსაც, ვინადგან მას გაიფიქრობოთ ურთიერთობის და კანონის პატივისცემული ადამიანები სჭირდება. მე თავად კი მათთან ურთიერთობა ძალზე მამდიდრებს, ბევრ ისეთს ვსწავლობ, წიგნებში რომ ვერ ამოიკითხავ.

სამსახურიდან როცა ვბრუნდები, თან მომყვება უამრავი სვედიანი ისტორია ემიგრანტებისა, გულლიან რომ გამეზღობიან ხოლმე, ბევრჯერ ცრემლიც მიღვრია მათ გამო, მინდა, სანერ მაგიდამდე მივიტანო და ყველაფერი დავეწერო, მაგრამ როგორც კი მაგიდის ერთ მხარეს სათარგმნად უყვე მერჩეულ იტალიურ ავტორებს და მეორე მხარეს ქართულ წიგნებს დავხედავე, უშალ მახსენდება, რომ მე სხვა, უფრო მთავარი მოვალეობა, თუ გინდ, მოსოდება მაქვს.

პათეტურობაში თუ არ ჩამომართმევთ, ერთ რამეს ვიტყვი: როცა საბოლოოდ გადავწყვიტე იტალიაში წასვლა და მამას, ასე ვთქვათ, ნებართვა ვთხოვე, ასე მითხრობ: თუ გეყვარა, გულს თუარი არ უთხრა, ოღონდ ერთი გახსოვდეს, რაკი ღმერთმა ასე ინება, რალაც მისიაც დაგაკისრა, არ დაგავიწყდეს, რომ შენ სამშობლოსთან მუდამ ეალბი იქნებიო. ჩასვლისთანავე, მუულის ხელმეწყობით ქართული კულტურის საღამო მოვანყე, მას შემდეგ არაერთი კონფერენციაც ჩავატარე, მინვეენ სკოლებში. გამოიყენები ხოლმე ხეცსდარულ კაბაში, თუ რამ სუენიერი, წიგნი, ფოტო და ხალხური ნიმუში გამაჩინა შინ, ნამოყვადებ ჩემ



მ. გონაშვილი, ი.ჯაჭვაძე, ე. უფსკო და ე. ოთარაშვილი

ქმარს ხურჯინით, გაეშლი ჩემი მზითვეივით და ვსაუბრობ ქართულ ანბანზე, ისტორიაზე, კულტურაზე, იტალიურ-ქართულ ურთიერთობებზე, გკითხულობ ლექსებს ორივე ენაზე, ვეძერი და ა.შ. რაც შეეხება ლიტერატურას, ვთარგმნე და გამოვექვეყნე სულხან-საბას ივავ-არაკები, გ. პეტრიშვილის რამდენიმე ზღაპარი, კობა არაბულის, მაყვალა გონაშვილის. ანა ახმატოვას ლექსები; ყოველწლიურად ემონანილოვო პოეზიის საერთაშორისო ფესტივალებში და მსმენელს ვაცნობ ბალათერ ანტონოვიჩის, ლია სტურუას, ჯანსუღ ჩარკვიანის, თამაზ ჭილაძის, გივი აღზაზიშვილის ლექსებს. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ შარშან გენუას პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე დიდი ნარმატება მოიპოვეს ქართველ-მა პოეტმა დათო მალარაქმა და კომპოზიტორმა ნატო გელაშვილმა, დათოს ლექსები მე ვთარგმნე; ბატონი დათო ფლორენციის ფესტივალშიც მონაილოვობდა და, ჩანს, იმდენად მოეწონათ მისი ლექსები იტალიელებს, კრებულის გამოცემა შესთავაზეს. ეს, უნინარეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის ნარმატება და ამაზე დიდი სიხარული ჩემთვის რა უნდა იყოს?!

იტალიურ-ქართული ურთიერთობები ჯერ კიდევ ჩ.ნ.ა. II საუკუნეში იწყება, როცა იმპერატორმა ანტონინუს პოუსმა 117 წელს ქართველი მეფის, ფარსმან ქველის ტრიუმფის აღსანიშნავად, მარსის ველზე მის ქანდაკება აღმართა, რაც ვფიქრობ, არქეოლოგურ გათხრებს და გამოშვეურებას ელის, ისევე როგორც საუკუნეების განმავლობაში ჩვენი სივების მდომლობა თუ ბედისწერისგან მიჩქვალული და დამარხული ჩვენი ენა, ისტორია და კულტურა ელის გამოშვევებას. სამწუხაროდ, სათანადოდ არ გვიცნობენ იტალიაში, ცოტამ თუ იცის საქართველო. რომ ვიტყვი "ჯორჯიადან" ვარ-მეთქი, ამერიკელი ხარო? და როცა ვახსენებ მედეას, — როგორ, კოლხეთი საქართველოაო?! სხვას არაფერი ვნატრობ, ოღონდ გაგვიცნონ, გავიგონ ვინა ვართ, რომ ამ ერთმა ციდა ქვეყანამ, მუდამ ციხე-სიმაგრედ რომ იდგა ევროპასა და აზიას შორის, საკუთარი სისხლის ფასად შეაჩერა მამამადიანია და ნარმითთა ურდოები და მათი წალექვისაგან გადაარჩინა ევროპა.

უნინარესად ვახსენებდი ჩვენი, ემიგრანტების პატრიარქ ნინო ყაუხჩიშვილს, უკეთილშობილეს ადამიანს, სულით ხორცამდე ქართველს, თუ გადაქარბებში არ ჩამოშართავით, სამშობლოსთვის გრულდამწევარს, რომელაც საქართველოშიც კი არ არის დახადებული და ქართულ-ლი არ იცის. მისი ბიოგრაფიის და საქმიანობის შესწავლა, ვეუქრობ, საშური და საკადღებულო საქმეა ჩვენითვის. მასთან დაკავშირებით, თუ ნებას მომცემთ, ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ნინო ყაუხჩიშვილი ოციდადე წლის წინ გაიქცა თბილისის უნივერსიტეტში, მაშინ იტალიური ენის სწავლას ვინყვებოდა და მასთან შეხვედრა ძალზე შთაბეჭდილი აღმოჩნდა ჩემთვის, მერე აღარსად მინახავს. ხუთი წლის წინ მეზობელ ქალაქ ორტაში პოეზიის საერთაშორისო ფესტივალზე ეანწყობ კონფერენციას „ქართული პოეზიის ძირითადი თემები“, ვკითხულობ „წუთისოფელს“, „ამირანს“, „ვეფხისტყაოსნის ბალადის“ და სხვა ლექსებს ქართულად და იტალიურად, ფესტივალის ორგანიზატორი ინგლისელი პოეტი გაბრიელ გრიფინი — ინგლისურად; იტალიელების გარდა, უამრავი უცხოელის გარემოცვაში ერთი ქალბატონი გაბრწყინებული თვალებით შემომცქერის, ბოლოს მოდის და მეუბნება: მე ვიცნობ საქართველოს, რადგან ქართველი მეგობარი მყავს, ნინა ყაუხჩიშვილი. წარმოადგინეთ, ჩემს სისხარულს სახლარი არ ჰქონდა. ადამიანი, რომელსაც შორიდან ვაღმერთობდი, თურმე ჩემგან სულ ახლოს, მიღამნი ცხოვრობდა. ასე დაემეკობრდით მე, ნინო ყაუხჩიშვილი და მარია სორეზინა, შესანიშნავი მეცნიერი და მკვლევარი. მას შემდეგ არცერთისგან ყურადღებუ და დედობრივი შურუნველობა არ მომკლებია.

სამწუხაროდ, ვერ ეხვდები რომში მოღვაწე ქართველს, ნოდარ გაბაშვილს, უარესად განათლებულ არისტოკრატს, რომელმაც ძალზე საინტერესო ნივთები გამოაქვეყნა საქართველოზე. მინდა ვახსენო ჩვენი ერის საამაყო შვილი, ახალგაზრდა მეცნიერი გავა შურდაია, რომელიც ვენეციის უნივერსიტეტში ასწავლის ქართულს და ატყორია ღრმა, ფუნდამენტური ნაშრომებისა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ. არ შემძლია, არ ვახსენო ქალაქ პალდუში მოღვაწე ნინისტი დათო ჯავახიშვილი, რომელიც იმდენად ცნობილია თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით, შვილები რომ მიჰყავთ მუსიკალურ ინსტიტუტში „რუს მაესტროსთან“ მოსახვედრად იბრძვიან.

რაც შეეხება სათავისტომოს, სწორედ ნინო ყაუხჩიშვილმა მოგვიყვარა თავი შარშან მიღამნი ქართველებს და წლეულსაც აპირებს. საქართველოზე შეყვარებული ბევრი იტალიელიც ესწრე-

ბოდა იმ დაუფინყარ დღეს. განსაკუთრებული მადლიერების გრძობით ვახსენებდი ამ შეხვედრის ერთ-ერთ ორგანიზატორს, პერგამოს უნივერსიტეტის პროფესორ სილეო კალესი, რომელმაც შესანიშნავი ფოტოგამოკვანა მოუძღვნა სვანეთს და საერთოდ, ჩვენი ერის დიდი ქომაგია. იმ დღის მონყოლაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველოლოგი ლუიჯი მაგაროტი.

ეტრუსების თემა ჩემი დიდი გატაცებაა, მაგრამ ამაზე კომპეტენტურს ვერაფერს ვეტყვი, ვინაიდან ეტრუსკოლოგია ძალზე სერიოზული მეცნიერებაა და ერთი-ორი ნაკითხული წიგნის საფუძველზე, მასზე მსჯელობა არასერიოზული იქნებოდა. მაინც ვაბეჭდებ და ვახსენებ ბატონ რისმაჯ გორდენასის წიგნს „ეტრუსკული და ქართველოლოგი“, რომ შეიძლება ამ წიგნის იტალიურად თარგმნა, იქნებ დაფიქრებულიყვნენ იტალიელები, რატომ უწოდებდნენ ლათინელები ეტრუსიას ტუმას, ხოლო ეტრუსკებს — ტუმებს? ან ფრანგი მეცნიერი მაიანი, რომელმაც ქართული არ იცის და ალბანურში ეძებს შესატყვისებს, ვთქვათ: ცილქსი რომ სისხლია, ლური — ლორი. პაპუცი-პაპუციები, ბალია — ბალია, ზათ — ზათი?! რომ ეტრუსკი და პროტოქართველი მისწივი ერთნაირი ნუსით კლავდნენ ხარს, მოსიროდნენ შიგნულს და ისე მკითხაობდნენ. სხვა რომელი ერები ექვეოდნენ განსაკუთრებული მონივნებით მიცვალებულებსა საფლავებს როგორც ჩვენ? თალის აგვის ხელოვნება ხომ ქართულია, რასაც თავად იტალიელები წერენ, ეტრუსკებმა ასწავლეს ლათინებსო? იმაზე რაღა ვთქვათ, რომ მამა პატრიარქატი არ ჰქონიათ, მაგრამ ეტრუსკული ქალი გარემოცული იყო განსაკუთრებულ სიყვარულით და პატივისცემით და ბერძენისაგან და ლათინებისგან განსხვავებით იგი სუფრასთან დადიმეგობროდა და წვეულების სრულფელებიანი ნეერი იყო;

ეტრუსკების სოციალურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა წარმომავლობას, კლანს, ოჯახს, ვიძს. ხომ არ გეყენებათ, რომ ეს ყოველივე ძალიან ქართულია? იტალიელ მეცნიერს ტრომბეტის, ეტრუსკები მცირე აზიიდან მოსულებად მიანია და იბერიულ-კავკასიურში ეძებს პარალელებს, თუმცა ახლახანს ახალი აზრი განდა იტალიაში, რომ ისინი არსაიდან მოსულები არ არიან და ადგილობრივები იყვნენ. მე ღრმად მწამს, რომ ეტრუსკების წარმომავლობის პრობლემას ქართველი მეცნიერების გარეშე ვერ გადაწყვეტენ, და საერთოდ მსოფლიო კულტურა ქართული კულტურის გვერდის ავლით ვერ განიხილება.

ესაუბრა იზა ჯაჭვამე



გიორგი გვაგაჭკორი

საქვე ნიხაშვილი

იდაიხი პროფესიონალი (გიორგი გვაგაჭკორი)

2002 წლის სექტემბერში გოგი გვაგაჭკორი კოლმეურნეობის ბაზარში შეხვდა. ზაფხულის დასვენების მოუხედავად მუდამ შემართული და ყოველთვის ელევანტური ოდნავ ნირშეცვლილი მეჩვენა. მასაც არ გამოეპარა ჩემი გაკვირვება და „ცუდად ვგრძნობ თავს, მგონი რაღაც უსაშველო მჭირსო“... დაბადების 80 წლისთავის ობილუ უახლოვდებოდა და იქვე გადავწყვიტეთ მისი შემოქმედებით ცხოვრების ამსახველი ალბომის გამოცემის საკითხი. დოკუმენტური ფილმის გადაღების საკითხიც იდგა, მკითხა რაიმე იდგა ზომ არ მქონდა: „კარგი იქნება თუ ფილმში თავად მოყვებით თქვენს ცხოვრებას-მეთქი“... ყველაფერი 2003 წლის 23 თებერვლამდე უნდა მოსწრებოდა. დიდმა პროფესიონალმა ყველაფერი გამოზომა, ყველაფერი მისხალ-მისხალ დაგვება და სიცოცხლის დარჩენილი

ყოველი წუთი მაქსიმალურად შემოქმედებითი მუხტით გახარჯა...


23 თებერვალს რუსთაველის კინოთეატრში (იმ დროს რუსთაველის თეატრში ხანგრძლივი კაპიტალური რემონტი მიმდინარეობდა) გაიმართა შესანიშნავი დოკუმენტური ფილმის „გოგი გვაგაჭკორის“ პრემიერა და დიდ მსახიობთან გამოთხოვებაც. მან ოცი დღედა იცოცხლა.

გიორგი გვაგაჭკორმა ვერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, იმ დროს უკვე სახელგანთქმული პედაგოგის გიორგი ტოვსტონოვოვის საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებში მონაწილეობით მიიპყრო ყურადღება. ოსტატობას უფლებოდა ქართველი რეჟისორის კოლორიტული ფიგურის, უნიჭიერესი და მშვეფარ ბუნების, შესანიშნავი პედაგოგის დიმიტრი ალექსიძის ხელმძღვანელობით. ოსტატმა შეგირდს სტუდენტობის წლებშივე დაადგა თვალი და რუსთაველის თეატრში წაიყვანა. ახალბედებს, გლუმოვის („ზოგჯერ ბრტენიც შეცდება“) მიანდო, როლი, რომელსაც განუმეორებელი აკაკი ხორავა თამაშობდა. დებოუტის შემდეგ დიდმა არტისტმა გლუმოვი მთლად მას გადაულოცა. გამარჯვება სცილდებოდა ახალგაზრდა მსახიობის რიგით წარმატებას, მან საზოგადოებრივი აღიარება პოვა და იმ დღიდან გიორგი გვაგაჭკორი რუსთაველის თეატრის სახელოვანი დასის ლირსული წევრი გახდა. ეს არ იყო მხოლოდ იღბალი, ბედის წყალობა, როლის ხასიათის მსახიობის ინდივიდუალობასთან დამთხვევა, შემთხვევითი გამართლება. ქართულ თეატრში გამორჩევა ხალასი ნიჭის, პოტენციური შემოქმედებითი ძალის მქონე, პერსპექტიული მსახიობი, რომლის ინტელექტუალურ და ესთეტიკურ აურას ამკარად ეტყობოდა ორმოციან წლებში თეატრალურ ინსტიტუტში თავმყრილ არაჩვეულებრივ ქართველ მეცნიერთა, მეტყველების პედაგოგთა, თეატრის ისტორიკოსთა მოღვაწეობის კვალი.

დღითი დღე იზრდებოდა მსახიობის სამსახიობო რეპერტუარი, ყოველ ახალ სცენურ სახეში თანდათან იკვეთებოდა მისი აქტიურული ინდივიდუალობა.

რუსთაველის თეატრის შენობის ხანძრისაგან განადგურების გამო 1949 წლის 2 ივლისს ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა მ. მრეკლიშვილის პიესის „ნ. ბარათაშვილის“ პრემიერა (დამდგმელი დიმიტრი ალექსიძე) და როგორც მიხედა თემინიშვილმა თქვა: „გიორგი გვაგაჭკორს უზარმაზარი წარმატება ხვდა წლიად ბარათაშვილის როლში. ეს იყო მისი აღიარება და შემწარჩი დაბადება“.

გენიალური პოეტის, რომანტიკული აღმაფრენის ზუსტი ხატება იყო მსახიობის გარეგნული პორტრეტი, ბედის უკუღმართობით დაღდასმული და მარტოსული. მისი ფართო შუბლი უმაღლესი ნიჭიერებით იყო გაცისკროვებული. სულის ბორჯვასთან ერთად ღვთიური პოეზიის მადლს ასხივებდა თვალთაგან.



გულოიანი, „საბრალდებო დასკვნა“

და დაიწყო მსახიობის ხელოვნების აღმასვლა:

დონ სეზარი („დონ სეზარ დე ბაზანი“): ესამნელი აზნაური, ალაღ-მართალი, ლაღი, მხიარული და გულადი. ჯიბეგაფხეკილი, მაგრამ დარღვიმანდი, უსამართლობის წინააღმდეგ დღენიდავად დამამაოღერებელი, ლატაკთა და დამცირებულთა ქომავი. შეენოდა დიდი, ფარფლებიანი ქუდი. ველასკესის თუ ელ გრეკოს ფერწერულ ტილოებზე გამოსახულ რაინდთა იერი დაჰკრავდა.

პლაგოი („ფილოსოფიის დოქტორი“): გადამდგარ პოლიციელს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა — პერსონალური პენსიის მოპოვება... გაუხეშებული უღვაშებით და აპრეხილი წარბებით კარიკატურას ჰგავდა. უჩვეულო ვარცხნილობა, ყალბე შემდგარი, შუაზე გაყოფილი ქოჩორი კიდევ უფრო თვალში საცდის ხდიდა თმის ხელოვნურობას. ჩალურჯებულ ლოყას სამედიცინო პლასტირი უფარავდა. ნანვეტებულ ცხვირზე სათვალე ეკიდა, რომელსაც თითქმის არ ხმარობდა, საკუთარი ფატირაკების აღტაცებით მოყვლიდა და დემონსტრირებისას ყოველთვის სათვალის ზემოდან იმზირებოდა. რეჟისორ მიხილ თუმანიშვილის ჩანაფიქრი და მსახიობის ეს უაღრესად გროტესკული ხედვა საოცრად სინქრონული იყო სპექტაკლის საერთო გადაწყვეტისა.

ექვიმე ქათამაძე („ამბავი სიყვარულისა“): მელოტმეპარული, მარტობელა კაცის თვისებებით. სპორტსმენის კარიერის დასრულების შემდგომ პროფესიონალი მწვრთნელი საკუთარ ფუნქციონებაზე განსაკუთრებით ზრუნავდა. ამის გამო ხშირად უცნაურ და სასაცილო სიტუაციებში ვარდებოდა. მეტყველებისა და სიარულის მანერით იუმორს იწვევდა. ნაკრავებ ოთახში ცხოვრობდა. გასაშლელი სანოლი, წიგნების ერთი შეკერა და ორი ჩემოდანი იყო მთელი მისი ავლა-დიდება. ამ ექსცენტრული ბუნების, მუდამ აფორიაქებულ კაცს ზოგჯერ ფარულ სევ-

დას შეამჩნევდით, უსიყვარულოდ ცხოვრობდა... ფარულად, კრძალვით ეტრფოდა პროვინციიდან ჩამოსულ თავისსავე სტუდენტს... როცა სიყვარულიც გაუმართლებდა და ახალ ბინასაც მიიღებდა, ბედნიერებისაგან რეტდასხმული იატაკზე მოადრნდა ზღართან. მსახიობური ოსტატობის ფიგურერკს აღწევდა ნინა ორ სცენაშიც (გამოცდისა და პაემნის ეპიზოდები).

თომა ჩუკაძე („ერთხელ დახოცილები“): თეთრი წვერ-უღვაში ამშვენებს. ჩოხა-ახალუხში და აზიურ ჩექმეში ლახათიანად გამოწყობილი, კოხტად შემოგდებული ყაბალახით ჩვეულოვან მეგრულ გლეხკაცს ჰგავს. უკვე წლებითაა დამძიმებული, მაგრამ ახალგაზრდული სიმკვირცხლე შემორჩენია. შემთხვევას არ უშვებს, ქალობტონებს მოჟუჟუნე თვალები არ შეანათოს...

ბილა სტარბაკი („წვიმის გამყიდველი“): უნესრიგოდ შესხნილი, ვახუნებული ლაბადით სცენაზე პირველი გამოჩენისას ირეალურ სამყაროდან მონღოლნიღს ჰგავდა. მალე ირკვეოდა, რომ ეს მეოცნებე კაცი საკუთარი რწმენით აღტიკნებულ ადამიანში სიკეთის, იმედის აღძვრას ესწრაფოდა.

მგელი („ჭინჭრაქა“): შავკოლებიანი ხილაბანდით მტკიანი ყბა აუკრავს, ბატკნის ტყავისაგან შეკერილი ჩამოფხატული ფაფახი შიგ მოუქცევია. წილზე შემოტკეცილ გლეხურ ხალათზე ვერცხლისფერი ხანჯალი ჩამოუკონიალებია, შემოკნებილი აზიური ჩექმებით კი არ დააბიჯებს, გაპრანჭულად დასეირნობს. თუმცა, მისი თვალებიდან შიმშილით გამონვეული ნალექი იცვლება, კუჭგამხმარი მელასთან არმიყვით იტევდა თავს. მეგრული აქცენტით მეტყველებს, მეტად ალგზნებული ატარებს მხეცთა კლუბში გუნდის რეპეტიციას.


გლობტერი („მეფე ლირი“): ლირის სულიერი მეგობარი და თანამებრძოლი, ბოროტების მსხვერპლი, მართოლუვარე ხელებით სასოებით მალავდა ვერაგულად დათხრილ თვალებს.

ბოქერტუი („ჩაღის ქუდი“): არაბუნებრივ სახეზე უზომოდ ნავრძმელებული ცხვირი დომინირებს. ვეება ნიგნს მექანიკურად ფურცლავს, თითქოს, დავიანების გამო, მეუღლისათვის სასჯელს ეძებდეს! მეუღლის დანახვაზე კი ისეთი ორპროვანი მოძრაობით უსწორებს მას ჩაღის ქუდს, რომ ამკარად ხედებით ქვეტექსტის აზრს.

ტიგრან გულოიანი („საბრალდებო დასკვნა“): ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის თქმისა არ იყოს, მართლა ტარაკანასავით ცხვირპირი „ამშვენებს“. ციხის კანონებით გამობრძმედილს უმოქმედობის ფამსაც კი ყურები მუდმივად დატკეცილი ჰქონდა. ჟარგონით მოლაპარაკეს თვალშია სტენო, თავებუდური, „ქურდული“ ფესტიკულაცია ბუნებრივად შერწყმოდა. უცნაურია, ეს რეციდივისტი რალაც სიმპატიასაც კი იწვევდა.

ნათანი („ნათან ბრძენი“). კაცთმოყვარე ბუნების, ეროვნებათა თანასწორუფლებიანობის მკადაგებელი იყო, დარბაისლური ტონით საუბრობდა. ფსიქოლოგიურ ნიუანსებს შერწყმილი თავშეკავებული ემოციონობა მის გარეგნულ იერსაც აშკარად დასტუტობდა. შვეერცხლოლი ნვერი ჰქონდა, ებრელთათვის დამახასიათებელი სამოსი ეცვა. ძვირფასი კრილოსანი და გულსაყვი მის კამიტალს მიანიშნებდა. თვალეზიდან გამოკრთოდა განვლილი ჭირ-ვარამის ანარეკლი, შინაგან ბრძოლას თავდაჭერილად ამტკუნებდა.

ზანტე ჯააგას („ძველი სამრეკლო“) არავითარი თეატრალური გრძიმი, არ ჰქონდა. სულიერი სინძინდე სახეზე ევინა. სიყვითთ საცხე, შუეპოვარ შმონმელ მეგრელ გლეხკაცში ნამძვლი ინტელიგენტობა ჩაბუდებულიყო. სიმართლის თავგამოდებული ჟომავი გაოგნებული იყო გარესამყაროს ავკაცობით.



მგელი, „ჭინჭრაქა“

ალქაჯი („მაკებუტი“). ქალის კაბაში გამოწყობილი, გაურკვეველი სქესის არსება, ბებერი როსკიპის მანჭვა-გრნებით და სახეზე ნათხუნული ფერეზმაროლით ზუსტად შეესიტყვებოდა შექსპირის ტრაგედიის ამ ეპიზოდის სტურუასეულ ტრაგეკომიკურ ჩანაფიქრს...

გოგი გეგეტქორის ვკვლა სცენური სახე, სრულქმნილი და ნაკლებად სრულყოფილიც კი შექმნილი იყო სიმსუბუქით, ძალდატანების გარეშე. ყველაზე თამამი, გამძაფრებული შტრიხებიც კი გასაოცარი ბუნებრიობით იყო განსახიერებული: ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში ქართული მაყურებლის უსაზღვრო თანავრძნობით იყო გარემოსილი მისი ბახვა ფულავა („პირველი ნაიჯი“). გულწრფელობით, თბილი ოუმორით შექმნა კოტე მათიაშვილის იერსახე („ახალგაზრდა მასნავლებელი“); ალექსი („ხალისიანი მეგობრები“). მსახიობის შეარულებში ხაზგასმული იყო უბრალოება და გამომსახველი ფერების სისადე.

გაიოზ გადაღუნდიას („ჟარიელ გოლუა“) მზაკერულ ბუნებას კი მსუყე საღებავებით ხატავდა. ფსიქოლოგიური წილსვლებით ხასიათდებოდა ნარსულში ზნას აცდენილი, უმიდვიო შეყვარებული, დამსახურებული მეზღვაურის ვახტანგ ნიუარაძის („ზღვის შვილები“) სახე, ხოლო მიხილ ყიფშიძის („ვახშობის წინ“) სცენურ სახეში სრულიად განსხვავებულ აქტიურულ ფერებს და ნიუანსებს იყენებდა. პატრონი შალვა („შონი დამე“) სცენური სახე კი კიდევ ერთხელ მეტყველებდა მსახიობის გარდასახვის დიდ ოსტატობაზე. რეჟისორ თემურ ჩხეიძესთან მუშაობის შედეგი იყო პროფესორ ვიორგის („მოთლოდნული სტუმარი“) სცენური სახე თანამედროვეობის ამსახველი მწვეავე პრობლემატურ სექტაკლში. დიდი სცენური სიმართლითა და ემოციით იყო აღსვლი რეჟისორის თანამშრონის როლი კინომსახიობთა თეატრში ეროსი მანჯვალაძის სსოვინსადმი მიძღვნილ სექტაკლში „ჩემი პატარა ქალაქი“.

გიორგი გეგეტქორი ყოველ უშიშვნელო ეპიზოდში გამოსვლის დროსაც კი მაყურებელთან კონტაქტს უშლდ ამყარებდა. სცენაზე გამოჩენისთანავე იგი ყურადღების ცენტრში ექცეოდა. უდიდესი პატივისცემა და მოკრძალება, სათუთი მოყრობა სწვეოდა ავტორისეული სტილის თავისებურებათა მიმართ. და საერთოდ ლიტერატურული მასალისადმი. ამის ნათელი მაგალითი იყო მონო-სექტაკლი „მონატრება“ ნოდარ დუმბაძის ნანარძობის მიხედვით შექმნილი — თეატრში „ვერიკო“. სარკაზმული სცენური გამომსახველობითი საშუალებების უზვად გამოყენებით, ირონიული ხედვის სიმძაფრით, მზავრული სახის გარეგნული დახვენილი შტრიხებით ლაერენტი არდაზანის სტილის თავისებურების მკაფიო შეგრძნებით, მნიშვნელოვანი იყო მეტების თეატრში სოლომონ ისაკიშ მეჯღანუამვილის განსახიერება (დამდგმელი სანდრო მრეველიშვილი).

გიორგი გეგეტქორის შემოქმედების გვირგვინი, ქართული აქტიური ბელოვნების ერთ-ერთი შედეგერი იყო პლატონ სამანაშვილი. („სამანაშვილის დედინაცვალი“) ნატიფი შესრულების მანერით, გამოსახვის იშვიათი ზომიერებით და ზუსტად მიგნებული სევენანარევი ღმილით აცოცხლებდა იგი კლდიაშვილისეულ გმირს. მსახიობს უხილაფი ნიუანსებით გადაფყავდით ავტორისეული თბრობიდან პლატონის სულიერ სამყაროში. ამ პროცესს საოცარი სიდაქიზით ახორციელებდა და რეჟისორთა (თ.ჩხეიძე, რ.სტურუა) ორიგინალურ ჩანაფიქრს ხატოვნად ნარმოაწენდა. პლატონ სამანაშვილის სცენური სახე თვისობრივად ახალი მოვლენა იყო გიორგი გეგეტქორის შემოქმედებაში. როგორც ვერიკო ანჯაფაროძე თვლიდა: „კლდიაშვილისეული თამამის მანერას გოგამ შესანაშნავად მიავანი“.

მთელი ცხოვრების მანძილზე მოღვაწეობდა გოგი გეგეტქორი ქართულ კინოში, ტელევიზიაში,



„ღონ სერბ ღე ზახანი“

რადიოში. იგი ბრწყინვალე პროფესიონალი იყო სცენაზე და ეკრანზეც. ორმოცამდე შესანიშნავი ეკრანული სახე აქვს შექმნილი: კეთილი, მეგობრული ვახტანგი („აბეზარა“), ონავარი შვილის გადამკიდ მრავალ ფათურაკში მოხვედრილი მამა („არდადაგები“), მოხუცი საიათნოვას ხატება სერგო ფარაჯანოვისეულ ფილმში, ამჩატებული და ცერცეტა ფარმაცევტი („ვერის უბნის მელიოდები“), ექსცენტრიული დათიკო („აურზაური სალხინეთში“), გაიძვერა მოსე („აკაცია ადამიანი?“), ღრმა ნოსტალგიით შეპყრობილი, სამშობლოდან გადახვენილი სამსონ ჯაბადარი („ფესვები“), წმინდანის დიდებული შიშითა და სიღარიბისლით აღბეჭდილი მოხუცი ესტატე („ანთიმოზ ივერიელი“), სევდანარევი იუმორით გამორჩეული კლდიაშვილისეული ვალაქტიონი („ბაკულას ღორები“), ბედუკულმართობით დაღდასმული ჩაჩივა („ნატურის ხე“). გიორგი ვეგეჭკორი მხატვარია, რომელიც საკუთარ შემოქმედებას მუდამ დიდი პასუხისმგებლობით და მომთხოვნელობით ეკიდება. მის მიერ თეატრსა და კინოში შექმნილი სახეები სერიოზული მუშაობისა და უხვი ტალანტის ნაყოფია — ნერდა თენგიზ აბულაძე. გიგა ლორთქიფანიძე კი თვლის რომ: „გოგის უნარი შესწევს ინტელექტუალიზმი და პლასტიკა პარმონიულად შეურწყას ერთმანეთს. ასევე მალალი

რანგის მოაზროვნედ და ინტელექტით შემკულ ადამიანად მიმაჩნია მის მიერ განსახიერებელი ანტონ კათალიკოსი ფილმში „ნიწნი ფიცისა“... დღესაც კინოფილმ „დათა თუთაშხიას“ ყოველი ნახვისას სანდრო კარიძის რეპლიკა: „ვაი, უბედურო საქართველო, საით მივქანები“ გოგი გვეჭკორის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ინტონაციით დიდხანს თან დაგვეყვება ხოლმე.“

გოგი ვეგეჭკორი იდეალური პარტნიორი იყო. პარტნიორები ამბობდნენ: „ყოველთვის ახალი სამუშაოს დროს, საშინელი მღელვარებით ვხვდები ჩემს საყვარელ პარტნიორს“ (სალომე ყანჭელი), „ადიდებულო ადამიანო, დიდებული მსახიობო და ყველასათვის საყვარელი შემოქმედო, შენი მაღლიერი და შენით მუდამ აღტაცებული, აუ... რამდენი ხნის პარტნიორი“... (მედეა ჩახავა), „თქვენ ყოველთვის, ყოველთვის განებივრებული იყავით მაყურებლის დიდი სიყვარულით და პატივისცემით. და ეს ბუნებრივია, რადგან თქვენ თავად ანებივრებით მათ თქვენი მშვენიერი ხელოვნებით“ (ზინა კვერცხნილაძე), „ყველაზე კარგი პარტნიორი მთ შორის, ვინც შემხვედრია, კონტაქტის მხრივ... არ არის სხვა არტისტივით. ჩვენ გვაქვს ასეთი გამოთქმა: „ეს სცენა ჩემია“ აქცენტებით, მონაცემებით ამ დროს ჩრდილში იცის ვასელა, რომ ხელი არ შეგიშალოს, რომ შენ გამოჩნდე“ (ეროსი მანუგალაძე), „იგი ჩვენი თაობის ლიდერია, გოგამ სხვებთან ერთად დიდი როლი ითამაშა მარჯანიშვილისა და რუსთაველის თეატრების დამფუძნებლებში, მათ ოდითგან ვაცვივებელი ურთიერთობის აღდგენა-განახლებებში“ (ვიქტორ მაღალაშვილი), „უაღრესად მომთხოვნია თავისი თავისადმი და პარტნიორის მიმართაც, ამდენად, ვესმარება იგი. კიდევ განადვილებს შრომას, როდესაც ხედავ შენს გვერდით ისეთ პარტნიორს, რომელსაც როლი კარგად გამოსდის, შენზეც მოქმედებს ეს, სტიმულს გაძლევს“ (რამაზ ჩიქვაძე), „უდიდესი სიამოვნება სცენაზე გოგი ვეგეჭკორის პარტნიორობა, მის გვერდით ლაღად გრძნობ თავს“ (გურამ საღარაძე), „გოგი ყოველთვის ყურადღებანიანა, განსაკუთრებით მაშინ, თუ პიესაში შემთხვევით შესული ხარ, იგი ცდილობს დაეცხმაროს, ხელი შეგიწყოს გაგადვილოს მუშაობა“ (კარლო საკაძევილიძე).

ქართველი ხალხის სიყვარულით გარემოსილი, დიდბუნებოვანი, სიკეთით აღსავსე, გულითადი და ღრმა შინაგანი კულტურის პიროვნება გიორგი ვეგეჭკორი ბრწყინვალე ნარმოადგენელი იყო ერთმონებურ მსახიობთა იმ თაობისა, რომელთაც მძაფრი შემოქმედებითა და ცხოვრებისეული ქარტილებების გადატანასთან ერთად, ნილაღ ზედათ რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი ტრადიციების განვითარება, ახალი თეატრალური ესთეტიკის ანსამბლური ნარმოადგენის დამკვიდრება და გამორულ-პერიოდიული აქტიურობის სტოლის სინთეზი ცხოვრებისეულ სიმართლესთან.



შალვა მშველიძე

ნინო

აფრიაშვილი

„საში ახყოხსნილი
ოლეზის სიფონია“

შალვა მშველიძე XX საუკუნის ქართული მუსიკის კლასიკოსია, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ისტორიაში. შემოქმედებით სარბიელზე მშველიძე გამოვიდა 20-იანი წლების ბოლოს. ესაა პერიოდი, როცა ერთმანეთს უშუალოდ ხვდება ქართველ კომპოზიტორთა ორი თაობა. უფროსები იყვნენ ქართული კლასიკური ოპერის ფუძემდებელნი — ზაქარია ფალიაშვილი და მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი და ვიქტორ დოლიძე, უმცროსნი კი ისწრაფოდნენ ახალი ფანრების, სიმფონიური და კამერულ-ინსტრუმენტული მუსიკის შექმნისა და დამკვიდრებისათვის. მშველიძის უდიდესი დამსახურებია ის, რომ იგი ანდრია ბა-

ლანჩივაძესთან ერთად ეროვნული ინსტრუმენტული სტილის შემქმნელად გვევლინება. მშველიძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული სიმფონიური, საოპერო და საგუნდო მუსიკის ისტორიაში.

„მშველიძე — შემოქმედებითი ბუნებით ზაქარია ფალიაშვილისა და ნიკო სულხანიშვილის შთამომავალია, მათსავით სულიერ საზრდოდ მიიღო ქართველი ხალხის საერო-ეპოსური და სასულიერო მუსიკალური ენერჯია და მისი საკუთარი ინდივიდუალობაც აქ იშვა... მშობლიური ხალხური სიმღერის უთვალავი თავისებურებანი სტიმული გახდა მშველიძის კომპოზიტორული პიროვნების სრულიად ორიგინალური გამოვლინებისა“ (ანტონ ნულიძე).

შალვა მშველიძე — მრავალმხრივი მოღვაწე იყო, საკომპოზიტორო და საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა, იყო კომპოზიციის კათედრის გამგე (30-40 წწ.), თეორიულ-საკომპოზიტორო ფაკულტეტის დეკანი, სათავეში ედგა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს (47-50 წწ.), თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს (50-52 წწ), იყო საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე (41-51 წწ).

შალვა მშველიძე ქართულ ხალხურ მუსიკას ადრეული ასაკიდან ეზიარა, მან ბავშვობა ქართლის სხვადასხვა კუთხეში გაატარა, სადაც ისმენდა ხალხურ სიმღერას და თავადაც მღეროდა საეკლესიო მგალობელთა გუნდში. ხალხური სიმღერის თავისებურებანი მისთვის მძლავრ სტიმულად იქცა და შემდგომ მისი შემოქმედების, კომპოზიტორული ხელწერის ორიგინალურ მახასიათებლად ჩამოყალიბდა.

მშველიძის მუსიკის გამორჩეული თვისებებია მისი ორგანული კავშირი ეროვნულ ტრადიციასთან. იგი პირველი კომპოზიტორია, ვინც პროფესიულ მუსიკაში აღმოსავლეთის მთის კილოები დაამკვიდრა და მათი დამახასიათებელი ინტონაციები თავისი სტილის განმსაზღვრელ ფაქტორად აქცია, მან ხიდადიტ მოხილი აღმოსავლეთის მთის ინტონაცია შემოიტანა მუსიკაში, გამოიყენა ე.წ. „ფშური კილო“, რომელსაც თავად უწოდა ეს სახელი. საზრდოდ მიიღო ქართული ხალხური საერო-ეპოსური და სასულიერო მუსიკალური ენერჯია და ჩამოაყალიბა იმდენად თვითმყოფად და ინდივიდუალურ მოვლენად, რომ მას „მშველიძის მუსიკალური ენა“ ეწოდა.

შალვა მშველიძის შემოქმედებაში თავიდანვე იგრძნობოდა გამბედაობა შესტიდებოდა ეროვნული მხატვრული ლიტერატურის უმაღლეს შედეგებს, მის შემოქმედებაში ვხვდებით ვაჟა-ფშაველას პოეზიას (სიმფ. პოემა — „ზვიადაური“, „მინდია“, „ვეფხი და მოყმე“, „ალუდა ქეთელაური“, „შატლიონი“), შოთა რუსთაველის უდიდეს „ვეფხისტყაოსანს“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“, რევაზ ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივს“, გ. აბაშიძის, გ. ლეონიძის, ი. გრიბაშვილის, ვ. ყურულის ლექსებს.

საოპერო ჟანრში შალვა მშველიძე სიმფონიური მუსიკიდან მივიდა. პირველი ოპერის პრემიერამდე („ამბავი ტარიელისა“ 1946 წლის 25 თებერვალი) მას შექმნილი აქვს სიმფონიური ელევია „ფშაური“, სიმფონიური ოდა „აზარი“, სიმფონიური პოემა „ზვიადაური“, №1 და №2 სიმფონია, და საზოგადოება ინტერესით ელოდა მშველიძის საოპერო ნაწარმოებებსაც. „ეროვნულ საოპერო შემოქმედებაში მისი კლასიკური ეპოქის შემდეგ, მუსიკალური შემოქმედების ცენტრმაც სიმფონიურ მუსიკაში გადაინაცვლა. ბუნებრივია, ძვრები უნდა მომხდარიყო და ქართული ოპერის ახალი ხანაც დაწყებულიყო. და ეს როლიც იკისრა კომპოზიტორთა იმავე, ახალმა — ეროვნული სიმფონიური შემოქმედების ფუძემდებელმა თაობამ.“

შალვა მშველიძეს შექმნილი აქვს ოთხი ოპერა: „ამბავი ტარიელისა“, (1945 წ.), „დიდოსტატის მარჯვენა“, (1960 წ.), „ჯარისკაცის ქვრივი“, (1968 წ.), „ალუდა ქეთელაური“ (1974 წ.).

ოპერა „დიდოსტატის მარჯვენა“ კომპოზიტორის მეორე ოპერაა. მშველიძემ პირველად აამეტყველა უდიდესი რომანისტიკის — კონსტანტინე გამსახურდიას შედევრი „დიდოსტატის მარჯვენა“ (ლიბრეტო კ. გამსახურდიასა და ქუჯი ძიძიშვილს ეკუთვნის). ბუნებრივია, რომანის მუსიკალურ-სცენური განხორციელება დიდ სიძნელეთან იქნებოდა დაკავშირებული, ლიბრეტოში შეიცვალა გმირთა თავგადასავალი და კომპოზიტორი თავისებურებანი, წინა პლანზე გამოდის სახალხო სცენები, პირქუში და მონუმენტური ეპოსი. აქ ვეღარ ვხვდებით გმირთა — ადამიანთა უშუალო შეჯახებას, ენებათა ქიდილს.

ოპერაში ხალხი — მთავარი გმირია, ესაა მოძრაი, მოქმედი ძალა, რომელშიც უდიდესი, მოზღვაებული ენერგია იგრძნობა. ოპერაში მოქმედ პირთაგან „ყველაზე უფრო მძლავრი თვისებებით აღჭურვილი, მხატ-

ვრულად ყველაზე მთლიანი და სრულყოფილი — ხალხის მასაა“ (ა. ნულიკიძე).

ოპერამ „დიდოსტატის მარჯვენა“ სახალხო მუსიკალური დრამის ხასიათი მიიღო. მასში მძლავრად ამეტყველდა სახალხო სცენები. გმირისა და ხალხის ურთიერთდამოკიდებულების მოდელი პირველად ზ. ფალიაშვილის „აბესალომში“ გამოჩნდა და ოპერა-ორატორია ქართულ მუსიკაში შემოიჭრა. „დიდოსტატის მარჯვენაში“ ორატორიულობა, რომელიც ეროვნული ტრადიციებიდან მოდის — ყველაზე უკეთ ტაძრის მშენებლობისა და ამოხების სცენებშია გადმოცემული.

ოპერაში ორ მოქმედ გმირად ჩამოვლილებული საგუნდო სცენების სახით ერთმანეთს წარმართული (ფხოვის სცენები) და ქრისტიანული (მცხეთის სცენები) სამყარო უპირისპირდება.

მცხეთის სცენებში — (II და IV მოქმედება) — სრულიად საქართველო საზეიმო, ამაღლებული ელფერთაა აღბეჭდილი. მასში ჩანს ერის ვაჟკაცური პათოსი, სულიერი სიწმინდე, ხალხი მშენებელი და პატრიოტი, მოქმედი და შემფასებელი, ყველაზე უკეთ ჩანს სვეტიცხოვლის კურთხევის დროს. სვეტიცხოვლის მუსიკალურ ხატებათა მწვერვალია ტაძრის კურთხევის სცენა „მოვედით, თაყვანი ვცეთ“, ესაა ქართული საგალობლი, კეთილშობილი მელიქოთია და შარონი, კეთილშობილი სილამაზითა და სისპეტაკით აღსაცხე. ეს არის დიდებული ჰიმნი იმ მშვენიერებისა, რაც ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე შეუქმნია, „ცაში ატყორცნილი ლოდების სიმფონიისა“.

ფხოვის სცენები სახალხო მუსიკალური დრამის პლანშია გადაწყვეტილი და დრამატუგიულად ყველაზე მასშტაბურია ოპერაში.

ფხოვის სცენების მუსიკალურ საწყისს — ფშაური კილო წარმოადგენს, რამაც „დიდოსტატის“ წარმართულ სამყაროში ახალი, მძაფრი და ფერადოვანი ინტონაციურ-ჰარმონიული თავისებურებები შემოიტანა.

ოპერის სახალხო სცენები მკაცრი მონოლითობითაა გამსჭვალული. ოპერის ოთხი ეპიკური საგუნდო მონუმენტი — მოქმედების დრამატურგიულ-არქიტექტონიკურ თალებს წარმოადგენს. „მო, ლხინი ვნახით“ და „ვაიმე, დიდო ბატონო“ (I მოქმედება, ნადიმის სცენის საზეიმო დასაწყისი, დიდი სუფრულითა და დასასრულს გლოვის ზარი-რეკვიემი), „დიდება, ღმერთსა დიდება“ (III აქტი) და „მოვედით, თაყვანი ვცეთ“ (IV აქტის დასაწყისი), — სვეტიცხოვლის კურთხევის სადიდებელი. ეს ოთხი ორატორიული ელფერის თა-

ლი — ბიძგს აძლევს ოპერის მოქმედებასა და გმირების ურთიერთობის უწყვეტ პროცესს. ამ ოთხი გუნდიდან სამი (მამამზე ერისთავის სიკვდილის სცენის გამოკლებით) — ხალხური წყაროებიდან იღებს სათავეს, თუმცა აღიქმება, როგორც სავსებით ორიგინალური ქმნილება.

„მო, ლხინი ვნახოთ“ — კახური ხალხური სიმღერა უდევს საფუძვლად. მისი ინტონაციური და პოლიფონიური კონტურებიდან კომპოზიტორმა შექმნა პიმურის, მონუმენტური ვოკალურ-სიმფონიური პლასტიკა.

შალვა მშველიძემ ტარიელისა და ნესტანის „ჩაკრულო-დუეტის“ შემდეგ (ოპერიდან „ამბავი ტარიელისა“) უშუალოდ საგუნდო გრძელ სუფრულს მიმართა, რომელიც საოპერო ჩაკრულოს პირველი მოდელის (ფალი-აშვილის „აბესალომ და ეთერის“) მემკვიდრეობით ნიადაგზეა აღმოცენებული. ინტონაციური აღნაგობისა და სტრუქტურული თავისებურებების, განვითარების მხრივ ღრმა ნათესაობაა ამ ორ საოპერო ჩაკრულოს შორის — ორივე ეყრდნობა გრძელ კახური სუფრულის რთულ ფორმას, რომელიც აღსავსეა იმპროვიზაციულობით, ამავე დროს კი, მკაცრ ლოგიკურ კანონზომიერებებს ეყრდნობა. ნიშანდობლივია ეროვნულ ფოლკლორში მკაფიოდ გამოკვეთილი კილოების (მიქსოლიდიური და დორიული) გამოყენება და მოდულაციური ბუნება. „დიდოსტატის“ სუფრულის უკან თითქმის მრისხანე, პირქუში ძალის მოზღვავება იგრძნობა. ამ საზეიმო

რიტუალის კიდევ უფრო შთამბეჭდავი სურათია „ზარი“ — სისხლიანი ნადიმის ტრაგიკული დასასრული, მამამზე ერისთავის სიკვდილის სცენა, გამორჩეული თავისი თინავანი ტრაგიკული პათოსით, მკაცრი თინავანურილობითა და პათოთი კეთილშობილებით. სცენის ცენტრალური მომენტია სამკლოვია-რო ქორალი a capella, ფხოველნი დაბნული, ღრმად ჩაძირული ჟღერადობით იწყებენ დატირების რიტუალს — რექვიემს.

„დიდება, ღმერთსა დიდება“ — საფუძვლად უდევს ამ სახელწოდების სანესო-საკულტო სიმღერის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელსაც, როგორც რიტუალს, მღერიან ასკეტურ, მარტივ, მკაცრად ჩაკეტულ მელოდიას.

„მოვედით, თაყვანი ვცეთ“ — ქართული საგალობლის ეს ნიმუში ჩანერილია ზ. ფალიაშვილის მიერ. საგალობელი სულიერი სიდიადითაა მოსილი და ძველი ეროვნული ქორალის ნიშან-თვისებებს ატარებს.

„რომანის გმირთა ცხოვრების დამამთავრებელ მომენტებს სიუჟეტური თვალსაზრისით ვარკვეული გაუბრალოება ხვდა ოპერაში“ (ა. წულიკიძე).

ოპერაში მკლავმოკვეთილი არსაკიძე თავს იკლავს, (რომანში მორიელისაგან დაკბენილი კვდება), შორენა სანამლავს იღებს და ხალხის წინაშე დააკვება თავის მიჯნურს (რომანში კლდის ქარაფიდან უფსკრულში გადაეშვება), გიორგი მეფე ცოდეებს საჯაროდ ინანიებს ხალხის წინაშე და მკერდს მიუშვერს მიჯნურთა ცხედრების მტრად არსაკიძის დედას, არსაკიძის დედა კი ცოდელი მეფეს ხანგრძლივ, მწამებლურ სიცოცხლეს უსურვებს (რომანში მეფე გიორგი უბედური სიყვარულითა და საკუთარი ცოდეებით შეძრწუნებული გადაიკარგება და მეგობარ უშიშარაიძესთან ერთად ხეტიალში „გლახუნა ავშანისძედ“ გადაცმული ტრაგიკულად იღუპება). ლიბრეტოს ცვლილება საოპერო დრამატურგიაშიც გამოიხატა, მამამზე ერისთავში, ვანდგომილთა მეთაურში რომანის სამი პერსონაჟია გაერთიანებული (მამამზე, მისი ვაჟი — ჭაბუკი, შორენას საქმრო და შორენას მამა კოლონკელიძე), როგორც გიორგი მეფის მონინაღმდეგე ძალა.

მიუხედავად იმისა, რომ ოპერაში გმირების სამოქმედო მასშტაბები შემცირდა, გმირები — ქმედიითად არიან ჩართულნი სახალხო სცენებში. კომპოზიტორს თითოეული პერსონაჟისთვის ნაპოვნი აქვს შესატყვისი ინტონაციური საყრდენები და მუსიკალური დახასიათება, თუმცა უნდა ითქვას, რომ შემცირდა გამსახურდიასეული მასშტაბი, შე-

10. მო, ლხინი ვნახოთ

იზღუდა მათი სამოქმედო არეალი და გმირები მთლიანობაში ვერ წარსდგებიან იმ ელვატრებით, როგორც რომანში არიან დახასიათებული. მაგ: ოპერაში არსაკიძისა და შორენას სიყვარულს გამოეცალა მათი ურთიერთობის რთული, დრამატიზმი და გმირული სულით აღსავსე ისტორია. შორენასა და უტას ურთიერთობა ოპერაში ძალზე ესკიზურად გამოჩნდა, რაც ძირითადად ოპერული სცენებით არის წარმოჩენილი, გამოსათხოვარი ეპიზოდი II მოქმედების ბოლოს, სადაც შორენა გადაწყვეტს მამის სიკვდილისთვის შურისსაძიებლად ფხოვეს გაიქცეს და სათავეში ჩაუდგეს ამბოხებას, მაგრამ არსაკიძე ვერ გააყვება მას, რადგან სვეტიცხოველს ვერ მიატოვებს, ამ საბედისწერო განშორების მომენტში, ხასიათების ძლიერი შეჯახების ნაცვლად, ტრადიციული "ოპერული" დუეტია მოცემული.

კომპოზიტორმა ოპერის ახალ რედაქციაში ვარკვეული ცვლილებები მოახდინა, გმირებმა უფრო დასრულებული მუსიკალური დახასიათება მიიღეს. "საბოლოო რედაქციაში კიდევ უფრო მკაცრად გამოიკვეთა სახალხო მუსიკალური დრამის მოდელი, რითაც გაძლიერდა ორატორიული ფუნქცია" (ანულუკიძე). ახალ რედაქციაში გამახვილდა და გაძლიერდა არსაკიძის პარტია, ერთმანეთს დაუკავშირდა სვეტიცხოვლისა და დიდოსტატის მუსიკალური სახეები. არსაკიძის არიოზოს თემა, რომელიც დიდი საგუნდო სცენის — "მივედით, თაყვანი ვცეთ" შუაგულში გაიფურცეს, არსაკიძისა და სვეტიცხოვლის საერთო ლაიტთემადა ყალიბდება.

თვითმყოფადი სახითაა აღბეჭდილი ოპერაში შორენას მუსიკალური სახე, გარეგნულად თითქოს მშვიდი, რომელშიც მკვეთრი კონტრასტი ჩნდება, როდესაც შორენა მამის საფლავის ლოდს ეძებს.

მონაზუნად აღკვეცილი ერისთავის ასული გლოვობს დიდოსტატს, მისი არია-გოდება ქართველი ქალის ისტორიულ ნიშან-თვისებებს ხატავს, მისი ამოსავალი ქართული ხალხური ზარი თუ მოთქმა-ტირილია. შორენას სიკვდილის შემდგომი *a cappella* გუნდი კლასიკური ქართული ხალხური პარმონიული ნიშან-თვისებებით და საგალობლისათვის დამახასიათებელი ხმათა მოძრაობებით გამოირჩევა.

მეფე გიორგის ოპერაში ესკიზურად აქვს მინიშნებული გამსახურდიასეული გმირის თვისებები, ჩანს მისი "გაორებული სახე", ჩანს სიყვარულის გრძობით შეყვრობილი ადამიანი და ძლიერი დიქტატორი, ერის ინტერესების მატარებელი. გიორგის თვისებები ლაკონური ლიტეთემებითაა გამოხატული, რომლებიც მთლიანობაში ქმნის გიორგის მუსიკალურ პორტრეტს. I აქტში შორენას ხილამაზით მოხიზვული მეფე გიორგი ფხოველს მოუნოდებს ხოტბა შეასხან ერისთავის ასულს. საცეკვაო მუსიკაზე აფლერდება "ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გაგხარ ზღვას" — ლექსი, რომელიც სიყვარულის ლაიტმოტივად გასდევს რომანს. III აქტში "გლაზუნა ავშანისძედ" გადაცმული გიორგი ფხოვეს ენვია დასაზვერად, ისმის ტკივილით აღსავსე მონოლოგი მეფის მიმხე ხვედრზე.

ფარსმანის სახე ოპერაში ყველაზე მეტადაა შეცვლილი, უნივერსალური ნიჭისა და უნარის მქონე ავანტიურისტის სახე ოპერაში ძალზე დაბატარაებულია და მხოლოდ გაბოროტებული ინტრიგანის ფუნქცია შემორჩა.

მინისძერის საორკესტრო სურათი — ილუსტრირებული იერისაა, ესაა დინამიკური კონტრასტის ნუთიერი გამოჩენა, ისმის რიტმიზებული, ყრუ და მონოტონური გრუნხუნი, ჯერ სიმებიანებსა და ფორტეპიანოში, შემდეგ კი დიდი დოლისა და ტიმპანების, სასულეთა მზარდი განგაშის, ტრემოლოებისა და გლისანდოების ინტენსიური ფლერადობით, და ისეე მოულოდნელი კონტრასტი — სცენაზე კვლავ ჩნდება არსაკიძის დედა — იავნანასებრი ფონით — ესაა ოპერის ეპილოგი — ამითოზი, მინისძერამ ყველაფერი დაანგრია, სვეტიცხოველი კი გადარჩა, ტაძრის წინ ცოცხალი მოწუმენტია აღმართული — ქართველი დედის ხატება, რომელიც ადიდებას საუკუნეებით გამოცდილ დიად ხელოვნებას, რომელსაც შორეულ ექოსავით პასუხობს გუნდი.

და ეს თავისებური ეპიტაფია აგვირგვინებს სვეტიცხოვლის ხატებათა ჯგუფს. პასტორალურად მშვიდია საორკესტრო პოსტულდია, სადაც გაივლის მწუხარე დედის პანგი — არსაკიძისა და შორენას წმინდა სიყვარულით აღბეჭდილი.



წიციან წაბიძე

ხისიან ტაბიძის უსნობი ნაშრომი

ტიციან ტაბიძის ნაშრომი „ახალი ქართული ლიტერატურა მე-19 საუკუნე“ (მოკლე ნარკვევი) დღემდე უცნობი იყო ქართველი საზოგადოებისათვის. იგი არ შესულა ტიციან ტაბიძის თხზულებათა არც ერთ კრებულში.

ნარკვევი დაწერილია 1929 წელს. ტიციანის მეგობრის, სახელოვანი სომეხი პოეტის ელიშე ჩარენცის თხოვნით (ჩარენცი ამ დროს იყო სომხეთის სახელგამის დირექტორი) ტიციანს ნარკვევის ხელნაწერი მისთვის გაუგზავნია ერევანში, სადაც ნიგნის სახით სომხურ ენაზე დაბეჭდა კიდეც 1931 წელს (მთარგმნელი ა. ლურჯაძის). ამ გამოცემას ახსენებს თავის უაღრესად საინტერესო ნიგნში „ტიციან ტაბიძე და მისი მეგობრები“ ტ. ტაბიძის მეუღლე ნინო ტაბიძე.


2002 წელს ქართველოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ქ. თბილისში ტიციან ტაბიძისა და ელიშე ჩარენცის ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობაზე მოხსენება ნაიკითხვა სომეხმა სწავლულმა პრაჩია ბაირამიანმა. მოხსენებამ იგი მოკლედ ამ ნიგნსაც შეეხო. ჩვენი თხოვნით, პრაჩია ბაირამიანმა გამოგვიგზავნა ტ. ტაბიძის ნაშრომის ქსეროასლი. გ. ლეონიძის

სახელობის ლიტერატურის მუზეუმში აღმოჩნდა ტ. ტაბიძის ნერკვევის ავტოგრაფი დაწერილი რუსულ ენაზე. ავტოგრაფზე მიგვიითთა მკვლევარმა ნანა ფრუიძემ. ტიციან ტაბიძის ქალიშვილის ქალბატონი ნინო ანდრიაძის თანხმობის მიღებისთანავე შევუდექი ტ. ტაბიძის ნარკვევის შესწავლას და გამოცემისათვის ზრუნვას.

სომხურ გამოცემასთან ავტოგრაფის შედარების შედეგად გაირკვა, რომ გამოცემაში ტექსტს წინ უძღვის ვრცელი პროსპექტი-მინა-არსი. სომხური გამოცემა მთავრდება შიო არაგვისპირ ელის შემოქმედების მიმოხილვით. ავტოგრაფში მოვლენების და ლიტერატურულ პროცესთა მოკლე დახასიათება გრძელდება XX საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით. სხვა მხრივ სომხური თარგმანი ზუსტად მიჰყვება ავტოგრაფს. ერთი სიტყვით, ავტოგრაფის ტექსტი საბოლოოა.

ავტოგრაფი შესრულებულია თაბახის ფურცლებზე წერილი ლამაზი ხელით. საესკა ჩასწორებით, რომელთა ამოკითხვა ზოგჯერ ვერ ხერხდება. შეიცავს 64 გვერდს.

როგორც ჩანს, ნარკვევი გამიზნულია რუსულენოვანი მკითხველისათვის, ამიტომაც მისი გარკვეული ნაწილი მომეტებულად ინფორმაციულ ხასიათისაა, ხშირად არის გამოცემული ცალკეული ნაწარმოების სიუჟეტური ქარა; ამ თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა ეს ნარკვევი. ისიც გარკვევით უნდა ითქვას, რომ სახელოვანი პოეტი ვერ ეტევა ინფორმაციულ ჩარჩოებში და დიდადაც სცილდება მას. ნარკვევი დიდი აღმაფრენითა დაწერილი. საესკა უშუალო ნაგრძნობზე დაყრდნობილი მნიშვნელოვანი დაკვირვებებით, მიგნებებით. ყველაფერი დაფუძნებულია სათანადო ერუდირებაზე. ყოველივე აღნიშნული ნაშრომს ანიჭებს კრიტიკულ-ესეისტურ ხასიათს. ნარკვევის ავტორის მიზანი ცხადია. იგი საგანგებოდ ზრუნავს არაქართველ მკითხველს აგრძნობინოს ქართული ლიტერატურის სიფართოვე და სიღრმე. აჩვენოს მისი ზოგადსაკაცობრიო



ტ. ტაბიძის რუსული ხელნაწერი

შინაარსი; განიხილოს მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. ამ მიზნითაა ნარკვევში მოხმობილი პომეროსი და „ნიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“, რაბუნსა და მოკაროს, ბაირონისა და ედგარ პოს, მოასანისა და კნუტ ჰამსუნის, აემილ ვერჰარისა და მორის როლიანს, გრიბოედოვის, ტოლსტოის, ტურგენევის, ბალმონტის, ბლოკის, გორკისა და სხვათა სახელები. აქამდე

ტ. ტაბიძის შეხედულებები XIX-XX საუკუნის ცალკეული დიდი ქართველი მწერლის შესახებ ჩვენთვის ცნობილი იყო მისი შესანიშნავი ნეკროლოგის მიხედვით. ახლა კი ჩვენს წინაშე არის ნარკვევ, მოცულობით ყველა მის ლიტერატურულ ნერალზე ვრცელი, სადაც მთლანად, სისტემური ფორმით განვიხილავთ ახალი და უახლესი ქართული მწერლობის პროცესები, ყველა ასე თუ ისე ცნობილი მწერალი. ამდენად ჰქვს ამ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა სპეციალისტიებისა და საერთოდ ფართო მკითხველისათვის.

ტიციან ტაბიძის ნარკვევი ჩვენი თხოვნით სომხურ გამოცემას შეუდარა ზეზვა მედულაძე-ვილმა, ხოლო ავტორგრაფის ტექსტი რუსულიდან ქართულად თარგმნა თამარ ჯაბაძე-ნიშვილმა, რომელსაც ახლა გთავაზობთ.

ლალო შინაჰილი

ახალი და უახლესი

ქართული ლიტერატურა

მიცხარამიძე საუკუნე, გომეც საუკუნის
30-იან წლებამდე
(მოკლე ნარკვევი)

შინაარსი

ლიტერატურული იდეების ევოლუცია
საქართველოში, დაწყებული მიცხარამიძე
საუკუნიდან ჩვენს დრომდე

1795 წლის აონრება-დასასრული ფეოდალური საქართველოსი. კულტურულ-ისტორიული ორიენტაციის შეცვლა. რუსეთის მმართველობა. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი. ა. ჭავჭავაძის პოეზია — რომანტიკული პოეზიის პრელუდია საქართველოში. 1832 წელი, როგორც ბაიონული ეროვნული აჯანყებებისა და დეკაბრიზმის გამოძახილი ქართულ ყოფასა და ლიტერატურაში. „კალმასობა“, ეპოპია—სინთეზური დაბოლოება მეთვრამეტე საუკუნისა.

რომანტიზმის ეპოქა

რომანტიზმის არსი, რომანტიკული მოძრაობის საერთო წყაროები; ქართული რომანტიკული მგრძობებლობის დამახასიათებელი ნიშნები. ბარათაშვილის სედა — ევროპის გარდატეხის ნიშანსებელი ექო. ბარათაშვილი, როგორც მოაზროვნე. „ქართული სედიის“ ისტორიული ძირები. ბარათაშვილისა და ახალი ქართული ლიტერატურის უნივერსალური იდეალები. პოეტური ენისა და სტილის რეკონსტრუქცია.

რომანტიზმი და რეაქცია. გრიგოლ ორბელიანის ეროვნული რომანტიზმი. შუა საუკუნეების პოლიტიკური და კულტურული იდეალი. ვახტანგ ორბელიანის პასიურ-ქურეტივი და ინერტული ტონი. რომანტიკული პროზა. გრიგოლ რჩელაშვილი. ჟურნალი „ცისკარი“.

გიორგი ერისთავის დრამატურგია. შემობრუნება რეალისტური თეატრისაკენ. საერთო რომანტიკული კრიზისის დასაწყისი. დანიელ ქონქაძე.

რეალიზმის ეპოქა

ბატონყმური მეურნეობის კრიზისი და საეკტრო კაპიტალის შემოსვლა. თავადაზნაურობის გალატაკება. გ. ერისთავისა და ლ. არდაზიანის ნატურალიზმი, როგორც ლიტერატურული დეტერმინიზმის დასაწყისი.

„თერგდალეულები“ და ქართული ინტელექტუალური ცხოვრების ალორძინება. ვორნეცოვის ეპოქის თანამდებობრივი ლიბერალიზმის დასასრული. „კითხვათა კითხვა“ — ბატონყმური ნყობილების გაუქმება და „განთავისუფლება ზემოდან“.

ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა. ბრძოლა არქაისტებთან. „საქართველოს შოამბე“. ახალი სალიტერატურო ენა. სოციალური იდეები ლიტერატურაში. ილია ჭავჭავაძე — ცენტრალური ფიგურა რეალისტური ეპოქისა და სინთეზი ეროვნული შემცვენებისა. ორი სტილის ბრძოლა ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ხერხებში. 60-იან წლებამდელი ლიტერატურული მოძრაობა, ი. ჭავჭავაძის შეფასებით. ახალი საქართველო ილიას ნაწერებში. ი. ჭავჭავაძის ეკონომიკური, იურიდიული და სახელმწიფოებრივი კონცეფცია. „ოთარაშვილი ქერივის“ ავტორის სოციალური შეხედულებების ისტორიული განპირობებულობა და კლასობრივი შეზღუდულობა.

აკაკი წერეთელი. შემოქმედების საერთო ხასიათი. ფორმისმიერი ლიტერატურული ნოვატორობა. აკაკის ისტორიული და ლიტერატურული შეხედულებანი. ლტოლვა ეროვნულობისაკენ, ფოლკლორი. ერთიანი ლიტერატურული სტილის არარსებობის გამოძახილი აკაკისდროინდელი ცხოვრების საკითხებში. აკაკი წერეთლის ბერაწველობა. წარსულის იდეალიზაცია. ისტორიული პათეტიკა. ა. წერეთლის დემოკრატიული შეხედულებანი.

70-იანი წლების მთავარი ლიტერატურული საკითხები. „უკანასკნელი რომანტიკოსი“ — შამია გურიელი. მეშჩანობის ეპოქის შემობრუნება და რეაქცია. „იმედის“ ჯგუფი. ოპოზიცია ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ლიტერატურული „ნაროდნიკები“ („ხტებათა მოტრფიალენი“) — სოფრომ მეგლობლიშვილი. ნიკო ლომოური, ეკატერინე გაბაშვილი, ანასტასია ერისთავი, ბაჩანა, ოსებ დაეითაშვილი.

დამოუკიდებელი ლიტერატურული ხალხისებე. — რაფიე ერისთავი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა.

აკაკის სკოლის პლეადა — გრ. აბაშიძე, პ. ცახელი, განდევილი, გ. ჭალაიდიელი.

კამიტლისტური ურიოერთობების წარმოშობა და თავადაზნაურული კლასის დაისი. გიორგი წერეთლის სოციალური რომანი. ნაროდნიკობის კრიზისი და მარქსიზმის დასაწყისი. ქალაქის პროლეტარიატის გარიყრაფი. ეგნატე ნინოშვილი. ქალაქისა და სოფლის ურიოერთობა ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებაში. წმინდა რეალიზმი და ტენდენცია. თავადაზნაურობის დეკ

ლახირება. დავით კლდიაშვილისა და შიო არაგვისპირელის ფსიქოლოგობა.

XIX საუკუნის დასაწყისი საქართველოში ემთხვევა ქართული სამეფოს დასასრულს. 1801 წელს ალექსანდრე I მანიფესტით საქართველო ცხადდება რუსეთის იმპერიისათვის ნებაყოფილობით მიერთებულად, არა ანგარიშის, როგორც ნათქვამია მანიფესტში, და არა იმპერიის ისედაც უფაროების საზღვრების გასაფართოებლად. ფაქტების შინაგანი დიალექტიკა თავად წყვეტდა პოლიტიკურ ბედ-იბაღს.

მებრძოლი რუსული იმპერიალიზმი მშვენიერად იაზრებდა თავისთვის თავის ამოცანებს და ქართული დინასტიის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლებიც ხედავდნენ თავიანთი ხელისუფლების დასასრულს.

ფეოდალური საქართველოს დასასრული ობიექტური გარემოებით იყო შემზადებული. საქართველოს არ შეეძლო შინაგანად თავის თავში შეეცვალა ფეოდალური წესრიგი; ბატონიშვილები და დიდი ფეოდალები ურთიერთს მტრობდნენ. შინაშლოლობა ანგრევდა სამეფოს.

მას შემდეგ, რაც მეფე ერეკლეს დაეტყო გადახრა რუსული ორიენტაციისაკენ, მუშობული მუსულმანური სახელმწიფოები — თურქეთი და სპარსეთი არ ფარავდნენ თავიანთ შემოერთებას, მათ მშვენიერად იცოდნენ, რას ნიშნავდა სახიფათო რუსი მეზობლის სიახლოვე და ყველანაირად ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ რუს იმპერატორებთან კავშირი. როცა შეგონებებმა ვერ გატარა, ალა-შამხად-ხანის სპარსული ლაშქარი საქართველოში შემოიჭრა; 1795 წელს კონანისის მისაღვამებთან სძლია ქართულ ჯარს და ააოხრა თბილისი.

მსკოვანი მეფე ერეკლე დარღობა გაიტყა და სახმარებლად მოსულმა იმერეთის მეფის ჯარმა როცა დაინახა, რომ საქმე მოთავებული იყო, თავად დაუნყოვალად დარჩა. ბატონიშვილები კი თავიანთ პარტიებს ქმნიდნენ და უკვე გვირგვინაყრილი მეფე ერეკლეს სიცოცხლეშივე იბრძოდნენ ტახტისათვის. ტყუილად ელოდა მეფე ერეკლე დაბირებულ რუსულ ჯარს. იმპერატორებმა იცოდნენ, როდის გაუცხადებდა იგი საქართველოს სამეფოს ბედი ამ დამარცხების შემდეგ გადაწყდა. გადაწყდა ფეოდალური საქართველოს ბედიც.

საქართველოში რუსული ბატონობის დამკვიდრებას ფეოდალური წრეების უკმაყოფილებები ზრდა მოჰყვა. განაწყენებული პრეტენდენტები აჯანყებას აჯანყებაზე აწყობდნენ. ასე იფეთქა მთიულეთის აჯანყება 1801 წელს, აჯანყებამ კახეთში — 1804 წელს. აჯანყება ორივეჯერ ჩაახშეს, მეთაური და ნამომწვევი უკმაყოფილო ბატონიშვილები რუსეთს გადასახლეს. განსაკუთრებული სიმკაცრით მათ ექცეოდა კავკასიის მთავარმართებელი ციციანოვი. გადასახადებები განამებული გლეხობა, გალახაკებული უკანასკნელ ომებში, თუმცა მონაწილეობდა აჯანყებებში, განსაკუთრებით 1801 წელს, მაგრამ მაინც არ შეეძლო აჯანყების ბედის გადაწყვეტა.

ამასთან მებატონეები სიმკაცრეში არ ჩამოვარდებოდნენ დამპყრობლებს, ხოლო დროდადრო რუსული ხელისუფლებაც ცდილობდა გლეხობის კეთილგანწყობის მოპოვებას სხვადასხვა რეფორმებით. არისტოკრატის წრეებში კი აჯანყების იდეა მუდამ ფესვმავრობდა. განსაკუთრებით აქტიურად აჯანყების იდეას მხარს ალექსანდრე ბატონიშვილი უჭერდა, ყველაზე დაუმორჩილებელი ბატონიშვილითაგან და ბევრი მომხრის მყოფი საქართველოში.

იგი ხან ლეკთა ჯარებით გამოჩნდებოდა, ხან სპარსთა. კარგად იყო მიღებული სპარსეთის კარზე და ყველა აფარიელ და დაღესტნელ ხანთან შეგობრობდა.

რუს დეკაბრისტთა მოძრაობის ზეგავლენით განათლებულ ქართველ თავადაზნაურობასა და ინტელიგენციამ იწყება მოძრაობა და მზადდება აჯანყებისათვის.

14 დეკემბრის შედეგებმა ვერ შეძლო მხურვალე რომანტიკოსთა გამოფხიზლება. ბატონიშვილი ალექსანდრეც აგზავნიდა ცეცხლოვან პროკლამაციებს. ასე მზადდებოდა 1832 წლის შეთქმულება. შეთქმულებას ბატონიშვილები დიმიტრი და ოქროპირი ხელმძღვანელობდნენ. ისინი პეტერბურგსა და მის კოეში იყვნენ. მათთან იკრიბებოდა შეთქმულთა მომავალი აქტივი.

წესდება ქართული საზოგადოებისათვის, დეკაბრისტების მასწავლებლის ლოჟების ყიდაზე, ბერ ფილადელფოს კიკნაძის მიერ იყო შედგენილი. საერთოდ მათი პროგრამა შვავს დეკაბრისტთა პროგრამას, თუმცა მხედველობაში მიღებული საქართველოს სპეციფიკური პირობების ფარულ საზოგადოებაში აქტიურ მონაწილეობას ირდება სოლომონ დოდაშვილი, თბილისის გიმნაზიის მასწავლებელი და ლოგოსის სახელმწიფოების ავტორი. შეთქმულების მონაწილეთა კავშირისთვის მან დააარსა გაზეთი, რომელიც მაინც სრულიადაც ვერ გამოხატავდა მათს ფარულ ზრახვებს. შეთქმულების მონაწილენი ცდილობდნენ კადრების ჩაბმას დაბალი ფენებიდანაც. დაუკავშირდნენ აგრეთვე თბილისში საფრანგეთის კონსულის მდივანს ლეტიესს.

აჯანყების დღედ დანიშნეს 1832 წლის 20 ნოემბერი. ამ დღეს დანიშნული იყო თავადაზნაურთა შეკრება. კრება გადაიდო, გადადეს აჯანყების ვადაც. დანიშნულ დღეს, აჯანყების გეგმის მიხედვით, თავს უნდა დასხმოდნენ ხაზინასა და არსენალს. კრებაზე დამსწრე რუსი ტექნოლოგიური მოხელენი უნდა ამოეწყვიტათ. ამის შემდეგ ზარების რეკით ეკლესიებიდან უნდა გამოეყვანებინათ ხატები საერთო სახალხო ფიცის დასადგენად. მაგრამ ერთმა შეთქმულთაგანმა, ისეც ფეოდალური ფეოდალური უამბო თბილისის გუბერნატორს; შეთქმულება გამჟღავნდა. ნიკოლოზ I ბრძანებით დაიწყო გამოძიება.

როგორ დაისაჯნენ შეთქმულების მონაწილენი: ბატონიშვილი დიმიტრი გადაასახლეს სოლოენსკში, ბატონიშვილი ოქროპირი — კოსტრომში, თამარ ბატონიშვილი — სიმბირსკში, გიორგი ერის-

თავი — პოლონეთში, დიმიტრი ორბელიანი — პენ-
ზაში, გრიგოლ ორბელიანი — ვილნოში, დიმიტრი
ყიფიანი — ვოლოგდაში, ვახტანგ ორბელიანი —
კალუგაში, ალექსანდრე ჭავჭავაძე — ტამბოვში,
ხოლო სოლომონ დოდაშვილი ირკუტსკში, სადაც
გარდაიცვალა კიდევაც.

შეთყულების თითქმის ყველა მონაწილე შემ-
დგომში ლიტერატურაში დანინაურდა. მათგან
ბევრნი აღეიწინა თავისი პოლიტიკური რომანიზა-
ციონი და რუსის ჯარის რიგებში ბრძოლების წყალო-
ბით უშაღვლესი ჩინები მოაპოვა.

სწორედ ეს იყო ქართული მწერლობის პირვე-
ლი კადრიც.



XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტო-
რიას, ჩვეულებრივ, ალექსანდრე ჭავჭავაძით იწყე-
ბენ, მაგრამ ახალი გარემოებანი სრულიად ცვლიან
ვითარებას. XIX საუკუნის დანახვისში ბატონიშ-
ვილმა იოანემ დაწერა გამორჩეულად მხატვრუ-
ლი მნიშვნელობის ნაწარმოები. ეს ნაწარმოებია
„კალმასობა“. „კალმასობა“ ნაწყვეტი დაიბეჭდა
60-იან წლებში დიმიტრი ბაქრაძის რედაქციით. მაგრამ
ეს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწყვეტია. მთლიანო-
ბაში „კალმასობის“ ხელნაწერი საქართველოში
ჩამოტანილი იქნა პეტროგრადის წიგნთსაცავები-
დან 1923 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დროს,
ქართული სიძველეების რუსული მუზეუმებიდან
რეკვიპაციის ვაშს. მას ხან ბატონიშვილ იოანეს
მიანერდნენ, ხან იპოვიაკონ იოანე ხელაშვილს,
ვისი თავგადასავალიც არის აღწერილი ამ წიგნში.
ამჟამად ზუსტი მონაცემების საფუძველზე დად-
გენილია, რომ ავტორი იოანე ბატონიშვილია.

„კალმასობაში“ აღწერილია საქართველოში
იპოვიაკონ იოანე ხელაშვილის მოგზაურობა შესა-
ნირაეთს შესაგროვებლად ტაძრისა და მონასტრის
შენებისათვის. სიტყვა კალმასობა სწორედ შესა-
ნირაეთის შეგროვებას ნიშნავს. იპოვიაკონი გორში
შეხვდებოდა ზურაბა ლაბარაშვილს, დიდ ზუზარა-
სა და ოხუნჯეს და თან გაიყოლებს. ორი მეგობარი
მთელ საქართველოს შემოივლიეს, ყველა სოფელში
შევიდნენ და გაეცნობიან ფეოდალებს, სამღვდელო-
ებებსა და გლეხობას. აი, ვთქვამთ დიმიტრი XVIII
საუკუნის დასასრულის ქართველი საზოგადოების
ზნე-ჩვეულებების გრანდიოზული სურათი.

ქართული მწერლობის ისტორიაში „კალმასო-
ბის“ მთლიანი დედნის უქონლობის გამო, ერთ კი-
დევე არ არის გაცნობიერებული ამ ეთნოადრით
ისტორიული წიგნის მნიშვნელობა ფეოდალური
ყოფის დახასიათებისათვის და ავტორი — ბატონ-
იშვილი იოანე დიდი ლიტერატორულ ფიგურად
აღიზარება. მასალის მომცველობით, სტილის
თავისებურებით, გამოთქმის ლამაზი რეალობითა
და სახეთა სურათოვნებით მას ბადალი არ უკავს
ქართულ პროზაში. საბა-სუბაში ორბელიანზე კი
ბევრს დაკარგავს მასთან შედარებით. მასში ივ-
რძინობა ბრძელს ოხუნჯეობა და ხარხარი და სასუ-
ლიერი პირთა აღწერის დროსაც კი ნერის მანერა
სრულიად საეროა.

ქართული სიტყვა, რომელიც დაღვარაქნა ან-
ტონ კათალიკოსმა თავისი სქოლასტიკით, აქ ზე-
ნიშობს გამარჯვებას. „კალმასობის“ დილოგები
გასაოცარია ლაკონიკობით. ჟანრები აღრეულია
და ვეაოცებს მრავალფეროვნებით. წიგნი ნარ-
მოადგენს მთელ ენციკლოპედიის ფრანგი ენციკ-
ლოპედისტების მანერაზე. შესაძლოა სწავლულ
მკვლევართათვის სამეცნიერო მასალის სოუბეშ
დაჩრდილა ნაწარმოების მხატვრული ღირებუ-
ლება, მაგრამ ენციკლოპედური ცნობებიც ვეა-
ოცებს ახალი ზუსტით ტერმინების სოუბეშით, ასევე
უნივერსალით.

მაგრამ რაც არ უნდა მაღალი შეფასება მიეცეთ
ავტორის მიერ მისი თანამედროვე სამეცნიერო
აზრის ცოდნას, უპირველესი მაინც „კალმასობის“
მხატვრული მნიშვნელობა იქნება.

პირდაპირი გაგებით, არ არსებობს ისტორიუ-
ლი პირი თუ მოვლენა XVIII საუკუნეში, რომლებსაც
ასახევა არ ეპოვება „კალმასობაში“. აქ არიან ფოლ-
ტორიანები დიდებულებიც, ყმათა ვამაყდელი მე-
ბატონელებიც, რომელთაც ერცხვინებთ ცხენების
გაყიდვად, ადამიანებს კი უჭიდიან, აქ მოხუც ქალს
არმთვევს მარჩენალ ძროხას და თავდაზნაურე-
ბი მომხედური ლეკების დევნის შეწყვეტის შემდეგ
საკუთარ ყმა-გლეხებს უწყებენ ძარცვას. ყოვლად
შეუძლებელია იმ ყველაფრის ჩამოთვლა, რასაც
ავტორი ეტება. პირველი ნაწყვეტის რედაქტორე-
ბისას ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე
შეეცადა ამ ნაწყვეტში აღძრული ყველა საკითხის
ჩამოთვლას და წინასიტყვაობა რამდენიმე ათეუ-
ლი გვერდის შემცველი დასათარებდა გამოეყდა.
პეტროგრადიდან მიღებული დანარჩენი ნაწილები
ნიგინსა კიდევ უფრო დიდ ინტერესს იწვევენ და
„კალმასობის“ მთელი წიგნის გამოქვეყნების შემ-
დეგ საქართველო უშიშრათესი მხატვრული ეპოპე-
ით გამდიდრდება.

პირველი პოეტი XIX საუკუნის მიჯნაზე, ვის შე-
მოქმედებშიც ახიხა ახალი საუკუნის ქროლოგი-
ები, ალექსანდრე ჭავჭავაძეა. ამ შესაძირკვლემ
ქართული რომანტიზმისა იმ სახით, როგორთაც
გადმოვიდა რომანტიზმი ევროპიდან ჯერ რუსეთში,
შემდეგ კი საქართველოში, შეჯავამი ის სპარსული
სენსუალიზმი, რომელიც XVIII საუკუნის დასასრუ-
ლისათვის განმტკიცდა საქართველოში. ამ მხრივ
ალექსანდრე ჭავჭავაძე ყველაზე დამახასიათებელი
ფიგურაა XIX საუკუნისა.

იგი განეკუთვნებოდა ქართველ თავად ჭავ-
ჭავაძეების მხსნელ ფეოდალურ საგვარეულოს.
ეს საგვარეულო განსაკუთრებით პოეტის მამის
გარსევან ჭავჭავაძის დროს დანინაურდა. გარსე-
ვანი იყო მეფეების ერეკლესა და გიორგის ელჩი
რუსეთის სამეფო კარზე. როგორც კი უკანასკნე-
ლი ქართველი მეფეების ორიენტიაცია საბოლოოდ
გადაიხარა რუსეთისაკენ, მიმდინარე პოლიტიკაში
დიდი როლის თამაში იწყო რუსეთში საქართვე-
ლოს ელჩმა. რუსულ და ქართულ სამეფო კართა-
გან წყალობამომრავლებული გარსევან ჭავჭავაძე

დიდ პოლიტიკურ ფიგურად იქცა. სიმდიდრე და მიმდინარე მოვლენებთან სახალხოვ კიდევ უფრო ზრდად მის ავტორიტეტს.

ცნობილი „კალმასობა“ საქართველოს ბედ-იღბალში გარსევან ქაჭავაძის ორპირ როლს ზატავს. ავტორი მხარედ უჩივის გარსევანს მისი ანგარიშით ანობისა და უპატიოსნო თამაშის გამო, მაგრამ აქ არ აღინიშნება ის ფაქტორი, რომ გარსევან ქაჭავაძემ წარმართავდა ქართულ პოლიტიკას და ზემოქმედებდა ქვეყნის ბედზე.

ამ ოჯახში 1787 წელს, პეტერბურგში, დაიბადა მომავალი პოეტი ალექსანდრე ქაჭავაძე. იგი მონათლა იმპერატრიცა ეკატერინე II-მ. დაწყებითი განათლება მან მიიღო პეტერბურგის საეკლესიო პანსიონატში, მაგრამ როცა გარსევან ქაჭავაძეს სამსახურის საქმეთა გამო საქართველოში დაბრუნება მოუწია, თან თორმეტი წლის შვილიც წამოიყვანა. ამ დროისათვის საქართველოში მოვლენები კატასტროფულად ვითარდებოდა: მეფე გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმებამ ტახტის მრავალრიცხოვან პრეტენდენტებს შორის არეულობა გამოიწვია. აჯანყებებს კახეთში რუსთა წინააღმდეგ ხელმძღვანელობს ბატონიშვილი ფარნაოზი, ძე მეფე ირაკლისა. ალექსანდრე ქაჭავაძე შეუერთდა აჯანყებას, მაგრამ აჯანყება მალე ჩააქრეს. დაიწყო ბატონიშვილებისა და მათი ოჯახების საყოველთაო გასახლება რუსეთში და ანგარიშსწორება აჯანყების დანარჩენ მონაწილეებთან.

ალექსანდრე ქაჭავაძემ მამის დამსახურებათა წყალობით თავიდან აიცილა დასჯა. თავდაპირველად ის ტამბოვის გადაასახლეს და თან მამაც წაპყვა, მაგრამ მალე შეინჯაღეს და პეტრა კორპუსში მიიღეს. მონაწილეობდა ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში, იყო პარიზში, როგორც ბარკლაი დე ტროის ადოუტანტი. შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები. შემდგომ სამსახურს ეწეოდა კავკასიის ჯარებში და უმაღლეს სამხედრო ჩინებს მიიღწია.

1832 წელს სხვა შეთქმულებაში აღმოჩნდა გარეული, მაგრამ აქაც, თავისი მდგომარეობის წყალობით, იოლად დააღწია თავი: მისი საქმე თავად ორლოვის საქმეს წაავსეს, როგორც ნიკოლოზ I აღნიშნა, ანუ მან იცოდა შეთქმულების შესახებ და არ გასცა იგი.

გასაგებია, რომ ცხოვრების მშფოთარებამ მისი შემოქმედება დუაღიზმისათვის განირა. ერთი მხრივ, იგი ყველა ფესვით ახლოს იყო მშობლიურ გარემოსთან, მეორე მხრივ, იმ დროის მონიწივე რუს ადამიანების მსგავსად, იცემა ევროპული განმანათლებლობის ის ნაყოფი, რამაც რუსეთში დეკაბრისტთა აჯანყება შეამზადა, საქართველოში კი 1832 წლის შეთქმულება.

ხრწნად ფეოდალურ კლასს წიადაგი გამოეცაოდა და სასიკვდილო ავინიში აღერაბნხნილ ეროტიზმსა და გრძნობათა ანარქიას მიეცა. ფეოდალურ კლასს, რომელიც არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, ყველაზე უკეთ ესადაგებოდა

დეკადანისის სპარსული პოეზია და ბესიკი, XVIII საუკუნის დასასრულის პოეტი, მაშინ სულთა მეუფე კი არ იყო, არამედ უფრო გრძნობებისა. სპარსული მოტივები მან დახვეწა და მისი პანაგები მიეღო საქართველოში ისმოდა. ალექსანდრე ქაჭავაძემ გაასრულა ეს საქმე. მისი უამრავი გაფხები, მუსტაზადები, მუხამაზები, ვაზელები თითქმის გამოხატავენ გერმანოფილიის პოეზიას. ამოკრის ბესიკის ალექსანდრიული დახვეწილობა უსაზღვრო იყო, მაგრამ ალ. ქაჭავაძემ მოძებნა თავისი სიმღერა და ზოგიერთი მისი ლექსი აღემატება კიდევ ბესიკის სიმღერებს. ამ მხრივ განსაკუთრებით შთაბეჭდავია მისი პედონისტური ჰიმნი:

„ლოთები, ნეტავი ჩენმა!“

20-30-იანი წლების რუსული ლიტერატურასთან ახლოსმყოფმა (მისი ასული ნინო ვათხოვილი იყო ა. გრიბოედოვზე), ა. ქაჭავაძემ ვერც რომანტიკული იდეები აიცილა. მან შესანიშნავად თარგმნა პუშკინის საუკეთესო ლექსები, თარგმნა ასევე კორნელის ტრაგედია „ცინა“.

ალექსანდრე ქაჭავაძით ქართულ პოეზიაში იწყება ლიტერატურული სკოლების ცვლა ევროპულ ყადაგზე. პირველი რომანტიკოსის ცენტრალური ქმნილება არის დიდი ლექსი „გოგნის ტბა“. აქ მან შეძლო ფეოდალური ყოფის გალატაკების ღამ-სი სვედის გადმოცემა. ლექსი გამსჭვალულია რამა პესიმიზმით. პოეტი ხედავს კოლიზუბის ნანგრევებს. ტბის მიდამოებში ფიქრით ვედადის იმ დროში, როცა აქ დიდებულად ყვავდა ქალაქები, როცა საქარავნო გზებით მიჰქონდათ ფუფუნების საგნები, მონასტრებში მღეროდნენ უტკბილეს ფსალმუნებს, ახლა ბუები და ქვენარმაველები იკეთებენ მუდგებს. შემდეგ იგი აღწერს შეყვარებულებს, მოსულთ ტბის ნაპირთან კამკამა ქაფით, ტალღის სიღვავადით დასატკბობად და ვაზაფხულის საუცხოო აყვავებას ტბაზე და ნანგრევთა ფონზე, ხელოვნურ კონტრასტა გზით ზატავს იგი რომანტიკული მწუხარების სურათს.

რომანტიკული ეპოქის მეორე თვალსაჩინო წარმომადგენელია გრიგოლ ორბელიანი (1800-1883). დიდი ფეოდალები ორბელიანები სამეფო გვარეულობასთან ნათესაობაში იმყოფებოდნენ და მეშეკვიდრებით ეკავათ მთავარსარდლის ადგილი მეფეთა დროს. გრიგოლ ორბელიანის დროისათვის ეს საგვარეულო ძლიერ დაქვეითდა, მაგრამ მან თავის პირადი ვაგვლენით ისევ განაღვიდა. სამსახური მან რუსულ ჯარში პრაპორშჩიკის ჩინით დაიწყო. ახალგაზრდობაში ვაჭარბული იყო რომანტიკური რომანტიზმით, მონაწილეობდა ცნობილ 1832 წლის შეთქმულებაში და მისი სასტიკი მარცხის შემდეგ იგი რუსეთიდან თბილისში გამოიყვანეს, ხოლო სამი თვის შემდეგ ჯერ ვილნოში გადაასახლეს, შემდეგ რიგაში. ჩხერკისას მას აღმოუჩინეს რილევის „ნალივაკოს აღსარების“ თარგმანი, ასევე ლექსი „აზრალის“. თავისუფლების სიყვარული და სამშობლოსათვის თავგანწირვის შთაბეჭდი ანათესავებს ამ ლექსს. ნალივაკოს აღსარებასთან“ და მიუთითებს მის მამიდელ

განწყობილებაზე, რაც სეროზულ ბრალდებად წაუყენეს ძიებისას. მაგრამ ახალგაზრდობის გატარებებმა მიღე გაუარა და გრიგოლ ორბელიანი სწრაფად დანიანურად სამხედრო სამსახურში. იგი მონაწილეობდა მთელთა წინააღმდეგ ომში, ამ გარემოებამ მას შეაძლებინა, ეჩვენებინა პირადი გმირობა და ცოდნა, ასევე განმეგობრული უნარი, როცა თანამედროულად ეცაბა ჯერ დღევანდელ ოლქის უფროსის თანამდებობა, შემდეგ ბრიგადისა და „კასპის ხანის“ მეთაურობა.

განსაკუთრებით დანიანურად იგი პაფი მურატის საწინააღმდეგო ოპერაციებში, რომელიც მის ხაზს არაკრთხელ დაესხა თავს.

შემდგომში გრიგოლ ორბელიანი ორი წლის განმავლობაში ცვლიდა ბარიატენსკის კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე.

გრიგოლ ორბელიანი თავისი მდგომარეობით მოწოდებული იყო ემეთაურა კონსერვატორთა ჯგუფისათვის და როცა 60-იან წლებში გაჩაღდა „მამათა და შვილთა“ შორის ბრძოლა, იგი მეთაურობდა არქაისტების ჯგუფს და ამ ბრძოლაში ჩადო მთელი მგზნებარება თავისი ტემპერამენტისა.

მაგრამ განაწყენებული ფეოდალური კლასი მიდიოდა და საეპტრო კამიტალი დაუწოდებლად ანადგურებდა არისტოკრატული ყოფის ტრადიციებს. გრიგოლ ორბელიანმა თავად აიღარა თავი დამარცხებულად რაზნოწინელთა და ტყაუჭიანთაგან და ხანდაზმულობის ასაკში დაწერა პოემისსებაგარი რამ — „მუშა ბოქოლადე“, სადაც გამოაცხადა კამიტულაიცა ახალი ადამიანის წინაშე. გახვიადება და ერთგვარი მაღალფარდოვნება ამ ლექსისა ნათელყოფს, რომ იგი რაზნოწინელს გონებით აღიარებს და არა გულთი.

გრიგოლ ორბელიანის საუკეთესო ნაწარმოებია პოემა „სადღეგრძელო ანუ ომის შემდეგ ლამე ლხინი ერგენის სიახლოვეს“. ამ პოემაში ჩანს გაფლენა ფეოდალის „შომედრლისა რუს მფომართა ბანაკში“, თუმცა მხოლოდ გარკვეულ ფორმალურ აგებაში. საერთოდ კი პოემა ღრმად ორიგინალურია. აქ გრ. ორბელიანმა მიაღწია სტილის მაღალ გამოძახებულობას და ლაზიკარულობას. საქართველოს ბუნების აღწერა სადღეისოდაც უბადლოა.

პოემის საერთო სქემა: მფომრები ბრძოლის წინ იხსენებენ სამშობლოს, სიყვარულს...და ყველაფერს, რაც შეიძლება გაიხსენოს ადამიანმა სიკვდილისათვის მზადებისას. აქ სიკვდილის სიახლოვე მომდერალში გრძნობათა განსაკუთრებულ გამძაფრებას იწვევს და მის წინ მთელი ისტორიული საქართველო ჩაივლის სახეებში. ერთი მისი ბიოგრაფიისა და კრიტიკოსის თქმით, ისტორიული საქართველოს ეს ფანტასტიკური პარადა და დათვალერება მას ბრწყინვალედ გამოუვიდა. ამ ფონ-

ზე ძველი ფეოდალური საქართველო ნაჩვენებია მთელი თავისი ბრწყინვალეობით. პოეტს არ დაუშურებია საღებავები გარდასული იდეალის დასახატად.

ამავე პატრიოტულ ციკლს განეკუთვნება მეორე დიდი ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“. ბეთანიის მონასტერი ორბელიანების საგვარეულო მამულშია აგებული. პოეტს მიმართავს მეფის გაცრეცილ ფრესკას და გამოიტყობს საქართველოს წარსულს. მისი პენსიზმი ანწყოსა და წარსულის კონტრასტული შეპირისპირებით ძლიერდება.

გრიგოლ ორბელიანის რომანტიკული სვედა, პოეტური ინტიმურობა ყველაზე უკეთ გამოხატულია თავისი დის — ეფემიასადმი მიმართულ წერილში ლექსად. ლექსი დაწერილია რიგამი. პოეტი იხსენებს უღრუბლო სიჭაბუკეს საგვარეულო მამულში და პირველ სიყვარულს, შემდეგ აღწერს ცოცრების ქარიშხლებს და წერვეთა ნაკვალევს. მელანქოლია თანდათან ფაქიზდება და ლექსის დასასრულს ისმის ყრუ ქვითინი.

გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო ლექსების ლამის სამი მეოთხედი ალექსანდრე ქავჭავაძის ასულებს — ნინო და ეკატერინე ქავჭავაძეებს ეძღვნება. ნინოც, გრიბოფდოვის მეუღლე, მეორე დაც — ეკატერინე — სამეგრელოს მთავრის — დადიანის მეუღლე, ადრე დაქვრივდნენ. გრიგოლ ორბელიანს უიქედოდ უყვარდა ნინო, მაგრამ ქალი ქმრის ერთგული დარჩა, გრიგოლ ორბელიანიც სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ამ სიყვარულის ერთგული და უცლოშვილოდ გადაეგო.

ამ ამაღლებებულ სიყვარულს იგი არავითხელ უბრუნდება თავის ლექსებში და წინანდლის ვარდი (წინანდალი ქვჭავაძეების საგვარეულო მამულში) ნიორნიარი ვარიაციებით აღაესებს მის სატრფიალო ლირიკას.

გრიგოლ ორბელიანმა ხარკი გადაუხადა საბრსულ ლირიკასაც. მისი ლექსები: „მუხამბაზები“, „ლოპიანა“ დაწერილია ბესიკისა და საიათნოვას გავლენით. თუმცა გრ. ორბელიანის ეპიკოსათვის ეს გვარი იმდენად იყო ორგანული, რომ აქ სრულიადაც არ იგრძნობოდა ეპიკოსობა; პირიქით, ზოგერთ რამეში იგი ძლიერია თავის წინამორბედებზე. ეს ლექსები მღერაია, გაუყვრებული კონკრეტული სახეებით, თბილისური ქალაქური ფარგონით. მათში, ისე როგორც ალექსანდრე ქავჭავაძესთან, იგრძნობა წარმავალი ფეოდალიზმის თავაშვებულობა და ეპიკურიზმი, უკიდურესობამდე მიყვანილი. ლვინი აქ ახშობს მწარე ნაღველს და ისმება იმისთვის, რომ არ გამოფხიზლდეს, რათა, ავტორის თქმით, არ ნახოს დაცემა. პიძინი ლეინისა გადადის ქალზე და იკვრება რომანტიკული აღქმის წრე.

(გვარძელეა შემდეგ ნომერში)



ფესანოზი ლეჟანი

(ფირცხალაიშვილი)

აზხალოთ ზაჲას...

შენ გიყვარს, ისინი ჯვარზე გაკრავენ, და შენ თვითონ მიდიხარ ჯვარზე. დიდება შენდა უფალო!

რაც კი ცოდვა გაგიგონია ან გინახავს, ან ჩაგიდენია, ან ყური მოგიკრავს, ყველას შენად თუ მიიღებ და მოინანიებ, ამით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს შეუმსუბუქებ ჯვარს.

რაც უნდა უფარგისი იყოს მამა, მამის მაგიენებელი შვილი მამაზე უკეთესი ვერ იქნება.

წმ. ნინასწარმეტყველ ილია თესბიტელს უფალმა უთხრა: შვიდი ათასი კაცი კიდევ მყავსო. ჩვენ რაღა გვაქვს ან ხანუხარი ან სანუხუნო.

ადამიანის სისუსტე ის კი არ არის, რაზეა ნასამართლევი, არამედ ის, რაზეც არ არის ნასამართლევი.

თუ გიყვარვარ, ილოცე ჩემთვის. თუ არ გიყვარვარ, მომიხსენიე ლოცვებში.

თუ არ გიყვარს, რად არ გებრალება? თუ გებრალება, რატომ არ გიყვარს?

იყავი მარადის ბავშვი და განიცდი უფალს.

თუ ასევერ გაზომავ და ერთხელ გაჭრი, რა გარანტია გაქვს, რომ სწორად გაჭერი.

არ შესისხ, რატომ არ აფასებენ ნიანგის ცრემლებს, რაც უნდა იყოს, ცრემლი მაინც ცრემლია.

ყველაფერი ერთმანეთს შგავს: აბრუნებულოც და ჩაბრუნებულოც.

თუ ფიქრობ — ცხონდები, მეც მომიხსენიე. თუ ფიქრობ, რომ ვერ ცხონდები, მაშინ ჩემთვის ილოცე.

ჯერის ძალი გულში უნდა მიიღო. ამიტომაც ვამთავრებთ პირჯერის ნერას გულით.

ბედნიერება თავისით მოდის. სამზადისი სიკვდილის სჭირდება.

ხუთჯეროან დროშას ვერც ვარდის სურნელი დაზრდილავს და ვერც ყაყაჩოს ხიბლი.

ჩვენი ეკლესია არა მარტო კლდეზეა დაფუძნებული, არამედ წმიდა ხატები მოზოზემ ეკლესიიდან ჩამოშვებული ლეზებია.

ჯვრით ჯვარცმულს ვცემთ თავგანს, თორემ ჯვარი იმათაც კი გააკეთეს, ვინც ჯვარზე გააკრეს უფალი.

თუკი ქრისტესთვის ეძიებ სიკვდილს, ქრისტესგან მიიღებ სიცოცხლეს, თორემ სიკვდილი მაინც არ აცდებია.


ადამიანის სინდისი და სიტყვა ფასობს, თორემ ფულს და ყველანაირ ქალაღს მიმართულება აქვს სხვადასხვა, წარმოშობა კი ერთი.

ღმერთს სიბრძნე სთხოვე, სინანულს მოგცემს. სინანული სთხოვე — სიყვარულს მოგცემს. ღმერთი ყოველთვის უფრო მეტს გვაძლევს.

რწმენა და სარწმუნოება ერთმანეთში რომ აგერიოს, ორივეს დაკარგავ.

ადამიანი მიიმუნისაგან წარმოშობილი არ არის. მიიმუნი ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა.

ბოლოს და ბოლოს ქათმის გრიბმა მაინც გაგვახსენოს ქათამი და ავხედოთ ზეცას.



გია მირზაშვილი

მაცა ჩარკვიანი

ბოთილიან ანოსაში მხატვრობა

ბოთლები, ჭიქები — ის, რაც იცვება და იცვლება — საოცრად მრავალსიმთქმელი სიმბოლოებია; თასი, რომელსაც არსობრივად და სიმბოლურად ისეთივე დატვირთვა აქვს, როგორც ბოთლს ან ჭიქას — სიმბოლოა იდეათა შეგროვებისა. ის რომანტიკული სიმბოლოა, რომელიც გამოხატავს სულიერი და ფიზიკური საზრდოს მოპოვებისკენ ლტოლვას, ფსიქიკური ჯანმრთელობისკენ, უკვდავებისკენ სწრაფვას. ყველასათვის ცნობილია, თუ რა მრავალმხრივი მნიშვნელობა ენიჭება თასს ქრისტიანულ ხელოვნებაში, რომ აღარაფერი ვთქვათ წმინდა გრაალის თასზე, რაც სრულყოფილი ბუნების სიმბოლოა, ბუნებისა, რომელსაც მხოლოდ წმინდა სულის, სუფთა ადამიანი შეიძლება ეზიაროს.

გარდა ამისა, კარლ იუნგი თასს განიხილავს, როგორც ადამიანის მისწრაფებას იპოვნოს საკუთარი თავი; ასევე, როგორც ქალურ სანყისს, რომელიც გამცემიცაა და მიმღებიც ერთდროულად.

მხატვარი, ამ შემთხვევაში გია მირზაშვილი, სრულიად გაუცნობიერებლად ირჩევს თემსა და სტილს; თემსა და სტილს იმ გავებით, რა გავებითაც ის სიმბოლოს წარმოადგენს.

მაგრამ არსებობს უფრო ზედაპირული პლასტი, რითაც აიხსნება მხატვრის შემოქმედებაში რომელიმე თემსა და სტილს დომინანტურობა: რეალურად, ბოთლთან გიას თავისი სრულიად განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს, ზედმიწევნით კარგად იცნობს მას. მასში მოთავსებული სასმელიც კარგად აქვს შეფასებული, გადაფასებულიც კი. სწორედ ამ და, ალბათ, კიდევ სხვა მიზეზთა გამო, მის მხატვრობაში სასმისი, ოღონდ სასმისი, როგორც ფენომენი, საკუთარი არსის გამოხატვის ძირითადი საშუალება გახდა. ახლა სწორედ იმის თქმას ვცდილობ, რომ გია ის მხატვარია, რომელიც თვითგამოხატვას ფენომენებით ახერხებს, მის ვერც ერთ ნახატში ნახავთ „ნივთს თავისთავად“.

მე ახლა ცოტა სხვაგვარად მინდა შეეფასო მხატვრის შემოქმედება და არაფერი მესაქმება უანართან, სტილთან, მიმდინარეობასთან; უფრო მეტიც, ბოლომდე ვიზიარებ მერაბ შამარდაშვილის აზრს, რომელიც ამბობს, რომ ნებისმიერი მიმდინარეობა, რომანტიზმი, კლასიციზმი, ბაროკო თუ სხვა — არაფრის მთქმელია. ისინი ვერ ფარავენ ვერანაირ რეალობას და, ცხადია, ლიტერატურათმცოდნეების წმინდად პროფესიულ ინტერესებს ემსახურებიან, რომლებიც ამ დაშიფრულ ენაზე ცდილობენ თავიანთ აზრთა გაცვლა-გამოცვლას. იმისათვის, რომ ჩავნვდეთ არსს, ეს კლასიფიკაციები არ გამოგვადგება. ჩვენ შეგვიძლია დაემატვიცთოთ, რომ გარკვეული აზრით კლასიკული ხელოვნება აბსოლუტურად რომანტიკულია, ხოლო რომანტიზმი, პირიქით, კლასიკური.

ახლა ჩემს აზრს გავაგრძელებ და ვიტყვი, რომ გია მირზაშვილის მხატვრობაში ერთი ბოთლი არასდროს გავს მეორეს; ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მსგავს საგანთა განსხვავების ეფექტი მიღებულია არა ფერის ან ფორმის მრავალფეროვნებით, არამედ რაღაც სხვა, უხილავი „ხერხებით“. რაში მდგომარეობს საიდუმლოება?

ჩემი აზრით, ყოველ საგანსა თუ მოვლენაში შინაარსის ჩადების, მათთვის ფუნქციის მინიჭების, დანიშნულების ძებნის სურვილი, ანუ არსის წვდომის გასაოცარი უნარია ის



არაყი „ზაირა“

ძირითადი ხიბლი, რაც გიას ნახატებს ჯადოსნურსა და მრავალფეროვანს ხდის. ყოველ ბოთლსა თუ ჭიქას თავისი ხასიათი აქვს, საკუთარი ბიოგრაფია, წარსული, სულიც კი. შუშის არც ერთი მონაკვეთი არ არის უფუნქციო, ყველაფერს თავისი დანიშნულება, მებსიერება და შინაგანი მეტყველების უნარი გააჩნია.

და ისევ ბოთლები... 2 ოქტომბერს გალერეის ერთი მთელი დარბაზი გია მირზაშვილის ბოთლებით იყო სავსე, მხოლოდ ბოთლებით. გავოცდი, მაშინ ვერ მივხედი რამ გამაოცა — ახლა ვიცო; ჩემს ცნობიერებაში უცებ გაიფო გიას ძველი და ახალი ბოთლები და ნელ-ნელა აღვიქეი, რა ტრანსფორმაცია განიცადა მისმა ხელოვნებამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში: ნახურალზე მიტოვებული უკვე დაცლილი ჭურჭლის მაგივრად, — ჯერ კიდევ ცარიელი, მაგრამ ახალი სითხით ასავლებად გამზადებული ბოთლები დამხედა; სუფთა, ბროლისგან თუ თბილი ყინულისგან ნაკეთები მომლოდინე ბოთლები.

წარმოუდგენელია, ერთი და იგივე საგანი ამდენად განსხვავებულ არსსა და ხასიათს წარმოაჩენდეს. მართლაც, მილორად პავიჩის არ იყოს, შესაძლოა ორი „ჰო“, ზოგჯერ, უფრო განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, ვიდრე „ჰო“ და „არა“.

ალბათ, შემოქმედმა თვითონ არ იცის როგორ აისახება საკუთარ ქმნილებაში მისივე სულის მოძრაობა; თანაც, მხატვრობა ხომ შემოქმედების მეტად არაცნობიერი დარგია; ან, იქნებ შემფასებელი ცდება, როცა ქმნილებაში იმას ხედავს, რაც თავად შემქმნელს არ უგრძნვია, არ განუცდია. მაგრამ მეორეცაა: თუ კი მხატვარს აქვს რისკიანი მონასმის გაკეთების უფლება, მისმა შემფასებელმაც უნდა გაბედოს და თავისი სათქმელი თქვას — ეს უკვე ამ უკანასკნელის უფლებაა.

მე ვერ შევუდგები ჩემი დაკვირვებისა და ჩემს მიერ აღქმულის ფსიქოლოგიურ ანა-

ლიზს, ეს მხატვრის სულში ხელების ფათურს დაემსგავსება, ამიტომ გიას სახლებზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას, სახლებზე, რომელთა ფასადი მხოლოდ მინიშნებაა იმ მისტერიისა, რაც მათ შიგნით ხდება; ყოველი ფანჯარა და მის მიღმა არსებული წარმოსახვითი ოთახი გინვეეს, გიზიდავს, გაჯადოებს; გინდა შეაღწიო იქ, მონაწილე გახდე ფარული შეთქმულები-სა, ამოიწიო, ვინ იმყოფება მასში, დონისე? მენადა? თუ ორივე ერთად. ზოგჯერ, სახლი მშვიდია, თითქოს, წუხანდელ ომგამოვილილს, დილის ღრმა ძილთ სძინავს. სხვა სახლი აღმოდებულ კოშკს ავას, ამ დროს მასში მოთავსებული მთელი სამყარო ფეხზე დგას, შინაგან სიმზურვალეს და მგზნებარებას ვეღარ იტყვს, მზადაა აფეთქება და ცაში აიტანოს ირგვლივ ყველაფერი.

საიდან ეს წინააღმდეგობა? საიდან ეს კაქტუსები, სადაც ყველა ეკალი ადგილზეა, ერთიც კი არაა ჩაგდებული ან გამოტოვებული და, მაინც, გასაოცარ სითბოსა და სიყვარულში გხვევენ, ან როგორ ახერხებს მხატვარი თიხის ქოთნების ასეთი „სიმრგვალების“ გამოხატვას, რაც მყარ, პარამონიულ, დაცულ გაჩემოს გიქმნის და გუშუბება — „ნუ გემინია“.

ახლა მის ხეებს შეხედეთ, ყველგან ქარია ან ნიაგი მაინც; ყველგან წინააღმდეგობა და, ამავე დროს, სიმყარე, ძალა, ძალა გაძლების, ბოლომდე გატანის...

ოჰ, ეს თაიგულები, კაცის უხეში ხელით შექმნილი და ნაზი, ანთებული ყვავილები, რაღაც გაუგებარ საიდუმლო ფერებში გახვეული და ქოთნებიდან ამოვარდნილი მზებები, მზის მოყვარული არამზესუსმირები, სიკეთისა და სითბოს, სინათლისა და სიყვარულის მფრქვეველი თაი-გულები.

ფერთა, გრძობათა და აღქმათა მთელ ამ კორიანტელში, პირადად მე ერთი რამ მაინტერესებს და კითხვა მეზადება — საიდან, როგორ? როგორ იქმნება ასეთი ტილო, როგორ

სერიდან „ბოთლები“





„ჩემი კარდიოგრამა“

იწერება ასეთი ლექსი ამ მუსიკა? რა არის ნიჭი, გენია? ვინ იბუდებს ადამიანში, როდესაც ის ქმნის; დუენდე თუ ლმერთი? პასუხი, რა თქმა უნდა, არ არის და არც არის საჭირო.

ალბათ, არც ისაა საჭირო მხატვარი ფსიქოლოგიურ პრიზმაში განიხილო და მისი ნახატები მისივე ფსიქიკის გასაანალიზებლად გამოიყენო. არ არის საჭირო, თუმცა შესაძლებელია, მით უმეტეს, თუ ეს მხატვარი გია მიჩნაძეა, რომელსაც თვითგამოხატვის გასაოცარი უნარი გააჩნია.

სათქმელის უკეთ გასაგებად, ერთ მაგალითს მოვიყვან. როდესაც ჟან ჟენე, როგორც მწერალი, აღმოაჩინეს, სარტრმა მასზე, მის შემოქმედებაზე სექულტანანი ნაშრომი დაწერა. ეს იყო ჟენეს მწერლობის ლიტერატურული ანალიზი და, როგორც ჩანს, არა მხოლოდ ლიტერატურული. ასე იყო თუ ისე, ჟან ჟენემ ამ ნაშრომის ნაკითხვის შემდეგ დიდხანს ევლარდერი დაწერა — ხელი შეეშალა. ცხადია, მან ბევრი რამ გააცნობიერა საკუთარ თავზე. შემოქმედებას კი უფრო მეტად არაცნობიერი იმპულსები ასაზრდოებს. ამიტომაც არ გაიარა კავკასი ფსიქოანალიზის კურსი, რაც მას ძალიან სჭირდებოდა; რომ გამოეჯანმრთელდე, ევლარ დაწერო — ეს მისი სიტყვებია.

ამიტომაც არ არის აუცილებელი ხელოვნის სულში ხელის ფათური, მით უმეტეს, როცა სარტრი არ ხარ; არსებობს საშორეობა, მას რაიმე ავნო, როგორც შემოქმედს, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც შესაძლებელია, რომ ცხოვრება გაუადვილო. აქ არჩევანია გასაკეთებელი.

რა სჭირდება ადამიანს იმისთვის, რომ თავისი არსებობა გაამართლოს? — საზრისი, უპირველეს ყოვლისა. ხელოვნება კი არ არის საზრისი, არამედ ამ საზრისის პოვნის მცდელობა. გმირია ის ხელოვანი, რომელ-

მაც საზრისსაც მიაგნო და მუსიკაც ააქლერა ან ბოთლები გააცოცხლა. მიაგნო ვიამ თავის საზრისს? ეს მისი საქმეა...

რახან უკვე გიას პიროვნებას შევეხებთ, მისი ერთი თვისება მინდა დავასახელო. არ შეუდგებოდა მის დახასიათებას, არც ძალია შემწევს, არც უნარი ჩაგვადე გიას რთული ხასიათის თავისებურებებს, რომლებიც მთელ სისტემებს, კომპლექსებს ქმნიან. უბრალოდ, მინდა გამოვიყო ის ერთი თვისება, თუ მაღლი, რაც მას ყველაზე მეტად ეხმარება გაიაროს ზრდისკენ მიმართული სულიერი გრადაციები და გააძლიეროს მისივე ფარული მისწრაფება ადამიანურობიდან ზეადამიანურობისაკენ. ეს მაღლი მისი სისპეტაკე და უმანკოებაა, მისი ბუნებისთვის ყველაზე იმანენტური, ცენტრალური თვისება.

ვიცი, ბევრს ჩაეცილება, თვითონ გიაც ვუღიანადა დედაიხარხარებს, თითქოს, რაიმე შეუფერებელი ეთქვი, მაგრამ ისიც გასაგებია, რომ მე არ ვლაპარაკობ რაიმე ემპირიულ, ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, არამედ — გიას ბუნებასა და არსზე. თუმცა, არც გიას წარსული და გამოცდილება უშლის ხელს მის სისპეტაკესა და ადამიანურობას. შეცდომა, ცოდვა და მისი მონანიება, წარსული, გამოცდილება და მისი კონსტრუქციული გამოყენება და გადაფასება — ეს არის ადამიანის უპირველესი მოვლეობა. „Для меня, например, юноша, который с самого начала живет в рамках официальной морали — комсомольской, или христианской, или любой другой (в той мере, в какой она официальна) и не проходит через раскрытие тех состояний, которые с самого начала не уместились ни во что это, никогда не будет человеком“* — სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც გიას ადამიანურობაზე ვლაპარაკობ, ის ნამდვილი, ჭეშმარიტი ადამიანია.

Merab Mamardashvili
„Психологическая Топология путей“ 1997



გუდასტვირი

ბაგრატი (ხსენება)

სხვიხის ქაჩთვალეხი ვახიასთაიხი

ქართულ ეთნოქოროგრაფიულ-ეთნომუსიკურ სამყაროში ჩასაბერ საკრავს სტვირს (და მის სახეობებს) გამოჩენული ადგილი უჭირავს: გუდასტვირი, ჭიბონი (ჭიპონი, ჭიპონი, ჭიპონი), ყვირო-სტვირი და ზურნა, საზანდარი – ეს ჩვენი ეროვნული და ფასდაუდებელი კულტურული მემკვიდრეობაა, წინაპართაგან ბოძებული... უკანასკნელი სახელდებანი (ზურნა, საზანდარი) წარმოშობით სპარსულია, თვით რაჭაში, დღემდე, სტვირ-მესტვირობის დიდი ტრადიციის მქონე კუთხეში, სტვირისა და გუდასტვირის გვერდით ტერმინ „საზანდარი“-ს ხმარება ჩვეულებრივია.

ჭიბონსა თუ სტვირს საქართველოშივე ქართველი ოსტატები, ზოგჯერ თვით მეჭიბონეებიც აკეთებდნენ. საამისოდ, როგორც ერთ-ერთი აჭარელი ინფორმაციორი გვამცნობს, საჭირო იყო ხბოს ტყავი, რომელსაც „ღოთ, შაბით გააბასილებენ და გააკეთებენ გუდას, საბერავს, ქარხასს, ნაჯიხს... ზეთ უკრავ: ხორუმს, ყარაბასს, ცეკურს (ლეკურს), ქურთბარს, ყოლსამას, შამილს,

ბალდადურს“... ამრიგად, ჭიბონი // სტვირი ქართული ეთნოქოროგრაფიულ-ეთნომუსიკური საკრავიერი ინსტრუმენტია, იგი ძველთაგანვე ქართული ეთნოკულტურული ყოფის, ქართველური საცეკვაო ფოლკლორის განუყოფელი ნაწილი იყო (დოლოთან ერთად).

ჭიბონი, როგორც სტვირის სინონიმური სახელდება, სიტყვა-ტერმინი, საქართველოს რესპუბლიკის კუთხითაგან, დღემდე მხოლოდ აჭარაშია ცნობილი. აჭარის გარდა, სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, ჩვენი დღევანდელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ჭიბონი (რომელსაც ადგილობრივი დიალექტური ფორმით ჭიპონითაც მოიხსენიებენ) დღემდე შემოუნახავს ისტორიული საქართველოს ძირძველ კუთხეებს: შავშეთს, ტაოს, ლივანას, კლარჯეთ-იმერხევს. ეს ხომ სამგზის ასიმილიაციას გადაარჩენილი (გასომხება, გაბერძნება, გათურქება) დღევანდელი „ოსმალის საქართველოა“. ლირსააცნობია, რომ თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურთა ზეპირმეტყველებაში ჭიბონს ახლაც ღირსეული და კუთვნილი ადგილი უჭირავს. აქ დღესაც ცოცხალია ფიგურული გამოთქმა: „ჭვავის ჭიბონი და თიკნის დავლი“ (= „არაფრის მომცემა, არაფრის მომტანია“), „ილაპარაკეს, ილაპარაკეს და რამე ვერ გადაწყვიტეს, ჭვავის ჭიბონი და თიკნის დავლი“ (= „ლაპარაკეს შედეგი არ მოუტანია“). ამ ფიგურული გამოთქვამის შინაარსი ნათელია: მართლაც, აბა, ვის გაუგონია ჭვავისგან ჭიბონის (სტვირის) და თიკნის ტყავისგან დოლის გაკეთება! ასე უზნობენ და ასე ესიტყვებიან ურთიერთს სტამბოლელი ქართველები, თუმცა ზოგჯერ თურქული ზეგავლენით, მეჭიბონე // მეჭიპონე“-ს ნაცვლად წარმოშავლობის, ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი უჯი თურქულ-სლავიკისანი ჭიბონჯი (=მეჭიბონე, ჭიბონის დამკურნელი, ჭიბონის მკეთებელი) კოლოური სიტყვაფორმაც გამოიყვებათ: „ჩემი დედი ძალიან ჭიბონჯი იყო“-ო. ჭიბონი ძველად თითქმის მთელ აჭარაში ყოფილა გავრცელებული. როგორც გავუწყებენ, აჭარაში ჭიბონით არაერთი ცეკვა და სიმღერა სრულდებოდა. ახლა კი, პოსტსაბჭოურ, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მისი ხმა ისე „მისუსტებულა“, რომ ვასაგონად აღარც ისმის. ისტორიულად, აჭარულ სოფელში, ერთსა და იმავე დროს, ნაღს ორ ოჯახში მაინც თუ მოიხილავდნენ, მეზობლურად ასე შორიდებოდნენ: ერთი „მუნადე“ მომღერლებს მიიპატივებდა, მეორე კი „მეჭიბონეს“ ამჯობინებდა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში უპირატესობა უფრო, და ძალიან ხშირადაც, ჭიბონს ენიჭებოდა. სამწუხაროა, რომ დღეს საქცილიანტეხი ვეღარ ადგენენ, რა დროს და რა ფორმებში სრულდებოდა ეს ძირძველი ჩვეულება. ერთი კი შეიძლება ითქვას: ნაღს თავში ჩამდგარი

ჭიბონი და დიდი მთელი დღის განმავლობაში, შრომის ტემპის შესაბამისად, რიტმული პანგებით ატკობდა, „მენადებებსაც“ დალილობა უმსუბუქებდაოდაი.

სტვირი ანუ **ჭიბონი** წამყვანი არა მარტო შრომით პროცესებში იყო, არამედ შორეულ წარსულში სამგლოვიარო რიტუალშიც მონაწილეობდა. მაგ. მოხუც მიცვალებულს (ქალს) ლეკვა დასტროდნენ გურიამო, დათვისგან მოკლულ მონადირეს — ხეცსურეთში. როგორც ჩანს, ძველად სტვირი მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. რადგანაც **სტვირი** — **ჭიბონი** ძირძველი ქართული ტრადიციის ამსახველია, ცხადია, მასზე გადმოცემებიც უნდა არსებულებოდა. არსებობდა კიდევ... ჩვენ აქ მხოლოდ ერთს დავიმონებთ:

“იყო ძველ დროში ფარნაოზ მეფე, ცეცხლზე ლოცულობდა, სამ კაცს სწირავდა საღმრთოდ. შეწირულებს ცეცხლში სწავდა. წელიწადში ერთხელ მოუყრიდა ხალხს თავს, პყრიდნენ კენჭს, ვისაც ერგებოდა, დასწავდაცხენ.”

ყარეს ერთხელ კენჭი... დანვა ერთ დედასერთა ვაჟს ერგო. ექვსი თვის მერე უნდა დაეკნეთ. დაღონდა მისი დედა-მამა. ტირიან და ევაგაზობენ.

ერთ ღამეს ნახა ვაჟის მამამ სიზმარი. დაუხატეს ვითომ სტვირი და უთხრეს: ამისთანა გააკეთე, დაუკარი ფარნაოზ მეფის კარზე და გაჩუქებს შენს შვილსო.

გააკეთა ამ კაცმა სტვირი, ექვს თვეში დაკვრაც ისწავლა. მივიდა მეფის კარზე და სტვირი აახმინა. ხან სალხინოს უკრავდა, ხან გლოვისას... გამოვიდა ფარნაოზ მეფე, მხიარული სახით მიიღო მესტირე და უთხრა: მითხარო, რითი დაგაჯილდოეო, ავისრულებ ყველა სურვილსო.

დაუკრა მესტირემ გლოვის პანგი, მუხლი მოიდრია მეფის წინაშე და შემალადა: ფარნაოზ, ბატონო, ჩემი ერთადერთი შვილი რომ გყავს დასაწავად გამწაადებული, მაჩუქე იმისი თავიო.

ხელმწიფემ იუარა, მაგრამ მისმა ცოლმა უთხრა: ბატონო, წელანა ბრძანეთ, რასაც მეტყვის, იმას ვაჩუქებო, სიტყვის გატება არ გეკადრება, ხელმწიფე ხარო.

რალა იხამდა ხელმწიფე, დაუბრუნა მამას შვილი.

ასე გაჩნდა ქვეყანაზე სტვირი”.
სოფელ ფარნეთის მკვიდრის, ზაქარია ერადის ამ მონათხრობში (“როგორ წარმოიშვა სტვირი”), ბევრი რამ იქცევს ჩვენს ყურადღებას: თქმულებისამებრ მეფე ცეცხლს სცემს თავყვანს. ეს კი ცეცხლთაყვანისმცემლობა-კერამთაყვანისმცემლობაა, იგივე მახადუიზმ-მახადეანობა ანუ ზოროასტრიზმი, საქართველოში სპარსთაგან შემონატან-გადა-

მონერგული... ეს ხომ ქრისტიანობამდე, წარმართული ხანაა, ძველი საქართველო, როცა მეფე-ქურუმნი რიგით და არარაგით აღმანავლებს უფალს ცხოველავით სწრაფდნენ... ვფიქრობთ, შემთხვევითი და მოულოდნელი აქ მეფე ფარნაოზის ხსენებაც არ უნდა იყოს — ძველი საქართველოს ხვეწულბში ჩაყურსულმა მოქმელმა სტვირის წარმოშობის ამბავი წარმართულ ხანას (იქნებ სწორედ ცნობილ მეფე-ერეფორმატორს, ქართული სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობის საფუძვლის ჩამყრელს ფარნაოზს) დაუკავშირა.. აქვე ისიცაა მინიშნებული, რომ სტვირის დაკვრა, მისი კარგად შესწავლა დაწყებმა, მესტირეობის მოსურნემ, ექვს თვეში უნდა შეძლოს...

ღირსსაცნობია, რომ სტვირის (გუდასტვირის, ჭიბონის) და მისი დაკვრა-მესტირეობის ტრადიცია დღემდე შემორჩათ თურქეთში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ლაზებს. ცნობილი ინგლისელი ანთროპოლოგი, ამჟამად მაქს პლანკის სოციალური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ჰალეუმი (გერმანია) კრის პანი, რომელიც ერთ ათეულ წელს, როგორც მეცნიერი, სწავლობდა ლაზთა ყოფას, **ლაზური გუდასტვირის** შესახებ აღნიშნავს: გასარკვევია, ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთა მოსახლეობაში გავრცელებული გუდასტვირი წარმოშობით ლაზურია თუ ჰემშიური (ქემშინევი გამაჰმადიანებულ-გათურქებული სომხებია, ბ. ცხ.). აგტორის თქმით, “ადგილობრივი მითის” მიხედვით (რომელიც ერთმა ლაზმა მოუთხრო), სტვირი შეიძლება დაუკავშირდეს ორივე ეთნიკურ ჯგუფს (ლაზებს და ჰემშინებს). უფრო სარწმუნო უნდა იყოს ვარაუდი, რომ “ეს ინსტრუმენტი დასაბამს იღებდეს იმ ხალხიდან, რომელიც ისტორიულად უფრო მესაქონლეობას მისდევდა, მაგრამ ჩვენ ამის დამტკიცებას ვერ შევძლებთო”, - დასძენს მკვლევარი. მისივე თქმით, “ზოგიერთი ლაზი მზად არის, პირველობა გუდასტვირის შექმნისა ჰემშინებს დაუთმოს და სამაგიეროდ ამტკიცოს, რომ ქემშინე (პატარა სამსომიანი საკრავი) ლაზების ავთენტური ინსტრუმენტია. მოუხედავად ამისა, დღეს ძალიან გულს ლაზი უკრავს ქემშინეს”-ო (იხ. მისი “ეთნიკურობა, ენა და პოლიტიკა ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში”, გვ. 247, შენ. 12).

ვფიქრობთ, **გუდასტვირი**, მსოფლიოს მრავალ ხალხში გავრცელებული, არა რომელიმე ერთი ეთნოსიდან მომდინარეა და შემდგომ სხვა ხალხშიც კი არ უნდა დამკვიდრებულიყო, არამედ მისი ჩასახვა და განვითარება მესაქონლეობის დარგის მქონე სხვადასხვა ეთნოსში დამოუკიდებელი უნდა აღმოცენებულიყო, ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე, წარმართულ ეპოქაში (ლაზური ქემშინეს და

გუდასტვირს სპეციალური კვლევა სჭირდება, ამისათვის ქართველ სპეციალისტთა საგანგებო სამეცნიერო მივლინებაა საჭირო...).

ქართულ ეთნოგოლტურულ სინამდვილეში იმავითაა ჩასაბერი საკრავის, მუსიკალური ინსტრუმენტის დამზადებისა და ნაწილთა სახელდების იმდენი ტერმინოლოგიური ნაირი, რამდენიც სტვირს აქვს, თუნდაც საქართველოს კუთხეების მიხედვით... (მაგალითად, ფშავში, ახლაც, სხვა არაერთ მნიშვნელობათაგან, სტვირის კოხტად დაკვრას, სიმღერაში ხმის გრეხას ჩაჭიჭმახურება შექვია). [მდრ. კრიმანჭული <-კრიმანჭყული]

და მაინც ქართველებს, ჩვენს "მსოფლიო ენას" სპარს-კიზილბაშთაგან, მოგვიანებით, ქართლის მეფეთა გამაჰმადიანების ხანიდან, ირანული ზურნა, საზ-საზანდარი შემოგვეპარა. მისი ხმარების არეალი მხოლოდ ძველი თბილისი და ქართლ-კახეთი არ ყოფილა, იგი სხვა კუთხეებშიც "მიმოიბნა" და ნოყიერი ნიადაგიც პოვა.

ნამდვილად არ ვაჭარბებთ. ეს სიტყვა - **საზანდარი**, ქართულ ეთნომუსიკალურ სიერცემში რომ შედარებით ახალია, აშკარაა, რადგან იგი უცნობია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონისათვის, მას ვერ იპოვით ვერც ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ექსიკონშიც, მხოლოდ დადეთი ჩუბინაშვილი იმონებებს ამ ნასესხობას და "მგონად, მესტვირედ" განმარტავს...

საზანდარი ძველად მხოლოდ თბილისური ქორნილისთვის ყოფილა დამახასიათებელი. მაშინ საზანდარი ის იყო, ვინც საზს უკრავდა, უფრო სწორად, ისეთ მომღერალს ეწოდებოდა, ვინც საზ-თარზე უკრავდა და თან მღეროდა...

სტვირის სინონიმად, იმავე აღორძინების ხანაში, საქართველოში არაქართული, კერძოდ, სპარსული, წარმოშობის სიტყვა **ზურნაც** დაჰქვიდრდა: "ზურნა სხვათა ენაა, სტრი შექვიან ქართულადო", - შეგვახსენებს სულმნათი საბა თავის "სიტყვის კონაში". ამრიგად, დღეს საქართველოში, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოში, ქართული ჭიდაობის გამართვისას ან საპანაშვიდო პროცესისას ზურნა უცილობელი ატრიბუტია (მდრ. ნეველა-გამონათქვამი - "ვაი შენდა ზურნაო..."), რაც ქართულში სპარსთა ექსპანსიის დანატოვარ-გადმონამთია. ასეთ შემთხვევას - უცხოური სიტყვის შემოსვლას და ქართულის სიტყვის ხმარებიდან განდევნას ან დაკნინებას "მორფოლოგიის შელახვად" რაცხნდა დიდი ქართველი ვრიგოლ რობაქიძე. ასეთი "მორფოლოგიის შელახვითაც" კი ქართული ენა "მსოფლიო ენაა", ზოგ სხვა (ინგლისურ...) ენასთან ერთად...

და ბოლოს: როგორი აღნაგობისა და რა

ასაკისაა ეს ორი საკუთრივ ქართული სიტყვა **ჭიბონი** და **სტვირი**? როგორია მათი ლინგვისტური "მახასიათებელი"?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, **ჭიბონის** ფონეტიკური და დიალექტური სახესხვაობებია **ჭიპონი** და **ჭიპონი** (→ **ჭიპონი**), ამ სამთაგან რომელიმეს არქეტიპად მიჩნევა ძველდგმა დოკუმენტურ-წყაროთმცოდნეობითი მასალის არქონის გამო, **ჭიბონიც**, **ჭიპონიც** (// **ჭიპონი**) და **ჭიპონიც** შეიძლება არქაული, თავდაპირველი ფორმა იყოს: ქართულში **ბ** მჟღერი ასო-ბგერვიდან ყრუ-მკვეთრი **პ**-ც მიიღება და სონორი **მ**-ც, ისე როგორც ყრუ-მკვეთრი **პ** ფონემისგან **ბ** მჟღერი და სონანტი **მ**-ც. ასე რომ ამ სიტყვათა ეტიმოლოგიურ-ლინგვისტური სავარაუდო პირვანდულობა შეიძლება რამდენაირად წარმოვიდგინოთ:

ჭიპონი → **ჭიპონი** → **ჭიპონი** (მდრ. ქართული ენის ზოგ დიალექტში კბილი → კბილი → კბილი)

ჭიპონი → **ჭიპონი** // **ჭიფონი** → **ჭიპონი** → **ჭიპონი** → **ჭიპონი** (აბასთუბანი <- აბაზთუბანი <- აბაზაძეთა უბანი; ხბო → ხფო → ხპო, აკეთებს → აქეთებს // აკეთამს)

შესაძლოა პირიქით: **ჭიპონი** → **ჭიპონი**; **ჭიპონი** (// → **ჭიპონი**) → **ჭიპონი**;

ერთი რამ აშკარაა: სიტყვა, როგორი ეტიმოლოგიაც არ უნდა დავუძებნოთ, აღნაგობითა და წარმოშობაობით ყოველმხრივ ქართულია (მდრ. **ჭიპავს**, **ჭიპი** → **ჭიპონი** // **ჭიპონი** → **ჭიპონი**?; **ჭიპი**, **ჭიპავს** → **ჭიპონი** → **ჭიპონი** → **ჭიპონი** → **ჭიპონი**?; **ნიბო** → **ნიბონი** → **ჭიპონი** → **ჭიპონი** → **ჭიპონი**?; **ჭიპონი**?), - ონ ბოლოსართიც ქართულ-ზანური (მდრ. რკო → გეოგრაფიული სახელი რკონი; მალაკი → მალაკონი, მეგრ. ბული "ბალი" → ბულონი → "ბალნარი"...)

რაც შეეხება **სტვირის** სახელდებას, იგი უფრო ძველია, მეტიც: უძველესი სიტყვაა, წარმართობის დროინდელი, პირველყოფილ-პირველქმნილი... ძველი ქართული ენის ძეგლები მოწმობენ, რომ **სტვირი** იმთავითვე როკვის განუყოფელი ნაწილი იყო; ბილიამი (II მეფეთა, VI,5) ნახსენებია, რომ "ხოლო დავით და ძენი ისრაელისანი ვიდრეს ნინაშე უფლისა მროკველნი ორღანითა შეგმობილითა ძლიერთა, და გალობითა, ებნითა, და წინწილითა და ბობღნითა და საყვრითა და სტვრებითა". ბერძნულ ენაში სტვირის შესატყვისია "ავლოს", რაც დუღუქს, მილს აღნიშნავს.

ძველ ქართულშივე, წერილობითი ძეგლების ჩვენებიდან ირკვევა, რომ სტვირის გვერდით იმავე ძირიდან ნაწარმოები **ნესტვიც** (მდრ. ახალი ქართულის "ნესტო" (მხ. რ.), ნესტოები (მრ. რ.), ფონეტიკურად სახეცვლილი "ნესტუები") გვქონდა, რაც ზოგადად

მილის შინაარსს შეიცავდა, მეტიც: სტვირს და ნესტვს სპეციალურ ლიტერატურაში სინონიმებადაც კი სახავენ (შდრ. მენესტვე — მესტვირე).

ლინგვისტური ანალიზიდან ჩანს, რომ ნესტვი და სტვირი წარმოშობით ერთია, ფუძემდებიათა ძირძველია (ნე-სტუ-ი, სტუ-ირ-ი), რომლებშიც ნე- და -ირ სართობი უძველესი მორფოლოგიური სანარმოებლებია, ძირიც სტუ // სტვ ქართულ ზმნას სტვენას უკავშირდება, უფრო მეტიც: ისინი სტვენ ზმნის პირიანი ფორმებისგანაა ნაწარმოები. მსგავსი სიტყვაფორმების წარმოებაზე ჯერ კიდევ ორი ათეული წლის წინათ გაავაზივლით ვუწრადლება. შდრ. უგუმერს, უგუშირა — გუშირი — გშირი; უკბენს — უკბინა — კბილი, უსტვენს — უსტვინი — სტვინი // სტვირი; მაშინაც ავლამარაკით ქართულ ენაში ე. წ. ფარული ფუძეების არსებობის შესახებ, ე. ი. ისტორიულად უნდა გვეჩინოდა: უსტვენს — უსტვინა — სტვინი და უსტვერს — უსტვირა — სტვირი. ასეთი ფარული ფუძის საკარადლო არსებობა, ჩემდა მოულოდნელად და გასაოცრად, დადასტურდა... დადასტურდა ი. მჭედლოძის მიერ 1936 წლის 30 ივნისს ივ. ჯავახიშვილისადმი გაგზავნილ წერილში: "თქვენი დავლება სალამურის შესახებ შევასრულე. თუ დაბალ ხმაზე უკრავს, იტყვიან "ბოხზე უკრავსო". — თუ მაღალზე უკრავს, იტყვიან "სტვენზე ანუ სტვინზე" უკრავსო". ლაპარაკის დროს ასე უნებნით ერთმანეთს: "ხმა ბოხზე დაიყვია", ან "დაადგინე", — მაღალზე თუ უნდათ, იტყვიან "სტვინზე დაუკარ", ან "სტვინზე აიყვია ხმა"-ო...

ამრიგად, სტვირი და ნესტვი (ეს უკანასკნელი დღევანდელი სალამურია) ისევე ძველია, როგორც ქართული ენა, ქართული გენი, ქართული ეთნომუსიკა, ქართული ეთნოქოროგრაფია.

ღირსსაცნობია, რომ ნესტვ, სტვირ ძირისაგან ქართულში ნაწარმოებია ტოპონიმებიცა და გვარსახელებიც: სვირი (<—სტვირი), (სოფლებია შუაიმერეთსა (ზესტაფონის რ.) და სამცხეში, ახალციხის რ.), სვირევანი // სურევანი (ეს უკანასკნელი სიტყვაფორმა თურქული ენის შეგავლენითაა გაუმლატეხბული, სოფელია ტაო-კლარჯეთში), სვირამალაი (სოფელია შუაიმერეთში, ზესტაფონის რ.), სვირავა (გვარსახელი სამეგრელოში). სვირ (<—სტვირ) საკუთრივ ქართულ სიტყვაა არაფერი აქვს საერთო რუსეთში, კერძოდ, ქალაქ მოსკოვში გამავალ ერთ-ერთ მდინარის სახელ სვირთან, თუნდა ტიპოლოგიურად საინტერესოა. შდრ. რუს. (свирель) "სასტვინელი, ზურნაკი (ნ. ჩუბინ.)". ქართ. სტვირი — სვირი ("მილი", ახლაც ასე ჰქვია მეგრულად არყის გამოსახველ მილს! აქედანვეა -ა ბოლოსართით ნაწარმოები სვირა 1. "ბლის კა-

ნისაგან მონული ხელჩანთა", 2. "მაღალი და მშვიდი", შდრ. სვირთა, სვირთალი "უშნოდ გრძელი, აყლანწული (ადამიანი), სვირინი, სვირთინი, სვირთინუა, სვირთინაუა "უშნოდ წაგრძელება", შეიძლება ითქვას, ქართული სტვირ სიტყვა ძველთაგანვე მეგრულში შესულა სვირის სახით, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სვირი "ზანიზმა" ტაოკლარჯულ, სამცხურ და იმერულ ტოპონიმიაში. სვირ <— სტირ ფონეტიკურ-ეტიმოლოგიური ასხნა, "მილის" მნიშვნელობით, ეკუთვნის ცნობილ კავკასიოლოგს პროფ. ვიორჯი როგავას).

შეიძლება აქვე ისიც შევნიშნოთ, რომ ძველ ქართულ მეხეტევს, ნესტვის დამკვიდრეს, არაფერი აქვს საერთო ფრანგული წარმოშობის მენესტრელ სიტყვასთან (მოხეტიალე პოეტი-მუსიკოსს რომ ერქვა შუასაუკუნეების საფრანგეთსა და ინგლისში. შდრ. ნანკეტი გ. ტაბიძის ერთ-ერთი ლექსიდან: «ეს ოცნება არის ჭრელი, ფიქრი ბნელი ღამისა, აღარ არის მენესტრელი უნაზენი დამისა»).

აღსანიშნავია ისიც, რომ სტვირის კიდევ ერთ წარსახეობას, არქაულ საქართველოდან დღემდე არსებულს, წარმოადგენს ყვირო-სტვირი, რომელიც ასევე, წარმომავლობითა და არქიტექტონიკით, საკუთრივ ქართული თხზული სიტყვაფორმაა, კომპოზიტია. ყვირო-სტვირის იმთავითვე, ერთდროულად, საყვირისა და სტვირის თვისებები უნდა ჰქონოდა (ივ. ჯავახიშვილი). იგი ძველად სამხედრო საქარავი იყო და საქართველოში მე-17 ს-მდე იხმარებოდა: მისით ხომ ჯარს უხმობდნენ — საომრად თუ სააღლუმოდ...

სტვირის, ყვირო-სტვირის წარსახეობად უნდა დავსახოთ გუდასტვირიც, რომლის ერთ-ერთ ნაწილს გულად წარმოადგენდა.

ნესტვმა, სტვირმა, გუდასტვირმა... შვა მესტვირული პოეზია, ამ მხრივ, საამაყოფ და გასახსენებლად, "არსენას ლექსის" დასახელებაც იკმარება...

ეს მარგალიტები ჩვენია, საკუთარი, ეროვნული, დასაბამიდან დღემდე ათას მტრულ ქურაში გამოტარებული, ჭირვარამიან დროში ნასათუთევი... როგორც გვარანმუნებენ და გვამუნათებენ, გამოტანჯული საქართველო თითქოს ჭუმარტად ახალი სახელმწიფოს შენების გზაზეა შემდგარი. თუ ეს ასეა, მაშინ ხელი გამოიღონ — სპეციალისტებმაც, სახელმწიფო მოხელეებმაც..., თუნდაც შოტლანდია-ინგლისის "მესტვირულმა ტრადიციამ" მინც ვეზიძეოს საიმიხოდ, რომ ავღლორძინით და გამოვიყენოთ ძირძველი სტვირისა თუ ყვირო-სტვირის "მესტვირული" სასცენო-სააღლუმო-სახეობი თაყენილი ტრადიცია. აღსადგენი უნდა აღდგეს! ნუ დაფუყრით და დაფუყვით ღორებს მარგალიტებს, ისედაც უნირი და "სირგვენეშუნონარ" ქვეყანასა და ეპოქაში.



ანა

წაღანდაძე

საქართველოო ლამაზო

სხვა საქართველო სად არის?
გრ. ორბელიანი

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს ვიამბობს ჭადარი...
ქენნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“

ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა — არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენი დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?“

მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარვამლილები...
მთაში — ტყე დანაბინდები,
ტყეში — ქორბუდა ირმები...

ბარად შრიალეებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევე მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?“

ლურჯი ბალახი მხარამდი,
მწყერი გოგმანობს ბალახში...
თეთნულდზე — თოვლი მარადი,
ვენახზე — მზე და ბაღახში...
სხვა საქართველო ვინ ნახა?
„სხვა საქართველო სად არი?“

როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოანყდება ზღვაური
მეშვიდე ცაზე ატანილს...
კლდეებში ჯიხვი დაფრთხება,
გორში იტირებს ატამი,
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი,
„სხვა საქართველო სად არი?“

აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...
და თუნდაც ვადმოსულიყო
მტერი შმაგი და ვერანი,
მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა,
სით გაუშვებდა ლელაი?
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“...

მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
დაბლა შრიალეებს მოლისებრ
ყანაი გაუყვლაი...
ფიქრს დაუღლია ონისე,
ბატრიონს მიდის ლელაი...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს ვიამბობს ჭადარი...
ქენნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად
შემოსულმა ვერავინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა
და ვერცა სპარსმა...

შენი დიდების მომღერალია
ოჰკი და ზარზმა,
ბებერი ტაო...
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო...

შემოდოლა ჩვენში კალანდა

და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ქათამი გურიის სოფელს,
ყეფდა თოვლია...
იდგა ბერმუხა ღამისმთევარი
თოვლში ნაბღითა...
დღილით მისდევდა სერზე მწვევარი
ნაკვლეგს ნადირთა...
ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდოლა ჩინილაკებით
ჩვენში კალანდა...

მოდოლა ნინო მთავით

ნოლი მე დავუთი ეკალთა შინა ვარდისათა,
რამეთუ ვარდი და ნუში არა ყვავიდა მას ქანსა.
ნინო

ღურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ
ნისლში ხევედა
და, როდესაც ბარში ვარდნი ყვადენენ,
თოვლი იდო ჯვავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდენენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...
მოდოლა, ნინო მთებით მოდიოდა
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი.
თოვლის მთებით კვირდებოდა
უცხო მგ ზაერი, —
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა:
— რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა:
— საქართველო არის ესე!
მიეძინა... ერთ ნალკოტში მიეძინა
და ფშატებმა მზისგან მოუწრდილეს. ო,
ეს... ვინ არი, გამოცხადდა მგ ზავრის ნინა?
— „ნუ გეშინინ!“ — მიუგებდა იესო.
გაბეღია... ნუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?!
თოვლი იდო ჯვავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდენენ...

ბალში ისევე
ტირიფების ლოდინია,
ხანგრძლივი და
უსასრულო ლოდინი...
ხეივნები
მოდიან და მოტირიან,
ქარი მოდის
და ხეივნებს მოსტირის...
მთა კვენსის და
ცაიც გულდაკოდილია,
ჩემო კარვო,
მტკვარიც გულდაკოდილი...
ხეივნები
მოდიან და მოტირიან,
ქარი მოდის
და ხეივნებს მოსტირის...

აუ, აზრინდა გუნდი ყორანთა

ბერა საზანდარს როცა მომართავს,
შენ სევდა გიპყრობს გაუგონარი,
ცად აიძლება გუნდი ყორანთა,
ლემის საძებრად წავა ყორანი...
მგლისფერ ღრუბლებში გმინვა მოისმის
და ქარიშხალმაც მოითქვა სული...
მარტო რად დგახარ, როგორც ონისე,
შეგინებული და შერისხული?
ბერა საზანდარს როცა მომართავს,
სევდა რად გიპყრობს გაუგონარი?
აუ, აზრინდა გუნდი ყორანთა,
ვაი, ვის გულმკერდს დაფლეთს ყორანი?

თუთა

ღამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ღამის თაფზე გადამისვას ხელი...
დამიძახებს, თვალს ჩამოიკრავს მუღამ
ზე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა?
რა ჩურჩული?.. დამდაგველი, მწველი!
ღამის სახლში შემოვიდეს თუთა,
ღამის ნელზე შემომხვიოს ხელი...

ასათი ღარი თუ იყო ააჰინე..

მზემ აინია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან...
ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა...
ასეთი ღარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

პარში გამო, ჭია-ჭიამარია!

მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების...
კარში გამო, ჭია-ჭიამარია,
მრას გავნებ, მხოლოდ მოგაფერები...
მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების...

უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაო ჩანს ცის და მიწის სიცილში...
გავიმარჯვებ, ჭია-ჭიამარია,
ბარბაროსი დაულენავს ციციშვილს...
უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაო ჩანს ცის და მიწის სიცილში..

შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია —
ჩვენი მოსრვა აბა როგორ ინდომეს?
გავიმარჯვებ, ჭია-ჭიამარია,
ვუგალობოთ სამშობლოს მინდორ-ველს...
შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსრვა ან კი როგორ ინდომეს?

ზღვადდარბეულ მინდორს გაუხარია,
ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია,
დინჯად მისდევს კედაში ძველი გუთანი...
ვერ წაიღებს ხორბალს სულთამხუთავი!..

ვრცელ მინდვრებს ტრაქტორები ფარავენ...
ბალ-ბოსტნეებში თოხნიან და ბარავენ...
ზღვადდარბეულ მინდორს გაუხარია...
ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია...

ჩემი გული ვარდფურცლობის დარია,
პრილატებენ, გუგუნებენ თელები:
ჩვენთან მუდამ გათენების დარია,
ჩვენი ხმლის ქვეშ მტერს არ გაეთენების!..
კარში გამო, ჭია-ჭიამარია,
მოფრინავენ ცი-ცი-ციხათელები...

ჩემი გული ვარდფურცლობის დარია...
გუ-გუ-გუ-გუ... გუგუნებენ თელები...
მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები...
მომახურე, მცივა, ჭიამარია,
გამიციენ, თუ არ მომეფერები!
მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები...

თქვი, არჯაკელო ხეიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?
— რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგია რა...
— მეც... სხვათა შორის ვიკითხე,
სალაპარაკოდ კი არა...

გოშა ქალი

და რა ქალი?! ხელის გულით სატარები...
რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი!
ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები...
შეხედეს და... შეუკურთხეს გამჩენი...
მეზღვარებს გამომწვევად გვერდს აუვლის,
ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...
ხელგაშლილი გადუდგება მეზღვარები:
მხოლოდ ერთხელ მაკოცო, სულიკო!..
ეს პანია, სიყვარულის დასტაქარი,
განა დარდობს, თვალებს ცრემლით იოსებს?
მხიარული, ფეხშიშველი ბოშა ქალი
სტყენით მიდის პორტის სანაპიროზე...

მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალუფუნა, ნაბლისფერი თმებით...
ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები
დამტოვა და ღრუბლებს გაპყვა ცადა...
ღრუბლებს გაპყვა... სად ვეძებო, სადა?
მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალუფუნა, ნაბლისფერი თმებით...

მკვდართა მზა ვარ...

ორი ქვეყნის,
ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
გულო, რისად მეხურები?
სხივიმიკრთალი, სხივიმიკვდარი
მკვდართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში თამაშობენ ბელურები...
კორჩიოტას, კორჩიოტას თესლი ვალხვა,
ორთქლად მიდის ნესტიანი სუნთქვა მიწის;
ნაკადულის სიმღერებში სძინავს ლაღლას...
ლხენით ვისმენ ბელურების
ნივ-ნივ, ნივ-ნივს...
ამოდიან, ბალახების სუნთქვა მესმის,
მაგრამ... მაინც გული რისად მეხურები?
ვარდის რტოზე შერჩენილი ხმელი თესლი
აქენკეს და გაიტაცეს ბელურებმა...
ორი ქვეყნის,
ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
გულო, რისად მეხურები?
სხივიმიკრთალი, სხივიმიკვდარი
მკვდართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში ყიფივებენ ბელურები...





გრიგოლ აბაშიძესთან აგარაკზე წყნეთში, გიორგი (ქიჯა) ხერხეულიძე და ანა კალანდაძე გასული საუკუნის 70-იანი წლები.
სურათი მოგვანოდეს ქალბატონმა თოლია აბაშიძემ და ბატონმა ირაკლი ტულუშმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ

**ვისთვისაც კვირფასია ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“
გთხოვთ, შეგვიწვიოთ!**

ჩვენი რეკვიზიტებია: ბნმ. № 9836295 სს „გაზისგანკი“ კოდი 220101956.
ი/მ „ვაშა ოთარაშვილი“ საიდ. კოდი 132540696 ჟურნალისათვის.

ჟურნალზე!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნე“ პუნქტებში, გამსახურდიას ქ.42; ტელ: 37-61-53,
შპს „ინფო 2007“ გ. ცაბაძის ქ.6; ტელ: 34-11-40 და „საპრესა“ ტელ: 51-60-04;
„სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში

საბი თვით 9 ლ. ექვსი თვით 18 ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ!

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ბადრი ჩუგოშვილი
თამარ ქიტუაშვილი
ნინო აფრიაშაშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 31 70 47; 32 73 62; (+995 99) 25 60 14.
E-mail: vajao@mail.ru Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში



თეთრი სახლი



სერიიდან „ბოთლები“

მხატვარი გია მირზაშვილი

